ორბელიანი

Orbeliani

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის აკადემიური ჟურნალი
Academic Journal of Sulkhan-Saba Orbeliani University

N9, 2025

მთავარი რედაქტორი: **ვაჟა ვარდიძე** (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი)

აღმასრულებელი რედაქტორი: **დიმიტრი გეგენავა** (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, საქართველო)

სარედაქციო საბჭო: **ბერნჰარდ უდე** (ალბერტ ლუდვიგის ფრაიბურგის უნივერსიტეტი), **გოჩა ბარნოვი** (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი), **ნუგზარ ბარდაველიძე** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), **თამთა მიქაბერიძე** (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი), **გიგი ყუფარაძე** (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი), **შოთა შაბურიშვილი** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **თამარ ქობულაძე** (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი), **მაია მაჭავარიანი** (კავკასიის უნივერსიტეტი), **გია ნოდია** (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), **გიორგი გორაძე** (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი), **თეა სამჭკუაშვილი** (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი), **მარიამ ჯიქია** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), **პაატა ჯავახიშვილი** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **პეტროს ათ. პანაიოტოპულოსი** (თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი, საბერძნეთი), **პროტოპრესვიტერი ვასილიოს ა. გეორგოპულოსი** (თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი, საბერძნეთი), **იოანე ანტ. პანაიოტოპულოსი** (ათენის ეროვნული და კაპოდისტრიული უნივერსიტეტი, საბერძნეთი), **იოანა პიეჩოვიაკ-ლამპარსკა** (ტორუნის ნიკოლას კოპერნიკის სახელობის უნივერსიტეტი, პოლონეთი), **იაროსლავ კრაიკა** (მარია სკლოდოვსკა-კიურის უნივერსიტეტი, პოლონეთი), **რაფალ ვჟეჩიონეკი** (ჟელონა გორას უნივერსიტეტი, პოლონეთი)

EDITOR IN CHIEF: **Vaja Vardidze** (Sulkhan-Saba Orbeliani University)

EXECUTIVE EDITOR: **Dimitry Gegenava** (Sulkhan-Saba Orbeliani University, Georgia)

EDITORIAL BOARD: **Bernhard Uhde** (Albert Ludwig University of Freiburg), **Gocha Barnovi** (Sulkhan-Saba Orbeliani University), **Nugzar Bardavelidze** (Georgian Technical University), **Tamta Mikaberidze** (Sulkhan-Saba Orbeliani University), **Gigi Kuparadze** (Grigol Robakidze University), **Shota Shaburishvili** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University), **Tamar Kobuladze** (Sulkhan-Saba Orbeliani University), **Maia Machavariani** (Caucasus University), **Ghia Nodia** (Ilia State University), **George Goradze** (Sulkhan-Saba Orbeliani University), **Tea Samchkuashvili** (Grigol Robakidze University), **Mariam Jikia** (Georgian Technical University), **Paata Javakhishvili** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University), **Protopresbyter Vasileios A. Georgopoulos** (Aristotle University of Thessalonica, Greece), **Petros Ath. Panagiotopoulos** (Aristotle University of Thessalonica, Greece), **Ioannes Ant. Panagiotopoulos** (National and Kapodistrian University of Athens, Greece), **Joanna Piechowiak-Lamparska** (Nikolas Copernicus University in Torun (Poland), **Jarosław Krajka** (Maria Curie-Skłodowska University, Poland), **Rafał Wrzecionek** (University of Zielona Góra, Poland)

ტექნიკური რედაქტირება ციცინო ხითარიშვილი

COPY EDITOR Tsitsino Khitarishvili

Content of this journal is licensed under a **Creative Commons Licence Attribution 4.0 International License** except where otherwise noted**.** For more information about the Creative Commons Licence, please visit: https://creativecommons.org/licenses/by/4.0/

ISSN 2667-9124
9772667912002

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2025
Sulkhan-Saba Orbeliani University Press, 2025

სარჩევი

სოციალური მეცნიერებები
SOCIAL SCIENCES

თეა ქამუშაძე 1

დევნილობა როგორც ყოველდღიურობა: სასტუმროს სივრცე, მეხსიერება და სიმბოლური საზღვრები

Tea Kamushadze 16

DISPLACEMENT AS EVERYDAY LIFE: HOTEL SPACE, MEMORY, AND SYMBOLIC BOUNDARIES

ქეთევან მესხიძე 17

აშშ-კანადას შორის დაპირისპირება: პოლიტიკური თამაში დიდი ტბებით, როგორც პირველი გასროლა ჩუმი ომის დასაწყისში

Ketevan Meskhidze 42

US-CANADA STANDOFF: POLITICAL GAME WITH THE GREAT LAKES AS THE FIRST SHOT AT THE BEGINNING OF A SILENT WAR

ზვიად ტყაბლაძე 43

„დაიშის“ ტერორისტული პროპაგანდის თავისებურებანი

Zviad Tkabladze 69

FEATURES OF DAESH TERRORIST PROPAGANDA

მენეჯმენტი და საჯარო მმართველობა
MANAGEMENT AND PUBLIC ADMINISTRATION

თენგიზ ვერულავა 70

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის ტრანსფორმირება საქართველოში: თანამედროვე გამოწვევები

Tengiz Verulava 85

TRANSFORMING THE PUBLIC HEALTH SYSTEM IN GEORGIA: CONTEMPORARY CHALLENGES

ჰუმანიტარული მეცნიერებები
HUMANITIES

კახაბერ ლორია 86

ორი რომანის მსგავსი და განსხვავებული განზომილებანი: კნუტ ჰამსუნის „მისტერიებისა“ და გურამ გეგეშიძის „ცოდვილის“ მიმართებისათვის

Kakhaber Loria 106

SIMILAR AND DIFFERENT DIMENSIONS OF TWO NOVELS: REGARDING THE RELATIONSHIP BETWEEN KNUT HAMSUN'S "MYSTERIES" AND GURAM GEGESHIDZE'S "THE SINNER"

სამართალი
LAW

გია ჩხაიძე 107

საერთო სასამართლოების მიერ ნორმის გამოყენების პრაქტიკის გათვალისწინება საკონსტიტუციო დავის განხილვისას

Gia Chkhaidze 134

CONSIDERATION OF THE ORDINARY COURTS' PRACTICE OF APPLICATION OF NORMS DURING THE EXAMINATION OF CONSTITUTIONAL DISPUTES

ნინო ქათამაძე 135

ცილისწამებასთან დაკავშირებულ დავაში მტკიცების ტვირთის გადანაწილების თავისებურებანი საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე

Nino Katamadze 150

SPECIFIC FEATURES OF THE ALLOCATION OF THE BURDEN OF PROOF IN DEFAMATION CASES IN LIGHT OF LEGISLATIVE AMENDMENTS

თარგმანი
TRANSLATION

ვინგ სი ემილი ჩაუ, ქეით დე ბრუინი, უმეშ შარმა 151

ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის მხარდაჭერის მასწავლებელთა აღქმული საჭიროებების ფართო მიმოხილვა

ინგლისურიდან თარგმნა თეონა ნუცუბიძემ

Wing Sze Emily Chow, Kate de Bruin & Umesh Sharma 175

A SCOPING REVIEW OF PERCEIVED SUPPORT NEEDS OF TEACHERS FOR IMPLEMENTING INCLUSIVE EDUCATION

Translated from English by Teona Nutsubidze

თეა ქამუშაძე*

დევნილობა როგორც ყოველდღიურობა: სასტუმროს სივრცე, მეხსიერება და სიმბოლური საზღვრები

I. შესავალი

დევნილობა არ არის მხოლოდ პოლიტიკური სტატუსი ან ტექნიკურ-ადმინისტრაციული კატეგორია – ის არის ყოველდღიურობა, რომელიც „ჩვენ“ და „სხვებს“ შორის გამყოფ ხაზებს წარმოქმნის. იგი სივრცეს, ერთდროულად, გამორჩეულობისა და მარგინალიზების ადგილად გარდაქმნის. მოცემულ კვლევაში დევნილთა საერთო საცხოვრებლების შესასწავლად გამოყენებულია სოციალური საზღვრების კონცეპტი. საერთო საცხოვრებელი განხილულია სივრცედ, რომელიც არა მხოლოდ ასახავს, არამედ აწარმოებს სოციალურ დისტანციას, ქმნის გამონაკლისსა და სიმბოლურ იერარქიას.

ანთროპოლოგებისათვის საზღვრები უკვე დიდი ხანია აღარ აღიქმება მხოლოდ გეოგრაფიულ ან პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ხაზებად[1]. ისინი გამოხატავენ სოციალურ და სიმბოლურ მექანიზმებს, რომლებიც ქმნიან საკუთრების წესებს, საზღვრავენ ვინ რჩება „შიგნით“ და ვინ – მის „გარეთ“[2]. როგორც მალკი მიუთითებს, დევნილობა ხშირად ხელს უწყობს იდენტობის დეკონტექსტუალიზაციას, რასაც თან ახლავს განცალკევება არა მხოლოდ სივრცობრივად, არამედ სოციო-კულტურულადაც.[3]

სტატიის მიზანია გაარკვიოს, როგორ მატერიალიზდება ეს საზღვრები იძულებით გადაადგილებულ პირთა ყოველდღიურ გამოცდილებაში თბილისში, სასტუმრო „საქართველოს“ მაგალითზე. სივრცე, რომელიც ერთ დროს ფუფუნებისა და ელიტური სტატუსის სიმბოლო იყო, როგორ ჩაეწერა პოსტსაბჭოთა ტრავმის არქიტექტურულ ლანდშაფტში. ამ სივრცეში თავმოყრილი დევნილები ყოველდღიურად გარდაქმნიან და ხელახლა აწარმოებენ იმ საზღვრებს, რომლე-

* საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი, https://orcid.org/0000-0001-8844-0569

1 Barth, 1969, 12

2 Lamont, Molnár, 2002, 170.

3 Malkki, 1995, 25.

ბიც მათ რეალობას თბილისელებისგან გამოყოფს. დევნილთა გამოცდილების გასაგებად მხოლოდ საზღვრების ანალიზი საკმარისი ვერ იქნება. ამ შემთხვევაში ტრავმისა და მეხსიერების თეორიები აჩვენებს, რომ დაკარგული სივრცის გახსენება და მისი წარმოსახვა დაკავშირებულია მოურჩენელი ტკივილის გადატანასთან.

თეორიულად, სტატია საზღვრების, მეხსიერებისა და ტრავმის კვლევის გადაკვეთაზე დგას. დევნილთა მიერ დროებითი სივრცის სიმბოლურ სახლად გარდაქმნა საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ მეხსიერების კატეგორიებით. მორის ჰალბვაქსი[4] და იან ასმანი[5] გვახსენებენ, რომ კოლექტიური მეხსიერება ყოველთვის გარკვეულ მატერიალურ გარემოსა და სივრცესთანაა დაკავშირებული. სწორედ ამ სივრცეში ქმნიან დევნილები საკუთარ „ჩვენს“. ამავდროულად, დევნილობა ტრავმასთან არის გადაჯაჭვული. როგორც ვენა დასისა[6] და კათრინ ქარუთის[7] ნაშრომები გვიჩვენებენ, ტრავმა მხოლოდ წარსულის გამოცდილება არაა, იგი ყოველდღიურობაში, სიჩუმისა და დანაკარგის პარადოქსულ „გაგრძელებად“ იქცევა. ამდენად, დევნილთა გამოცდილება უნდა წავიკითხოთ როგორც ტრავმისა და მეხსიერების ერთდროული წარმოება.

სასტუმრო, როგორც დროებითი განთავსებისთვის წარმოქმნილი სივრცე, ლიმინალურ ზონად ყალიბდება, ადგილად, სადაც დროებით ყოფნას გრძელვადიანი არსებობა ანაცვლებს. დევნილების ამ სივრცეში ცხოვრება წინააღმდეგობრივია: ერთი მხრივ, ისინი კვლავ განიცდიან „სხვის სახლში“ ცხოვრებას, მეორე მხრივ კი, ცდილობენ „საკუთარი სახლის“ წარმოსახვას. ამას ისინი მეხსიერების ფრაგმენტებით – ნივთებით, რიტუალებითა და სენსორული გამოცდილებებით – ახერხებენ. ამგვარი ყოველდღიური მცდელობა, როგორც ნავარო-იაშინი მიუთითებს, ქმნის „შეთხზულ სივრცეს“, სადაც შინაურობის განცდა იმიტაციურია და დროებითობასა და შენარჩუნების სურვილს შორის იჭედება[8].

სტატია ეფუძნება 2022 წელს ჩატარებულ ეთნოგრაფიულ კვლევას, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ინტერვიუები სასტუმრო „საქართველოს“ მაცხოვრებლებთან, კერძოდ, მესამე თაობის ახალგაზრდა დევნილებთან. კვლევაში ასევე გამოყენებულია წერილობითი თვითნარატივები, რომლებიც სწორედ ამ სივრცეში დაიწერა და ასახავს დევნილთა ყოველდღიურ გამოცდილებას, მეხსიერებასა და ურთიერთობებს.

---

4 Halbwachs, 1992, 38-40.

5 Assmann, 2011, 36-40, 118-122.

6 Das, 2007, 1-9; 67-68.

7 Caruth, 1996, 3-4; 7-9.

8 Navaro-Yashin, 2012, 7-15.

II. ახალი წელი, ახალი სახლის მოლოდინი და „გამოსავალი“

უკვე კარგა ხანია, ახალი წელი დევნილებისთვის არა მხოლოდ ტრადიციული დღესასწაულის აღნიშვნის დრო, არამედ „სახლის“ მოლოდინის პერიოდიც არის. აფხაზეთიდან დევნილთა ოჯახი, მაგალითად, ლიზას შემთხვევაში, 30 წელზე მეტი სასტუმროში ცხოვრობდა და მუდმივად ელოდებოდა ბინის მიღებას.[9] ამის გამო ახალი წელი ლიზასთვის დაძაბულობასთან და სტრესთან უფრო ასოცირდება, ვიდრე სასწაულთან და სიხარულთან[10].

2025 წლის 27 იანვარს ასევე აფხაზეთიდან დევნილმა, 44 წლის ზაურ კვეკვესკირმა დევნილთა სააგენტოს წინ თავი დაიწვა. მისი წუხილიც, სხვა დევნილების მსგავსად, ღირსეული საცხოვრებელი გარემო იყო. საერთო საცხოვრებლის ერთ ოთახში ცხოვრება და საკუთარი სახლის ქონის მოლოდინი აღმოჩნდა ის გაუსაძლისი მოცემულობა, რომელმაც იგი ამ მდგომარეობამდე მიიყვანა. ამ ფორმით გამოხატული პროტესტი ახალგაზრდა კაცისათვის განაჩენიც აღმოჩნდა. ზამირ კვეკვესკირი 5 დღეში, საავადმყოფოში გარდაიცვალა[11].

მორიგი მოლოდინის გაცრუების შედეგად, 2022 წლის იანვარში, სასტუმრო „ქართლში“ მცხოვრები 52 წლის დევნილი, ზურაბ ქირია თავს იკალავს. იგი სასტუმროს შენობიდან გადმოხტა. სასტუმროს ტერიტორიაზე თვითმკვლელობამ დროებით დევნილთა მძიმე საცხოვრებელ პირობებზე მიმართა ხელისუფლებისა და საზოგადოების ყურადღება. მისი მეზობელი ირმა ნაჭყებიას თქმით:

> *„ზურაბი ხშირად ამბობდა, ყურადღებას არ მოგვაქცევენ, ასეთ რამეს ჩავიდენ და მერე მოგვხედონო“*[12].

არასამთავრობო ორგანიზაციების ცნობით, სასტუმრო „ქართლის“ შენობა ავარიულია და სიცოცხლისთვის სახიფათო.[13] სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით, 90 ავარიული ობიექტიდან 71 სიცოცხლისთვის საშიშია. ამ

---

9 ამ დროისათვის, ლიზას უკვე აქვს საკუთარი სახლი, თუმცა ინტერვიუს ჩაწერის მომენტში (2022 წელი) მათ ჰქონდათ მოლოდინი. წარმოდგენილ ტექსტში გამოცემულია მათი მოლოდინის შესახებ.

10 სასტუმრო „საქართველოს“ მცხოვრები – აფხაზეთიდან დევნილი მესამე თაობა, თეა ქამუშაძის ინტერვიუ ლიზა კარანაძესთან, 2022 წლის 12 ოქტომბერი.

11 „იმ დღეს ბოლო იმედიც ამოეწურა“ – რამეს შეცვლის ზამირ კვეკვესკირის თვითდაწვა?, <https://www.radiotavisupleba.ge/a/33301779.html> [15.10.2025]

12 დევნილი, რომელმაც თვითმკვლელობით მიაპყრო ყურადღება სასტუმრო „ქართლის“ პრობლემებს, <https://netgazeti.ge/news/591193/> [15.10.2025]

13 სასტუმრო „ქართლის“ მდგომარეობა და დევნილთა საცხოვრებელი პირობები, ინტერნიუსი საქართველო, 2022.

შენობების მდგრადობას სახელმწიფო მხოლოდ დევნილთა მიმართვიანობის საფუძველზე ამოწმებს.[14]

დევნილების ნაწილი მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობს. სახალხო დამცველის ხსენებული ანგარიშის თანახმად, 91 ათასზე მეტი დევნილი ოჯახიდან 40 ათასზე მეტი კვლავ საცხოვრებლის მოლოდინშია. ხოლო 2018 წლის მონაცემებით, თბილისში მცხოვრები 108 000 დევნილიდან მხოლოდ 5.5% თვეში 1250 ლარზე მეტს გამოიმუშავებს.[15]

2022 წლის იანვრის მოვლენების შემდეგ სახელმწიფომ განსახლების პროცესი რამდენადმე გააააქტიურა, თუმცა დაბინავების ძირითადი პრობლემები მაინც მწვავედ რჩება. 2023 წელს ხელისუფლება ახალი საკანონმდებლო ინიციატივით შეხვდა. შემოთავაზებული კანონპროექტით, 2023 წლიდან დევნილობაში დაბადებული ბავშვების საცხოვრებლის უზრუნველყოფაზე სახელმწიფო ვალდებულებას აღარ აიღებს. ბუნებრივია, პრობლემის ამგვარმა „გადაწყვეტამ“ დევნილთა შორის უკმაყოფილება გამოიწვია[16].

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრის, დავით ფაცაციას, განცხადებით: „პრობლემა არის ის, რომ არსებობენ ოჯახები, რომლებმაც ვერ მიიღეს ბინა... ეს პროცესი უსასრულოდ არ შეიძლება გაგრძელდეს“[17].

კვლევების მიხედვით, 2017-2021 წლებში სახელმწიფომ 10,622 ოჯახი დააკმაყოფილა, თუმცა 45,903 ოჯახი კვლავ საცხოვრებლის გარეშეა და ამ ტემპით მათ უზრუნველყოფას მინიმუმ 20 წელი დასჭირდება.[18]

III. ტრავმის არქიტექტურა: დევნილთა სივრცეები პოსტსაბჭოთა თბილისში

1990-იანი წლების თბილისის ურბანულ პანორამაში სასტუმრო „ივერია“ ქალაქის ტრავმირებული მეხსიერების ყველაზე თვალშისაცემ, მრავალი მნიშ-

[14] დევნილთა განსახლების პროცესის მონიტორინგი: 2020 წლის ანგარიში, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, თბილისი, 2022.

[15] Socio-economic Profile of Internally Displaced Persons in Tbilisi, Institute for Development of Freedom of Information, 2018.

[16] სახელმწიფო აღარ დააკმაყოფილებს დევნილობაში დაბადებულ ბავშვთა ბინათმოწყობის მოთხოვნას – კანონპროექტის განხილვა, <https://liberali.ge/articles/view/47892> [15.10.2025]

[17] დევნილთა მინისტრი დავით ფაცაცია: „პროცესი უსასრულოდ ვერ გაგრძელდება“, https://www.radiotavisupleba.ge/a/33299805.html [15.10.2025]

[18] Socio-economic Profile of Internally Displaced Persons in Tbilisi, Institute for Development of Freedom of Information, 2018.

ვნელობით დატვირთულ სიმბოლოდ გვევლინება. ერთ დროს ქალაქის ყველაზე მაღალი შენობა ომის, სიძნელისა და მუდმივი დროებითობის კოშკად იქცა. აივნებზე ჩამოკიდებული ლურჯი ცელოფნები, გახუნებული საბნები და რიგებად გაშლილი სარეცხი, თბილისელებისთვის ყოველდღიურობის შავ-თეთრი კადრია ბნელი 90-იანების აღსაწერად.

საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში სასტუმრო განასახიერებდა ადგილს, სადაც მხოლოდ ფულიან უცხოელს ან რესპუბლიკის პარტიულ ელიტას შეეძლო დარჩენა. საშუალო სტატისტიკური საბჭოელისთვის იქ ცხოვრება წარმოუდგენელ ფუფუნებად მიიჩნეოდა. ამიტომაც სასტუმროს იძულებით მარტივ საცხოვრებელ შენობად გარდაქმნა ორმაგ დისონანსს ქმნიდა ქალაქის მოსახლეობაში.

საბჭოთა კავშირის დაშლას, შემდეგ 1992-1993 წლების აფხაზეთის ომს, ეკონომიკური კოლაფსი და მასობრივი სოციალური ფრაგმენტაცია მოჰყვა. ეკონომიკურმა ფრუსტრაციამ, საკუთარი სახლის დაკარგვამ და პოლიტიკურმა დესტაბილიზაციამ საზოგადოების დიდი ნაწილი საარსებო საშუალებების მუდმივ ძიებაში ჩააბა. ასეთ კონტექსტში დევნილები თბილისის მოსახლეობის ნაწილისათვის იყვნენ „სოციალური სარკე“, რომელშიც გაჭირვება, მარცხი და შიში იკითხებოდა. ამიტომ, ემპათიის ნაცვლად, ხშირად დევნილების მიმართ გაღიზიანება და უნდობლობა ჩნდებოდა.

დევნილთა მოლოდინი, რომ სასტუმროს ნომრები მხოლოდ ხანმოკლე თავშესაფარი იქნებოდა, უსასრულოდ გაიწელა. უკვე ლამის მესამედი საუკუნეა, რაც დროებითობა პერმანენტულ რეალობად იქცა დევნილების ნაწილისათვის. სწორედ ამ ხანგრძლივობაში გაჩნდა ახალი, კომპლექსური „გამოსავალი“ – ცენტრალურ უბნებში მდებარე შენობებით ინვესტორების დაინტერესება. სასტუმრო „ივერიის“ დაცლა უკვე 2004 წელს დაიწყო.[19] სახელმწიფომ კერძო ბიზნესის საშუალებით დევნილებს საცხოვრებელი ბინები შესთავაზა, შენობა კი საერთაშორისო ბრენდის სასტუმროდ გადაკეთდა. ამგვარად, მრავალმხრივად ემბლემური სასტუმრო „ივერია“ ქალაქის ნეოლიბერალურ სახეცვლილებას მოერგო.

სხვა ნაგებობები, მათ შორის, სასტუმრო „საქართველო“, გაცილებით ნელი ტემპით იცლება. მისმა მფლობელებმა წლების განმავლობაში, „ისტორიულ შენობად“ გამოცხადების არგუმენტით, შენობაში აკრძალეს გაზის შეყვანა, ფანჯრების შეცვლა, კედლების გამაგრება. ამგვარი პირობების გამო დევნილების დიდი ნაწილი იძულებული გახდა ქირით გასულიყო იქამდე, ვიდრე შენობის მეპატრონე მათ სახლებით არ უზრუნველყოფდა.

[19] დევნილთა სამინისტრო „ქართლში“ მყოფი დევნილების გამოსახლებას გეგმავს, <https://www.radiotavisupleba.ge/a/1536789.html> [15.09.2025]

დღემდე ცალკეული სასტუმრო, როგორც საერთო საცხოვრებელი, ლიმინალურ ზონად გვევლინება, ადგილად, სადაც თანაარსებობს ომის მეხსიერება, პოსტსოციალისტური ეკონომიკური მარცხი და საკუთარი ადგილის ხანგრძლივი ძიება. დევნილების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ „სახლი“ მხოლოდ საკუთრების დოკუმენტის მქონე აგური-ბეტონის სარტყელი არ არის, იგი ყოველდღიური პრაქტიკაა, რომლის დროსაც ადამიანები სიმბოლურ, მატერიალურ და სოციალურ რესურსებს ხელახლა აყალიბებენ. ამასთან, ქალაქის ლანდშაფტში შემორჩენილი ლურჯი ცელოფნები, გაშლილი სარეცხი და შენობების შეცვლილი პროფილები ისევ გვახსენებს პოსტსაბჭოთა ტრავმებს.

IV. გვანცას და ლიზას სამყარო სასტუმრო საქართველოში

გვანცა[20] სასტუმრო საქართველოში დაიბადა და გაიზარდა. თბილისის 51-ე საჯარო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და სწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო. სურს, დრამატურგი გამოვიდეს და თავისი ცხოვრება თეატრსა და კინოს დაუკავშიროს. ამ მიმართულებით, ყველაზე მნიშვნელოვანი განაცხადი, რაც აქამდე გაუკეთებია, მისი პიესაა[21], რომლის მოქმედება, მისი ბავშვობის მსგავსად, სწორედ სასტუმრო „საქართველოს“ დერეფნებში ვითარდება.

გვანცა ამბობს, რომ ბავშვობის მოგონებებიდან ცოტა რამ ახსოვს, ისიც ბუნდოვნად. როგორც ჰყვება, ბავშვობაში ხშირად ავადმყოფობდა და როცა სახლში, ანუ სასტუმროში რჩებოდა, იზრდებოდა მანანასთან, რომელსაც მან ნანა დაარქვა. მისი აზრით, რაღაც ირონიულიც არის იმაში, რომ მას ძველი ქართული, არისტოკრატიული ტრადიციის მსგავსად, საკუთარი გამზრდელი, ძიძა ჰყავდა. ნანასთან გატარებული დრო ყველაზე მკაფიოდ და ტკბილად ახსოვს. ახსოვს საგანგებოდ მისთვის როგორ იგონებდა ნანა ამბებს. გვანცას ვკითხე, აფხაზეთზე თუ იყო ამბები. არაო, ჩემი მეზობლები აფხაზეთზე იშვიათად ან საერთოდ არ ლაპარაკობდნენო. მოგვიანებით, როცა სკოლაში დაიწყო სიარული, მისმა მასწავლებელმა იცოდა, რომ სასტუმრო „საქართველოში“ ცხოვრობდა და 27 სექტემბრისთვის

[20] ანთროპოლოგიური ეთიკური სტანდარტი, როგორც წესი, გულისხმობს მონაწილეთა ანონიმურობის დაცვას, რათა თავიდან იქნას აცილებული მათთვის შესაძლო ზიანი. წარმოდგენილ კვლევაში, მათთან შეთანხმებით, მათი სახელები არ შემიმცვლია. ვფიქრობ, მათი საჯაროდ გაცნობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანიც არის ჩემი კვლევისთვის – ისინი წარმოადგენენ მაგალითებს იმისა, თუ როგორ შეიძლება ტრავმებთან გამკლავება და სირთულეების შესაძლებლობად ქცევა.

[21] ფიფია გ., რადიოთეატრი, 2023, <https://www.youtube.com/watch?v=WqPg9_uXQew> [10.09.2025]

ყოველთვის მას სთხოვდა აფხაზეთზე თემის მომზადებას. აი, მაშინ დაუკავშირდა მისი იდენტობა აფხაზეთს, იქიდან დაიწყო კითხვების დასმა. მოგვიანებით და ისიც ყურმოკვრით, გაიგო მისი მეზობლების შემზარავი ისტორიები.

საინტერესოა, თუ როგორ მოხვდა გვანცას ოჯახი სასტუმრო „საქართველოში“: გვანცა მიყვება, რომ დედის ოჯახმა აფხაზეთიდან თვითმფრინავის საშუალებით გამოაღწია. ამ თვითმფრინავით დაჭრილები და გარდაცვლილები გადმოჰყავდათ. გვანცას დედა მაშინ 17 წლის იყო. მთელი გზა თვითმფრინავში ვიღაცის ჩვილი ბავშვი ეჭირა ხელში და ამან როგორღაც დააძლევინა ფრენისა და გაქცევის შიში. ფრენისას მთელი გზა ფეხზე მდგარან.

სასტუმრო „საქართველოში“ გვანცას დედის ოჯახი ნაცნობობით მოხვდა. არაოფიციალურად ფულის გადახდაც მოუწიათ, რომ ოთახებში შეეშვათ. ჩამოვიდნენ და შესახლდნენ ორ ოთახში, მეოთხე სართულზე.

> *„ყველაფერი იქ დატოვეს, ძალიან შეჭირვებულები იყვნენ, მატერიალურად სრულიად გაპარტახებულები იყვნენ. მაგალითად დედას და დეიდას ერთი ფეხსაცმელი ჰქონდათ და უნივერსიტეტში რიგ-რიგობით დადიოდნენ.“* [22]

როგორც გვანცას ბებია უყვება, თავიდან რომ მივიდნენ სასტუმროში, ჭურჭელი საერთოდ არ ჰქონდათ. ვინმე საჭმელს რომ აკეთებდა, მაგალითად, ლობიოს, ერთი თეფშითა და ერთი ქილით შეეძლოთ მხოლოდ სარგებლობა. მალევე გვანცას ბებია რუსეთში წავიდა, მერე – ბაბუაც და დეიდაც. გვანცა 3 წლის იყო, როცა ბებია უკან დაბრუნდა. როგორც იგი ამბობს, ორმა ბებიამ გაზარდა.

როცა ბაღში არ მიდიოდა და სახლში რჩებოდა, ბებოები საუბრობდნენ ან რაღაცას აკეთებდნენ.

> *„მე უბრალოდ ვდგებოდი და ჩამოვუყვებოდი მეზობლებს, დავუყვებოდი 18 კარს. ბოლოდან ვიწყებდი. პირველი მივდიოდი ნინა ბებოსთან, ის და მისი ქმარი საუბრობდნენ რუსულად, ძალიან მიყვარდა მათთან მისვლა, ისინი შაქრის „კუბიკებს“ მაძლევდნენ და მიხაროდა. სახლში მაგას არ მაძლევდნენ.“*[23]

შემდეგ გვანცა იხსენებს, როგორ გადადიოდა ხოლმე ბაკურაძეებთან, იქ იყო კლარა ბებო, ძალიან მოხუცი იყო და ლოგინში ჩაწოლილი. გვანცა კლარა ბებოს ლექსებს უყვებოდა, ამის სანაცვლოდ კი კანფეტებს იღებდა. მერე მიდიოდა თალიკო ბებოს კართან და აკაკუნებდა. როგორც გვანცა ამბობს, თალიკო ბებო იყო მის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი. თალიკო ბებოს ჰქონდა ყველაზე ტრაგიკული ისტორია, – მის ეზოში ყუმბარა ჩამოვარდა, რომე-

---

[22] სასტუმრო „საქართველოს“ მცხოვრები – აფხაზეთიდან დევნილი მესამე თაობა, თეა ქამუშაძის ინტერვიუ გვანცა ფიფიასთან, 2022 წლის 16 სექტემბერი, 3.

[23] იქვე, 5.

ლმაც მისი შვილი და შვილიშვილი შეიწირა. მაშინ დაკარგა ქმარიც. აქ ჩამოვიდა მეორე შვილთან და შვილიშვილებთან ერთად. თალიკო ბებო ქიმიის პედაგოგი იყო. გვანცას თქმით, ის იყო საოცრად განათლებული ადამიანი, ძალიან უყვარდა პოეზია, იმ სართულზე ყველა ბავშვს ლექსებს ასწავლიდა. განსაკუთრებით უყვარდა ლექსი – „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო". როგორც კი ბავშვი ენას ამოიდგამდა თალიკო ბებო ამ ლექსს ასწავლიდაო, – ამბობს გვანცა.

> *„15 კვადრატულ ოთახში თალიკოს ჰქონდა ძველი ტელევიზორი და რადიო. ტელევიზორის გვერდით შავ-თეთრი ფოტო ეკიდა, ქალი, ბავშვი და კაცი იყო გამოსახული.*
> *თალიკო ბებოს მე ინგლისურს ვასწავლიდი, ის ლექსებს მასწავლიდა. მაშინ 6-7 წლის ვიყავი."* [24]

თალიკო ბებოს ტრაგიკული ამბები მოვისმინე ლიზასგან, რომელიც თალიკო ბებოს შვილის ნათლულია.

გვანცას წარმოსახვაში სასტუმრო „საქართველოს" ყოველი ოთახი რომელიმე ბებოს უკავშირდება. გვანცა იხსენებს, რომ თალიკო ბებოს მოპირდაპირედ ცხოვრობდა ნუნუ ბებო, რომელიც ორი ჯოხით დადიოდა. ეს ბებო გიჟდებოდა შექსპირზე და მისი ტომეულები თან დაჰქონდა.

> *„სულ კითხულობდა, რომ მახსენდება, წარმოვიდგენ როგორ იწვა, სქელ ჩარჩოიანი სათვალით და როგორ კითხულობდა. ცოტა კეხიანი ცხვირი ჰქონდა, ვერიკო ანჯაფარიძეს ჰგავდა რაღაცით. ასე იწვა და კითხულობდა. მის შვილიშვილთან ვმეგობრობდი, ჩემხელა იყო თაკო. მერე რასაც კითხულობდა, მის სიუჟეტებს გვიყვებოდა, ნახევარი არ გვესმოდა. წარმოიდგინე, ექვსი წლის რომ ხარ და ჰამლეტზე გიყვებიან. პროფესიით რა იყო, არ ვიცი, მაგრამ კითხვასა და შექსპირზე გიჟდებოდა."* [25]

ვკითხე, ეს ტომეულები შემთხვევით აფხაზეთიდან ხომ არ წამოიღო. ამის პასუხად მითხრა, რომ:

> *„ჩემს მეზობლებს, ყველას, სვანეთის უღელტეხილი აქვს გამოვლილი!"* [26]

ეს კი უკვე ვიცით რას შეიძლება ნიშნავდეს ომგამოვლილი ადამიანებისათვის, რომლებსაც საკუთარი სახლის, საცხოვრებლის დატოვება მოუწიათ. გადმოსვლის ამბებს თუ ჰყვებოდნენ, დავინტერესდი. არა, არასდროსო, უბრალოდ იცოდა, რომ მაგალითად, მის მეზობელს, ია კანკავას, სვანეთის გზაზე ფეხები მოეყინა და დიდი ხანი ვეღარ დადიოდა. მათთვის ყველაზე მძიმე მოგონებები სწორედ აფხა-

[24] იქვე, 6.
[25] იქვე, 8.
[26] იქვე, 9.

ზეთიდან გადმოსვლას დაუკავშირდა. არ იხსენებდნენ არც სვანეთის გზას და არც გარდაცვლილებსო. მხოლოდ საკურთხის დღეს აბსოლუტურად ყველა დილით ადრე მიდიოდა ლურჯ მონასტერში წინა დღით გამზადებული საკვებითო.

> *„ჩვენთან სახლში საკურთხის სუფრა აუცილებლად იშლებოდა, ლამაზი გადასაფარებლით, მაგიდაზე ეწყობოდა ყვავილები, საკვები, რაც წასულებს უყვარდათ. კარებს ღიას ვტოვებდით და ერთი თეფში აუცილებლად სუფთად რჩებოდა.“*[27]

სასტუმრო „საქართველოს“ დევნილი მოხუცი ბებია-ბაბუები და მათი სამყარო გვანცას ბავშვობის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. იგი იხსენებს კიდევ ერთ ბებოს, ნანის, რომელსაც ყველა ბავშვი ერიდებოდა და ეშინოდა მისი. ნანი სულ ჩხუბობდა და იწყევლებოდა კიდეც. გვანცა და განსაკუთრებით კი, მისი მეგობარი ლიზი აღნიშნავს, რომ სასტუმრო „საქართველოში“ გაზრდილმა ბავშვებმა არ იცოდნენ რა იყო ეზო. „ჩვეულებრივი“ ბავშვებისათვის ეზოსა და ქუჩას მათ შემთხვევაში სასტუმროს დერეფნები ანაცვლებდა. სწორედ დერეფნებში ბავშვების სირბილი იყო ნანის გულის წყრომის მიზეზიც. გვანცას, სხვების მსგავსად, ეშინოდა მისი. თუმცა ერთ დღესაც მისი კარის შეღება მოუწია. მეზობლობა სასტუმროში მიღებული იყო, თუ რამ გჭირდებოდა, ხახვი თუ შაქარი... ნანი ბებოს ოთახმა პირველად გვანცაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გვანცას თქმით, ნანის ყველასგან განსხვავებული ოთახი ჰქონდა, საოცრად მოწესრიგებული და სუფთა. პედანტი ქალი იყო. ფეხსაცმელებზე ქვემოდან სქელი ნაჭრები ჰქონდა დამაგრებული, რომ დადიოდა იატაკიც იწმინდებოდა, არ იკაწრებოდა და სულ სუფთა იყო. ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა მის ოთახში, ყველაფერს კრიალი გაუდიოდაო. პირველად გვანცამაც ფეხზე გაიხადა, ისე შევიდა ოთახში. როგორც ის იხსენებს, ოთახი სავსე იყო ნაქარგებით, თურმე ნანის ქარგვა ჰყვარებია. მიუხედავად იმისა, რომ რაღაც დაავადება ჰქონდა, ხელები – გაწითლებული და აქერცლილი, თან მხედველობასაც უჩიოდა, მაინც სულ ქარგავდა. ულამაზესი ნაქარგები და ანჩხლი ქალის იმიჯი შეუთავსებელი იყო ცნობისმოყვარე ბავშვისთვის. მაინც გაუბედა ნანი ბებოს და სთხოვა ესწავლებინა მისთვის ქარგვა. ამის შემდეგ გვანცას ახალი გატაცება გამოუჩნდა და პოეზიიდან ქარგვაზე გადაერთო. გვანცას ნანი ბებოსგან სამახსოვროდ დარჩა მოგონება, როგორ წაიყვანა ძაფების საყიდლად, ერთად როგორ აარჩიეს ნახატი „ზღვის ტალღებზე“ და შემდეგ მოქარგეს. ახლა ეს ნაქარგი სასტუმრო „საქართველოს“ გვანცას დაკეტილ ოთახში ინახება. მისი ოჯახი გაუსაძლისი პირობების გამო უკვე ოთხი წელია, ქირით გადავიდა საცხოვრებლად. ამ პერიოდში გვანცამ დაკარგა ძვირფასი ბე-

[27] იქვე, 9.

ბოები სასტუმრო „საქართველოდან“ და ახლა იქ მისვლა აღარ უყვარს. პიესაზე მუშაობის გამო მისვლა მოუწია და ყველაფერს კიდევ სხვაგვარად უყურებს და აღიქვამს თითქმის დაცლილ სასტუმროში.

გვანცას ვკითხე, თუ როგორ ჩანდა თბილისი სასტუმრო „საქართველოდან“. ამაზე მიპასუხა, რომ თბილისის აღქმა მათი მხრიდან ამბივალენტური იყო, ერთი მხრივ, იყვნენ მადლიერნი, რადგან თბილისმა შეიფარა, მაგრამ ნაწილისთვის აუტანელი იყო გარე სივრცე. მისი ნათლიის შვილები, ტყუპები, სულ ჩხუბში იყვნენ. გაუსაძლისი იყო სასკოლო გარემო, შეძახილები, – „ლტოლვილი“, „სუნიანი“, „ჩამოთრეული“ „უსახლკარო“. გვანცა ასევე იხსენებს სასტუმრო საქართველოსთან ერთ თბილისურ ეზოს, საიდანაც მუდმივად ისმოდა წუწუნი, როგორ „დაიღალნენ ამ მეგრულით“. იყო გულის წყვეტაცო, ამბობს გვანცა. ამასთან დაკავშირებით ლიზამ კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატა საკუთარი განცდები და გამოცდილება. თბილისელების მხრიდან დევნილების მიმართ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით მან მითხრა, რომ ეს იყო ზიზღი. ამ სიტყვამ ყური მომჭრა, ლიზას ჩავეკითხე, ამ დამოკიდებულებას ნამდვილად სიტყვა „ზიზღი“ თუ შეესაბამებოდა. დამიდასტურა:

> *„ჩვენები უბანში რომ გამოდიოდნენ, ყველამ იცოდა, რომ სასტუმრო „საქართველოში“ ცხოვრობდნენ, იყო შეძახილები „ჩამოთრეულები“, „გამოგდებულები“, ზუსტად შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო ზიზღი“* [28].

ლიზა ამბობს, რომ მასში დიდი იმედგაცრუება გამოიწვია მიმდინარე მოვლენებმა, როცა უკრაინიდან ჩამოსულ ლტოლვილებს სულ სხვანაირად დახვდნენ და გვერდით დაუდგნენ თბილისში. მას ამის გაგებაც შეუძლია, ყველაფერი ვითარდება, ეს ხომ 30 წლის წინ იყო და ახლა სხვა რეალობაა. მაგრამ იმ დამოკიდებულების გახსენება მაინც დიდ გულის წყვეტას იწვევს მასში.

ლიზა, ისევე, როგორც გვანცა, სასტუმრო „საქართველოში“ დაიბადა, იგი არასდროს ყოფილა აფხაზეთში და მხოლოდ მამის მონაყოლი ასაზრდოებს მის წარმოდგენას საკუთარ სახლზე, რომელიც აფხაზეთში დარჩა. მამა, სულ რაღაც 12 წლის იყო, როდესაც აფხაზეთში მშობლიური სახლის დატოვება მოუწია. მან, შეიძლება ითქვას, საკუთარ სახლთან და მშობლიურ გარემოსთან ერთად, დედ-მამაც დაკარგა. მამა და ბიძა ომში დაიღუპნენ, დედამ, რადგან ეროვნებით რუსი იყო, ომის შემდეგ საკუთარ სამშობლოში ამჯობინა ცხოვრება, ბავშვი კი აქ, მამის დედასთან, ბებიასთან დარჩა. ისინი სასტუმრო „საქართველოში“ აღმოჩნდნენ. ლიზი ამბობს, რომ სხვა ბავშვებთან ერთად იმ სიხარულის მომტანად იქცნენ სასტუმროში, რომელიც ასე აკლდა აქ შემოხიზნულ ადამიანებს. ბავშვის დაბადება

[28] სასტუმრო „საქართველოს“ მცხოვრები – აფხაზეთიდან დევნილი მესამე თაობა, თეა ქამუშაძის ინტერვიუ ლიზა კარანაძესთან, 2022 წლის 16 სექტემბერი, 5.

დიდი ბედნიერება იყო ომგამოვლილი ოჯახებისათვის. როგორც თავად იხსენებს, ძალიან ცელქი იყო და სულ ეჩხუბებოდნენ, სულ რაღაცას უშლიდნენ, ისიც განგებ არ ითვალისწინებდა და იყო ერთი აყალ-მაყალი. ყველაზე მეტად იმას განიცდიდა, რომ ეზო არ იცოდა რა იყო. სხვასთან სტუმრად როცა მიდიოდა, ვერ ხვდებოდა სხვაგვარი სახლები რატომ ჰქონდათ მათ ახლობლებს. მისთვის სახლი სასტუმრო იყო და ყველგან მსგავსს ელოდა და უკვირდა. იმასაც იხსენებს, რომ ძალიან შეეშინდა, როცა საუბარი სასტუმროდან მათ გასახლებაზე დაიწყეს, ვერ წარმოედგინა, სხვაგან კიდევ სად უნდა ეცხოვრა. კარგად ახსოვს ის დაძაბულობა და მოლოდინი, რომელიც მათ სასტუმროდან გასახლებას მოჰყვებოდა ხოლმე. მოგვიანებით, როცა გაიზარდა და გააცნობიერა რას ნიშნავდა ოჯახთან ერთად 15 კვ. მეტრში ცხოვრება, ერთი სული ჰქონდა როდის გაასახლებდნენ. იხსენებს აბიტურიენტობას, როცა ეროვნული გამოცდებისთვის ემზადებოდა, საათობით აბაზანაში იჯდა და მეცადინეობდა. მის ამ მცდელობას კარგი და ცუდი შედეგი მოჰყვა, კარგი ისაა, რომ გამოცდები წარმატებით ჩააბარა და კარგი სტუდენტია, ცუდი კი ისაა, რომ აბაზანაში ჯდომამ მის ჯანმრთელობაზე თავისი კვალი დატოვა.

ლიზი იმ უპირატესობებზეც მესაუბრა, რაც მათ სასტუმროში აღზრდას ჰქონდა, – ესაა მათი ამტანობა ზოგადად და გატანის უნარი. მაშინ სასტუმროში ღია, გახსნილი ურთიერთობები ჰქონდათ მეზობლებს, თავისუფლად შეეძლოთ ერთმანეთთან საუბარი, ყველა კარზე დაკაკუნება.

> *„შედი პირდაპირ. ნებისმიერ თემაზე ილაპარაკე, არავინ არ გეტყვის, რომ არ სცალია. თბილი გარემოა. ანუ, რეალურად, ხომ არის, რომ დედისერთებს, ან თუნდაც პატარებს უჭირთ კომუნიკაცია ხალხთან. ჩვენთან სასტუმროში ეგ პრობლემა არასდროს ყოფილა. იმდენ ადამიანთან გიწევს დღის მანძილზე კომუნიკაცია, რომ სწავლობ. ყველაფერს სწავლობ. მაგიტომაც არის, რომ ჩვენ არავის არ გვიჭირს ადაპტაცია საზოგადოებაში.“*[29]

გვანცასა და ლიზას ისტორიები ნათლად აჩვენებს, როგორ იქცევა თბილისის „ახალი სახლი“ ერთდროულად ინტეგრაციისა და გარიყულობის სივრცედ. ყოველდღიური რიტუალები, ახალი წლის სუფრის გაშლა, ბავშვობის ნივთების შენახვა, დერეფნის საერთო ხმაური ქმნის შინაურობის განცდას, რომელიც, ჰალბვაქსისა და ასმანის გაგებით, კოლექტიური მეხსიერების მატერიალიზაციაა. თუმცა, ამავე დროს, ეს სიმბოლური სივრცე მუდმივად ასახავს ტრავმას: სიჩუმე, იმედგაცრუება და მიტოვებულობის განცდა, რასაც ვენა დასი „მოხეტიალე ტრავმას“ უწოდებს, აჩვენებს, რომ დევნილობის გამოცდილება ყოველდღიურობაში იწერება[30].

---

[29] იქვე, 5.

[30] Das, 2007, 1.

ამგვარად, „ახალი სახლი“ ვერ განიმარტება მხოლოდ ინტეგრაციის ადგილად. უფრო ზუსტად, იგი არის ლიმინალური სივრცე, სადაც დევნილები ცდილობენ ერთდროულად გადარჩენას და მიკუთვნებას. საზღვრის თეორიის თვალსაზრისით, ეს ნიშნავს, რომ „შინაურისა“ და „სხვისი“ გამყოფი ხაზები არ ქრება, არამედ ყოველდღიური პრაქტიკებით ხელახლა იწარმოება: რიტუალები ამ საზღვარს ათხელებს, ტრავმის ნიშნები კი კვლავ ამძაფრებს.

V. შეგუება თუ შერიგება – ახალი გამოცდილება

ჩვენი პირველი შეხვედრის ბოლოსკენ გვანცას ვთხოვე მოეყოლა როგორ დაწერა პიესა სასტუმრო „საქართველოზე“, მან გაიხსენა, რომ მეგობართან ერთად კოვიდ პანდემიის პერიოდში რამდენიმე დღე ჩხოროწყუში მოუწია ყოფნა. გულახდილი საუბრებისას მეგობარმა უთხრა, რომ რაზეც ახლა ნერვიულობდა, იმით უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი პრობლემის გადაფარვას ცდილობდა. მან, როგორც მომავალმა ფსიქოლოგმა, სთხოვა გაეხსენებინა ბავშვობა და იქ მოეძია შფოთვის რეალური მიზეზი. ამაზე გვანცამ უპასუხა, რომ არაჩვეულებრივი ბავშვობა ჰქონდა და რომ „სიყვარულის ემბაზში“ გაიზარდა, არანაირი ტრავმა არ გააჩნდა. ამაზე მისმა მეგობარმა მიუგო, – დევნილების საერთო საცხოვრებელში გაიზარდე, როგორ არ იქნებოდა იქ ტრავმაო. გვანცამ მითხრა, რომ ამ საუბრის შემდეგ სხვაგვარად დაინახა სასტუმრო „საქართველო“. დეტალურად გაახსენდა თავს გადამხდარი ამბები, ცალკეული ადამიანები. მათი სიკეთე და პოზიტივი, თავისებური დარდი თუ გამოუთქმელი ტრაგედიები მისთვის უკვე ანალიზის წყაროდ იქცა. ყველაზე რთული გვანცასათვის „ბებოების“ გარდაცვალება იყო. ამის მერე დაიწყო წერა, რაც, მისივე თქმით, თვითანალიზის ნაწილად იქცა:

> *„ჯერ გამოვიდა პატარა მოთხრობა, მერე თვალი რომ გადავავლე, ვიფიქრე, კარგი პიესა გამოვიდოდა. კარგი იქნებოდა სპექტაკლის დადგმა და ხალხისთვის ამ ადამიანების გაცნობა, რომლებმაც ჩემს ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულეს, ყველა მათგანი ნამდვილი პერსონაჟია. ამით ძალიან გამიმართლა, დაჯილდოებული ვარ, სამყაროს საჩუქარია, ვისაც ვიცნობდი, ყველა საინტერესოა ადამიანი იყო. მათზე ღირს მოყოლა. მომინდა ამ ყველაფრის გაზიარება და მოთხრობა პიესად გადავაკეთე“* [31].

გვანცასათვის სასტუმრო „საქართველოში“ ცხოვრების გამოცდილება ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩნდა. გამომიტყდა, რა თემითაც არ უნდა დაინტერესდეს, პირდაპირ თუ ირიბად ამ სივრცეს და მის მაცხოვრებლებს უკავშირდება.

[31] სასტუმრო „საქართველოს“ მცხოვრები – აფხაზეთიდან დევნილი მესამე თაობა, თეა ქამუშაძის ინტერვიუ გვანცა ფიფიასთან, 2022 წლის 16 სექტემბერი, 10.

გვანცას ავტობიოგრაფიული ნარატივი, რომელიც გადმოსცემს დევნილობის პირობებში გაზრდილი ბავშვის გამოცდილებას, უაღრესად მნიშვნელოვანია იმ სოციალური, მიკროისტორიული და კულტურული განზომილებების გასააზრებლად, რაც კოლექტიური განსახლების სივრცეებია საქართველოში. მის მიერ მოყოლილი ამბები ეხება არა მხოლოდ სასტუმრო „საქართველოში" ცხოვრებას, არამედ ჩვენი ქვეყნის უახლოესი წარსულის შრეებს, რომელთა საჯარო განხილვაც ჯერ კიდევ ნელა და მტკივნეულად მიმდინარეობს.

გვანცას მიერ დაწერილი დრამატული ტექსტი ტრავმასთან შემოქმედებითი ურთიერთობის ფორმად გვევლინება. მისი პიესა არ არის მხოლოდ პირადი განცდის გამოხატვა. იგი კოლექტიური მეხსიერების არტიკულაციას ახდენს და მათი ხმა შემოაქვს საჯარო სივრცეში, რომლებიც დიდი ხანია განდევნილია. ჩემი აზრით, ეს პიესა იქცევა ერთდროულად არქივად და წინააღმდეგობის ფორმად, სადაც მიკროისტორია ზუსტად აღწერს იმ ეთიკურ და ემოციურ რეალობას, რომელსაც დიდი ნარატივები ვერ იტევენ.

თეორიულ ჭრილში გვანცას ნარატივი აშკარად ეხმიანება იმ თანამედროვე ხედვებს, რომლებიც სოციალური სივრცის, მეხსიერების და მარგინალიზაციის ურთიერთკავშირს იკვლევს. სასტუმრო „საქართველო" აქ მოქმედებს როგორც სოციო-სიმბოლური საზღვარი: ის დროებითობის, დაუფუძნებლობის და ერთდროულად, შინაურობისა და უცხოობის გრძნობების ნაზავია. ჯუდიტ ბატლერისა და სარა აჰმედის თეორიების თანახმად, მსგავსი სივრცეები ქმნიან „არასასურველი ინტიმის" გამოცდილებებს, სადაც ადამიანები არიან შინ, მაგრამ მაინც მუდმივ დროებითობაში[32].

ამავე დროს, გვანცას დუმილი აფხაზეთზე, მისი ფრაგმენტული მოგონებები და წარსულის მიმართ შერჩეული ემოციები შეიძლება წავიკითხოთ როგორც სიჩუმის მეხსიერება, ტრავმის გადაუწყვეტელი სტატუსის ნიშანი. ამ შემთხვევაში ტრავმა არ არის გამონათქვამი, არამედ ქმედების ფორმა – ჩუმად ყოფნა, გადაფარვა, შეცვლა.

საბოლოოდ, გვანცას და ლიზას ამბავი არ არის მხოლოდ დევნილობის ბავშვური მოგონებები, ის საზოგადოების სარკეა, რომელიც აჩვენებს, როგორ იქმნება სოციალური საზღვრები არა მხოლოდ გეოგრაფიულად, არამედ ზნეობრივად, ემოციურად და კულტურულად. ის გვეხმარება დავინახოთ, რომ ისტორიის ჩუმი მხარეები არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ოფიციალურად აღიარებული ქრონიკები. ამგვარი ნარატივები გვიწვევს, გავითავისოთ კოლექტიური ტრავმების ყოველდღიური განზომილება და დავინახოთ ალტერნატიული ღირებულებები მასში, ასევე მისი დამახსოვრებისა და გაზიარებისათვის ვეძიოთ ახალი გზები.

---

[32] იხ., Ahmed, 2004; Barth, 1969.

VI. დასკვნა

სასტუმრო „საქართველო“, როგორც ერთდროულად ურბანული სივრცე, სოციალური პრაქტიკის არეალი და იდენტობის კონტეინერი, იშლება როგორც იმ ყოველდღიური გამოცდილების მიკროსამყარო, რომელსაც დევნილები უკვე რამდენიმე ათეული წელია ქმნიან თბილისში. ამ სივრცეში თანაარსებობს და გადაჯაჭვულია მარგინალურობა და პრესტიჟი, დროებითობა და მუდმივობა, სიღატაკე და სოციალური კაპიტალი. ლიზას თაობის ნარატივები გვიჩვენებს, რომ ეს საერთო საცხოვრებლები – მიუხედავად მათი ფიზიკური გაჭირვებისა – იქცა „სახლად“, რომელიც ბევრად მეტია, ვიდრე თავშესაფარი. ეს არის ადგილი, სადაც ბავშვებმა ისწავლეს ურთიერთობა, ადამიანურობა, პასუხისმგებლობა და თვითმყოფადობის დაცვა.

თეორიული პერსპექტივიდან, ეს ნარატივი გვიჩვენებს, თუ როგორ იწერება ტრავმა ყოველდღიურობაში,[33] როგორ იქცევა ფიზიკური სივრცე ემოციური გამოცდილების და თვითმყოფადობის ნაწილად,[34] და როგორ იბადება სოციალური სიცოცხლე იქ, სადაც სახელმწიფოს მხარდაჭერა ილუზორულია[35].

ამგვარად, სტატია აჩვენებს, რომ დევნილთა საცხოვრებლები მხოლოდ დროებითი, სავალდებულო გადასახლებების შედეგი კი არა, არამედ სოციალური ქმნადობის ადგილებია. აქ ადამიანები შიგნიდან გარდაქმნიან სივრცეს, ანიჭებენ მას სახლის მნიშვნელობას. ამავდროულად ახალი თაობის კოლექტიურ მეხსიერება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იმ სტერეოტიპულ საზღვრებს, რომლითაც საზოგადოება განასხვავებს „ცენტრს“ და „პერიფერიას“, „სახელს“ და „სტუმარს“, „მიწას“ და „გადასახლებულს“.

დევნილთა საერთო საცხოვრებლები, როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვა რეგიონებში, ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. თითოეული მათგანი შეიძლება აღქმულ იქნას როგორც მიკროკოსმოსი, სადაც ყოველდღიურობაში თანაარსებობს წარსულის მეხსიერება და ახალ რეალობასთან ადაპტაციის პროცესი. თვითმკვლელობები, რომლებიც ზოგიერთ ასეთ სივრცეში ხდება, ცხადყოფს გამოცდილების ტრავმულ განზომილებას, თუმცა, პარალელურად, ეს გარემო დევნილთა მიერ „სახლად“ გარდაქმნის მცდელობებსაც მოიცავს. სივრცის მიღება და მიუღებლობა, წინააღმდეგობა და შეგუება წარმოაჩენს ინდივიდუალური გამოცდილების დინამიკას, რომელიც დროთა განმავლობაში კოლექტიურ მეხსიერებად კონსტრუირდება და ნარატივების სახით გადმოიცემა.

---

33 Das, 2007, 10-15.

34 Jackson, 2002, 40-45.

35 Stewart, 2007, 22-28.

წარმოდგენილ კვლევაში თვალსაჩინოა ქალების/გოგონების როლი და მათი აქტიურობა, რაც გენდერული განზომილების გააზრების საჭიროებას უსვამს ხაზს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული საკითხის სიღრმისეული ანალიზი ცალკე და შემდგომი კვლევის საგნად შეიძლება იქცეს.

ამგვარად, დევნილთა ყოველდღიურობა სასტუმრო „საქართველოში“ წარმოჩინდება არა მხოლოდ დაკარგულის კვალად, არამედ იდენტობისა და სიცოცხლის ხელახალი წარმოების სივრცედ. დევნილებმა შექმნეს სახლი იქ, სადაც თავდაპირველად მხოლოდ დროებითი თავშესაფარი იყო ჩაფიქრებული. შედეგად, სასტუმრო „საქართველო“ წყვეტს არსებობას როგორც ომისგან გამოწვეული იძულებითი განსახლების სიმბოლო და გარდაიქმნება სოციალურ ნარატივად – სახლის ალტერნატიულ სახეობად. ახალი თაობა „სასტუმროში ცხოვრებას“ საკუთარ გამოცდილებად იღებს და როგორც შთაგონების წყაროს თან ატარებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Ahmed S., The Cultural Politics of Emotion, Edinburgh University Press, 2004
- Assmann J., Cultural Memory and Early Civilization: Writing, Remembrance, and Political Imagination, Cambridge University Press, 2011
- Barth F., Introduction, in: Ethnic Groups and Boundaries: The Social Organization of Culture Difference, Edited by F. Barth, Boston, 1969
- Butler J., Precarious Life: The Powers of Mourning and Violence, London, 2004
- Caruth C., Unclaimed Experience: Trauma, Narrative, and History, Johns Hopkins University Press, 1996
- Das V., Life and Words: Violence and the Descent into the Ordinary, Berkeley: University of California Press, 2007
- Halbwachs M., On Collective Memory, The University of Chicago Press, 1992
- Jackson M., The Politics of Storytelling: Violence, transgression, and Intersubjectivity, Museum Tusculanum Press, 2002
- Lamont M., Molnár V., The Study of Boundaries in the Social Sciences, Annual Review of Sociology, Vol. 28, 2002
- Malkki L., Purity and Exile: Violence, Memory, and National Cosmology among Hutu Refugees in Tanzania, The University of Chicago Press, 1995
- Navaro-Yashin Y., The Make-believe Space: Affective Geography in a Post-war Polity, Duke University Press, 2012
- Stewart K., Ordinary Affects, Duke University Press, 2007

Tea Kamushadze*

DISPLACEMENT AS EVERYDAY LIFE: HOTEL SPACE, MEMORY, AND SYMBOLIC BOUNDARIES

Abstract

Displacement is not merely a political status or a technical-administrative category; it is an everyday condition that structurally produces boundaries between "us" and "them," transforming space into a site of marginalization and exception. This article examines how social boundaries are materialized and reproduced in the everyday lives of internally displaced persons (IDPs) living in collective centers, focusing on the case of Hotel Sakartvelo in Tbilisi. Drawing on anthropological approaches to borders – not as fixed geographic or administrative lines, but as mechanisms of symbolic and social ordering (Barth 1969; Lamont & Molnár 2002) – the study explores how displacement generates spatial and socio-cultural separation (Malkki 1995).

Based on ethnographic research conducted in 2022, including interviews with residents and a personal narrative by a third-generation IDP raised in the hotel, the article analyzes how displaced persons navigate marginality and reimagine "home." The hotel, once a symbol of luxury, now functions as a liminal space in which temporariness has become a long-term condition of existence. Residents' everyday practices – anchored in memory, materiality, and sensory rituals – continuously reshape the symbolic boundaries between belonging and exclusion. As Navaro-Yashin (2012) suggests, these imaginative acts produce a "conjured space" marked by tension between impermanence and the longing for stability.

Keywords: Displacement, Social Boundaries, Liminal Space, Collective Housing, Urban Marginalization.

* Associate Professor at Georgian Institute of Public Affairs, Researcher at Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, https://orcid.org/0000-0001-8844-0569

ქეთევან მესხიძე*

აშშ-კანადას შორის დაპირისპირება: პოლიტიკური თამაში დიდი ტბებით, როგორც პირველი გასროლა ჩუმი ომის დასაწყისში

I. შესავალი

შეერთებულ შტატებსა და კანადას შორის დაწყებული ამ ახალი კონფლიქტის არსისა და სიღრმის გასაგებად, ჯერ უნდა გავთავისუფლდეთ ილუზიისგან იმასთან დაკავშირებით, რომ შეერთებული შტატები და კანადა „ტყუპებია", რომელთაც მხოლოდ წარმოსახვითი ხაზი ჰყოფს. დიახ, ისინი იზიარებენ კულტურას, საზღვრებს, ბიზნესს, ხუმრობებსაც კი, მაგრამ არა – ამბიციებს. კანადა ყოველთვის იყო თავისი თვითმყოფადობის, მდგრადობის, მულტიკულტურული იდენტობისკენ მიმართული ქვეყანა. შეერთებული შტატები, პირიქით, ექსპანსიონისტური სახელმწიფოა, რომლის ისტორია ტერიტორიული, ინდუსტრიული და იდეოლოგიური დაპყრობების ჯაჭვზეა აგებული და როდესაც დიდი შესაძლებლობების ქვეყნის შიდა რესურსები არ არის საკმარისი, ქვეყნის გარეთ იწყებს ყურებას. ნავთობის, ბუნებრივი აირის, მინერალებისა და უპირველეს ყოვლისა, ტბის ორი მილიონი გიგანტური მარაგით, კანადა არ არის უბრალოდ ქვეყანა, ის საცავია, ღია საცავი, სადაც შეღწევა აქამდე ვერავინ გაბედა, მაგრამ ტრამპი ბედავს.

პირველი ნიშანი იმისა, რომ რაღაც შეიცვალა, მოვიდა არა ტანკებით, არამედ ტარიფებით. მან დაიწყო იქიდან, საიდანაც ყოველთვის იწყებს – ფულით. პირველი დარტყმა მიაყენა ვაჭრობას. შემოიღო მაღალი ტარიფები მანქანებზე, ფოლადზე, ალუმინისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, რასაც სტანდარტული ახსნა მოუძებნა – ამერიკული ინდუსტრიის დაცვა. მაგრამ სამიზნე მოულოდნელი აღმოჩნდა, – კანადა, მეგობარი, რომელიც ყურადღებას არ ითხოვს, მაგრამ ყოველთვის იქ არის, სადაც საჭიროა, თავდაცვის შესახებ შეთანხმებებიდან დაწყებული, საერთაშორისო მისიებით, მილიარდიანი სავაჭრო გარიგებებით თუ კრიზისის დროს დახმარებით დამთავრებული. მაგრამ უეცრად ეს მეგობარი მოწინააღმდეგედ გადაიქცა არა იმიტომ, რომ პოზიცია შეცვალა, არამედ იმიტომ,

* დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ასოცირებული პროფესორი, https://orcid.org/0009-0000-0640-2914

რომ ზედმეტად სასარგებლო გახდა. რადგან ახლა მისი რესურსები ნიშნავს ხსნას, შვებას იმ იმპერიისთვის, რომელსაც სწყურია. დიახ, წყურვილის გრძნობას. როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. რადგან ის, რაც ვაშინგტონსა და ოტავას შორის ხდება, არ არის მხოლოდ პოლიტიკური ან ეკონომიკური დავა. ეს არის ბრძოლა გადარჩენისთვის, მარაგების, გავლენისა და წყლისთვის.

რატომ უნდა მიაყენო დარტყმა შენს ყველაზე ერთგულ მოკავშირეს? პასუხი ამ კითხვაზე შესაძლოა მდგომარეობდეს დამოკიდებულების ბუნებაში. კანადა დიდად დამოკიდებულია შეერთებულ შტატებზე. მისი ექსპორტის დაახლოებით 75% სწორედ სამხრეთ მეზობლისკენ მიემართება და ეკონომიკა დიდწილად სწორედ ამ პარტნიორობის გარშემო ტრიალებს. ტრამპმა ეს იცის და მთელი ცხოვრების მანძილზე ისწავლა დამოკიდებულების იარაღად გამოყენება. ეს არ არის ომი ბრძოლის ველზე. ეს არის მოხრჩობის ომი. მაგრამ საქმე ტარიფებით არ სრულდება. კულისებში გაჟონილმა ინფორმაციამ კიდევ რაღაც უფრო დიდი გამოავლინა. ტრამპს სურს დიდი ტბების წყლის საუკუნოვანი შეთანხმების გადახედვა. შეთანხმებას, რომელიც 100 წელზე მეტი ხნის განმავლობაში უზრუნველყოფს პლანეტის მტკნარი წყლის ერთ-ერთი უდიდესი მარაგის სამართლიან გადანაწილებას კანადასა და შეერთებულ შტატებს შორის, ახლა საფრთხე ემუქრება[1].

კვლევის მეთოდოლოგია

თეორიული ჩარჩო

ნაშრომი დაფუძნებულია სოციალური კვლევის თვისებრივ მეთოდზე. კერძოდ, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მიზნით კვლევა განხორციელდა პროცესის მიდევნების, შემთხვევის შესწავლისა და თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდებზე დაყრდნობით.

სტატიაში წარმოდგენილია შეერთებულ შტატებსა და კანადას შორის არსებული დაპირისპირება წყლის რესურსებისთვის ნეოკლასიკური რეალიზმის ჭრილში, რომლის თანახმადაც, საერთაშორისო პოლიტიკის გაგება შესაძლებელია საშინაო პოლიტიკის გააზრების საფუძველზე.[2] აღნიშნული თეორია სტრუქტურული რეალიზმის (ნეორეალიზმის) (საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა) და კლასიკური რეალიზმის ერთგავარი ნაზავია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ბუნების ბნელ მხარეებზე.

---

1 Wilson G., Trump Threatens Great Lakes Agreements between U.S. and Canada, https://www.greatlakesnow.org/2025/03/12/trump-threatens-great-lakes-agreements-between-us-and-canada/ [28.04.2025]

2 Mcglinchey, Walters, 2017, 15.

კლასიკურ რეალისტებსა და ნეორეალისტებს შორის ერთ-ერთი ცენტრალური განსხვავება ანალიზის დონეებშია. კლასიკური რეალიზმი უმთავრესად ეხება ადამიანის ბუნებას, ხოლო ნეორეალიზმი იკვლევს სისტემურ დონეს და აქცენტს აკეთებს სახელმწიფოთა ურთიერთქმედებაზე.[3] იგი იზიარებს კლასიკური რეალიზმის ცალკეულ, ზოგად ვარაუდებს სახელმწიფოების მოტივაციასთან დაკავშირებით, თუმცა მიზნად არ ისახავს მათი ქცევის დატალურად ახსნას. ნეორეალიზმი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოს ქცევას განსაზღვრავს საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა. იგი სახელმწიფოებს აწვდის ინფორმაციას კონკრეტული საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგად მიღებულ დანაკარგებსა თუ სარგებელთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება და გაზომვა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ სახელმწიფოები საერთაშორისო პოლიტიკას, აგრეთვე მათ პრივილეგიებზე, იდეებსა და ეთიკაზე.

სტატიის მიზანია აჩვენოს, სისტემურ ფაქტორებთან ერთად საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის ფორმირებაზე რამდენად ახდენს გავლენას გადაწყვეტილების მიმღები პირის (ლიდერის) სუბიექტური აღქმები. ამდენად, წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს, დაადგინოს რა ძირითადმა შიდა და სისტემურმა ფაქტორებმა განაპირობა შეერთებული შტატების მიერ კანადის მიმართ აღნიშნული საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება. არსებობს ვარაუდი, რომ ეს იყო წმინდა სტრატეგიული გადაწყვეტილება, რამაც გამოიწვია ორ ქვეყანას შორის დაპირისპირება, რომელიც სულ უფრო მეტად მძაფრდება. აღნიშნული ვარაუდი დაფუძნებულია რეალისტურ თეორიაზე, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ძალაუფლების მაქსიმიზაციასა და პირად ინტერესებზე და კონსტრუქტივისტულ თეორიაზე, რომელიც ფოკუსირებულია ნორმებსა და იდენტობაზე.

ნეოკლასიკური რეალიზმის მიხედვით, რომელზეც სტატიაა დაფუძნებული, მხოლოდ სისტემური ან ერთეული დონის ახსნა არაა საკმარისი, აქედან გამომდინარე, იგი აერთიანებს სისტემურ ცვლადებს ერთეული დონის ცვლადებთან საგარეო პოლიტიკური არჩევანის ახსნის მცდელობისას. ამდენად, ნეოკლასიკურ რეალიზმში სისტემური სტიმულები დამოუკიდებელი ცვლადია, შიდა ფაქტორები – შუალედური, ხოლო საგარეო პოლიტიკის შედეგი – დამოკიდებული ცვლადი. ანუ ნეოკლასიკური რეალიზმი საგარეო პოლიტიკას საშინაო და საერთაშორისო ცვლადების ჩართით იკვლევს. იგი საერთაშორისო სისტემას დამოუკიდებელ ცვლადად, პოლიტიკის კონკრეტულ შედეგს დამოკიდებულ, ხოლო საშინაო პოლიტიკას, რომელშიც იდეური ფაქტორი, ლიდერის როლი და ინსტიტუტები მოიაზრება, შუალედურ ცვლადად განიხილავს, რომელიც აღნიშნული თეორიის

[3] Rose, 1998, 154.

თანახმად, შესაძლოა იმავე გავლენის მქონე იყოს, როგორც საერთაშორისო სისტემა. ნეოკლასიკური რეალიზმი კონკრეტული ფენომენის ახსნა-განმარტებით კომპონენტში შიდა ფაქტორების ჩართვის აუცილებლობაზეა კონცენტრირებული იმ ვარიაციების გასათვალისწინებლად, რომელთა ახსნა რთულია მხოლოდ სტრუქტურული ცვლილებებით.

კვლევის პროცესში მეორეული სამეცნიერო-ლიტერატურული წყაროებიც გაანალიზდა, რათა შექმნილიყო ბაზისი შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით კვლევის გასაგრძელებლად.

II. აშშ-კანადას შორის დაძაბულობა ეკონომიკურ, პოლიტიკურ სიბრტყეზე და კონფლიქტის საშიში განზომილება

წარმოიდგინეთ, – მთელი მსოფლიოს ზედაპირზე არსებული მტკნარი წყლის 20% სწორედ კანადაშია თავმოყრილი,[4] რაც წარმოუდგენელი ღირებულების ბუნებრივ სიმდიდრეა. ახლი კი ვიღაც აცხადებს, რომ აპირებს ამ შეთანხმების დარღვევას, თითქოს ეს უბრალოდ ონკანის გადაკეტვა იყოს, რასაც შეუძლია წყლის გადაქაჩვა შეერთებული შტატების სამხრეთ-დასავლეთისკენ, სადაც უკვე წლებია გვალვა მძვინვარებს. ტრამპი აცხადებს, რომ შეუძლია უგულებელყოს ხელშეკრულებები, საზღვრები და დიპლომატია ეროვნული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე. და რა შეუძლია კანადას? კითხვა ჭექა-ქუხილივით ჟღერს კანადის პარლამენტში, რადგან პრაქტიკაში, შეერთებული შტატების მიერ შეთანხმების დარღვევის შემთავევაში, კანადას ექნება მცირე იურიდიული თუ სამხედრო ბერკეტები აღნიშნული პროცესის შესაჩერებლად. შესაძლებელია პროტესტი, საპასუხო ეკონომიკური კონტრღონისძიებების შემოღება, საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება, მაგრამ წყლის გადამისამართების შეჩერება ფიზიკურად თითქმის შეუძლებელია. და სწორედ აქ იღებს კონფლიქტი საშიშ განზომილებას. რამდენადაც, როდესაც ხალხი გრძნობს, რომ ირღვევა მათი სუვერენიტეტი, განსაკუთრებით ისეთ სასიცოცხლო რესურსთან დაკავშირებით, როგორიც წყალია, რეაქცია ყოველთვის ემოციური, ფართომასშტაბიანი და ფეთქებადსაშიში ხდება. კანადელი ექსპერტები და გარემოსდამცველები უკვე საუბრობენ, რომ თუ ტრამპი ამ გეგმას განახორციელებს, ეს აანთებს გრძელ და აალებად პატრუქს. დაძაბულობა, რომელიც ჯერ კიდევ რჩება ეკონომიკურ და დიპლომატიურ სიბრტყეზე, შესაძლოა სწრაფად გადაიზარდოს უფრო სერიოზულ, ინსტინქტურ ფენომენში, რამდენადაც ხალხისთვის

[4] McKitrick, Aliakbari, Stedman, 2018.

სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე რესურსებზე თავდასხმა მათ ღირსებაზე თავდასხმას ნიშნავს. და ტრამპი არ ჩერდება. მან დაიწყო კანადის პრემიერ-მინისტრ ტრუდოს ჩრდილოეთით მდებარე დიდი ამერიკული პროვინციის გუბერნატორად მოხსენიება,[5] ხუმრობდა მიტინგებზე, აქვეყნებდა პროვოკაციულ გზავნილებს სოციალურ მედიაში და აცხადებდა, რომ კანადას უფრო მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია შტატის რანგში, ვიდრე როგორც სახელმწიფოს, ერს.[6] ერთი შეხედვით ეს უბრალო ხუმრობად გვეჩვენება, თუმცა რეალური შედეგებით, რადგან ყოველი პროვოკაცია, ეკონომიკური ზომა, თუ ფარული საფრთხე ქმნის ახალ რეალობას. ჩვენ მომსწრენი ვართ და ვაკვირდებით ამერიკის ყველაზე დიდ გეოპოლიტიკურ რეკონფიგურაციას, რომელიც რაოდენ ირონიულადაც არ უნდა ჟღერდეს, შესაძლოა პროვოცირებულ იქნეს წყლით – ყველაზე უხვი რესურსით კანადაში, რის დიდ დეფიციტს განიცდის შეერთებული შტატების სამხრეთ-დასავლეთი, რესურსით, რომელიც ყოველთვის აღიქმებოდა როგორც ბუნებრივი, მუდმივი, თავისთავად ცხადი, მაგრამ რომელიც ახლა უკვე ომის ვალუტად იქცა. ქვეყნებს შორის ნდობა განადგურდა. საცალო მაღაზიები საკუთარი თაროებიდან ამერიკულ საქონელს იღებენ.[7] ტურიზმი ქვეყნებს შორის მკვეთრად შემცირდა,[8] რასაც ქვემოთ მოცემული სტატისტიკური მაჩვენებლის გრაფიკული გამოსახულებაც ადასტურებს.



5 Murphy J., Trump Takes Jab at “Governor” Trudeau, https://www.bbc.com/news/articles/ckgx1ezpx52o [28.04.2025]

6 Gillies R., Canadian Minister Says Trump Was Joking when He Said Canada Could Become the 51st State, https://apnews.com/article/canada-trump-tariffs-trudeau-trade-opposition-border-5d3dbbb4a701bb1676ee588bfbf2396a [28.04.2025]

7 Monga V., Whalen J., After 150 Years of Friendship, the U.S. and Canada Come to Blows, https://www.tovima.com/wsj/after-150-years-of-friendship-the-u-s-and-canada-come-to-blows/ [28.04.2025]

8 Rabinovitch A., Canadian Return Trips from the U.S. Fell Nearly 32% in May: StatCan, https://globalnews.ca/news/11299943/donald-trump-tariffs-canadian-travel-to-us/ [28.04.2025]

და რაც ყველაზე საგანგაშოა, კანადის საზოგადოებრივი აზრი შეერთებული შტატების წინააღმდეგ სწრაფად იზრდება. მოსახლეობის დაახლოებით 70%-ზე მეტი აცხადებს, რომ არ ენდობა ამერიკას.[9]



ისტორიული კავშირი იწყებს რღვევას და თუ ასე გაგრძელდა სადამდე მივა ეს ყველაფერი?

ძალა ყოველთვის არ ვლინდება ტანკებსა თუ ემოციურ საჯარო გამოსვლებში. ზოგჯერ ის დამალულია მიწის ქვეშ, ან კრისტალურად სუფთა მოედინება მთებს შორის. ზოგჯერ ქვეყნის ყველაზე ძვირფასი საგანძური არის არა ოქრო, არამედ ის, რაც მას ყოველთვის უხვად აქვს და რასაც მსოფლიო ვერ აფასებს სათანადოდ. კანადას არ სჭირდება ყვირილი, რომ იყოს ძლიერი. მას არ სჭირდება სამხედრო აღლუმების გამართვა ან სანქციებით მუქარა მსოფლიოს მისამართით. კანადის ძალა იქ არის, სადაც იშვიათად თუ ვინმე იხედება – მიწაში, წყლებში, ხელუხლებელი ტყეებიდან მომდინარე სუსხიან ქარში, კლდოვან მთებში დამალულ მაღაროებში. ეს არის დაუმორჩილებელი ძალა. მაგრამ თუ მას საფრთხე ემუქრება, შეუძლია შეცვალოს მთელი კონტინენტების ბედი და ახლა ეს ძალა საფრთხეშია.

[9] Josephs L., Canadians Pull back on U.S. trips, Threatening to Widen United States' $50 Billion Travel Deficit, https://www.cnbc.com/2025/03/28/canada-united-states-travel.html [28.04.2025]

წარმოიდგინეთ ევროპის ზომის ქვეყანა, სადაც უფრო ცოტა ხალხი ცხოვრობს, ვიდრე კალიფორნიის შტატში. ახლა წარმოიდგინეთ, რომ მისი ტერიტორიის 39% დაფარულია ტყის მასივით. საუბარია 367 მილიონ ჰექტარ ტყის საფარზე. ეს ხეები უზრუნველყოფს პლანეტას ჟანგბადით და გამოიყენება მშენებლობაში, ქაღალდის, ავეჯისა და ბიოენერგიის წარმოებაში. ყოველი ხის ნაჭერი, კანადის ტყის ყოველი კუბური მეტრი სუფთა სიმდიდრე და პასუხისმგებლობაა. მაგრამ ტყე მხოლოდ დასაწყისია. კანადის ნიადაგქვეშ მინერალების ნამდვილი საგანძურია, რომელსაც ნებისმიერ იმპერიაში შურის გამოწვევა შეუძლია. ქვეყანა ლიდერობს მსოფლიოში კალიუმის მოპოვების კუთხით, რომელიც უმთავრესი კომპონენტია სასუქების წარმოებისთვის და რომლის გარეშეც არ არსებობს გლობალური საკვების მიწოდების ჯაჭვი. გარდა ამისა, კანადა ლიდერებს შორისაა ურანის, ნიკელის, სპილენძის, კობალტის, თუთიის, ოქროს, ვერცხლის, რკინისა თუ ბრილიანტის მოპოვებისა და მარაგების თვალსაზრისით.[10]

შესაძლოა, თქვენ ახლა სმარტფონი გეჭიროთ ხელში, რომელიც შეიცავდეს ნიკელს ან კობალტს კანადიდან. თქვენი ელექტრო მანქანის ელემენტი, სავარაუდოდ, დამზადებულია ონტარიოში ან კვებეკში მოპოვებული მინერალების გამოყენებით. კანადა ფაქტობრივად საცავია. საცავია, რომელსაც იყენებს მთელი მსოფლიო, მაგრამ ცოტა ვინმე თუ აცნობიერებს ამას. თუმცა მისი ყველაზე სასურველი სიმდიდრე არის წყალი. არა უბრალოდ წყალი, არამედ სასმელი წყალი. როგორც უკვე აღინიშნა, კანადა ფლობს პლანეტის მთელი ზედაპირული მტკნარი წყლის დაახლოებით 20%-ს და შემთხვევითი არ არის, რომ ხუთი დიდი ტბიდან ოთხი – ზემო ტბა, ჰურონი, ერი და ონტარიო – ნაწილობრივ მის ტერიტორიაზე მდებარეობს. წარმოიდგინეთ, ცხოვრობდეთ იქ, სადაც ეს წყლები იღებს სათავეს, სადაც ისინი კრისტალურად სუფთა, ცივი, მძიმე მეტალებისა და მიკროპლასტიკებისგან თავისუფალი მოედინება. სადაც შეგიძლიათ ფაქტობრივად გახსნათ ონკანი და დალიოთ ის, რაზეც მილიარდობით ადამიანს მთელს მსოფლიოში მხოლოდ ოცნება შეუძლია. ეს არის ის, რასაც კანადა ფლობს და რაც ტრამპმა ამოიღო მიზანში.

ჰიდროსისტემა ორ ქვეყანას შორის ყოველთვის რეგულირდებოდა ისტორიული შეთანხმებებით. კერძოდ, „სასაზღვრო წყლების შესახებ“ 1909 წლის ხელშეკრულებით და „დიდი ტბების წყლის ხარისხის შესახებ“ 1972 წლის შეთანხმებით; „დიდი ტბების პაქტით“, რომელიც აერთიანებს აშშ-ის მიჩიგანის, ოჰაიოს, ნიუიორკის, ილინოისისა და უისკონსინის შტატებს კანადასთან რესურსების ერთობლივი მართვის თაობაზე.[11]

---

[10] Marshall, 2020.

[11] იხ., Karkkainen, 2013.

ისტორიას თუ გადავხედავთ, შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს შორის 1909 წელს დადებული სასაზღვრო წყლების ხელშეკრულების შედეგად შეიქმნა საერთაშორისო წყლის სამართალი, რადგან ბრიტანეთი კვლავ აკონტროლებდა კანადის საგარეო პოლიტიკას. ხელშეკრულების საჭიროება შიგნიდან გაჩნდა, რადგან საზღვრის ორივე მხარეს თემების მოსახლეობა გაიზარდა და შესაბამისად, იზრდებოდა წყალზე მოთხოვნაც. თავდაპირველად დოკუმენტის სამართლებრივ ფორმულირებაში არსებული დაბრკოლებები უნდა გადალახულიყო, რამდენადაც მხარეებს სასაზღვრო წყლებთან დაკავშირებით განსხვავებული ხედვა ჰქონდათ: კერძოდ, ამერიკელები სასაზღვრო წყლებს უყურებენ სამართლიანობისა და თანაბარუფლებიანობის გამოყენების თვალსაზრისით, სადაც აღიარებულია წყლის თითოეული მომხმარებლის უფლებები და ვალდებულებები. კანადელები კი წყლის საკითხებს თანასწორობის, ორ სახელმწიფოს შორის უფლებებისა და ვალდებულებების კონტექსტში განიხილავენ.[12]

კანადა, რა თმა უნდა, ცნობილია წყლის უხვი რესურსებით, მაგრამ ისინი არ არის განკუთვნილი შეერთებული შტატებში ექსპორტისთვის. წყლის რესურსებთან დაკავშირებით კონფლიქტი ორ ქვეყანას შორის რეგულარულად წარმოიშობოდა და სწორედ ამიტომ, 1909 წლიდან შეერთებულ შტატებსა და კანადას შორის სასაზღვრო წყლების მართვას არეგულირებს ერთობლივი საერთაშორისო კომისია (IJC). ეს არის ორმხრივი, დამოუკიდებელი და ნეიტრალური ორგანო, რომელიც შექმნილია წყლის საერთო რესურსებთან დაკავშირებული „დავების თავიდან ასაცილებლად“.[13] დროთა განმავლობაში აღნიშნულ შეთანხმებაში უმნიშვნელო ცვლილებები შედიოდა, მაგრამ მას შინაარსში არსებითი ცვლილებები არ გამოუწვევია და დღემდე მისი საშუალებით რეგულირდება ეს ურთიერთობები. კერძოდ, კომისია აკონტროლებს მდინარეებზე აგებული ჰიდროელექტროსადგურების კაშხლების ნაკადს. მაგალითად, მოზეს-სანდერსის ჰიდროელექტროსადგურის კაშხალი, რომელიც მდებარეობს მონრეალიდან 150 კმ-ში, ქალაქ კორნოულსა და ნიუ-იორკის შტატს შორის, პირდაპირ გავლენას ახდენს დიდ ტბებსა და ამავე სახელწოდების ყურეს შორის მდებარე მდინარე სენტ-ლოურენსის წყლის დონეზე. MSC-ის (Marine Stewardship Council: MSC in the USF and Canada – საზღვაო ფლოტის მართვის საბჭო) რეგულაციები კონკრეტულად ითვალისწინებს სენტ-ლოურენსის საზღვაო გზით მომუშავე გემების საჭიროებებს. თუ აშშ გადაწყვეტს წყლის მართვის წესების შეცვლას, ამას შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს არა მხოლოდ ბრიტანეთის კოლუმბიისთვის, არამედ კვებეკისა და კანადის დანარჩენი

[12] Yoskowitz, 2005.

[13] Lemarquand, 1993, 59-91.

ნაწილისთვისაც. მაგალითად, ონტარიოს ტბაში წყლის ერთი სანტიმეტრით ვარდნამ შესაძლოა მონრეალში წყლის დონე 17 სანტიმეტრით აწიოს. ამავდროულად, წყლის მართვა არა მხოლოდ გარემოსდაცვითი, არამედ ეკონომიკური საკითხიცაა. მდინარე სენტ-ლოურენსი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კანადასა და შეერთებულ შტატებს შორის გადაზიდვებსა და ვაჭრობაში. მის დინებაში ნებისმიერი მკვეთრი ჩარევა შეიძლება ორივე მხარესთვის საზიანო აღმოჩნდეს.[14]

ტრამპმა ნათლად განაცხადა: ხელშეკრულებები არაფერს ნიშნავს, თუ მიზანი სარგებელია. მან უკვე აშკარად მიანიშნა ამ წესების გადაწერისა და თანამშრომლობის სისტემის მითვისების სისტემად გადაქცევის სურვილზე. ვიდრე კანადა წყალში ბანაობს, შეერთებული შტატები შრება. ფაქტობრივად, ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი 12 000 წლის მანძილზე ყველაზე ძლიერ გვალვას განიცდის.[15] ტემპერატურა მატულობს, წყალსაცავები სულ უფრო მარჩხდება. ქალაქები, როგორიცაა, ფენიქსი და ლას-ვეგასი, აწესებენ შეზღუდვებს. კალიფორნიის ფერმერები კარგავენ მთელ მოსავალს ირიგაციის ნაკლებობის გამო. 2025 წლის იანვარში დამანგრეველი ხანძრები მძვინვარებდა მთელ შტატში, დაიწვა 89 000 ჰექტარზე მეტი, დაიღუპა 29 ადამიანი და 200 000-ზე მეტი დევნილი გახდა.[16] კავშირი მარტივია: არ არის წყალი – მძვინვარებს ცეცხლი. არ არის წყალი – მოდის შიმშილი. და აქ ყოველდღიურობა გეოპოლიტიკასთან არის გადახლართული. თუ შეერთებული შტატების მაცხოვრებლები ამჩნევენ, რომ წყალზე გადასახადები ყოველთვიურად იზრდება – ეს კოფლიქტის ნაწილია; თუ ხედავენ, რომ მაღაზიებში ხილი და ბოსტნეული ძვირდება – ეს წყლის კრიზისის გამო ხდება. ხოლო თუ კონკრეტული რეგიონი ევაკუირებულია ხანძრის საფრთხის გამო, ესეც იმავე ეკოლოგიური კოლაფსის შედეგია, რომლის მოგვარებასაც ტრამპი ძალისმიერი მეთოდებით ცდილობს.

ახლა წარმოიდგინეთ წყალსადენი. მეგა-არხი, რომელიც წყალს დიდი ტბებიდან იღებს, კვეთს შეერთებულ შტატებს და ამ ძვირფას რესურსს მიმართავს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე გვალვიან უდაბნოში; პროექტი, რომელიც უგულებელყოფს ხელშეკრულებებს, სუვერენიტეტს, მკვიდრ მოსახლეთა უფლებებს, მთელ ეკოსისტემებს... ფანტასტიკას ჰგავს, მაგრამ უკვე არსებობს ნახაზები, კვლევები და ინჟინრები, რომლებიც მზად არიან მოქმედების დასაწყებად და მხოლოდ პრე-

[14] Lemarquand, 1986, 361-380.

[15] Davidson J., Southwest Drought Could Be Worst in 1,200 Years, Due to the Climate Crisis, https://www.ecowatch.com/southwest-drought-climate-crisis-2645742986.html [28.04.2025]

[16] Stelloh T., Lenthang M., Cohen R., Helsel Ph., California Wildfires: What we know about L.A.-area Fires, What Caused Them, Who Is Affected and More, https://www.nbcnews.com/news/us-news/california-wildfires-what-we-know-palisades-eaton-los-angeles-rcna188239 [28.04.2025]

ზიდენტის ბრძანებას ელოდებიან. და ვინ გადაიხდის ფასს? ტბის ფაუნა, კანადელი მეთევზეები, ერიის ტბის მაცხოვრებლები, რომლებმაც უკვე განიცადეს ტოქსიკური წყალმცენარეების აფეთქება 2014 წელს.[17] მკვიდრი, ძირძველი თემები, რომელთათვისაც ეს წყლები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, კანადელი ფერმერები, რომლებიც ამ წყლებით რწყავენ მინდვრებს, საუკუნეების განმავლობაში არსებული მთელი ეკოსისტემა საფრთხის ქვეშაა შეერთებული შტატების მთავრობის ცალმხრივი გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, რომელიც კანადას ხედავს და აღიქვამს არა მოკავშირედ, არამედ, საკუთარი ტერიტორიის გაგრძელებად.

და როდესაც ეს ყველაფერი რეალობად იქცევა, კითხვა, რომელსაც კანადის მოსახლეობა დასვამს იქნება: „სად ვიყავით, როდესაც ეს ყველაფერი დაიწყო?“. ეს კარგად იციან კანადელებმა და ამიტომ მიიჩნევენ, რომ სწორედ ახლაა მოქმედების, რეაგირების, საუბრის დრო.

III. პირველი გასროლა ჩუმი ომის დასაწყისში

ეს არ არის უბრალო დისკუსია-დებატები ეკოლოგიისა თუ გარემოს დაცვის საკითხებზე. ეს არის სამართლიანობის, სუვერენიტეტის, თანამშრომლობასა და იძულებას შორის საზღვრები და ის ვიწრო ხაზი, რომელიც განაცალკევებს დიპლომატიურ შეთანხმებებს დაზიანებული მილებისგან. საჭირო არ არის ლოდინი შემდგომ კლიმატურ კატასტროფამდე აღნიშნულ პრობლემაზე ყურადღების გასამახვილებლად. ის, რაც ერთი შეხედვით შესაძლოა ლიდერებს შორის მხოლოდ უწყინარ სატელეფონო საუბარს ჰგავდეს, შეიძლება პირველი გასროლა აღმოჩნდეს ჩუმი ომის დასაწყისში. რა მოხდება, თუ სასწორზე დევს არა მხოლოდ დიპლომატია, არამედ ქვეყნის საზღვრის მომავალი?

ისტორიაში არის მომენტები, რომლებიც არ ფეთქდება. ისინი ჩურჩულებენ. და ზოგჯერ სწორედ ეს ჩურჩულის მომენტები აყალიბებს ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებებს. 2025 წლის თებერვალში დონალდ ტრამპსა და კანადის მაშინდელ პრემიერ-მინისტრ ჯასტინ ტრუდოს შორის სატელეფონო ზარების სერიას პრესასა და ტელევიზიაში გამოხმაურება არ მოჰყოლია, მაგრამ ამ რამდენიმე წუთიანმა საუბრებმა საფუძველი ჩაუყარა რაღაც უფრო ღრმას, უფრო სიმბოლურს. კავშირის ლოგიკა დაშინების ლოგიკით შეიცვალა.[18] ტრამპს პირდაპირი მუქარისთვის არ მიუმართავს. მას არ უთქვამს, რომ ძალით რაღაცის წართმე-

[17] Stone T., Six Things to Know about Lake Erie's Algal Blooms, https://www.osu.edu/impact/research-and-innovation/algal-bloom-primer [28.04.2025]

[18] Epstein K., Canadian PM Reveals Trump Brought up '51st State' During March Call, https://www.bbc.com/news/articles/cn4j38gk8edo [28.04.2025]

ვას აპირებდა. მაგრამ ხერხი, რომელსაც მიმართა, ბევრად უფრო დახვეწილი და საშიში აღმოჩნდა. მან პრეტენზიებით დაიწყო – ინვენტარიზაციით, საჩივრებით კანადის წინააღმდეგ: რძის დაცული პროდუქტების სექტორიდან დაწყებული იმ დაბრკოლებებემდე, რომლებსაც ამერიკული ბანკები აწყდებიან კანადის ბაზარზე შესვლისას. სავაჭრო დაძაბულობის ჩვეული ჩარჩოდან ტონი თანდათან შეიცვალა და საზღვრის გადახედვის განზრახვისკენ გადაიხარა.[19] ტრამპმა განაცხადა, რომ ორ ქვეყანას შორის წყალთან დაკავშირებული შეთანხმება ხელახლა უნდა გადაიხედოს. ეს არ არის პროტოკოლი. ეს არის განხეთქილება. შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრ ჰოვარდ ლუტნიკსა და კანადის ფინანსთა მინისტრ დომინიკ ლებლანს შორის საუბრის დროს დღის წესრიგი ნათელი იყო: ტრამპს სურს გაწყვიტოს ხელშეკრულებები, რომლებიც არეგულირებს დიდი ტბების გამოყენებასა და დაცვას,[20] ერთი პოლიტიკური გადაწყვეტილებით გაანადგუროს სისტემა, რომელიც საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ხელს უშლიდა რეგიონში მტკნარი წყლის რეზერვების ცალმხრივ ექსპლუატაციას.

რა საჭიროა ასეთი ფრონტის გახსნა ახლო პარტნიორთან? რატომ უნდა გარისკო დიპლომატიური კრიზისით მეზობელთან, რომელთან თანამშრომლობაზეც დამოკიდებულია ვაჭრობა, უსაფრთხოება და მთელი კონტინენტური ლოგისტიკა? იქნებ იმიტომ, რომ ტრამპი ამ შეთანხმებას განიხილავს არა როგორც მოლაპარაკებას თანასწორთა შორის, არამედ როგორც ბორკილებს, რაღაც ისეთს, რომელიც ზღუდავს მისი მოქმედების თავისუფლებას და ხელს უშლის გამოიყენოს კანადური წყალი, როგორც გამოსავალი შეერთებული შტატების სამხრეთ-დასავლეთის გამანადგურებელი გვალვისგან. არადა ტრამპი ცნობილია როგორც პიროვნება, რომელიც არ ურიგდება შეზღუდვებს.

ამ ეტაპზე დაძაბულობა არა სიმბოლური, არამედ ინსტიტუციური ხასიათისაა, რამდენადაც თუ შეერთებული შტატები გადაწყვეტს „დიდი ტბების წყლის ხარისხის შესახებ“ შეთანხმების, ან 1909 წლის სასაზღვრო წყლების ხელშეკრულების უგულებელყოფას, არ არსებობს რეალური იძულებითი აღსრულების მექანიზმები. კანადას არ გააჩნია სათანადო სამხედრო რესურსი ვაშინგტონთან დასაპირისპირებლად.

რაც შეეხება გაეროს, საყოველთაოდ ცნობილია, როგორ ხდება მისი რეზოლუციების უგულებელყოფა, როდესაც საქმე ეხება ძალაუფლებას. ეს არ არის უბრალოდ დავა მთავრობებს შორის. ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, ქვეყ-

[19] Turan R.I., Trump Tells Canada Hhe Wants to Renegotiate Border Rreaty: Report, https://www.aa.com.tr/en/americas/trump-tells-canada-he-wants-to-renegotiate-border-treaty-report/3503217 [28.04.2025]

[20] იხ., Rabinovitch A., Canadian Return Trips from the U.S. Fell Nearly 32% in May: StatCan, https://globalnews.ca/news/11299943/donald-trump-tariffs-canadian-travel-to-us/ [28.04.2025]

ნებს შორის არსებული ძალაუფლების დისბალანსი როგორ აძლევს საშუალებას ძლიერ მხარეს თავს მოახვიოს საკუთარი ნება სხვებს თუნდაც ეკოლოგიური, თუ დიპლომატიური სტაბილურობის ფასად. უფრო მეტიც, ეს არის იმის მკაფიო მაგალითი, როგორაა შესაძლებელი მსგავსი მოდელი განმეორდეს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, სადაც საკვანძო მნიშვნელობის მქონე ბუნებრივი რესურსები მყიფე საზღვრებით იყოფა.

და აქ ჩნდება საგანგაშო კითხვა: რა მოხდება, თუ ტრამპის საერთაშორისო ურთიერთობების ეს მოდელი იქცევა ნორმად? წყალთან დაკავშირებულ საკითხებში გაეროს ყოფილ მრჩეველს, მოტ ბარლოუს, ეჭვი არ ეპარება, რომ ამ ხელშეკრულებების დარღვევა კატასტროფის ტოლფასი და დესტრუქციული პრეცედენტი იქნება.[21] შეერთებულ შტატებს შეუძლია ხელშეკრულების ცალმხრივად დატოვება და დიდი ტბებიდან წყლის გადაქაჩვის დაწყება გვალვიან რეგიონებში, ისეთი, როგორიცაა, არიზონა და კალიფორნია. კანადა დარჩება განზე და ვერ შეძლებს ამ პროცესისთვის წინააღმდეგობის გაწევას. ეს კი უკვე აღარ არის უბრალოდ პოლიტიკური პრობლემა. ეს მოახლოებულ ეკოლოგიურ კატასტროფას ნიშნავს.

არსებული სურათის ნათლად წარმოსადგენად: ყოველდღიურად მილიარდობით ლიტრი წყლის გვალვიან რეგიონებში გადაქაჩვის შედეგად ტბების დონე იკლებს, მთელი ეკოსისტემა კოლაფსის ზღვარზეა, ნადგურდებიან ენდემური სახეობები, კრახს განიცდის სპორტული და სამრეწველო თევზჭერა, რომელზეც მთელი თემებია დაფუძნებული. პლანეტის მტკნარი წყლის ერთ-ერთ უდიდეს წყაროს ქიმიური დაბინძურება ემუქრება.

„დიდი ტბებისთვის ალიანსის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, ჯოელ ბრამაიერმა პირდაპირ, არაორაზროვნად განაცხადა: „შეერთებულ შტატებს არ გააჩნია უფლება უარი თქვას თავის ვალდებულებებზე, მაგრამ თუ ტრამპმა რაიმე დაამტკიცა, ეს არის ის, რომ იგი ყურადღებას არ აქცევს იმას, რისი ვალდებულებაც აქვს. ის მოქმედებს მოხერხებულობის, იმიჯის, ნარატივებიდან გამომდინარე და თუ ნარატივი იქნება ამერიკის გადარჩენა კანადური წყლით – იგი ამას გამოიყენებს“[22]. და აქ საზღვრები ქრება, რადგან ის, რაც პოლიტიკურ ჟესტს განასხვავებს საომარი მოქმედებისგან, სულ უფრო ვიწროვდება. განსაკუთრებით, როდესაც დიპლომატიური არხები გაჯერებულია უნდობლობით. ორგანიზაცია “Milwaukee Riverkeeper”-ის გარემოსდაცვითი ჯგუფის წევრმა შერილ ნენმა

[21] Wilson G., Canada-U.S. Mayors Want to Tap Great Lakes Region's Water for Economic Transformation, https://www.greatlakesnow.org/2024/06/17/canada-u-s-mayors-want-to-tap-great-lakes-regions-water-for-economic-transformation/ [28.04.2025]

[22] Brammeier J., CEO: Actions Speaks Louder Than Words, Alliance for the Great Lakes, https://greatlakes.org/2019/04/ceo-actions-speak-louder-than-words/ [28.04.2025]

ხისტი განაცხადი გააკეთა: „ჩვენ არ შეგვიძლია პოლიტიკის თამაში დიდი ტბებით“[23]. მაგრამ რა მოხდება, თუ თამაში დაწყებულია? რა მოხდება, თუ ტრამპმა დაიწყო უკვე ფიგურების განლაგება ამ საჭადრაკო დაფაზე? რა მოხდება, თუ გაჟონილი ინფორმაცია მხოლოდ გეოპოლიტიკური აისბერგის მწვერვალია? რადგან ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანია, როდი ხვდება სიახლეებში.

კულუარული ინფორმაციით, გარემოს დამცველები, იურისტები და ორმხრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები მზადყოფნაში არიან. ზოგიერთი შიშობს, რომ შეერთებული შტატები უკვე ავითარებს ლოგისტიკურ სქემებს წყლის მიტაცებისა და გადაქაჩვის/გადამისამართების მიზნით. არსებობს წინასწარი კვლევები სახელმწიფოთაშორის მილსადენებზე, აგრეთვე წყლის ნაკადების უკუ-პროექტირების გეგმები. აკლია მხოლოდ ერთი ხელმოწერა, ერთი განკარგულება ყველაფრის სისრულეში მოსაყვანად.

კანადა წინააღმდეგობას უწევს, მაგრამ არა მუქარით, არამედ დიპლომატიით, საჯარო მიმართვებით, ევროპასთან კავშირების განმტკიცებითა და მასთნ სტრატეგიული პრიორიტეტების გადახედვით. მაგრამ მწარე სიმართლე ისაა, რომ ამერიკის ცალმხრივი ქმედების პირობებში წყლის ფიზიკურად გადაქაჩვის შეჩერება შეუძლებელია. რჩება მხოლოდ პოლიტიკური რეაქცია, საერთაშორისო პროტესტი, დიპლომატიური სკანდალი. მაგრამ ეს შესაძლოა არ იყოს საკმარისი, თუ დიდი ტბებიდან წყალი თანხმობის გარეშე დაიწყებს დინებას კალიფორნიის უდაბნოების მიმართულებით. მთელი მსოფლიო ერთხელ და სამუდამოდ მიხვდება, რომ ტანკები საჭირო არ არის ქვეყანაში შეჭრისთვის. ამისთვის მილსადენებიც საკმარისია.

IV. მასობრივი პროტესტი ეგზისტენციური საფრთხის წინააღმდეგ

საჭირო არ არის აფეთქებების ხმის გაგება ომის დასაწყისის გასაცნობიერებლად. ხანდახან იგი იწყება ჩუმად, ჩურჩულით, აღშფოთებით, მძიმე დუმილით, რომელიც კვეთს საზღვრებს, ხალხის მიერ იმის გაცნობიერებით, რომ მათი სუვერენიტეტი თანდათანობით, ნელ-ნელა იკარგება. ათწლეულების მანძილზე კანადა იყო თავშეკავებული დიპლომატიის, ინსტიტუციური მშვიდობის, ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო წესრიგისადმი რწმენის მაგალითი, ქვეყანა, რომელიც თავს არიდებს დაპირისპირებას და ამჯობინებს ურთიერთობების და-

[23] Wilson G., Trump Threatens Great Lakes Agreements between U.S. and Canada, https://www.greatlakesnow.org/2025/03/12/trump-threatens-great-lakes-agreements-between-us-and-canada/ [28.04.2025]

რეგულირებას, მაგრამ რაღაც შეიცვალა. ეს არ იყო საპარლამენტო გამოსვლა და არც პრემიერის განცხადება. ეს იყო კოლექტიური გრძნობა, რომელიც ელვის სისწრაფით გავრცელდა ვანკუვერის ქუჩებში. განცდა იმისა, რომ კანადა ამჯერად კუთხეშია მოქცეული და შეუძლებელია უმოქმედობა, რამდენადაც საფრთხე მხოლოდ გეოპოლიტიკური კი არა, – ეგზისტენციურია.[24]

როდესაც ტრამპმა დაიწყო „დიდი ტბების შესახებ" ხელშეკრულებების გადახედვის შესაძლებლობების გაჟღერება, სასწორზე იდო არა მხოლოდ წყლის კონტროლი. ეს ეხებოდა უშალოდ კანადური იდენტობის საკითხს, ბუნებასთან, ტერიტორიასთან დამოკიდებულებას, წარმოდგენას იმის შესახებ, რომ ბუნებრივი რესურსები ეროვნული სულის ნაწილია და არა უცხოური ინტერესების განკარგულებაში არსებული საქონელი. ეკოლოგიურმა ორგანიზაციებმა გამართეს გამოსვლები ონტარიოს ტბის სანაპიროზე.[25] ათასობით ადამიანი გამოვიდა პლაკატებით: „წყალი არ არის იარაღი", „არა წყლის ქურდობას", „დიდი ტბები ჩვენია". მოძრაობა მოკრძალებულად დაიწყო, მაგრამ მალე მძლავრ ემოციურ ტალღაში გადაიზარდა. ოჯახები გამოდიოდნენ შვილებთან ერთად, მკვიდრი მოსახლეობის ახალგაზრდა თაობა საკუთარ წინაპრებსა და მდინარეების დაცვაზე საუბრობდა, მეცნიერები აფრთხილებდნენ ეკოლოგიური კოლაფსის რეალურ საფრთხეზე.[26] კანადის პოლიტიკური სცენა გაერთიანდა: მემარცხენეები, ცენტრისტები, მემარჯვენეები, კონსერვატორები, ლიბერალები, ეკოლოგები – ყველა საჯაროდ აცხადებდა, რომ კანადა არ დათმობს საკუთარ სუვერენიტეტს ტბებზე, რომ შეერთებული შტატების მიერ წყლის გადაქაჩვის ნებისმიერი მცდელობა შეთანხმების გარეშე ჩაითვლება სერიოზულ დარღვევად. სამხედრო თვალსაზრისით, ქვეყანას არ გააჩნია რესურსი შეერთებული შტატებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. ეკონომიკური თვალსაზრისით, დამოკიდებულება ჯერ კიდევ დიდია. ქვეყნის ექსპორტის 75% სწორედ სამხრეთ მეზობელზე მოდის. დიპლომატიური თვალსაზრისით, ოტავას შეუძლია გამოხატოს პროტესტი, ითხოვოს მხარდაჭერა, მაგრამ წყლის გადაქაჩვის ფიზიკურად შეჩერება თითქმის შეუძლებელია.

---

[24] MacRedmond D., Relations between Canada and the US Have not Been This Bad since the 19th century, https://www.thejournal.ie/incoming-pm-mark-carney-says-canada-can-no-longer-trust-the-us-as-he-vows-to-resist-annexation-6645037-Mar2025/ [28.04.2025]

[25] Yadav A., Ontario's Growing Environmental Crisis: How Two Major Projects Are Harming the Great Lakes, https://thepointer.com/article/2025-01-28/ontario-s-growing-environmental-crisis-how-two-major-projects-are-harming-the-great-lakes [28.04.2025]

[26] Sondos K., Where Do Indigenous Nations Fit in Renewed Canadian Nationalism? Sovereignty for Whom? Rethinking Canada's Nationalist Response to Trump's Tariffs, https://www.policyalternatives.ca/news-research/where-do-indigenous-nations-fit-in-renewed-canadian-nationalism/ [28.04.2025]

სწორედ ძალაუფლების ამ ვაკუუმში ჩნდება ყველაზე საშიში დაძაბულობა. ხალხი მზადაა წინააღმდეგობის გასაწევად, ხელისუფლება კი შეზღუდული. ახალ პრემიერ მინისტრს, მარკ კარნის კარგად ესმის ეს და ყველაფერს აკეთებს: მართავს სასწრაფო შეხვედრებს ევროპელ ლიდერებთან, ცდილობს დააჩქაროს სავაჭრო შეთანხმებები ევროკავშირთან და დიდ ბრიტანეთთან. ახდენს ენერგეტიკითა და სურსათით თვითდაკმაყოფილების სტიმულირებას, აგრეთვე ადგენს საგანგებო გეგმას კანადის ეკონომიკის სტრატეგიული სექტორების დეამერიკანიზაციის მიზნით. მაგრამ ტრამპმა იცის, როგორ ითამაშოს დროით. მან იცის, რომ გვალვა შეერთებული შტატების სამხრეთ-დასავლეთში არ მოითმენს და ამიტომ მოქმედებს მკაცრად – აჩერებს ტარიფებს, შემდეგ კი ხელახლა შემოაქვს, იძლევა საჯარო დაპირებებს, კულისებში კი იმუქრება, თესავს ეჭვს: მართლა გახსნის მილებს თუ ეს ყველაფერი მხოლოდ ბლეფია.[27] და ვიდრე ხელისუფლება ყოყმანობს, ხალხი მოქმედებს. ვინიპეგში ფერმერები აწყობენ ტრაქტორების ქარავნებს პროტესტის ნიშნად: „არაა წყალი – არაა მოსავალი“[28].

ჰალიფაქსში სტუდენტები შლიან კარვებს ადგილობრივი პარლამენტის შენობის წინ და მოითხოვენ წყლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიულ აქტივად აღიარებას. ქალაქ იელოუნაიფში მკვიდრი ერების საზოგადოება სთავაზობს ადგილობრივ კანონს, რომელიც კრძალავს ნებისმიერ წყალსარინ ინფრასტრუქტურას მათ წინაპართა მიწაზე. პროტესტი სულ უფრო იზრდება. მედია იწყებს მოვლენების აქტიურ გაშუქებას და პირველად ათწლეულების განმავლობაში კანადა გრძნობს თავს არა მხოლოდ ისტორიის დამკვირვებლად, არამედ მის გმირად. განხეთქილება შეერთებულ შტატებთან იქნება რეალურად ნეგატიური შედეგების მომტანი. ის გამოიწვევს: იმპორტზე ფასების ზრდას, წარმოების ჯაჭვებში შეფერხებას, უცხოური ინვესტიციების შესაძლო გაყინვას. ეს არის ნაბიჯი გაურკვევლობისკენ, მაგრამ შესაძლოა აუცილებელი. **მოდ ბარლოუს** მიერ ბოლო ინტერვიუში წარმოთქმული ფრაზა – „ქვეყნის ნამდვილი დამოუკიდებლობა არ იზომება მისი არმიით, არამედ იმით, თუ რამდენად კარგად იცავს იგი თავის საერთო სიკეთეს“[29] – გახდა დიდი მნიშვნელობის მატარებელი.

ტრამპის რიტორიკა, რომელიც ერთ დროს ხუმრობად აღიქმებოდა, ახლა აღშფოთებას იწვევს. ყოველი პოსტი, რომელსაც ის დებს სოციალურ ქსელში

---

27 Thomas M., Zombie Water Apocalypse: Is Trump's Rhetoric over Canada's Water Science-fiction or Reality?, https://theconversation.com/zombie-water-apocalypse-is-trumps-rhetoric-over-canadas-water-science-fiction-or-reality-250451 [28.04.2025]

28 Silverberg D., Manure is hitting the Walls as Farm Protests Build around the World, https://www.agriculturedive.com/news/manure-tractor-farm-protests-build-around-the-world/710360/ [28.04.2025]

29 Barlow, 2019.

(“Truth Social”) კანადის, როგორც ჩრდილოეთ ამერიკის დიდი შტატის შესახებ, იღებს ათასობით ირონიულ, სარკასტულ და რისხვის შემცველ კომენტარს კანადელებისგან. და ეს რისხვა გადაიქცა რაღაც უფრო დიდ მოვლენად – მოძრაობად. დღეს ქვეყანაში შეჭრისთვის საჭირო არაა ტანკები. საკმარისია ტარიფები, წითელი შტამპები წარწერით „იმპორტი“. ქაღალდზე დაწერილი მშრალი პროცენტები, რომლებიც თითქოს არაფრისმთქმელი და ნეიტრალურია, სინამდვილეში კი იარაღია: სანგრების ახალი ომის დასაწყისი ტარიფების ომში.

ტრამპს შეუძლია ისაუბროს საზღვრების გადახედვაზე, მიანიშნოს კანადის ანექსიასთან დაკავშირებით, დამცინავად მოიხსენიოს საუკუნოვანი შეთანხმებები და ხელშეკრულებები, მაგრამ არაფერს შეუძლია ხორცი შეისხას მოქმედების გარეშე. პირველი კონკრეტული, განმეორებითი, მზარდი ქმედება იყო ტარიფები. დიახ, ტარიფები, რომელიც ერთი შეხედვით ბიუროკრატიულად, მოსაწყენად, არაფრის მთქმელად ჟღერს, მაგრამ საჭირო დროს, საჭირო ხელში შესაძლოა ბომბად იქცეს და დონალდ ტრამპმა ეს ყველაზე უკეთ იცის. მას ესმის, რომ ერთ რიცხვს უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე ტყვიას. შეუძლია ეკონომიკის დესტაბილიზაცია, მოკავშირეთა მოთმინების გამოცდა, ერის იძულება, არჩევანი გააკეთოს იაფ საკვებსა და ეროვნული სუვერენიტეტის შენარჩუნებას შორის.

V. ტარიფების ახალი ომი

2025 წლის 1 თებერვალი. პრეზიდენტის თანამდებობაზე დაბრუნებიდან ორ კვირაზე ნაკლებ დროში ტრამპმა ხელი მოაწერა ბრძანებას კანადიდან და მექსიკიდან შემოსულ საქონელზე 25%-იანი ტარიფების დაწესების შესახებ.[30] დრო იყო ქირურგიულად ზუსტად შერჩეული, ეფექტი – მყისიერი, გზავნილი – კრისტალურად ნათელი. მეზობლები გადაიხდიან ფასს ამერიკის ახალი პოზიციისთვის.[31] ფასი კი იყო საკმაოდ მაღალი: მანქანები, ავტონაწილები, ფოლადი, ალუმინი, სოფლის მეურნეობის პროდუქტები. ახლა კი ახალი საფრთხეები გაჩნდა კანადის ეკონომიკის ორი მთავარი საყრდენის – ხე-ტყისა და რძის პროდუქტების სექტორების – მიმართულებით.

საგულისხმოა, რომ 2024 წელს კანადამ შეერთებულ შტატებში 2,5 მილიონ ტონაზე მეტი ტყის პროდუქცია გაიტანა, რაც 8 მილიარდ დოლარზე მეტია.[32]

[30] Bond D., President Trump Imposes 25% Tariffs on Canada and Mexico, and 10% Tariffs on China, https://www.whitecase.com/insight-alert/president-trump-imposes-25-tariffs-canada-and-mexico-and-10-tariffs-china [28.04.2025]

[31] Lorinc J., When Your Veighbor Starts a Trade War, https://www.cpacanada.ca/news/features/tariff-feature [28.04.2025]

[32] Canada’s State of Trade 2024: Supply Chains, Government of Canada, https://international.

25%-იანი ტარიფები ეკონომიკური სანქცია კი არა, დახრჩობაა. კანადამ აღნიშნულ ქმედებაზე სწრაფადვე მოახდინა რეაგირება. იმავე დღეს გამოაცხადა სარკისებური ტარიფები, რომელმაც მიზანმიმართულად, ერთიმეორის მიყოლებით მოიცვა რიგი პროდუქტებისა – კალიფორნიული ღვინოები, ფლორიდული წვენები, ტეხასური საქონლის ხორცი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და საბავშვო სათამაშოებიც კი. რაც ყველაზე მთავარია, დიდი იყო ხალხის გამოეხმაურება. რამდენიმე დღის შემდეგ სუპერმარკეტებმა დაიწყეს ამერიკული საქონლის დახლებიდან აღება.[33] სოციალურ მედიაში ვირუსულად გავრცელდა „ჰეშთეგები", როგორიცაა: „იყიდე კანადური" და „ბოიკოტი ამერიკას".[34] რადიოსადგურებმა დაიწყეს ფოკუსირება ადგილობრივ მსახიობებზე. ცნობილი კანადელები გამოდიოდნენ და საჯაროდ აცხადებდნენ: „ჩვენია ბაზარი – ჩვენია წესები!". მარტში ჩატარებულმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ კი აჩვენა, რომ კანადელების თითქმის 70%-ს ახლა უფრო ნეგატიური დამოკიდებულება აქვს შეერთებული შტატების მიმართ. უპრეცედენტო მაჩვენებელია ქვეყნისთვის, რომელიც ტრადიციულად თავისი სამხრეთელ მეზობელს პატივისცემით, სიმპათიითა და პრაგმატიზმით უყურებდა. ტურიზმი დაზარალდა, ქვეყნებს შორის მოგზაურობა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 72%-ით შემცირდა.[35] ტრანსნაციონალურმა კომპანიებმაც იგრძნეს დარტყმა. საცალო სავაჭრო ქსელებმა, როგორიცაა, "Walmart", აღრიცხეს გაყიდვების კლება კანადაში. ონტარიოსა და მიჩიგანს შორის "Just in Time" სისტემით მომუშავე ავტონაწილების მწარმოებლებმა დაიწყეს ხელშეკრულებების ხელახალი გადახედვა[36]. აშშ-ში დაახლოებით 8 მილიონი სამუშაო ადგილი დამოკიდებულია კანადასთან ვაჭრობაზე, მაგრამ ტრამპი, როგორც ჩანს, უკან არ იხევს, რადგან კონფლიქტი მისთვის პრობლემა არაა. მან მოირგო მოტყუებული, ექსპლუატირებული ამერიკის იმიჯი და როდესაც აცხადებს, რომ სჯის კანადას ტარიფებით, წარმოაჩენს ამას ისტორიულ სა-

canada.ca/en/global-affairs/corporate/reports/chief-economist/state-trade/2024 [28.04.2025]

33 Sullivan A., Agius M.W., Boycott USA! Trump Tariffs Prompt Backlash against US Goods, https://www.dw.com/en/trump-tariffs-trade-boycott-us-products-canada-consumers-protectionism-v7/a-71899620 [28.04.2025]

34 Galindo B., Canadians Are Sharing Exactly What They're Boycotting from The US In Response to Tariffs and Trump, https://www.buzzfeed.com/briangalindo/canadians-boycotting-american-products [28.04.2025]

35 იხ., Gillies R., Canadian Minister Says Trump Was Joking when He Said Canada Could Become the 51st State, https://apnews.com/article/canada-trump-tariffs-trudeau-trade-opposition-border-5d3dbbb4a701bb1676ee588bfbf2396a [28.04.2025]

36 Canada's Auto Industry Is on the Brink – Trump's Tariffs Could Finish the Job, https://www.destinationcharged.com/features/canada-trump/ [28.04.2025]

მართლიანობად. მაგრამ რიცხვები პირიქით აჩვენებს: აშშ-ის სავაჭრო დეფიციტი კანადასთან ისტორიულ მინიმუმზეა. მრავალი წლის განმავლობაში შეერთებული შტატებს უფრო მეტი ჰქონდა ექსპორტი, ვიდრე იმპორტი. კანადური ნავთობი ამარაგებს მთელ შეერთებულ შტატებს. კვებეკიდან წამოსული ჰიდროელექტროენერგია ნიუ-იორკს კვებავს. ონტარიოში არსებული ქარხნები ხელს უწყობს ამერიკული საავტომობილო ინდუსტრიის განვითარებას. ტრამპმა ეს იცის, თუმცა მას მონაცემები კი არა, ნარატივი უფრო აინტერესებს და მან ასეთი ნარატივი აირჩია: კანადა მეზობელია, რომელიც უპირატესობით სარგებლობს, იცავს საკუთარი რძის პროდუქტების ბაზარს, ზღუდავს ამერიკულ ბანკებს, კეტავს ონკანს, ვიდრე ამერიკა გვალვას ებრძვის.

სასკაჩევანიის პროვინციის ერთმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა ამერიკელი მყიდველებისთვის პროდუქციის გაყიდვა შეწყვიტა: „ჩვენ არ დავაფინანსებთ საკუთარ დამცირებას“ – განაცხადა მისმა პრეზიდენტმა. ჰალიფაქსში ადგილობრივმა მეთევზეებმა ამერიკული აღჭურვილობის ბოიკოტი მოაწყვეს. ტორონტოში რესტორნების ქსელებმა წინააღმდეგობის აქტის სახით 100%-ით კანადური მენიუს პოპულარიზაცია დაიწყო.[37]

საგულისხმოა, რომ ტარიფების ომის უარყოფითი შედეგები მოსახლეობის უდიდეს ნაწილზე აისახება და არა ელიტებზე. ოჯახები, რომლებიც ამერიკულ საქონელს იძენდნენ სიიაფის გამო, ახლა ფასების ზრდას აწყდებიან. მცირე ბიზნესი, რომელიც სწრაფ ლოგისტიკაზეა დამოკიდებული, იძულებულია ხელახლა გადახედოს ხელშეკრულებებს, გაათავისუფლოს დასაქმებულები და შეამციროს წარმოება.

ახალი ამბების ტონიც შეიცვალა: წუხილიდან აღშფოთებაზე გადავიდა, რაც ამომრჩეველთა განწყობაზეც აისახება. ბოლოდროინდელი გამოკითხვების თანახმად, კანადაში ნაციონალიზმი იზრდება, განსაკუთრებით, ახალგაზრდებში. სულ უფრო მეტი ადამიანი მიიჩნევს, რომ დროა ქვეყანამ თავი დააღწიოს შეერთებულ შტატებზე დამოკიდებულებას და გააძლიეროს კავშირები ევროპასთან,[38] აზიასთან და ალტერნატიულ ბლოკებთან.

---

[37] Mehrabi K.A., Upcoming Tariffs Convince Canadian Restaurants to Take U.S. Products off Menu, https://dailyhive.com/vancouver/canada-restaurants-remove-us-products-menus-tariffs [28.04.2025]

[38] Campbell B., Canada Should Move towards Integration with Europe instead of the U.S., Canada Can Reduce Dependence on the U.S. by Strengthening its Economic and Security Relationship with the European Union, https://www.policyalternatives.ca/news-research/canada-should-move-towards-integration-with-europe-instead-of-the-u-s/ [28.04.2025]

VI. ეროვნული იდენტობა შეერთებული შტატების ზეწოლის წინააღმდეგ

არსებობს ერთი ფაქტორი, რომელსაც ტრამპი შესაძლოა არასათანადოდ აფასებდეს – სიამაყე. თუ კანადას რაიმე აქვს უფრო ღირებული, ვიდრე ნავთობი, წყალი ან მინერალებია, ეს არის რწმენა, რწმენა იმისა, რომ მას ვერავინ უკარნახებს პირობებს და რომ მისი სახელმწიფოებრიობის, მმართველობის, საზოგადოებრიობისა თუ ღირებულებების მოდელი, უკვე ღირებულია თავისთავად და არ საჭიროებს ამერიკულისგან გადმოღებას. ახლა ეს ეროვნული იდენტობა ისე იღვიძებს, როგორც არასდროს. ყველა იმპერია ადრე თუ გვიან იწყებს გავლენისა და საკუთრების ერთმანეთთან აღრევას და სწორედ მაშინ დიპლომატია წყვეტს მოლაპარაკებების ეტაპს და ზეწოლაზე გადადის. ის, რასაც ტრამპი კანადას უკეთებს, შეიძლება ომი არ იყოს, მაგრამ არც მშვიდობაა. ეს ალყაა და რგოლი სულ უფრო იკუმშება.

დიდი ხნის განმავლობაში შეერთებული შტატების მიერ კანადის ანექსიის იდეა ხუმრობად, პროვოკაციად, ინტერნეტფორუმებზე შეშლილ ბოდვად აღიქმებოდა, ვიდრე არ გასცდა ხუმრობის ჩარჩოებს. იქამდე, ვიდრე შეერთებული შტატების ორმოცდამეშვიდე პრეზიდენტმა პირდაპირ ეთერში კამერების წინ, გაოგნებული რეპორტიორების წინაშე არ განაცხადა, რომ კანადა უფრო მეტად შეეფერებოდა შტატის როლს, ვიდრე ერის სტატუსს, რაც მან არა ერთხელ, არამედ რამდენჯერმე გაიმეორა: მიტინგებზე, სოცქსელებში, “Mar Alaga”-ის ბაღებში სპონტანურ ინტერვიუებში. მან დაიწყო კანადის პრემიერ-მინისტრ ტრუდოს „ორმოცდამეთერთმეტე ვარსკვლავის“ ლიდერად და ჩრდილოეთით მდებარე ტყის მენეჯერად მოხსენიება. თავდაპირველად კანადელები იცინოდნენ, შემდეგ – გაბრაზდნენ.[39] ახლა კი საქმეზე გადავიდნენ, რადგან ის, რაც პროვოკაციად დაიწყო, ახლა სულ უფრო მეტად ემსგავსება დოქტრინას. ტრამპმა უკვე ნათლად განაცხადა, რომ კანადის ანექსიისთვის სამხედრო ძალას არ გამოიყენებს, მაგრამ გამოიყენებს იმას, რასაც ის დაუძლეველ ეკონომიკურ ძალას უწოდებს. აღნიშნული ფრაზა ისეთივე ბუნდოვანია, როგორც საშიში, რამდენადაც ის, რაც ტრამპისთვის დაუძლეველია, შესაძლოა მისი ჩრდილოელი მეზობლისთვის აუტანელი იყოს.

წარმოიდგინეთ ქვეყანა, რომელიც გარშემორტყმულია ტარიფებით, ეკონომიკური რეპრესიებით, წყლის გადაქაჩვასთან დაკავშირებული შენიღბული მუქარებითა და სტრუქტურული სავაჭრო დამოკიდებულებით. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ამ ქვეყანას აიძულებენ, ხელი მოაწეროს არახელსაყრელ შეთანხმებებს, და-

[39] Nath S., Canada Is „Angry“ as Trump Again Calls Trudeau “Governor” Of 51st US State, https://www.ndtv.com/world-news/canada-is-angry-as-donald-trump-again-calls-justin-trudeau-governor-of-51st-us-state-7859526 [28.04.2025]

თმოს გარემოსდაცვითი პოლიტიკა, შეასუსტოს საკუთარი სამრეწველო და აგრარული მეურნეობის დაცვა. ეს უკვე დიპლომატია კი არა, დახრჩობაა. და ტრამპი მშვენივრად აცნობიერებს ამას.

კანადის მოწყვლადი მხარეები მან სტრატეგიული რუკასავით შეისწავლა და დაინახა, რომ ქვეყნის ექსპორტის 75% შეერთებულ შტატებში გადის,[40] კვებეკის ჰიდროენერგია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნიუ-იორკისა და სხვა შტატებისთვის, კანადის ეკონომიკა მყიფე, მგრძნობიარე მიწოდების ჯაჭვებითაა დაკავშირებული ამერიკის ეკონომიკასთან და დაიწყო მოქმედება. 2024 წლის დეკემბრიდან მოყოლებული, ის რეგულარულად აკეთებს განცხადებებს ჩრდილოეთ ამერიკის ერთიანი დროშის ქვეშ გაერთიანების შესახებ. ბუნდოვნად ჟღერს, არა? რა თქმა უნდა. თუმცა ქვეტექსტი ნათელია. ტრამპი იყენებს იმ ამერიკული წრეების უკმაყოფილებას, რომლებიც კანადას რესურსებით მდიდარ, მაგრამ არასათანადოდ გამოყენებულ ქვეყანად მიიჩნევენ, ქვეყანად, რომელიც შესაძლოა უფრო მომგებიანი ყოფილიყო, უფრო ნაკლები სუვერენიტეტი რომ ჰქონოდა.

აქვე აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც შეერთებული შტატები კანადის ანექსიაზე ფიქრობს. სინამდვილეში, აღნიშნული იდეა XIX საუკუნიდან იღებს სათავეს და ამერიკულ პოლიტიკურ წარმოსახვაში ტრიალებს. 1812 წლის ომის დროს შეერთებულმა შტატებმა კანადის ტერიტორიაზე შეჭრა სცადა,[41] თუმცა მოგერიებულ იქნა. მე-19 საუკუნეში გაზეთები, კონგრესმენები და სამხედროები ხშირად განიხილავდნენ კანადის შეერთებული შტატების შემადგენლობაში შეყვანის, ტერიტორიის ბუნებრივი გაფართოების იდეას. აშკარა კუთვნილების დოქტრინა აცხადებდა, რომ შეერთებული შტატები მოწოდებულია მოიცვას მთელი კონტინენტი ჩრდილოეთის ჩათვლით. ახლა კი, ტრამპის პერსონალური ლოგიკის თანახმად, ეს იდეები ახალ სიცოცხლეს იძენს. არა იმიტომ, რომ იგი მართლაც აპირებს კანადის ანექსიას, არამედ იმიტომ, რომ ფარისევლობაც კი, თითქოს ეს შესაძლებელია, უკვე უპირატესობას ანიჭებს მას. ის თამაშობს სიმბოლოებით, ფსიქოლოგიური ზეწოლით, ისტორიული ტრავმით, აბსურდს ინსტრუმენტად აქცევს. და ვიდრე ყველა ფიქრობს რამდენად სერიოზულია ტრამპის განზრახვა,[42] იგი შემდგომ ნაბიჯებს დგამს.

---

40 Canada Aims for Free Internal Trade that Can Offset Any US Tariffs, Carney Says, https://www.reuters.com/world/americas/carney-says-canada-aims-have-free-internal-trade-by-july-1-amid-us-tariffs-2025-03-21/ [28.04.2025]

41 Marsh J.H., Berto P., War of 1812, The Canadian Encyclopedia, https://thecanadianencyclopedia.ca/en/article/war-of-1812 [28.04.2025]

42 იხ., Turan R.I., Trump Tells Canada Hhe Wants to Renegotiate Border Rreaty: Report, https://www.aa.com.tr/en/americas/trump-tells-canada-he-wants-to-renegotiate-border-treaty-report/3503217 [28.04.2025]

VII. ახალი სავაჭრო გარიგებები ევროპასთან, აზიასთან და შეერთებულ შტატებთან ღრმა ინტეგრაციის ერის დასასრული

კანადის ახალმა პრემიერ-მინისტრმა, მარკ კარნიმ, უკვე განაცხადა, რომ „შეერთებულ შტატებთან ღრმა ინტეგრაციის ერა დასრულდა“[43]. მაგრამ ერთი განცხადება საკმარისი არ არის, რადგან ვიდრე კანადა ცდილობს ახალი ორიენტაცია ევროპის, დიდი ბრიტანეთისა და აზიის მიმართულებით აიღოს, ტრამპი ტარიფებს აწესებს. „ცხოვრებას უძვირებს“, ვაჭრობას ხაფანგად აქცევს. შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების გაწყვეტა მთელი საექსპორტო ლოგისტიკის გადაწყობას მოითხოვს.

ახალი სავაჭრო დერეფნების შექმნით, ახალი ენერგეტიკული პარტნიორობის ჩამოყალიბებითა თუ ინდუსტრიული პოლიტიკის გადახედვით, ქვეყანას მოუწევს თავისთვის ეკონომიკური ავტონომიის ხელახლა გახსნა. და ყოველივე ეს კლიმატური ომისა და გლობალური რეცესიის ფონზე. ტრამპი ფსონებს დებს ვარაუდზე, რომ ვარდნა იმდენად ძლიერი იქნება, კანადელები თვითონვე მოითხოვენ სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებას საკუთარი მთავრობისგან. მაშინაც კი, თუ ეს გადაწყვეტილებები თეთრი სახლისთვის დათმობაზე წასვლას ნიშნავს, მან იცის, რომ გამარჯვებისთვის ოტავას დაპყრობა საჭირო არ არის. ეს საკმარისი იქნება კანადელების დასარწმუნებლად, რომ წინააღმდეგობის გაწევა უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე დანებება. მაგრამ კანადელი ხალხი სხვაგვარად ფიქრობს. ბოლოდროინდელი გამოკითხვების თანახმად, ეკონომიკური ზარალის მიუხედავად, კანადელების უმეტესობა სუვერენიტეტის დაკარგვას სანქციებს ამჯობინებს. გამოკითხულთა 68%-ზე მეტი აცხადებს, რომ ისინი არასოდეს დაუჭერენ მხარს შეერთებულ შტატებთან რაიმე ფორმით გაერთიანებას.[44] ნაციონალიზმი იზრდება და კანადური იდენტობის განცდა ძლიერდება. სოციალურ მედიაში სულ უფრო აქტიური ხდება მოძრაობა, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეები აქვეყნებენ ვიდეორგოლებს, სადაც საკუთარი ქვეყნის კულტურულ, პოლიტიკურ და ისტორიულ დამოუკიდებლობაზე ამახვილებენ ყურადღებას. ედმონტონში ისტორიის მასწავლებელმა გამოაქვეყნა ვიდეო, რომელიც ვირუსივით გავრცელდა მთელ მსოფლიოში, სადაც იგი თვალცრემლიანი კითხულობდა სტრიქონებს კანადის კონსტიტუციიდან: „ჩვენ არა ვართ დანამატი სხვის იმპერიაში“. ვანკუ-

[43] Era of Close Ties with US ‘Is Over’: Canada PM Carney, https://www.france24.com/en/live-news/20250327-era-of-close-ties-with-us-is-over-canada-pm-carney [28.04.2025]

[44] იხ., Epstein K., Canadian PM Reveals Trump Brought up ‘51st State’ During March Call, https://www.bbc.com/news/articles/cn4j38gk8edo [28.04.2025]

ვერში ახალგაზრდა მხატვრები ხატავენ გრაფიტს წარწერით: „ჩვენი ქვეყანა არ იყიდება“ და ა.შ.

ომი ყოველთვის გასროლით როდი იწყება. ზოგჯერ ის იწყება გაყვანილი მილებით, სიჩუმეში. ისტორიის იმ მხარეს, რომელიც ისედაც ბეწვზე ეკიდა. ტრამპს არ სჭირდებოდა ომის გამოცხადება. საკმარისი აღმოჩნდა ერთი ბრძანება, რამდენიმე სტრიქონი და საჭირო წონა ორ მოძმე ერს შორის ნდობის შესარყევად. ფოკუსირებულია რა წყლის საკითხთან დაკავშირებით არსებულ საგანგებო მდგომარეობაზე, იგი აცხადებს, რომ შეერთებული შტატების მომავალი დიდი ტბების წყალზეა დამოკიდებული და გამოსცა ბრძანება ამერიკის ტერიტორიაზე წყლის დაუყოვნებლივ გადაქაჩვასთან დაკავშირებით, კანადასთან ყოველგვარი კონსულტაციების, მოლაპარაკებებისა თუ ერთობლივი კვლევის გარეშე. მხოლოდ ღამით მომუშავე მანქანები, მილები, რომლებიც მიწისქვეშ ფესვებივით ამოდიან, იჭრებიან ყველგან, შთანთქავენ და ანადგურებენ ირგვლივ ყველაფერს.

კანადის მხარემ შოკი მიიღო, პრესამ გაავრცელა კადრები, ეკოლოგებმა განგაში ატეხეს. მეცნიერები აცხადებენ, რომ აღნიშნული ქმედების შედეგები შესაძლოა შეუქცევადი იყოს, მაგრამ მოსმენა არავის სურს. კანადის პრემიერ-მინისტრი კარნი საჯაროდ გამოვიდა, ქვეყანას ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე მიმართა და აღნიშნულ ქმედებებს აგრესიის აქტი უწოდა. მან მოკავშირეები შეკრიბა. სავაჭრო შეთანხმებები გაყინა და დიდი ტბების წყლები სახელმწიფოს პირდაპირი დაცვის ქვეშ არსებულ სტრატეგიულ აქტივად გამოაცხადა. კანადა თავდაცვის მდგომარეობაში გადავიდა. ქუჩაში გამოსულმა მოსახლეობამ ტრამპის ქმედებებს რისხვითა და სიამაყით უპასუხა.

ვანკუვერში მეთევზეებმა პორტები გადაკეტეს, მონრეალში კი სტუდენტებმა მოედნები დაიკავეს ბანერებით: „ჩვენ არ დავუშვებთ, რომ გამოგვწოვონ ჩვენი საკუთრება“. კალგარიში ფერმერებმა ალიანსი შექმნეს: „არც ერთი მარცვალი, არც ერთი ლიტრი, არც ერთი პროდუქტი საზღვრის მიღმა, ვიდრე წყლის გადაქაჩვა არ შეჩერდება“. მკვიდრი მოსახლეობა გამოდიოდა ლოზუნგებით: „ამ წყალს აქვს სული და ჩვენ დავიცავთ მას“.[45] ვიდრე კანადა წინააღმდეგობის მოძრაობაში გაერთიანდა, ტრამპმა დაცინვით განაცხადა: „ამერიკას სჭირდება წყალი. კანადას ის ჭარბად აქვს. ეს არის საღი აზრი“.[46] მაგრამ სწორედ საღ აზრს მოკლებულია ეს განაცხადი. რამდენიმე დღეში შედეგები აშკარა გახდა – ტბებში წყლის დონე და-

[45] Scarpaleggia F., Opinion: No, Mr. Trump, You Can't Have Canada's Water, https://www.montrealgazette.com/opinion/article764058.html [28.04.2025]

[46] Willson G., Tramp's Aggressive Water Statement Riles, Units Canadians, https://www.greatlakesnow.org/2025/01/trumps-aggressive-water-statement-riles-unites-canadians/ [28.04.2025]

ეცა. მოწყვლად ადგილებში თევზი გაქრა, იქ, სადაც ადრე უხვად იყო. სანაპირო ქალაქებში ტურიზმი ჩავარდა. შემდეგ კი ყველაზე უარესი შედეგიც დადგა, რაც შესაძლოა მომხდარიყო – დაბრუნდნენ ტოქსიკური წყალმცენარეები, რომლებმაც ერთხელ უკვე მოწამლეს ერის ტბა. ისინი მწვანე წყლულებივით გავრცელდნენ ადრე კრისტალურად სუფთა წყლებზე. ექვსი წლის ბავშვი მძმედ დაავადდა მდინარეში ბანაობის შემდეგ. მისმა დედამ ვიდეო ჩაწერა, სადაც თვალცრემლიანი ამბობდა: „მას უბრალოდ თამაში სურდა. ახლა კი საავადმყოფოშია, რადგან ვიღაცამ გადაწყვიტა, რომ მისი წყურვილი ჩვენს ცხოვრებაზე მნიშვნელოვანია“. ვიდეომ მთელი მსოფლიო მოიარა და მასთან ერთად იმის გაცნობიერებამ, რომ ეს უბრალოდ ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებული კამათი კი არა, თავდასხმაა არა მხოლოდ კანადაზე, არამედ პრინციპებზე, წონასწორობაზე, სახელმწიფოთა შორის ცივილიზაციის ნარჩენებზე.

შეერთებულ შტატებში ჩნდება ბზარები. გარემოსდამცველებმა დაიწყეს ბუნტი. გუბერნატორები გმობენ გეგმას. უნივერსიტეტები წყვეტენ კავშირს ფედერალურ მთავრობასთან. ხოლო ამერიკელი ინდიელები კანადის მხარეს დროშებს აფრიალებენ: „წყალი წმინდაა – მაშინაც კი, თუ ეს დაგავიწყდათ“. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია საგანგებო სხდომას მართავს. საერთაშორისო სასამართლო ოფიციალურ გამოძიებას იწყებს. ბაზრები რეაგირებენ ისე, როგორც ყოველთვის – შიშით, აქციები – ეცემა, ინვესტიციები – ორთქლდება. ორმხრივი ხელშეკრულებების მქონე კომპანიები პანიკაში არიან. ისინი იცავენ აქტივებს. ხოლო შეერთებული შტატების სტაბილურობისადმი ნდობა ისე შეირყა, როგორც არასდროს ბოლო ათწლეულების განმავლობაში. კანადამ კი, პირიქით, ქირურგიული სიზუსტით იმოქმედა. გადაამისამართა ექსპორტი, დადო გარიგებები ევროპასა და აზიასთან, გააძლიერა საკუთარი ენერგეტიკული მატრიცა და დაიწყო წყლის დაცვის ეროვნული პროგრამა არა მხოლოდ შეერთებული შტატების, არამედ ნებისმიერი მომავალი საფრთხის წინააღმდეგ.

VIII. დასკვნა

საკითხის ანალიზი ცხადყოფს, რომ კანადას არ გააჩნია რესურსები შეერთებული შტატებისთვის სამხედრო წინააღმდეგობის გასაწევად, მაგრამ დიპლომატიური ბერკეტებით ცდილობს პროტესტის გამოხატვასა და მხარდაჭერას ითხოვს. წყლის გადაქაჩვასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შეჩერება თითქმის შეუძლებელია და სწორედ აქ იჩენს თავს ძალაუფლების ვაკუუმი და ყველაზე საშიში დაძაბულობა. განვითარებული მოვლენები გვიჩვენებს,

რომ ხელისუფლების შეზღუდული მოქმედების პირობებში ხალხი მზადაა წინააღმდეგობის გასაწევად. ახალი პრემიერი, აცნობიერებს რა შექმნილ ვითარებას, გამოსავალს ეძებს და ყველაფერს აკეთებს ევროპელ ლიდერებთან სასწრაფო შეხვედრებით დაწყებული, დიდ ბრიტანეთთან და ევროკავშირთან სავაჭრო შეთანხმების დაჩქარების, ენერგეტიკითა თუ სურსათით უზრუნველყოფის სტიმულირების ჩათვლით. კვლევისას გამოიკვეთა, რომ კანადის ხელისუფლება უკვე მუშაობს მისი ეკონომიკის სტრატეგიული სექტორების დეამერიკანიზაციის საგანგებო გეგმაზე.

შესაძლოა შეერთებულ შტატებს დიდი ფასის გადახდა მოუწიოს კანადის მიმართ განხორციელებული ქმედებების გამო, რასაც ადასტურებს კანადის ახალი პრემიერ-მინისტრის, მაკ კარნის განცხადება „შერთებულ შტატებთან ღრმა ინტეგრაციის ერის დასრულებასთან“ დაკავშირებით. კვლევამ დაგვანახა, რომ კანადა იწყებს ახალი სავაჭრო დერეფნების შექმნას, ენერგეტიკული პარტნიორობის ჩამოყალიბებასა და აქტიურ ფაზაშია ინდუსტრიული პოლიტიკის გადახედვის პროცესი. იზრდება ნაციონალური განწყობები, სულ უფრო მეტი ადამიანი თანხმდება შეერთებულ შტატებზე დამოკიდებულებისგან თავის დაღწევის აუცილებლობაზე და ქმედით ნაბიჯებსაც დგამს აღნიშნული მიმართულებით (აძლიერებს კავშირებს ევროპასთან, აზიასთან თუ ალტერნატიულ ბლოკებთან).

აღმოჩნდა რა ახალი რეალობის წინაშე, კანადა, რომელიც წლების განმავლობაში შეერთებულ შტატებს თავის მთავარ პარტნიორად მიიჩნევდა, მოქმედებაზე გადავიდა. მაგრამ როგორ შეეძლო შეერთებულ შტატებზე გაცილებით ნაკლებ გავლენიან ქვეყანას მსოფლიოს უდიდეს ეკონომიკას დაპირისპირებოდა? პასუხიც მალე გამოჩნდა და კონტრშეტევისთვის ნავთობი გამოიყენა. მან დაიწყო ნავთობის ექსპორტის შემცირება შეერთებულ შტატებში და ახალი მომხმარებლის ძიებას შეუდგა. ეს იყო პასუხი აშშ-ის ქმედებებზე, რამაც უბიძგა ასე მოქცეულიყო, რითაც მძიმე დარტყმა მიაყენა ამერიკას, რამდენადაც ეს უკანასკნელი სწორედ კანადური ნავთობით მარაგდება. და რაც ყველაზე მთავარია, ნავთობის მიწოდებასთან დაკავშირებით შეთანხმება დადო ჩინეთთან, რომელიც მრავალი წელია აშშ-სთან სავაჭრო ომშია. ჩინეთმა, კანადასა და შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობებში შექმნილ კრიზისში კარგი შესაძლებლობა დაინახა და ვითარება თავის სასარგებლოდ გამოიყენა. ასე, კანადური ნავთობის პირველმა ბარელმა ჩინეთში დაიწყო დენა. შედეგად, შეერთებულ შტატებში კანადურ ნავთობზე დამოკიდებული ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და იძულებულნი გახდნენ უფრო ძვირიანი და ნაკლებად სანდო მომწოდებლებისთვის მიემართათ.

შეერთებულ შტატებს სურდა კანადაზე ზეწოლის მოხდენა, თუმცა, საბოლოო ჯამში, დაკარგა ნავთობის ერთ-ერთი უდიდესი მიმწოდებელი, რაც ცალკე განხილვის საკითხია და აქ არ შევეხებით. ერთი რამ ნათელია: ვიდრე ტრამპი ცდილობდა ძალის ნარატივის შენარჩუნებას, კანადამ აჩვენა, რომ ძალა ხმამაღალი ძახილი არ არის. მას ტრამპის ქმედებებზე იარაღით არ უპასუხია, არამედ პრინციპებით, დიპლომატიით, ეროვნული ერთიანობითა და ყველაზე ძლიერი გაკვეთილით უპასუხა, რითაც დაანახა, რომ ყველაზე მთავარია ფეხზე დგომა მაშინაც კი, როდესაც ირგვლივ ყველა შენს დაჩოქებას ცდილობს. ამჟამად საქმე საერთაშორისო ინსტანციებში განიხილება, მაგრამ ერთი რამ უკვე ცხადია: კანადა არასოდეს იქნება კოლონია, რეზერვი ან რესურსი სხვების საგანგებო ვითარების დროს. მან კიდევ ერთხელ თალნათლივ დაგვანახა, რომ არ არსებობს ნამდვილი სუვერენიტეტი გამბედაობის გარეშე და რომ ყველაზე მშვიდობიან ერებსაც აქვთ საკუთარი საზღვრები.

გამოყენებული ლიტერატურა

- Barlow M., Whose Water Is It, Anyway?: Taking Water Protection into Public Hands, ECW Press, 2019
- Mcglinchey S., Walters R., Scheinpflug Chr., International Relations Theory, E-International Relations, Bristol, 2017
- Rose G., Neoclassical Realism and Theories of Foreign Policy, World Politics, Vol. 51, No. 1, 1998
- Karkkainen B.C., The Great Lakes Water Resources Compact and Agreement: Transboundary Normativity without International Law, William Mitchell Law Review, Vol. 39, No. 3, 2013
- Lemarquand, D., Preconditions to cooperation in Canada–United States Boundary Waters, Natural Resources Journal, Vol. 26, No. 2, 1986
- Lemarquand, D., The International Joint Commission and Changing Canada – United States boundary Relations, Natural Resources Journal, Vol. 33, No. 1, 1993
- Marshall B., Facts & Figures, The State of Canada's Mining Industry, The Mining Association of Canada (MAC), 2020
- McKitrick R., Aliakbari E., Stedman A., Evaluating the State of Fresh Water in Canada, Fraser Institute, 2018
- Yoskowitz D.W., U.S./Canadian Boundary Waters Treaty and the Great Lakes Water Quality Agreement, 2005, https://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1002/047147844X.wl106

Ketevan Meskhidze*

US-CANADA STANDOFF: POLITICAL GAME WITH THE GREAT LAKES AS THE FIRST SHOT AT THE BEGINNING OF A SILENT WAR

Abstract

Perhaps no one imagined that the greatest threat to Canada might come not from missile strikes, but from pipelines; not from tanks, but from water. No drones or armored vehicles crossed the border. What emerged was something subtler, and perhaps more dangerous: an idea. Initially voiced as a provocation, even in jest, it gradually took shape and acquired increasing political weight.

When Trump declared that Canada should become the 51st state of the United States, the world laughed. Yet he continued to repeat the claim. What first appeared to be the ravings of a single individual gradually assumed the character of state strategy: war without a formal declaration of war. This is not a conventional conflict. There have been no military offensives and no official declarations. What is unfolding between the United States and Canada is something deeper and more unsettling: a quiet dismantling of one of the most durable alliances in the Northern Hemisphere. At its core lies competition over resources, for every empire eventually seeks what it lacks. Few could have imagined that the target would be Canada – a country associated with forests, hockey, and peace, and long regarded as the United States' most reliable, stable, and predictable ally to the north.

This article examines the ongoing conflict between the United States and Canada, which is becoming increasingly acute and politically consequential. It focuses on disputes over water resources that may lead to ecological crisis. Particular emphasis is placed on the United States' projection of power and Canada's response, including political protest, diplomatic scandal, and the broader reality that, after decades of restrained diplomacy, institutional peace, treaty-based relations, and faith in the international order, Canada now finds itself confronting an existential threat.

Keywords: Canada, Freshwater, Great Lakes Agreement, Tariffs, Ecological Collapse, Pipelines, Sovereignty.

* Associate Professor at David Aghmashenebeli National Defense Academy of Georgia, https://orcid.org/0009-0000-0640-2914

ზვიად ტყაბლაძე*

„დაიშის“ ტერორისტული პროპაგანდის თავისებურებანი

I. შესავალი

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ, საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში დაიწყეს ყურადღების გამახვილება ისლამისტურ-ტერორისტული მიმართულების ორგანიზაციების შესწავლაზე, რომლებიც ისლამს ამოფარებულები ეწეოდნენ რელიგიურ-პოლიტიკურ ექსტრემიზმსა და ტერორიზმს. მკვლევრებს, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებდათ ისლამისტების ორგანიზაციული სტრუქტურების, ბრძოლისუნარიანობის, იდეოლოგიური დოქტრინების, ფინანსური მხარდაჭერის, მსოფლიო პოლიტიკასა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში გავლენის პრობლემატიკა, ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება – პროპაგანდის განხორციელების ფორმები და მეთოდები, მათი ანალიზი.[1]

საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია **„დაიში“** (თვითდასახელება **„ისლამური სახელმწიფო“**; არაბ.: الدّولة الإسلاميّة; ტრანსლიტ.: **ად-დავლათ ალ-ისლამია**; ინგლ.: Islamic State, IS) წარმოიშვა დაახლოებით 2006 წელს, ერაყში კოალიციური ძალების ყოფნის პერიოდში. მაშინ ამ დაჯგუფებას ეწოდებოდა **„ერაყისა და შამის ისლამური სახელმწიფო“** (ინგლ.: Islamic State of Iraq and Al-Sham, ISIS), ან **„ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“** (ინგლ.: Islamic State of Iraq and Levant, ISIL),[2] რომელიც მიზნად ისახავდა უცხოური ძალების განდევნას ერაყიდან. საგულისხმოა, რომ მსოფლიო მედიაში დაჯგუფებას „დაიშ“-ს (არაბ.: **داعش**; ტრანსლიტ.: დაიშ; რომანიზ.: Dāʿish, ინგლ.: Daesh) უწოდე-

---

* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, https://orcid.org/0009-0009-4347-6299

1 აღნიშნული სტატია ტერორისტული ორგანიზაცია „დაიშის“ შესახებ იმ ნაშრომების ციკლის გაგრძელებაა, რომლებიც გამოქვეყნდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებულში. პირველი სტატია ეხებოდა „დაიშის“ წარმოშობის საკითხებს, მეორე ნაშრომში გაანალიზებულია ტერორისტული ორგანიზაციის იდეოლოგია.

2 **შამი** (არაბ. ტრანსლიტ: აშ-შამ) – ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთ ნაწილის ქვეყნების საერთო სახელწოდება, რომელშიც შედის თანამედროვე სირია, ლიბანი, პალესტინა და იორდანიის ნაწილი. **ლევანტი** კი (მოდის ფრანგ.: levant – მზის ამოსვლა) აშ-შამის სინონიმია.

ბენ, რაც არაბული სახელწოდების აკრონიმია. ამით ცდილობდნენ, თავი აერიდებინათ სიტყვა „სახელმწიფოს“ ლეგიტიმაციისთვის, რაც IS-ის აბრევიატურაშია. ამავდროულად, თვით ტერორისტებისთვის „დაიში“ დამამცირებელი სიტყვაა, რომელიც მხოლოდ ერთი ასოთი განსხვავდება სიტყვისგან – „დაის“ (**داعس**), რაც გათელვას, გაჭყლეტას ნიშნავს.

სირიაში სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ, 2011 წელს, დაჯგუფების ნაწილი გადავიდა სირიის ტერიტორიაზე და შეიარაღებულ სირიულ ოპოზიციას შეუერთდა ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. „დაიშის“ ტერორისტებმა სირიის შორეული პროვინცია არ-რაკას ნაწილი დაიკავეს, სადაც თავიანთი კანონები შემოიღეს.[3]

2014 წლის 29 ივნისს, „დაიშის“ ლიდერი, ერაყელი ტერორისტი, პირველი „ხალიფა“ (2014-2019 წლებში) **აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი** (არაბ.: **أبو بكر البغدادي**; ინგლ.: Abu Bakr al-Baghdadi), შევიდა ქალაქ მოსულის (ალ-მავსილ) ცნობილ ან-ნურის სახელობის დიდ მეჩეთში, რათა გამოეცხადებინა ახალი „ისლამური სახალიფოს“ შექმნა.[4]

ცოტა ჭარბწონიანი, წვერებიანი პირი ავიდა მინბარზე, რათა მიელოცა თავისი მიმდევრებისთვის კაცობრიობის ისტორიაში ახალი თავის დაწყება: „თქვენ დაიპყრობთ რომს და მთელ მსოფლიოს დაეუფლებით“. ალ-ბაღდადიმ თავი წინასწარმეტყველ მუჰამადის პირდაპირ მემკვიდრედ და ახალ ხალიფა იბრაჰიმად დაასახელა. ტერორისტმა მსოფლიო მუსლიმებს მოუწოდა მის მოძრაობასთან შეერთებისკენ. სახალიფოს გამოცხადებამ, ორგანიზაციას გლობალური მნიშვნელობა შესძინა.[5]

აღზევების პერიოდში (2014-2015 წლებში), „დაიშის“ რიგებში ირიცხებოდა 30 ათასიდან 80 ათასამდე ტერორისტი (მათ შორის, 40 ათასზე მეტი 120 ქვეყნიდან), რომელიც აკონტროლებდა 100 000 კვ. კმ. ტერიტორიას ერაყსა და სირიაში, რამაც ხელი შეუწყო მზარდ ქაოსს და სერიოზული საფრთხე შეუქმნა საერთაშორისო უსაფრთხოებას.[6] ცნობილი ერაყელი ექსპერტის, ჰიშამ ალ-ჰა-

---

3 Rosenblatt N., Kilcullen D., How Raqqa Became the Capital of ISIS, A Proxy Warfare Case Study, <https://www.newamerica.org/future-security/reports/how-raqqa-became-capital-isis/introduction/#> [10.07.2025]

4 Who Was ISIL's Self-proclaimed Leader Abu Bakr al-Baghdadi? Al-Jazeera Media Network, <https://www.aljazeera.com/news/2019/10/27/who-was-isils-self-proclaimed-leader-abu-bakr-al-baghdadi> [10.07.2025]

5 Warrick J., Abu Bakr al-Baghdadi, extremist leader of Islamic State, dies at 48, The Washington Post, <https://www.washingtonpost.com/local/obituaries/abu-bakr-al-baghdadi-islamic-states-terrorist-in-chief-dies-at-48/2019/10/27/0d004abc-663d-11e7-8eb5-cbccc2e7bfbf_story.html> [10.07.2025]

6 Shtuni A., The Islamic State in 2025: an Evolving Threat Facing a Waning Global Response,

შიმის (Hisham al-Hashimi) თანახმად, „დაიშის“ ბოევიკების რაოდენობა აღწევდა 100 ათასს, ხოლო ქურთმა პოლიტიკოსმა, ამჟამინდელმა ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფუად ჰუსეინმა (Fuad Mohammed Hussein) განუცხადა The Independent-ს, რომ ტერორისტების რაოდენობა მინიმუმ 200 ათასია. ახალი ტერორისტული ორგანიზაცია ისლამის სარწმუნოების წინააღმდეგ გამოვიდა და ეწეოდა რელიგიურ-პოლიტიკურ ექსტრემიზმის და ტერორიზმის.[7]

„დაიში“ წარმოაჩენდა თავს ჩაგრული მუსლიმების დამცველად, სინამდვილეში კი რელიგიის სახელით ქადაგებდა ძალადობას და ყველა მუსლიმს (შიიტებს, სუნიტებს და სხვ.), ვინც არ ეთანხმებოდა მისეულ ინტერპრეტაციას, რჯულგანდგომილად[8] აცხადება, რაც აძლევდა მათი მოკვლის საბაბს, შარიათის[9] კანონების თავიანთი ინტერპრეტაციის საფუძველზე, ხოლო დახვეწილი და მაღალპროფესიონალურ დონეზე შესრულებული პროპაგანდა ხელს უწყობდა ტერორისტების ნარატივების გავრცელებას.

სტატიის მიზანია „დაიშის“ პროპაგანდის თავისებურებების გარკვევა, როგორ შეძლო ტერორისტულმა ორგანიზაციამ ასეთი მაღალი დონის პროპაგანდის შექმნა. ნაშრომში გაანალიზებულია ტერორისტული კონტენტის გავლენის მექანიზმები მომხმარებლებზე, გამოვლენილია პროპაგანდის ხერხები და მეთოდები, რა არის **სრულად სპექტრული პროპაგანდა**, **პროპაგანდისტული მანქანის მედია ნარატივები და სხვ.**

II. სრულად სპექტრული პროპაგანდა

> „არ უსმინოთ, რასაც ჩვენზე ამბობენ, უსმინეთ, რასაც ვამბობთ ჩვენ.“[10]

2019 წლიდან მოყოლებული, „ისლამური სახელმწიფოს“ დამარცხების მიუხედავად, „დაიშის“ პროპაგანდისტული მანქანა აგრძელებდა ონლაინ და ოფლაინ მუშაობას, ისეთ დონეზე, რომელიც მიუწვდომელი იყო სხვა ტერორისტული დაჯგუფებისთვის.

The International Centre for Counter-Terrorism (ICCT), <https://icct.nl/publication/islamic-state-2025-evolving-threat-facing-waning-global-response> [10.07.2025]

7 Gartenstein-Ross D., How Many Fighters Does the Islamic State Really Have? War on the Rocks, <https://warontherocks.com/2015/02/how-many-fighters-does-the-islamic-state-really-have/> [10.07.2025]

8 **ირთიდად (რიდა)** – რჯულგანდგომილება ისლამიდან, ყველაზე დიდი ცოდვა. ირთიდადის ჩამდენს უწოდებენ მურთადს – რჯულგანდგომილს (არაბ.: مرتد; ტრანსლიტ.: მურთად).

9 იხ., გელოვანი, 2024, 27-83.

10 Weiss, Hassan, 2015, 157.

„დაიშის“ შექმნის მომენტიდან ერაყში,[11] აბუ მუსაბ აზ-ზარკავიმ შეიმუშავა პროპაგანდის რთული და ფართო სისტემა – ავრცელებდა ფოტოებს; გამოსცემდა ჟურნალებს, გაზეთებს, წიგნებს და ბროშურებს რამდენიმე ენაზე; წერდა განცხადებებს; ტრანსლირებდა რადიო გადაცემებს; იღებდა ვიდეორგოლებს; ამუშავებდა ინფოგრაფიკას; ქმნიდა დახურულ სადისკუსიო პლატფორმებს; მოახდინა სოციალურ ქსელებში აქტივობების მოდელირება და „საინფორმაციო“ პუნქტების ორგანიზება კონტროლირებად ტერიტორიებზე; ამუშავებდა აპლიკაციებს სმარტფონებისთვის და სასწავლო ელექტრონულ თამაშებს ბავშვებისათვის. გამოქვეყნებული მასალების რაოდენობა განცვიფრებას იწვევს. სხვადასხვა მონაცემის მიხედვით, ერთ კვირაში 2015 წლის აპრილის თვეში გავრცელდა არანაკლებ 123 შეტყობინება; მარტო ერთ დღეში იყო 44000 “Tweet”, როცა ISIS შედიოდა მოსულში; დაითვალეს „9000 ვიდეო, ფოტორეპორტაჟი, რომელიც აიტვირთა ნახევარ წელიწადში (2015 წლის იანვარი-2016 წლის აგვისტო); თვითონ ISIS-მა განაცხადა 720-ზე მეტი ვიდეორგოლის, 1780 ფოტორეპორტაჟის (თითქმის 15 000 სურათი) და 150 აუდიოჩანაწერის და ლოზუნგის გამოქვეყნების შესახებ 2015 წლის განმავლობაში.[12]

რამ გახადა „დაიშის“ პროპაგანდა ასეთი უპრეცედენტო? რა თქმა უნდა, არა თემების ორიგინალობამ, რომელსაც ის ავრცელებდა. არცერთი ფორმატი, რომელსაც ის იყენებდა, ჟურნალი იქნება თუ ვიდეო, სხვა დაჯგუფებებს არ გამოუყენებიათ. „დაიშის“ პროპაგანდა უპრეცედენტოა იმიტომ, რომ ის პირველი მყარი და წარმატებული მცდელობაა, ტერორისტულ დაჯგუფებას შეექმნა „სრულად სპექტრული პროპაგანდა“.

ექსეტერის უნივერსიტეტის გამოცემა „დაიშის პროპაგანდა: სრულად სპექტრული ექსტრემისტული გზავნილი“, რომელიც შეადგინეს სხვადასხვა დარგის დასავლელმა მკვლევრებმა, მნიშვნელოვანი წყაროა „დაიშის“ პროპაგანდის თავისებურებების გაგებისათვის, რომელსაც ავტორებმა „სრულად სპექტრული პროპაგანდა“ (ინგლ.: Full-spectrum propaganda) უწოდეს და რომელიც მოიცავს

---

[11] **ალ-კაიდა ერაყში** (არაბ.: **القاعدة في العراق**, ტრანსლიტ.: ალ-კაიდა ფი ალ-ირაკ; ინგლ.: Al-Qaeda in Iraq, AQI), – „ალ-კაიდასთან“ აფილირებული სალაფიურ-ჯიჰადისტური დაჯგუფება, რომელიც არსებობდა ერაყში 2004-2006 წლებში. თავდაპირველად ორგანიზაციას ეწოდებოდა **ჯამაათ ათ-თავჰიდ ვა ალ-ჯიჰად** (ინგლ.: Organization of Monotheism and Jihad ან JTJ) – **ერთღმერთიანობის და ჯიჰადის საზოგადოება,** რომელიც 1999 წელს დაარსა იორდანელმა ტერორისტმა **აბუ მუსაბ აზ-ზარკავიმ** (ინგლ.: Abu Musab al-Zarqawi, 1966-2006 წწ.). ერაყში დაჯგუფება გადაიქცა ფართო ქსელად, რომლის მიზანი იყო ერაყის შიიტებისგან გაწმენდა და ისლამური სახელმწიფოს შექმნა. 2004 წელს აზ-ზარკავიმ შეჰფიცა უსამა ბინ ლადინს და ორგანიზაციას ეწოდა **„ალ-კაიდა ერაყში“** (ინგლ.: Al-Qaeda in Iraq, AQI).

[12] Baele, 2019, 1-2.

მთელ დიაპაზონს და პროცესებს, დაკავშირებულს ისეთ საქმიანობასთან, როგორიცაა, „სრულად სპექტრული დიპლომატია“, „სრულად სპექტრული ეკონომიკა“, ან „სრული დომინირების“ მიღწევა.[13]

როგორც მეცნიერები წერენ, „დაიშმა“ მტკიცედ მისდია კლასიკური პროპაგანდის თეორეტიკოსის, ჟაკ ელულას (Jacques Ellul, 1912-1994 წწ.) არგუმენტებს იმის შესახებ, რომ პროპაგანდისტმა უნდა „გამოიყენოს ყველა მასთან არსებული ტექნიკური საშუალებები – პრესა, რადიო, ტელევიზია, ფილმები, პლაკატები, შეხვედრები, სახლების შემოვლა (კარდაკარ სიარული აგიტაციის მიზნით)... სტატიას გაზეთში აქ, პლაკატი და რადიოგრამა იქ“. დაჯგუფებისთვის პროპაგანდის გაფართოება იმ ამპლიტუდამდე, რომლისთვისაც არ მიუღწევია სახელმწიფოსაც, იყო საშუალებაც და გამოწვევაც, დაკავშირებული მნიშვნელოვან დანახარჯებთან. „პროპაგანდისტმა“, ელულის თქმით, „პროპაგანდის ელემენტები უნდა გააერთიანოს ნამდვილ ორკესტრირებაში,... უნდა მოახდინოს მათი ორგანიზება“. ნათელია „დაიშის“ სურვილი, გააერთიანოს პროპაგანდისტული თავსატეხის ნაწილები „პროპაგანდისტულ ქსელში“, რომელიც მოიცავს თავის აუდიტორიას ერთიანი და თანმიმდევრული ნარატივის შიგნით.[14]

„დაიშის“ სრული მასშტაბური პროპაგანდისტული კამპანიის სამი მნიშვნელოვანი ნიშანი, რომელიც მისი სტრატეგიული ლოგიკის პროდუქტია და ხელს უწყობდა მის რეალიზაციას, იყო: *მრავალგანზომილებიანობა, თანმიმდევრულობა, ყოვლისმომცველობა,* რომელთაგან განსაკუთრებით გამოვყოფდით პირველს: მრავალგანზომილებიანობას.

„დაიში“ აწარმოებდა პროპაგანდას სხვადასხვა მიზნის მხარდასაჭერად: ტაქტიკური და სტრატეგიული, ხანმოკლე და გრძელვადიანი, ლოკალური და გლობალური. სინამდვილეში მისი ძალისხმევა ეხებოდა თითქმის პროპაგანდის ყველა სახეობას: *„სააგიტაციო პროპაგანდას“* – საზოგადოების ასაღელვებლად; *„ინტეგრაციულ პროპაგანდას“* – მოწოდებული საზოგადოების გაერთიანებისკენ; *„თეთრ პროპაგანდას“* – სარწმუნო ინფორმაციის გამოყენება; *„შავ პროპაგანდას“* – ცრუ ინფორმაციის გამოყენება; *„ბიუროკრატიულ პროპაგანდას“* – თითქოს და სამეცნიერო ინფორმაციის წარმოდგენა; *„კონტრპროპაგანდას“* – კონკურენტების პროპაგანდის წინააღმდეგ; *„სიძულვილის პროპაგანდას“* – სოციალური ჯგუფების მიმართ; *„დეზინფორმაციულ პროპაგანდას“* – აიძულოს მოწინააღმდეგე დაიჯეროს და გამოიყენოს საკუთარი ტენდენციური ინფორმაცია; *„პროპაგანდას მოქმედებით“* – გადასცემენ პროპაგანდისტულ გზავნილებს.

---

[13] იქვე, 1-4.

[14] იქვე, 4.

ფაქტობრივად „დაიშს“ არ გამოუტოვებია პროპაგანდის რომელიმე სახეობა. იმისათვის, რომ ასეთ მრავალგეგმიურ ძალისხმევას ემუშავა, „დაიშის“ გზავნილი მოიცავდა უარყოფითი და დადებითი შინაარსის რთულ ნაზავს, შეკრულს დიდ, ერთიან სურათში (ძალიან მსგავსი იმისა, რასაც აკეთებდა ნაცისტური პროპაგანდა, რომელიც თამაშობდა ემოციებსა და გონებაზე, აკრიტიკებდა მტრებს და აქებდა მეგობრებს, ესაუბრებოდა ამ მტრებს და მეგობრებს და ასევე იმათ, ვინც მათ შორისაა). მართალია, ყოვლისმომცველი პროპაგანდა არ იყო სრულად მიღწეული, მაგრამ ISIS-ის პროპაგანდისტები მიუახლოვდნენ მათ ნაცისტ და საბჭოთა კოლეგებს. ამასთანავე, როცა საქმე მიდის „დაიშის“ პროპაგანდამდე, საზოგადოებაში ჭარბობდა არასწორი წარმოდგენები, როგორც მოუწესრიგებელი ნაკადი საშინელი ვიდეო რგოლებისა თავების მოკვეთით, რაც კიდევ უფრო მეტად კვებავდა ფესვგადგმულ ცრუ წარმოდგენებს ტერორიზმის თაობაზე. ან-ნურის მეჩეთი მოსულში გახდა „დაიშის“ აღზევების და დაცემის სიმბოლო. აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის „ხალიფას“ სახით პირველი გამოჩენის შემდეგ, ან-ნურის მეჩეთის ცნობილი დახრილი მინარეთის დანგრევამდე, არის შეხსენება იმისა, სახეებს და ნარატივებს როგორ შეუძლია გავლენა მოახდინოს აუდიტორიის მიერ კონფლიქტისა და მისი მონაწილეების შესახებ აღქმაზე.[15]

III. „დაიშის“ პროპაგანდისტული მანქანის მედია ნარატივები

„დაიში“ აქტიურად ავითარებდა თავის თეორიას და ომის წარმოების პრაქტიკას, ვინაიდან ეყრდნობოდა ძირითადად მტკიცებულებას – იყენებდა რა წინასწარმეტყველურ მეთოდს (მანჰაჯს)[16] თავის მისწრაფებაში სახალიფოსკენ. ISIS-მა თავისი პროპაგანდისტული ჟურნალის, “Dabiq”-ის[17] პირველი ნომერი მიუძღვნა

---

15 იქვე, 5-20.

16 **მანჰაჯ** (არაბ.: **منهج**; ინგლ.: Manhaj) – ნათელი პირდაპირი გზა, მუსლიმის ცხოვრების წესი, დამყარებული „აკიდაზე“ (არაბ.: **عقيدة**; ინგლ.: Aqidah) – ისლამის მრწამსზე. მასში იგულისხმება მიწაზე ალაჰის ბრძანებების განხორციელების მეთოდი. მეთოდიკა, რომლის მეშვეობით მიიღწევა ჭეშმარიტება.

17 **დაბიკი** (ინგლ.: Dabiq, არაბულიდან: **دابق**) – “IS”-ის ციფრული ინგლისურენოვანი ჟურნალი, რომელსაც იყენებდა პროპაგანდისა და მომხრეების გადაბირებისთვის. ეწოდა სირიის ქ. დაბიკის საპატივცემულოდ, სადაც გადმოცემის თანახმად სამყაროს აღსასრულს გაიმართება ფინალური ბრძოლა ქრისტიანულ დასავლეთსა და მუსლიმებს შორის. გამოცემას უზრუნველყოფდა „დაიშის“ მედია ფრთა Al-Hayat Media Center-ი. გამოდიოდა ასევე ჟურნალის ყალბი ვერსიები. 2016 წ. „დაიშის“ ბოევიკებმა დაკარგეს კონტროლი დაბიკზე და N15 გახდა ბოლო გამოცემა.

მისი ადგილი დაიკავა ინტერნეტ-ჟურნალმა **„რუმია“** (ინგლ.: Rumiyah, არაბულიდან: **رومية**) – ინგლისურ, თურქულ, უიღურულ, პუშთურ, რუსულ, გერმანულ, ინდონე-

ნარკვევს – „ჰიჯრიდან სახალიფომდე“ (2014 წელი). ჟურნალში დაწვრილებით იყო წარმოდგენილი ISIS-ის სამხედრო-პოლიტიკური კამპანიის ეტაპები, ჰიჯრის სტრატეგიის, ჯამაათის (მორწმუნეთა თემის შექმნა), ტაღუთების დესტაბილიზაციის (რეჟიმების და ჯგუფების კერპთაყვანისმცემლობა), თამქინის (კონსოლიდაცია) და სახალიფოს დასაბუთება, რაც დევს მის საფუძველში. ამასთანავე, „დაიშის“ მიერ სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგიის მიღება არაა უნიკალური და ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე მეამბოხეთა აზროვნებასა და პრაქტიკაში, როგორც ისლამურ სივრცეში, ისე მის გარეთ (მაგ., „ირლანდიის რესპუბლიკური არმია“ – IRA).

„დაიშის“ წარმატებული ოპერაციის აღწერა მოსულში, თავის საინფორმაციო ბიულეტენში, ასახავდა ძალადობრივი არასახელმწიფო პოლიტიკური ჯგუფის წინააღმდეგობას სახელმწიფო ძალებთან, რომლებსაც, როგორც წესი, აქვთ მნიშვნელოვანი უპირატესობა, რესურსების, ტექნოლოგიების, პერსონალის და შესაძლებლობების თვალსაზრისით. ეს მოხდა ISIS-ის სტრატეგიის ცვლილების შემდეგ, როცა მისი ძალები ტოვებდნენ უდაბნოს ციტადელებს ერაყში და გზას იკაფავდნენ ქალაქებისკენ.[18]

ძლევამოსილების პერიოდში და შემდეგაც, „დაიშმა“ დიდი „ინვესტიციები“ ჩადო კავშირებისა და პროპაგანდის ინფრასტრუქტურაში, რათა გაეგრძელებინა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ბოევიკების მოზიდვა. ISIS-ის „ინფორმაციის სამინისტრო“ ამას ახერხებდა თავისი ოთხი მთავარი ორგანოს მეშვეობით: Al-Furqan, Al-Itissam, Al-Hayat და Al-Ajnad. ეს გამოცემები, დახვეწილი ინფოგრაფიკით, რამდენიმე ენაზე გამოდიოდა. თვეში ვრცელდებოდა ასობით სააგიტაციო მასალა, რომელიც შედგენილი იყო მედიის საკითხებში რეგიონული კომიტეტების მიერ. ასეთი პროპაგანდის ზემოქმედება ძალიან მძლავრი იყო, რაც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ფინანსები.[19]

„დაიში“ ნათლად ხედავდა მედიასაშუალებების საჭიროებას თავისი პოლიტიკური გზავნილების და ისლამისტური იდეოლოგიის გავრცელებაში, ეფუძნებოდა „ელექტრონული ჯიჰადის“ კონცეფციას. მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმოებაში ყველაზე გავლენიანი გახდა Al-Furqan, სხვა მედია საშუალებების

ზიურ და ფრანგულ ენებზე. ნომერი გამოვიდა 2016 წლის სექტემბერში. სახელწოდება მოდის რომის არაბული დასახელებიდან „რუმ“, რომელიც სიმბოლიზირებს ქრისტიანობის დედაქალაქს და დასავლეთის ცივილიზაციის სიმძლავრეს. 2017 წლის იანვარში გამოვიდა ჟურნალის მე-5 ნომერი. 2017 წლის თებერვალში გამოჩნდა ჟურნალის ყალბი ვერსია და „დაიშის“ მომხრეები ფიქრობდნენ, რომ ყალბი ნომრები გამოუშვეს სპეცსამსახურებმა, მაგ., CIA-მა, რათა გაერკვიათ, თუ ვინ კითხულობდა ასეთ გამოცემებს.

[18] Ingram, 2019, 23.

[19] Levallois, Cousseran, 2017.

წარმოების დაწესებულებებთან შედარებით, რომლებიც ეკუთვნოდა ისეთ ორგანიზაციებს, როგორიცაა al-Etisam Institute, al-Hayat Center, Aamaq Institute, al-Battar, Dabiq Media, al-Khilafah, Ajnad, al-Ghurabaa, al-Israa, al-Saqeel, al-Wafaa, Nasaaim Audio, al-Barakah და al-Khair.

Dabiq-ის გარდა დაჯგუფება გამოსცემდა ჟურნალებს არაბულ და ინგლისურ ენებზე, როგორიცაა, al-Shamikhah, შექმნა ადგილობრივი რადიოსადგურები – Al-Bayan მოსულში და კიდევ ერთი სირიის ქალაქ არ-რაკაში. ორგანიზაცია მართვადა ონლაინ-ბლოგებს. მედიაპროდუქცია ითარგმნებოდა სხვადასხვა ენაზე, მათ შორის, ინგლისურზე, ფრანგულზე, გერმანულზე, ესპანურსა და ურდუზე.[20]

ორგანიზაცია აკონტროლებდა რამდენიმე ვებგვერდსა და ონლაინ-ფორუმს, რომლებიც სთავაზობდნენ ლიტერატურის ფართო სპექტრს მის იდეოლოგიაზე, დისკურსზე, გადაბირების მეთოდებზე, სახსრების მოგროვებაზე, საიდუმლო საქმიანობაზე, ბრძოლის ტაქტიკაზე, ბომბების დამზადებასა და იმ ყველაფერზე, რაც ჯიჰადისტმა უნდა იცოდეს საბრძოლო მოქმედებების და ბანდიტიზმის დროს. ვიდეოს და სხვა მასალების ხარისხი, რომელიც მომზადებული იყო Al-Furqan-ის და Al-Etisam-ის მიერ, მოწმობს მნიშვნელოვან ცვლილებებზე სტრუქტურაში, რესურსებში, ძალადობრივ ტაქტიკასა და „დაიშის“ მიერ ომის წარმოების სტრატეგიაში.[21]

ორგანიზაციამ გამოუშვა პროფესიონალურ დონეზე შესრულებული ვიდეორგოლების სერია, რომელიც ხშირად დემონსტრირებდა გრაფიკულ დეტალებში თავის მოკვეთას ან სიკვდილით დასჯას. ერთ-ერთი პირველი, მაღალ დონეზე დამზადებული და ყველაზე მეტად გავრცელებული ვიდეო ინტერნეტსივრცეში, რამაც მსოფლიო საზოგადოება შეძრა და ემოციური შოკი გამოიწვია, იყო **„ხმლების ჟღარუნი“** (არაბ.: **صليل الصوارم**; ტრანსლიტ.: სალილ ას-სავარიმ; ინგლ.: Clanging of the Swords), რომლის ოთხი ეპიზოდი ხელმისაწვდომი გახდა შესაბამისად, 2012 წლის ივლისში, 2012 წლის აგვისტოში, 2013 წლის იანვარსა და 2014 წლის მაისში.

მას შემდეგ, რაც 2014 წლის ივნისში „დაიშმა“ დაიმორჩილა მოსული, გამოაქვეყნა საშინელი შინაარსის ვიდეორგოლების სერია, რომელზეც აღბეჭდილია თავის მოკვეთის სასტიკი მომენტები. პირველ მათგანში – „გზავნილი ამერიკას“ – ნაჩვენები იყო ISIS-ის წევრი, რომელიც თავს კვეთს მძევალს, ამერიკელ ჟურნალისტ ჯეიმს ფოულის. 2014 წლის 2 სექტემბერს გამოქვეყნებულ მეორე ვიდეოში, იგივე დასახელებით, ნაჩვენები იყო სხვა მძევლის, ამერიკელი ჟურნალისტის, სტივენ სოტლოფის, თავის მოკვეთა. 2014 წლის 14 სექტემბერს ორგა-

[20] Haniyeh H.A., Daesh's Organisational Structure, <https://studies.aljazeera.net/en/dossiers/decipheringdaeshoriginsimpactandfuture/2014/12/201412395930929444.html> [10.07.2025]

[21] Hashim, 2018, 178-181.

ნიზაციამ გამოუშვა მესამე ვიდეო „გზავნილი ამერიკის მოკავშირეებს“, სადაც „დაიშის“ წევრები თავს კვეთენ ბრიტანელ მძევალ დევის ჰეინსს, ხოლო 3 ოქტომბერს – კიდევ ერთი ვიდეო, სადაც ნაჩვენებია მეორე ბრიტანელი მძევლის, ალან ჰენინგის, თავის მოკვეთა, მუქარით, რომ თავს მოკვეთდნენ მესამე ამერიკელ მძევალს, აბდულრაჰმან (პიტერ) კასინგს.

„დაიშის“ ფილმებიდან ბევრი ნახვა ჰქონდა “YouTube”-ზე „საზღვრების მსხვრევას“ (არაბ.: **كسر الهدود**; ტრანსლიტ.: ქასრ ალ-ჰუდუდ; ინგლ.: Smashing Borders), რომელიც აიტვირთა 2014 წლის 29 ივნისს, და ასევე აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის 5 ივლისის მიმართვას მოსულში.

ISIS-მა ასევე ატვირთა ვიდეორგოლების სერია სახელწოდებით – „წერილები ეპოსის მიწიდან“ (არაბ.: **رسائل من ارض الملاحم**; ტრანსლიტ.: რაილ მინ არდ ალ-მალაჰიმ; ინგლ.: Messages from the Land of Epics), რომელშიც დოკუმენტურად აღბეჭდილია ტერორისტების გამარჯვებები და საბრძოლო ოპერაციები. ატვირთულ იქნა 50-მდე ეპიზოდი. ვიდეორგოლების სხვა სერიას ეწოდა „გაფანტეთ ისინი მათ ზურგს უკან“ (არაბ.: **فشرد بهم من خلفهم**; ტრანსლიტ.: ფაშარიდ ბიჰიმ მინ ხალფიჰიმ; ინგლ.: Scatter them from Behind).[22]

პირველი ნაწილი ეძღვნება ბრძოლას, რომლის შედეგად 2014 წლის 23 აგვისტოს დაკავებულ იქნა არ-რაკას ბრიგადის 93-ე ბაზა, ხოლო მეორე ნაწილი – Al-Tabga-ის ავიაბაზის დაკავებას 2014 წლის 7 სექტემბერს. კიდევ ერთი დადგმა – „წინასწარმეტყველთა გზაზე“ (არაბ.: **على منهاج النبوة**; ტრანსლიტ.: ალაა მინჰაჯ ან-ნუბუვა; ინგლ: On the Path of the Prophet) გამოშვებულ იქნა 2014 წლის 28 ივლისს.

ვიდეო „ომის ცეცხლი“ (არაბ.: **لهيب الحرب**; ტრანსლიტ.: ლაჰიიბ ალ-ჰარბ; ინგლ.: The Flames of War) – „დაიშის“ ერთ-ერთი ხარისხიანი და მოცულობით დიდი დადგმაა, თან ყველაზე საშინელი. იგი მოიცავს „დაიშის“ მრავალი ბრძოლის გაშუქებას, ასევე კოალიციის ქვეყნებისადმი მიმართვას (დაამზადა „დაიშის“ ინგლისურენოვანმა “Al-Hayat Centre”-მა, გამოქვეყნდა 2014 წლის 17 სექტემბერს).[23]

ჯიჰადისტებმა გაიაზრეს, რომ გამოსახულებები, აუდიოშეტყობინებები და ვიდეოები მრავალწახნაგოვან და დიდ როლს თამაშობს ფსიქოლოგიურ ომში და გადაბირებაში. აზ-ზარკავის ინტერნეტჯიჰადი დაიწყო ჯერ კიდევ “YouTube”-ის და “Liveleak”-ის გამოჩენამდე, როცა ვიდეოს გამოქვეყნება ინტერნეტში იყო ძნელი და ძალიან დიდ დრო მიჰქონდა. ზარკავის ქსელი ეყრდნობოდა ჯიჰადისტების და სანდო წევრების ონლაინფორუმებს, ვიდეოების და პრეს-რელიზების ატვირთვისა და გავრცელებისთვის.[24]

---

22 Haniyeh, Rumman, 2015, 276-277.

23 იქვე, 278.

24 Hashim, 2018, 179.

ისეთი ვიდეოების ატვირთვას, როგორიც იყო ამერიკელი ნიკოლას ბერგის თავის მოკვეთა, დასჭირდა რამდენიმე საათი, ხოლო ჩამოტვირთვას – კიდევ რამდენიმე. მას შემდეგ, რაც ვიდეო განათავსეს ჯიჰადისტების ფორუმზე „ანსარ ალ-ისლამი“, საიტი გაიჭედა, ჩამოწერის დიდი რაოდენობის გამო. მიუხედავად ასეთი სირთულეებისა, აზ-ზარკავი ინტერნეტს ძირითად მედიასაშუალებად იყენებდა.

ციფრული ტექნოლოგიების დახვეწასთან ერთად, ათი ათასობით ჯიჰადისტი არ ჩამორჩა მსოფლიოს და დიდი მოცულობის მასალას ავრცელებდა. დაჯგუფებამ დანერგა ეს ინსტრუმენტები, იყენებდა უახლეს ინტერნეტტექნოლოგიებს და სოციალურ ქსელებს მასშტაბური, ონლაინკამპანიების წარმოებისთვის მასმედიაში, რომელიც გამოყენებოდა ჯიჰადის პროპაგანდისთვის, ურთიერთობებისთვის, გადაბირებისა და ფსიქოლოგიური ომის წარმოებისთვის.

ასე, ტერორისტებისთვის “Twitter” (2023 წლიდან “X”) გახდა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, მისი გამოყენების სიადვილისა და სწრაფი განახლებების წარდგენის უნარის გამო, განუსაზღვრელი რაოდენობა მნახველისათვის. ზოგიერთი ჯიჰადისტის აქტიურობა იქამდეც კი მივიდა, რომ დაიწყეს “Twitter”-ზე პირდაპირი ეთერით ვიდეოების ატვირთვა საბრძოლო მოქმედებების დროს და რაიმე ცენზურის გარეშე ავრცელებდნენ ინფორმაციას ბრძოლების შედეგად დაღუპულ თანამებრძოლებზე.

ISIS ეწეოდა კარგად კოორდინირებულ ონლაინქსელის ორგანიზებას რამდენიმე მომხმარებლის ანგარიშით “Twitter”-ში. ზოგიერთი გამოიყენებოდა მმართველობის შეტყობინებების პუბლიკაციისთვის; სხვები ქსელების შექმნითა და პერსონალის შეკრებით იყო დაკავებული, რომ მოეზიდათ მიმდევრები და კვალიფიციური სპეციალისტები, ისეთები, როგორიცაა, ექიმები ან ინჟინრები, მათი უნარ-ჩვევების საჭიროების გამო.

Al-Itisam, რომლის საქმიანობა დაიბლოკა “Twitter”-ზე 2014 წლის 13 ივნისს, 50 ათას ხელმომწერს ითვლიდა და იყო „დაიშის“ საინფორმაციო ცენტრი. Ajnad აქვეყნებდა “Twitter”-ში რელიგიურ ციტატებს ყურანიდან თავისი 36 500 გამომწერისთვის. Al-Furqan-ს, „დაიშის“ ოფიციალურ საინფორმაციო ფრთას, ჰქონდა საკუთარი გვერდი “Twitter”-ზე, სადაც ათავსებდა „დაიშის“ ლიდერთა შეტყობინებებს, ასევე თავის მოკვეთის ვიდეოებს და გამოსახულებებს თავისი ათასობით გამომწერისთვის. Al-Hayat Media Center ეწეოდა დასავლეთიდან გადაბირების კამპანიას და ინფორმაციას ავრცელებდა ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ენებზე.

„დაიშს“ ასევე ჰქონდა რამდენიმე ადგილობრივი გვერდი თავისი „სახელმწიფოს“ საქმიანობის შესახებ სხვადასხვა პროვინციაში. ისინი მიზნად ისახავდნენ ერაყსა და სირიაში სუნიტი მუსლიმების გულების მოგებას. საკუთარი გვერდებისა და მედიის გარდა, იგი მხარს უჭერდა 30 სხვა ონლაინ მედიაჯგუფს, მაგა-

ლითად, Al-Battar Media Group-ს, რომელსაც 32 000 გამომწერი ჰყავდა და მუდმივად მუშაობდა “Twitter”-ის წევრების მობილიზებაზე. 2014 წლის ივნისში ISIS-მა წამოიწყო სოციალური მედიაკამპანია სამხედრო ვითარებაზე ყურადღების მისაპყრობად.[25] “Twitter”-ში გამოქვეყნდა ერაყის უსაფრთხოების სამსახურის (ISF) დატყვევებული თანამშრომლების ფოტოები. ISIS-მა წარმოადგინა დეტალური ინფორმაცია თავისი ოპერაციების, მათ შორის, აფეთქებების, თვითმკვლელი ტერორისტების და ჩადენილი მკვლელობების რაოდენობის შესახებ.

შედარებისთვის, „ალ-კაიდა“ ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებდა ჯიჰადისტურ, პაროლით დაცულ ფორუმებს – “Shamoukh” და “Fidaa” და შესასვლელად იყენებდნენ პროქსი-სერვერებს ინტერნეტპროვაიდერების სახელების შესანიღბად.[26]

„დაიშის“ შესახებ ბესტსელერის, “ISIS: Inside the Army of Terror”-ის, ავტორები მაიკალ ვეისი და ჰასან ჰასანი წერენ, რომ დაჯგუფება ითვალისწინებდა წინამორბედი ჯიჰადისტების შეცდომებს და ოსტატურად უპირისპირებდა თავის პროპაგანდას უცხოური პრესის მცდელობებს ჩამოეყალიბებინა მასზე ნეგატიური საზოგადოებრივი აზრი. **„არ უსმინოთ, რასაც ჩვენზე ამბობენ, უსმინეთ, რასაც ვამბობთ ჩვენ“**, – ეს ფრაზა არაერთხელ ისმოდა ვაისის და ჰასანის ინტერვიუების დროს „დიაშის“ ბოევიკებთან.[27]

მუვაფაკ არ-რუბაი იყო ერთ-ერთი იმათგანი, ვინც მიიჩნევდა, რომ ტერორის არმიის პოპულარობის ზრდა ხდება სოციალური ქსელების მეშვეობით. “Al-Jazeera”-სთან ინტერვიუში მან განაცხადა, რომ “Twitter”-ის და “Facebook”-ის წყალობით 30 ათასმა ერაყელმა ძალოვანმა იარაღი დაყარა, გაიხადა სამხედრო ფორმა და უბრძოლველად ჩააბარა მოსული. შესაძლოა, არ-რუბაიმ ცოტათი გადააჭარბა, მაგრამ მთლიანობაში ეს სიმართლეს შეესაბამება.[28]

სწორედ მოსულის დაცემამდე ორი კვირით ადრე, ISIS-ის მედია დეპარტამენტმა “Al-Furqan”-მა გამოუშვა თავისი ცნობილი „ხმლების ჟღარუნის“ მეოთხე ეპიზოდი, რომლის გამოქვეყნება ნათელი დემონსტრაცია იყო იმისა, რომ „ისლამურ სახელმწიფოს“ შეუძლია შექმნას დახვეწილი, აუდიტორიაზე ზუსტად მოქმედი პროპაგანდისტული ფილმები, იმ კონტენტის გამოყენებით, რომელსაც, როგორც იმედოვნებდნენ დასავლელი პოლიტიკოსები და დიპლომატები, უნდა ჩაექრო საზოგადოებრივი ინტერესი ამ დაჯგუფების მიმართ.

---

25 იქვე, 180.

26 იქვე, 181.

27 Weiss, Hassan, 2015, 157.

28 Weiss, Hassan, 2015, 157.

"Al-Furqan"-ის შვილობილმა კომპანიამ "Al-Itasimu"-მ გამოაცხადა "Twitter"-ზე „სალილ ას-სავარიმის" მეოთხე ნაწილის გამოქვეყების თაობაზე 2014 წლის 17 მარტს. ვიდეო დაიდო პირველი დონის ჯიჰადისტურ ფორუმზე. „სალილ ალ-სავარიმის" ვიდეოები ძალიან პოპულარული გახდა, დამონტაჟებული იყო მაღალი ხარისხით და დემონსტრირებდა უკიდურესად უხამს ძალადობას, იდეოლოგიის ნაზავს მოქმედებაში.[29] მქადაგებელი, რომელიც იქნევს ხმალს, აცხადებს „ისლამური სახელმწიფოს" შექმნას და აფრთხილებს „ქაფირებს"[30] და იერუსალიმის იუდეველებს, რომ ჯიჰადისტები ომით მიდიან მათზე. ამის შემდეგ ის ხევს პასპორტებს. ვხედავთ ე.წ. „მონადირეებს რაფიდიებზე",[31] რომლებიც გზაზე მიდიან მანქანებით და ესვრიან შიიტ ჯარისკაცებს, რომლებიც მიემართებოდნენ ერაყის არმიის ქვედანაყოფებთან შესაერთებლად. ტყვიებით დაცხრილული ავტომანქანების შიგნით სამოქალაქო ტანსაცმელში ახალგაზრდა ბიჭების დასისხლიანებული გვამებია. ვინც ინძრევა, ესვრიან. ხმა განმარტავს, რომ თუ წარსულში იყავით „ალ-ანბარის გამოღვიძების საბჭოების" (AAC) წევრი ან სუნიტი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც მხარს უჭერდა ერაყის მთავრობას, შეგიძლიათ „მოინანიოთ და შეწყვიტოთ ბრძოლა მუჯაჰიდების წინააღმდეგ". ამ შემთხვევაში, გარანტირებული გექნებათ „მოწყალება" და ყველა თქვენი წარსული დანაშაული ISIS-ის წინააღმდეგ დავიწყებას მიეცემა, მაგრამ მონანიება უნდა მოხდეს იქამდე, ვიდრე ISIS „თქვენამდე მოვა". ასევე, ყველა სუნიტს, რომლებიც მსახურობს ჯარში, პოლიციაში ან დაზვერვაში, ურჩევენ, იარაღი მიმართონ მათ წინააღმდეგ, ვისკენაც საჭიროა. „თქვენ გეჭირათ იარაღი და იდექით ამ რაფიდიელებთან ერთად,

---

29 Prucha N., Is this the Most Successful Release of a Jihadist Video Ever?, <https://www.jihadica.com/is-this-the-most-successful-release-of-a-jihadist-video-ever/> [10.07.2025]

30 **თაქფირიზმი** (არაბ.: **تكفيري**; ტრანსლიტ.: თაქფირიი) ეგვიპტური წარმოშობის რადიკალურ-ისლამისტური იდეოლოგია, რომლის საფუძველია ადამიანის დადანაშაულება ურწმუნობაში − ქუფრში (არაბ.: **كفر**) − ტერმინი, რომლითაც ისლამში აღნიშნავენ ყველაზე საშინელ ცოდვას. ადამიანს, რომელიც გახდა ურწმუნო უწოდებენ **ქაფირს** (არაბ. **كافر** - ურწმუნო, ურჯულო, უცხო რჯულის, უცხო სარწმუნოების). აქ იგულისხმებიან ადამიანები, რომლებიც აღმსარებლობენ სხვა არამუსლიმურ რელიგიას, ამასთანავე ქრისტიანებისა და იუდეველთათვის გამოიყენება სპეციალური ტერმინი „საღმრთო წერილის ხალხი" (არაბ.: აჰლ ალ-ქითაბ). ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ თაქფირიზმი ეგვიპტეში რეპრესიული ავტორიტარიზმის და ეგვიპტური რეჟიმების რიგი წარუმატებლობის შედეგია, პოლიტიკური ოპოზიციის მიმართულების საქმეში, დაწყებული 1952 წლიდან. თაქფირიზმის დაბადება გამოიწვია ღვთისმეტყველ საიდ კუტბის (1906-1966 წწ.) ნაშრომების რადიკალურმა ინტერპრეტაციამ. თაქფირიზმ-ჯიჰადიზმის გამავრცელებლები არიან ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციები და „დაიშის" იდეოლოგიის ძირითადი ნაწილია.

31 **რაფიდი, რაფიდიები** (არაბ. მრ.:**روافض ; رافضة**; ტრანსლიტ.: რაფიდა; არაბ. მხ.: **رافضي**; ტრანსლიტ.: რაფიდი; ინგლ. მრ.: Rejectors, ნიშნავს „ისინი ვინც უარყოფს") − დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი სიტყვა შიიტების მიმართ, რომელიც დაარქვეს მათ რადიკალმა ისლამისტებმა.

იბრძოდით თქვენი შვილების წინააღმდეგ“, ამბობს ISIS-ის ერთი მებრძოლი, რომელიც სახეს ნიღბით მალავს და მიმართავს მეჩეთში მყოფ ხალხს, „ჩვენ თქვენი შვილები ვართ, ჩვენ თქვენი ძმები ვართ. ჩვენ შეგვიძლია დავიცვათ თქვენი რელიგია და ღირსება“.

„ხმლების ჟღარუნი“ ასევე აჩვენებდა, რომ ISIS იყო ყველგან და შეუძლია ნებისმიერ მტერს მიაღწიოს. აი, მისი აგენტები, ჩაცმულნი ერაყის უსაფრთხოების ძალების ფორმაში, თავს დაესხნენ AAC-ის ქვედანაყოფის მეთაურს. ახლა ისინი „ას-საჰვას“ მონაწილეებზე მონადირეები არიან – “Sahwat Hunters”. როცა მეთაურს სახლში შეიპყრობენ, ის იძახის, რომ უნდა დარეკოს ნაწილში და გაარკვიოს, ვინ არიან ეს ადამიანები – იგი შიშობს, რომ სინამდვილეში ისინი „დაიშის“ ბოევიკები არიან. განვმარტავთ, რომ “Sahwat”, იგივე AAC, ან “Sons of Iraq”, იყო ამერიკელების დახმარებით ჩამოყალიბებული გასამხედროებული სუნიტური ტომებისგან შემდგარი დაჯგუფება, რომელიც შედგებოდა ერაყის ალ-ანბარის პროვინციის მაცხოვრებლებისგან და შეიქმნა „ალ-კაიდას“ წინააღმდეგ საბრძოლველად.[32] რასაკვირველია, ეს ფილმი შორს არის ცნობილი კინორეჟისორების ნამუშევრებისგან, მაგრამ ზედმეტად ადეკვატურად გადასცემს თავის გზავნილს „სამიზნე აუდიტორიას“. ISIS-მა განაცხადა, რომ მისი შეჩერება შეუძლებელია და ბევრმა ეს დაიჯერა.[33]

„ხმლების ჟღარუნი“ რამდენჯერმე დაიდო “YouTube”-სა (ყველა ჯერზე ამოიღეს) და ფაილების გაცვლით საიტებზე (archive.org და justpaste.it), ტერორისტები და „დაიშის“ ფანატები კი გულმოდგინედ ავრცელებდნენ მას “Twitter”-სა და “Facebook”-ზე. ფილმი ქვეყნდებოდა სხვადასხვა ზომასა და ფორმატში. ამან დაჯგუფებას არა მარტო მაყურებლის აუდიტორიის მაქსიმალურად გაფართოების, არამედ მოწინააღმდეგეთა და კრიტიკოსების ხმების ჩახშობის საშუალება მისცა.

“YouTube”-ზე გამოქვეყნებიდან პირველ 24 საათში „ხმლების ჟღანური“ ნახეს 56 998-ჯერ, ხოლო საშუალო მომხმარებელმა ერთსაათიან ფილმს 17 წუთზე მეტ ხანს უყურა. ეს ნიშნავს, რომ მთლიანობაში პლატფორმის მომხმარებლებმა მარტო ამ ვიდეოს ყურებაში 686 დღე დახარჯეს. ასე, ერთი გიგაბაიტის ზომის მაღალი გარჩევადობის ფორმატს მოაქვს სიკვდილი და ქაოსი სახლისა და პორტატულ კინოთეატრებში მთელს მსოფლიოში. “YouTube”-ზე ვიდეო მოინახულეს 124 704-ჯერ, 4,204 მოწონებით და 491 არმოწონებით.[34]

---

32 Al-Rashed A., Difference between Iraq’s Sahwat and Popular Mobilization Militias, <https://english.alarabiya.net/views/news/middle-east/2017/01/08/The-difference-between-Iraq-s-Sahwat-and-Popular-Mobilization> [10.07.2025]

33 Weiss, Hassan, 2015, 158.

34 Prucha N., Is this the Most Successful Release of a Jihadist Video Ever?, <https://www.jihadica.com/is-this-the-most-successful-release-of-a-jihadist-video-ever/> [10.07.2025]

„ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ის არ ვართ, რასაც ფიქრობენ“, განაცხადა „დაიშის“ მედია აქტივისტმა: „ჩვენ გვყავს ინჟინრები, ექიმები, ჩვენ მშვენიერი მედია აქტივისტები გვყავს. ჩვენ არ ვართ „თანზიმი“ [ორგანიზაცია], ჩვენ სახელმწიფო ვართ“. მიუხედავად ასეთი თავდაჯერებულობისა, ISIS-ის პროპაგანდას ისეთივე სენი სჭირს, რაც მესიანური იდეებს: იგი აყალიბებს ცრუ მოლოდინებს, რაც გარდაუვლად იწვევს ილუზიების მსხვრევას.

აღსანიშნავია, რომ ISIS-ის მიერ გამოყენებული ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი სოციალური მედია იყო “Zello” – კოდირებული აპლიკაცია სმარტფონებისა და კომპიუტერებისთვის, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს შექმნას აუდიო შეტყობინებების არხები.[35] “Zello”, რომელიც ხშირად გამოიყენებოდა ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის მომხრე იმ აქტივისტების მიერ, ვინც ემალებოდა ავტორიტარული მთავრობების მახვილ თვალს, აითვისა ISIS-მა და მომხმარებელ “Ansar al-Dawla al-Islamiya”-ს წყალობით, რომელიც თანაუგრძნობდა მათ, დაიწყო ნაბიჯ-ნაბიჯ სახელმძღვანელოს წარდგენა ალ-ბაღდადის „ბაიათის“ შესასრულებლად.[36] არსებითად, ეს აპლიკაცია აქცევს მობილურ ტელეფონს პორტატულ რაციად, რომლის მეშვეობითაც ყველას, ვინც დაინტერესებულია ISIS-ით შეუძლია მოისმინოს მისი „სასულიერო პირების“ ქადაგებები. მომხმარებლისთვის წარმოუდგენლად მოხერხებულმა “Zello”-მ პოპულარობა მოიპოვა ISIS-ის ახალგაზრდულ აუდიტორიაში. სირიელი ჟურნალისტის, აჰმად აჰმადის სიტყვებით, მისი სოფლიდან ორი ახალგაზრდა შეუერთდა ISIS-ს მას შემდეგ, რაც მოისმინა ქადაგებები “Zello”-ს მეშვეობით.

ამის შემდეგ, როგორც წერდა ცნობილი ბრიტანელი ექსპერტი ჩარლი ვინტერი, წლების განმავლობაში „დაიშმა“ ინტერნეტში თავისი ყოფნის ტრანსფორმაცია მოხდინა, რადგან სოციალური ქსელების თუ სხვა მედია საშუალებების პლატფორმების ალგორითმებმა აღკვეთეს ეს ძალისხმევა.[37]

“Twitter” გახდა მტრული ტერიტორია არა მხოლოდ გამავრცელებლებისთვის, არამედ მათი აუდიტორიისთვისაც. მსგავსი ვითარება შეიქმნა “Facebook”-სა და “YouTube”-ზეც. ამ არასტუმარმოყვარეობის მზარდ კონტექსტში, წინა პლანზე გამოვიდა პავლე დუროვის მიერ შექმნილი პლატფორმა “Telegram”-ი. დუროვი, რომელიც ინტერნეტის თავისუფლებას უჭერდა მხარს, ამბობდა, რომ “Telegram”-ს ჰქონდა კონფიდენციალურობის მაღალი ხარისხი. შესაბამისად, მე-

[35] Weiss, Hassan, 2015, 159.

[36] **ბაია/ბაიათ** (რომანიზ.: Bai’at/ Bay’ah) – ტერმინი, რომლიც ნიშნავს შეთანხმებას, ფიცის დადებას, შეფიცვას.

[37] Winter, 2019, 7.

დიის შეფასებით, ასეთმა პოლიტიკამ მოიზიდა პლატფორმაზე ტერორისტები, ექსტრემისტები, თაღლითები, იარაღით მოვაჭრეები და ა. შ.[38]

ის რჩებოდა ISIS-ის უმნიშვნელოვანეს საკომუნიკაციო პლატფორმად. ამასთან ერთად, ორ მედიასაშუალებას წაუყენეს ბრალი ISIS-თან თანამშრომლობის გამო. ერთ-ერთი იყო “Nashir News Agency”, ხოლო მეორე – “Amaq News Agency”, „დაიშის“ ახალი ამბების წყარო “Telegram”-ში.[39]

IV. ჟამთა აღსასრული და მაჰდის მოსვლა

უმეტეს საჯარო გამოსვლაში ISIS ამართლებდა თავის არსებობას და ქმედებებს ისლამურ ესქატოლოგიაზე დაყრდნობით. განსაკუთრებით ხშირი იყო ცნობები ჰადისებზე, რომელიც მოგვითხრობს მუსლიმთა ჯარსა და „ურწმუნოებს“ შორის ბოლო ბრძოლაზე დაბიკში, ან ამაკის ველზე,[40] რაც ISIS-ის იდეოლოგიის საფუძველი გახდა და მისი მთავარი პროპაგანდისტული ჟურნალი გადამწყვეტი ბრძოლის ადგილის სახელს ატარებდა. დაბიკთან ერთად ამაკი, ისლამური ესქატოლოგიის მიხედვით, მუსლიმური აპოკალიფსისის/არმაგედონის მოვლენის, ანუ „მალჰამის“ (არაბ.: **الملحمة**; ინგლ.: Al-Malhama)[41] ადგილებად მიიჩნევა. ამიტომ „დაბიკი“ „ისლამური სახელმწიფოს“ პროპაგანდისტული ჟურნალის დასახელებად შეირჩა, ისევე როგორც „ამაკი“ ეწოდა „დაიშის“ კიდევ ერთ საინფორმაციო სააგენტოს – “Amaq News Agency”.

ვიდეოში ეს ჰადისი მოჰყავს აზ-ზარკავის, ხოლო ეკრანზე ISIS-ის მებრძოლი ნელი ტემპით მარშით მიდის და ხელში შავი ალამი უჭირავს: „ნაპერწკლიდან, რომელიც აქ გაღვივდა, ერაყში აინთება ცეცხლი, ის უფრო და უფრო გაღვივდება, ალაჰის ნებით, სანამ არ დაწვავს ჯვაროსანთა ჯარებს დაბიკში“. და როდესაც 2014 წლის აგვისტოში გამოცხადდა, რომ საერთაშორისო კოალიცია შეებრძო-

---

38 Mozur P., How Telegram’s Founder Went From Russia’s Mark Zuckerberg to Wanted Man, <https://www.nytimes.com/2024/08/26/technology/pavel-durov-telegram-founder.html> [10.07.2025]

39 Winter, 2019, 7.

40 **ამაკის ველი** (ალ-ამაკ; არაბ.: **ٱلْأَعْمَاق**; ინგლ.: Amuk, Amuq, ან Amaq Valley) – მდებარეობს ჰათაის პროვინციაში, ქ. ანტაქიასთან (იგივე ძველი ანტიოქია; ლათ.: Antiochia) თურქეთის სამხრეთ ნაწილში.

41 აქედან მომდინარეობს ყველაზე სასტიკი ბრძოლა კაცობრიობის ისტორიაში – „ალ-მალჰამათ ალ-ქუბრა“ (არაბ.: **الملحمة الكبرى**; ინგლ.: Al-Malḥamat Al-Kubra), რომელიც უნდა მოხდეს ბოლო ჟამს. ეს ბრძოლა შეესაბამება არმაგედონის ბრძოლას ქრისტიანულ ესქატოლოგიაში და ხდება ცოტა ხნით ადრე „დაჯალის“ (არაბ.: **المسيح الدجّال**; ინგლ.: Al-Masih ad-Dajjal) გამოჩენამდე. დაჯალი არის ცრუ მესია, ბოროტი ფიგურა ისლამში, რომელიც ანტიქრისტეს მსგავსია ქრისტიანობაში.

ლებოდა ISIS-ს სირიაში, აღნიშნული წარმოაჩინეს ისე, თითქოს წინასწარმეტყველება ესესაა ახდება, მით უმეტეს, რომ ამას მოჰყვა სახალიფოს გამოცხადება.

ცნობილი ჰადისის მიხედვით, როდესაც მოციქულ მუჰამადის შემდეგ სახალიფო დაარსდებოდა, ამას მოჰყვებოდა ძალადობისა და ტირანიის მეუფება. ბოლოს კი, კიდევ ერთი სახალიფო გამოჩნდებოდა – ისეთი, როგორიც იყო ნაწინასწარმეტყველები. როგორც ისლამისტური, ისე ჯიჰადისტური ორგანიზაციები ამ ამბავს ხშირად იყენებდნენ იმის ასახსნელად, რომ სახალიფო ჩაანაცვლებს ტირანულ რეჟიმებს არაბულ სამყაროში. სინამდვილეში კი, „დაიში“ ახდენდა ამ ჰადისის შინაარსის ყალბ ინტერპრეტაციას.[42]

როგორც წერდა ჯაილს ფრეიზერი, აპოკალიფსური წარმოსახვა გავლენას ახდენს რელიგიურ აზროვნებაზე, მაგრამ არც საერო პოლიტიკაა ამისგან დაზღვეული. დაბიკი (არაბ.: **دابق**; ინგლ.: Dabiq) პატარა, საკმაოდ შეუხედავი ქალაქია ჩრდილოეთ სირიაში, თურქეთის საზღვართან ახლოს. ფაქტობრივად, ეს დიდი სოფელია, დასახლებული რამდენიმე ათასი ადამიანით, რომელიც ნაკლებად ატარებს რაიმე სტრატეგიულ ინტერესს.[43]

უშუალოდ თვითონ ჰადისი შეიძლება ვიხილოთ ავტორიტეტული „საჰიჰ მუსლიმის“[44] ჰადისთა კრებულში. ბრძოლის დეტალები და დაბიკის ადგილმდებარე-

---

[42] Weiss, Hassan, 2015, 161.

[43] Fraser G., To Islamic State, Dabiq Is Important – but It's not the End of the World, <https://www.theguardian.com/commentisfree/belief/2014/oct/10/islamic-state-dabiq-important-not-end-of-the-world> [10.07.2025]

[44] **საჰიჰ მუსლიმი** (არაბ.: **صحيح مسلم**; ინგლ.: Sahih Muslim) – წარმოადგენს IX-ე საუკუნის ჰადისების კრებულს და სუნას წიგნს, რომელიც შეადგინა სპარსელმა მეცნიერმა და ღვთისმეტყველმა, სამართალმცოდნემ, **მუსლიმ იბნ ალ-ჰაჯჯაჯ ან-ნაისაბურიმ** (ინგლ.: Muslim ibn al-Ḥajjaj an-Naysaburi), ცნობილმა როგორც **იმამ მუსლიმი** (არაბ.: **إمام مسلم**; ინგლ.: Imam Muslim; ან Muslim Nayshapuri; 815/821 – 875 წწ.). იმამ მუსლიმმა სრულად მიუძღვნა თავი ჰადისების შეგროვებას, მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყნებში, როგორიცაა სირია, ერაყი, ეგვიპტე, ჰიჯაზი. იგი იყო ცნობილი მუსლიმი ღვთისმეტყველების – იმამ ალ-ბუხარის, აჰმად იბნ ჰანბალის და სხვ. მოწაფე. ასევე თვითონაც შემდგომ აღზარდა სხვადასხვა გამოჩენილი ღვთისმეტყველი. მუსლიმმა მრავალი წიგნი და ტრაქტატი დაწერა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „საჰიჰ მუსლიმი“. მეცნიერმა მთლიანობაში მრავალი ათასი ჰადისი მოაგროვა და მათი შესწავლის შედეგ შეინახა 4000, რომელთა ნამდვილობა იქნა დადასტურებული. **„საჰიჰ მუსლიმი“ არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ფასდაუდებელი კრებული სუნიტური ისლამის შესახებ.**

„საჰიჰ მუსლიმთან“ ერთად სუნიტებისთვის მნიშვნელოვანია **„საჰის ალ-ბუხარის“ ჰადისების კრებული** (არაბ.: **صحيح البخاري**; ინგლ.: Sahih al-Bukhari) რომელიც შეადგინა იმამ მუსლიმის პედაგოგმა, გამოჩენილმა მეცნიერმა-ღვთისმეტყველმა, ჰადისების სპეციალისტმა, სამართალმცოდნემ **მუჰამად იბნ ისმაილ ალ-ბუხარიმ** (ინგლ.: Muhammad ibn Isma'il al-Bukhari; 810-870 წწ.), იგივე **იმამ ალ-ბუხარიმ** (არაბ.:**الإمام البخاري**; ინგლ.: Imam al-Bukhari). „საჰიჰ მუსლიმი“ შეიცავს 7500 ჰადისს (გამეორებებით) 57 წიგნში. მუსლიმთათვის ორივე ნაშრომი შედის ექვს ძირითად სუნიტურ ჰადისთა კრებულში „ალ-ქუთუბ ას-სითთა“-ში (არაბ.: **الكتب الستة**; ინგლ.: Kutub al-Sittah), იგივე al-Sihah al-Sittah, ანუ „სარ-

ობა კი განიხილება სხვადასხვა ჰადისში, მაგრამ შესაძლოა ყოველთვის არ იყოს ერთი მნიშვნელობის მქონე და მათი ინტერპრეტაცია მოხდეს სხვადასხვანაირად. ზოგიერთი მეცნიერი და ღვთისმეტყველი მიიჩნევს, რომ „მალაჰიმი“ უფრო მეტაფორაა და არა პირდაპირი გაგებით ბრძოლა და ნიშნავს უფრო სიკეთის ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლას.

მაგალითად, ერთ-ერთი ტრადიციის ნაწილში ნათქვამია, რომ იესო, ყვითელ სამოსში გამოწყობილი, დაბრუნდება დამასკოდან აღმოსავლეთით და გააერთიანებს ძალებს ისლამურ მესია მაჰდისთან ერთად, ცრუ მესია – დაჯალის[45] წინააღმდეგ ბრძოლაში. მაჰდის სიკვდილის შემდეგ დედამიწას მართავს მუსლიმი იესო.[46]

აი, რა წერია „საჰიჰ მუსლიმის“ N2897 ჰადისში, რომელიც წარმოდგენილია 54-ე წიგნში: „ფითნას[47] (განსაცდელების) და განკითხვის საათის ნიშნები“, თავი 9: „კონსტანტინოპოლის აღებაზე, დაჯალის გამოსვლაზე და მარიამის შვილის ისას (ანუ იესო ქრისტე, ავტ.) გამოცხადებაზე“:

„... უეჭველია, დადგება ლოცვის დრო და მაშინ ისა (მშვიდობა მას), მარიამის ძე, ჩამოვა და უხელმძღვანელებს მათ ლოცვაში. როცა მას შეხედავს ალაჰის მტერი (დაჯალი) ის (გაქრება), როგორც მარილი დნება წყალში ... ალაჰი მოკლავს მას (დაჯალს) იესოს ხელით, რომლის შემდეგ აჩვენებს მუსლიმებს დაჯალის სისხლს თავის შუბზე (იესოს შუბზე)“.[48]

მაგრამ ეს ჰადისი ნაკლებად მომგებიანია ISIS-სთვის, თუმცა როგორც მიაჩნდა ბევრ მიმომხილველს, მისი ლიდერი, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი ცდილობდა წარმოეჩინა საკუთარი თავი, რომ ის არის მესია მაჰდი.[49]

როგორც ნორმან კონმა აღნიშნა თავის წიგნში – „ათასწლეულის დევნაში“ – აპოკალიფსური ფანტაზიები ხანგრძლივ გავლენას ახდენდა XX საუკუნის განმავლობაში და კომუნიზმიც და ნაციზმიც ემხრობოდნენ კოლექტიური გადარჩენის

წმუნო ექვსეულში“ (ინგლ.: Authentic Six) რომლებიც მოიძიეს ისლამის ღვთისმეტყველებმა, წინასწარმეტყველ მუჰამადის გარდაცვალებიდან 200 წლის შემდეგ.

45 **დაჯალ** (არაბ.: ტრანსლიტ.: ალ-მასიჰ ად-დაჯალ; ინგლ.: Al-Masih ad-Dajjal) – ცრუ მესია, ბოროტი ფიგურა ისლამში, რომელიც ანტიქრისტეს მსგავსია ქრისტიანობაში.

46 Fraser G., To Islamic State, Dabiq Is Important – but It's not the End of the World, <https://www.theguardian.com/commentisfree/belief/2014/oct/10/islamic-state-dabiq-important-not-end-of-the-world> [10.07.2025]

47 **ფითნა** (არაბ.: **فتنة** – ცდუნება, განსაცდელი, ასევე უთანხმოება, შფოთი) – ის რაც ჭეშმარიტებიდან, ჭეშმარიტი გზიდან მოგაცდენს.

48 Sahih Muslim 2897. (9) Chapter: The Conquest Of Constantinople, The Emergence Of The Dajjal And The Descent Of 'Eisa bin Mariam. 54 The Book of Tribulations and Portents of the Last Hour, <https://sunnah.com/muslim:2897> [10.07.2025]

49 Fraser G., To Islamic State, Dabiq Is Important – but It's not the End of the World, <https://www.theguardian.com/commentisfree/belief/2014/oct/10/islamic-state-dabiq-important-not-end-of-the-world> [10.07.2025]

იდეას სიკეთისა და ბოროტების ფინალურ ბრძოლაში. შესაძლოა, ღმერთი მათ იდეოლოგიებში არ იყო, მაგრამ აზროვნების მოდელი სტრუქტურულად იგივეა.[50]

ISIS-ის მიერ გამოყენებული ლეგენდები მნიშვნელოვანი არგუმენტია ჯიჰადისტი მიმდევრებისთვის. ის, რომ მან უკვე გამოაცხადა სახალიფოს შექმნა, ნიშნავდა, რომ ყველაზე რთული სამუშაო გაკეთდა. ახლა მუსლიმებს შეეძლოთ გაერთიანება და ბრძოლა გაფართოებისთვის, ერაყში ან სირიაში გამგზავრების გარეშეც კი. მაგრამ სახალიფო სწორედ ამ მიწაზე შეიქმნა. ერაყი და სირია იყო პირველი მუსლიმური იმპერიების აკვანი. სწორედ აქ უნდა დადგეს ჟამთა აღსასრული.[51]

მთელ ამ სიმბოლიკას „დაიში“ იყენებდა იარაღად მისი იდეოლოგიის პოპულარიზაციისთვის, საკუთარი ლეგიტიმურობის დასამტკიცებლად და რეალობიდან ყურადღების გადასატანად.[52] ბევრი რამ, რასაც დაჯგუფება აკეთებდა, მათ შორის, სალოცავების აფეთქება და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირების სახურავებიდან გადაგდება, ემსახურებოდა მათი გაგებით წინასწარმეტყველებების ასრულებას.

ISIS-ის ერთ-ერთმა მეთაურმა, ჰუსამ ნაჯი ალამიმ, რომელიც ერაყის უსაფრთხოების ძალებმა 2014 წელს დაატყვევეს, გამოსცა დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა მოსულში სიწმინდეების განადგურებას, რადგან ამისკენ სავარაუდოდ მოუწოდებდა მეექვსე ჰადისი. ნებისმიერი ქმედებისთვის, იქნება ეს წინასწარმეტყველებების მიზანმიმართული დამახინჯება თუ სისასტიკე, ISIS-ს ჰქონდა „მზა დასაბუთება“. დაჯგუფების მიერ ასახული მსოფლიოს მოახლოებული დასასრულის პირქუში სურათით მიმზიდველობა არ შეიძლება სათანადოდ არ შეფასდეს.

2015 წლის 7 იანვარს პარიზში “Charlie Hebdo”-ის ჟურნალისტებზე ტერაქტის შემდეგ, როდესაც მსოფლიო გამოდიოდა შოკიდან, ISIS-მა ან მისმა მხარდამჭერმა გატეხეს “CENTCOM”-ის “Twitter”-ისა და “YouTube”-ის ანგარიშები და გაავრცელეს სამხედრო დოკუმენტები და ჯიჰადისტური მუქარები, მათ შორის, ასეთი: „ამერიკელო ჯარისკაცებო, მოვდივართ, უკან მოიხედეთ“. და მიუხედავად იმისა, რომ თეთრმა სახლმა მას უბრალოდ კიბერვანდალიზმის გამოვლინება უწოდა, „კიბერსახალიფოს“ ჰაკერების მიერ გამოქვეყნებული ერთ-ერთი დოკუმენტი შეიცავდა აშშ-ის არმიის გენერლების სახელებს, პენსიაზე გასვლის თარიღებს და ელექტრონული ფოსტის მისამართებს. სკოტ ატრანი ერთ-ერთია იმ მრავალ ანალიტიკოსთა შორის, რომელიც მიიჩნევს, რომ აშშ-ის მთავრობამ ადეკვატურად არ უპასუხა ISIS-ის მიმართვებს იმათი მისამართით, ვინც ყველაზე მგრძნობიარეა პროპაგანდის მიმართ.[53]

---

50 იქვე.

51 Weiss, Hassan, 2015, 161.

52 იქვე, 162

53 იქვე, 163.

V. „სხვების“ მიმართ სიძულვილი

ISIS-ის პროპაგანდისა და იდეოლოგიური დამუშავების პროგრამები გათვლილია იმაზე, რომ დაარწმუნონ მათი მკითხველები და მიმდევრები, სძულდეთ არამუსლიმები და „განდგომილები“ იმ მცდარი ვარაუდის გამო, თითქოს და ისინი „ისლამის მტრები“ არიან. ისეთი სტატიები, როგორიცაა, „ქაფირების სისხლი დასაშვებია თქვენთვის, ასე რომ, დაღვარე ის“ (“The Kafir’s blood is halal for you, so shed it”), გამოქვეყნებული „დაიშის“ ჟურნალ “Rumiya”-ის პირველ ნომერში, ნათლად ასახავს ამ გზავნილს.

ISIS სიძულვილს ძალადობაში აქცევს თავისი მიმდევრების ემოციების აღძვრით და მათი დარწმუნებით, რომ დასაშვებია მტრების სისხლისღვრა. მრავალი სხვა მსგავსი შეტყობინებით, „დაიში“ თავის ფანატიკურ მიმდევრებს გონებაში უბეჭდავდა, რომ მათ უნდა მოკლან არამუსლიმები, სადაც არ უნდა შეხვდნენ. საკვანძო სიტყვები, როგორიცაა, „მუსლიმები“, „ებრაელები“, „თქვენი მტერი“ და „სახალიფო“ ხშირად მოიხსენიებოდა ჟურნალებში “Dabiq” და “Rumiya”, ისევე, როგორც ISIS-ის ლიდერების ქადაგებებში. ისინი შეგნებულად აჩვენებდნენ მუსლიმებსა და არამუსლიმებს შორის განსხვავებებს და პარადიგმა „ჩვენ მათ წინააღმდეგ“ გაძლიერების მიზნით.[54]

კარგადაა ცნობილი, რომ ისლამის თანახმად, არ არსებობს ერთი ერის ან ტომის თანდაყოლილი უპირატესობა სხვაზე, რადგან ისინი ყველა კაცობრიობის ერთსა და იმავე ოჯახს მიეკუთვნებიან. ყურანი ასწავლის მუსლიმებს, მიიღონ განსხვავებები და, როცა რაიმეს შეეჯახებიან, რაც ეწინააღმდეგება მათ შეხედულებებს, იმოქმედონ ღირსეულად, სიმშვიდით, მოთმინებით (ჰაუნან) და მშვიდობით (სალამ).[55] ყურანი უპირობოდ გმობს ყოველგვარ რასობრივ, ეროვნულ-ტომობრივ ცრურწმენას – ასაბიას.[56] ისლამს სძაგს რასიზმის, ეთნიკური, ტომობრივი, უკიდურესი ნაციონალიზმის ნებისმიერი გამოვლინება. მის თანახ-

---

54 Halimi, Sudiman, 2021, 116.

55 იქვე, 117.

56 **ასაბია** (არაბ.: **عصبية**; ინგლ.: Asabiya, Asabiyya ან Asabiyah) თავდაპირველად ნიშნავს „სისხლით ნათესაობის სულს“ ოჯახში ან ტომში (ასაბა – არის მამრობითი ნათესაობა მამრობითი საგვარეულო ხაზით). ტერმინი „ასაბია“ ასევე გულისხმობს სოციალური სოლიდარობის კონცეფციას, კოლექტიურ ცნობიერებას და საერთო მიზნის განცდას, რომელიც თავდაპირველად გამოიყენებოდა ტრაიბალიზმის, კლანური ურთიერთობებისა და უკიდურესი ნაციონალიზმის სხვადასხვა ფორმების გამოვლინების კონტექსტში. ასაბია ნიშნავს ადამიანის მიერ ჯგუფის მხარდაჭერას, რომელსაც იგი მიეკუთვნება ნებისმიერი ნიშნით (სისხლის ნათესაობით, აღმსარებლობის ნიშნით) ნებისმიერ სიტუაციაში – არის თუ არა ეს ჯგუფი მართალი, ისინი იჩაგრებიან სხვების მიერ ან ჩაგრავენ სხვა ადამიანებს. ისლამის თვალსაზრისით, „ასაბია“ საშიშია მუსლიმისთვის, რადგან იწვევს არაფრით გამართლებული სტატუსით უპირატესობის ძლიერ განცდას.

მად, ადამიანებს შორის განსხვავებები ენაში, რელიგიაში, კანისა და თმის ფერში, თვალის ფორმაში, საკვების არჩევაში, მეტყველების აქცენტებში და გამოთქმაში შექმნა ალაჰმა, რათა უფრო საინტერესო „გემო“ მიეცა ჩვენი ხანმოკლე ცხოვრებისათვის დედამიწაზე.

რომ დაუბრუნდეთ ჩარლი ვინტერს, მის სტატიაში ნაჩვენებია, თუ როგორ შეიცვალა „დაიშის“ ბრენდინგის პრიორიტეტები 2015-დან 2019 წლამდე, როცა მისი პროტო-სახელმწიფო განადგურდა. მონაცემთა პირველი ბაზა, რომელიც შეგროვდა მაშინ, როდესაც „დაიში“ იყო აღზევების პიკზე, შეიცავდა 892 ელემენტს. შედარებისთვის, მონაცემთა მეორე ნაკრები შეიცავს მხოლოდ 127 ელემენტს. 2015 წლის ზაფხულში დაჯგუფება დღეში საშუალოდ 30 პროპაგანდისტულ მასალას აქვეყნებდა, 2019 წლის ზაფხულში კი – მხოლოდ ოთხს, კლება მინიმუმ 86%-ია. ასევე მნიშვნელოვანი განსხვავებებია მონაცემთა ნაკრების სტრუქტურულ შემადგენლობაში.

მას შემდეგ, რაც მისი „სახელმწიფო“ ამბიციები დაიმსხვრა, „დაიშის“ კომუნიკაციური პრიორიტეტები შეიცვალა და აზრი აღარ ჰქონდა ამბოხების გასაჯაროვებას ისე ფართოდ, როგორც ადრე. მართლაც, 2019 წლისთვის ომის ყველა ასპექტის დემონსტრირების სარგებლიანობა გახდა მარგინალური და ზოგჯერ საზიანოც კი. ვინაიდან ჯგუფის ოპერაციები სულ უფრო ფარული ხდებოდა, მის სტრატეგოსებს სჭირდებოდათ უსაფრთხოების დაყენება უფრო მაღლა, ვიდრე კომუნიკაციის ეფექტი. მათ თანდათან შეამცირეს ყოველდღიური გაშუქება, შემცირდა განსაკუთრებით ფოტორეპორტაჟები და ვიდეო კლიპები, რომლებიც ახლა უსაფრთხოების რისკისა იყო, მაშინაც კი, როდესაც რედაქტირებული იყო ისე, სადაც დეტალებს დიდი ყურადღება ექცეოდა.[57]

VI. „დაიშის“ უტოპიისა და სიმტკიცის ნარატივების ანალიზი

აჰმად ჰასანი და ნურ აზმანი მიიჩნევენ, რომ ონლაინმედიის, ონლაინპლატფორმებისა და სოციალური მედიის ეფექტური გამოყენების გზით, ISIS-ის ვიზუალური პროპაგანდა თამაშობდა მთავარ როლს მის რადიკალიზაციასა და რეკრუტირების ძალისხმევაში, თავისი ექსტრემისტული ნარატივების ასახვის, შევსებისა და გაძლიერებისთვის. მაყურებლები ყურადღებას ამახვილებენ ვიზუალურ ინფორმაციაზე, რადგან ისინი აღიქვამენ სურათებს ავთენტურ ჩანაწერებად, რაც მათ საშუალებას აძლევს, „მოწმენი გახდნენ“ მოვლენების ფიზიკურად

[57] Winter, 2019, 9.

დასწრების გარეშე. ვერბალური ინფორმაცია მაყურებლისგან მოითხოვს უფრო თანმიმდევრულ მიდგომას მისი მნიშვნელობის დამუშავებასა და ათვისებაში.[58]

„დაიშის“ ნარატივებში, აღზევების პერიოდიდან დღემდე, ძირითადად გვხვდება ორი ყოვლისმომცველი მთავარი თემა: უტოპია და გამძლეობა/სიმტკიცე. უტოპია, სავარაუდოდ, ყველაზე ფართო და ყველაზე მნიშვნელოვანი ნარატივია, რომელსაც იყენებდა „დაიში“ მისი ე.წ. სახალიფოს შემდეგ. 2014-2016 წლებში ინტერნეტში ყოველდღიურად იტვირთებოდა კონტენტის უწყვეტი ნაკადი, რომელიც ასახავდა ცხოვრების მშვიდობიან ასპექტებს, ბავშვების თამაშს პარკებში; მებრძოლებს, რომლებიც ისვენებენ და ბანაობენ; გაკვეთილებს სკოლებში; სამოქალაქო სამსახურების მუშაობას, რაც საჭირო იყო სახალიფოს, როგორც ქმედითუნარიანი სახელმწიფოს, ლეგიტიმაციის ჩვენებისთვის.

გამძლეობის თემა კი ISIS-ის პროპაგანდაში განსაკუთრებით ამოტივტივდა სირიაში „დაიშის“ ბოლო ფიზიკური დასაყრდენის, ბაღუზის დაცემის შემდეგ. ეს თემა არსებობდა მის ნარატივში დევიზით – „ისლამური სახელმწოფოს შენარჩუნება/დარჩენა და გაფართოება“ (არაბ.: **دولة الإسلام باقية وتتمدد**; ტრანსლიტ.: დავლათ ალ-ისლამ ბაკია ვა თათამადდა; ინგლ.: The IS remains and expands).[59] არსებოდა ნარატივი – ომი დაუძლურებამდე და ბოლოს Covid-19, როგორც ღვთაებრივი შურისძიება. შესაბამისად, „ისლამური სახელმწიფოს“ პროპაგანდაში, მისი დაცემის შემდეგ, უტოპიური ამსახველი ნარატივები შეიცვალა სიმტკიცის შესახებ ისტორიებით. დაარსების დღიდან ISIS-მა უკვდავყო მრავალი ნარატივი, რომელიც ხელს უწყობდა ჯგუფის იდეოლოგიის პროექტირებას და მისი იმიჯის გაზრდას მხარდამჭერებს შორის.[60]

1. უტოპიის ნარატივი

ISIS-ის უტოპიური ნარატივის მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ არ-რაკაში ISIS-ის 2015 წლის 6 მარტის ვიდეო – „განათლება სახალიფოს ქვეშ“. ვიდეო გვიჩვენებს დაჯგუფების მხრიდან დაპყრობილ ტერიტორიებზე განათლების სისტემის რესტრუქტურიზაციის მცდელობას და ასახავს მის კონტროლის ქვეშ მოქმედ სკოლებში ატმოსფეროსა და გარემოს. სურათი გვიჩვენებს ოთხ გოგონას, რომელთაგან ერთი, როგორც მთავარი გმირი, ატარებს ISIS-ის წარწერებიან შავ სამკლაურს, დანარჩენები კი ვიდეოს უკანა ფონზე არიან. ვარდისფერში ჩაცმული გოგონა

[58] Hassan, Azman, 2020, 12.

[59] Zelin A.Y., Colonial Caliphate: The Ambitions of the ‘Islamic State’, <https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/colonial-caliphate-ambitions-islamic-state> [10.07.2025]

[60] Hassan, Azman, 2020, 13.

ყურანს კითხულობს და ყურადღების ცენტრში ხვდება, და ხაზი ესმება ISIS-ის ისლამურ განათლების სისტემას ბავშვებისთვის. ანუ ბავშვები ქმნიან გარემოს, რომელიც ასახავს მკაცრ ისლამურ განათლებას, შთაგონებულს „დაიშის“ მიერ.

სხვა პროპაგანდისტული ფოტოები ასახავდნენ ISIS-ის მმართველობის შესაძლებლობებს, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა მის უტოპიურ იმიჯს. მორიგი კადრი არ-რაკაში ISIS-ის ვიდეოდან (2015 წლის 23 ოქტომბერი), სახელწოდებით – „უსაფრთხოებისა და დაცვის ოფისი“, აღწერდა ე.წ. სამოქალაქო თავდაცვის ოფისის მუშაობას ქალაქში. სურათზე ჩანან მეხანძრეები, რომლებიც პასუხობენ ზარს და მზად არიან შემთხვევის ადგილზე გასასვლელად. ორი სახანძრო მანქანის გამოჩენა მიზნად ისახავდა იმის ილუსტრირებას, რომ „დაიშს“ საჭირო მუნიციპალური ტექნიკა და აღჭურვილობა აქვს საგანგებო შემთხვევების დროს. მომდევნო კადრი, რომელიც ასევე ამოღებულია იმავე ვიდეოდან, მოწმობდა მეხანძრეების მუშაობას.

კიდევ ერთი სურათი ნაინავადან (2016 წლის 12 თებერვალი) აჩვენებდა მუშათა ჯგუფს, რომლებიც არემონტებენ გზას, ქვევით კი არაბულად აწერია – „ქალაქ მოსულში ას-სალამის რაიონის მთავარი გზის რემონტი“. [61]

ყოველივე ზემოხსენებული იმ პროპაგანდის ნაწილია, რომელიც აჩვენებდა, თუ როგორც არ იშურებდა ISIS ძალისხმევას საზოგადოებრივი მომსახურების სფეროში. ეს ფოტოები იმ მრავალი რეპორტაჟიდანაა, რომლებსაც ტერორისტები იყენებდნენ მიმდევრების წინაშე მომგებიანი სახით წარმოსაჩენად და მათი ნარატივების გასამყარებლად. დაჯგუფების დაარსებიდან მოყოლებული ასეთი სურათები თითქმის ყოველდღიურად შუქდებოდა, მაგრამ 2016 წლის ბოლოდან მასალებმა კლება დაიწყო, გაორმაგდა სამხედრო და ოპერატიული ანგარიშებისადმი მიძღვნილი პროპაგანდისტული კონტენტი და დაჩრდილა მმართველობის, საჯარო სერვისების, ვაჭრობისა და სამოქალაქო ცხოვრების ამსახველი სხვა თემები. თვითგამოცხადებული სახალიფოს დაშლის შემდეგ საგრძნობლად შემცირდა პროპაგანდა და გადავიდა ისეთ თემებზე, სადაც გაცხადებულია სიმტკიცე, გამძლეობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც Covid-19 პანდემია დაიწყო.

2. სიმტკიცე/გამძლეობა

„დარჩენა და გაფართოების“ (ბაკია ვა თათამადდად) ნარატივი კვლავ ფართოდ გამოიყენებოდა ISIS-ის ოპერატიული პროპაგანდაში. დანარჩელი ნაწილი (ბაკია) მტკიცდება პროპაგანდისტული შინაარსის თანმიმდევრული გავრცელე-

[61] იქვე, 14.

ბის გზით, რომელიც ხაზს უსვამს „ისლამური სახელმწიფოს“ ფილიალების მიერ განხორციელებულ ოპერაციებს, მაგალითად, სინაიზე, დასავლეთ აფრიკაში, ავღანეთ-პაკისტანის რეგიონსა და იემენში. თავის აუდიო მიმართვაში „ისლამური სახელმწიფოს“ სპიკერმა აბუ ჰამზა ალ-ყურაიშიმ ასევე განაცხადა, რომ “IS” მტკიცედ დგას, უძლებს და რჩება (ბაკია). ამის მაგალითია კამპანია „შურისძიება ფარისევლობისთვის“, რომელიც ფართოდ იყო რეკლამირებული ინტერნეტში და გამოჩნდა “IS”-ის ბევრ მედიაში ბაღუზში დაცემის შემდეგ. ინფოგრაფიკის ერთ-ერთი სურათი ინგლისურადაა, გამოქვეყნებული “IS”-ის არაბული ყოველკვირეულის, “Al-Naba Newsletter”-ის 177-ე ნომერში, რომელიც ასახავს ზოგიერთი ბრძოლის სტატისტიკას. ასევე წარმოდგენილი იყო რუკა იმ ადგილების მონიშვნით, რომლებიც მიუთითებდა წარმატებულ ოპერაციებზე. ინფოგრაფიკაში მოცემული ინფორმაცია ადასტურებდა “IS”-ის რიტორიკას ძალაუფლების გაფართოებისა და შენარჩუნების შესახებ. ექსპანსიის, ანუ „თათამადდადის“ ზღაპარი გრძელდებოდა, თუმცა არც ისე აგრესიულად, როგორც ადრე. ამის ნახვა შესაძლებელი იყო “IS”-ის მიერ გამოქვეყნებული განცხადებებიდან და ფოტორეპორტაჟებიდან, სადაც ის სფეროები, რომლებშიც ჯგუფი მოქმედებდა, წარმოდგენილი იყო როგორც „ვილაიათები“ (მათ შორისაა ცენტრალური აფრიკა, თურქეთი, სომალი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია). მისი მომხრეებისთვის ეს ვილაიათები “IS”-ის არსებობის მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა. თურქეთში “IS”-ის ვიდეოდან („საუკეთესო შედეგი ღვთისმოსავებისთვის“) კადრში ჩანს ხუთ კაცი, რომლებიც ე.წ. ხალიფას ერთგულებას უცხადებენ და წარმოთქვამენ ბაიას ფიცს.[62] გარდა ამისა, არაბულ ლოგოზე წარწერა „თურქეთი“ ზედა მარჯვენა კუთხეში, ადასტურებდა ფილიალის არსებობას თურქეთში.

კიდევ ერთი თეორია, რომელსაც „ისლამური სახელმწიფო“ ხაზს უსვამდა, იყო, რომ ის თავის მტრებს ჩაითრევდა დაუძლურების ომში, რაც კიდევ უფრო გააძლიერებდა მის „ბაკიას“ სლოგანს. “IS”-ის პრეს-სპიკერმა აბუ ალ-ჰასან ალ-მუჰაჯირმა 2019 წლის მარტში გამოქვეყნებულ აუდიო შეტყობინებაში დაადასტურა პარტიზანული ტაქტიკა, რომელსაც იყენებდნენ „დაიშის“ მებრძოლები და ხაზს უსვამდა საბრძოლო მოქმედებების „დაარტყი და გაიქეცის“ ტიპის ტაქტიკაზე. ამ სტრატეგიას მხარი დაუჭირა აბუ ბაქრ ალ-ბაღდადიმ 2019 წლის აპრილის ვიდეომიმართვაში, რომელიც ამტკიცებდა, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მიზანი ახლა ხანგრძლივ ბრძოლაში ჩათრევით მტრის სისხლისგან დაცლაა.

„დაუძლურებამდე ბრძოლის“ კამპანია დაიწყო 2019 წლის ივნისში და ილუსტრირებული იყო „დაიშის“ კამპანიების სიაში. 2019 წლის სექტემბრის აუდიოჩანა-

[62] იქვე, 15.

წერში ალ-ბაღდადიმ ისაუბრა კამპანიის პირველ ორ ტალღაზე და დაიკვეხნა, რომ ისინი წინასწარ იყო კოორდინირებული და დაგეგმილი. 2020 წლის მაისში აბუ იბრაჰიმ ალ-ჰაშიმი ალ-ყურაიშიმ მიულოცა და მხარი დაუჭირა „დაუძლურებამდე ბრძოლის“ მესამე ტალღას, რომელიც გაგრძელდა 14-დან 25 მაისამდე. სამხედრო კამანიამ მოახდინა ძალადობის პროვოცირება „დაიშის“ ფილიალების მხრიდან ერაყში, სირიაში, ეგვიპტეში, სომალიში, დასავლეთ აფრიკასა და ფილიპინებში. “Al-Naba”-ის ჟურნალის 236-ე ნომერში გამოქვეყნდა ინფოგრაფიკა, რომელიც ასახავდა ბრძოლის სტატისტიკას. აქაც რუკაზე მონიშნული იყო ადგილები, რომლებიც “IS”-ის ოპერაციების წარმატების დემონსტრირებას ახდენდა.[63] მაგრამ, ვინაიდან აშშ-სა და მისი მოკავშირეების სამხედრო კამპანიამ „დაიში“ დაამარცხა (რის შედეგად დაჯგუფებამ დაკარგა მიტაცებული ტერიტორიები და დღეს არსებობს დაქსაქსული უჯრედების და ფილიალების სახით ერაყში, სირიაში, ავღანეთში, სომალისა და ჩადის ტბის აუზში), მოკლა მისი ლიდერების ნაწილი, ის უფრო დაემსგავსა ტერორისტულ არმიას, რომელიც დღითიდღე ნადგურდება.

VII. დასკვნა

დაარსების დღიდან მოყოლებული „დაიშის“ პროპაგანდა სხვა ტერორისტული ორგანიზაციების პროპაგანდისგან მკვეთრად განსხვავდებოდა და იყო უფრო ეფექტური, დახვეწილი და კარგად მომზადებული. როდესაც დაჯგუფება ფართოვდებოდა ქალაქებისა და ტერიტორიების ჩაგდების ხარჯზე, პროპაგანდისტულმა გზავნილმა გარდაუვალი გამარჯვების შესახებ გამოხმაურება პოვა ზოგიერთ ახალგაზრდაში ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ევროპულ ქვეყნებსა და მცირე მასშტაბებით ამერიკაშიც კი.

ISIS-ის პროპაგანდის თავისებურებებს შორის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია აღინიშნოს მისი მაღალი დონე არა მხოლოდ რაოდენობის თვალსაზრისით, არამედ მასალების ხარისხით, ფორმატებისა და მედიის მრავალფეროვნებით. ტერორისტებმა შექმნეს ათასობით ფოტო და ვიდეო მასალა. მათი შინაარსი საკმაოდ მრავალფეროვანია.

პროპაგანდის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თემა იყო ისლამისტური იდეოლოგია, მუსლიმების დაცვის მითი, ISIS-ის „სამხედრო წარმატებები“ და ტერორისტული აქტები. ამ მასალების უმეტესობაში გამოიყენება თავისებური, ქედმაღლური სტილი, სადაც ტერორისტების უძლეველობის მითს, მათ „სამართლიან ბრძოლას“ ურწმუნოების წინააღმდეგ ესმებოდა ხაზი. პროპაგანდა მიზნად ისახა-

[63] იქვე, 16.

ვდა ტერორისტების მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე მოსახლეობის დაშინებას, ასევე თვითმკვლელი ტერორისტების განდიდებას. ფილმებში მოტანილია ტერორისტების მოწინააღმდეგეების, მშვიდობიანი მოსახლეობის მრავალი მკვლელობისა და სიკვდილით დასჯის სცენები.

ტერორისტული პროპაგანდის კიდევ ერთი მახასიათებელი იყო ინტერნეტის ფართომასშტაბიანი გამოყენება, რომლის მეშვეობითაც ვრცელდებოდა ზემოხსენებული ფოტო-ვიდეო მასალა და მოიცავდა მრავალფეროვანი თემების მთელ სპექტრს. ასე, მაგალითად, სახელმწიფოებრიობის ილუზიის შექმნისთვის მასალების შინაარსი შეადგენდა მომლოცველი ადამიანების გამოსახულებას, სამხედრო ტექნიკას, სასოფლო-სამეურნეო მინდვრებს, ხელების მოკვეთას, მზის ამოსვლა-ჩასვლის კოლაჟებს, პეიზაჟებს, “IS”-ის დროშებს, სამშენებლო სამუშაოებს, ტერაქტებს, დახმარების დარიგებას, მოსავლის აღებას, საბინაო და კომუნალური სამუშაოებს, პურის ცხობას, ექიმების მუშაობას საავადმყოფოში.

ISIS-ის ფოტორეპორტაჟების, პუბლიკაციების და ვიდეო-აუდო ფაილების გავრცელება სხვადასხვა პლატფორმაზე მიემართებოდა სხვადასხვა მიზნობრივ აუდიტორიას, რომელიც ჯგუფის სტრატეგიის მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო მისი პოლიტიკურ-სამხედრო მისწრაფებების მისაღწევად. რეპორტაჟები, ვიზუალური ეფექტები იპყრობდა მაყურებლის ყურადღებას, ასტიმულირებდა მაყურებელთა ემოციურ რეაქციებს.

„დაიშის“ პროპაგანდა და უტოპიური, ყალბი თემების ამსახველი ნარატივები, შესაძლოა, მომავალშიც გახდეს მძლავრი იარაღი ახალი დაჯგუფებების ჩამოყალიბებისთვის, ძალადობის, რადიკალიზაციის და სიძულვილის გაღვივებისთვის, ან მისი პროპაგანდით გაბრიყვებული მომხრეების მოზიდვისთვის, რომლებიც დღესაც მიმოფანტულები არიან მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.

გამოყენებული ლიტერატურა

- გელოვანი ნ., შარიათი: ისტორია, დოგმატიკა, სამართალი, თბილისი, 2024
- Baele S.J., Introduction: Full-Spectrum Propaganda: Appraising the “IS Moment” in Propaganda History, in:
- ISIS Propaganda: A Full-Spectrum Extremist Message, Edited by S. J. Baele, K. A. Boyd, T. G. Coan, Oxford University Press, 2019
- Halimi M.B.H., Sudiman M.S.A.Sh.B., Religious Extremism: Challenging Extremist and Jihadist Propaganda, Counter Terrorist Trends and Analyses, Vol. 13, No. 1, 2021
- Haniyeh H.A., Rumman M.A., The “Islamic State” organization. The Sunni Crisis and Struggle of Global Jihadism, Amman, 2015
- Hashim A.S., The Caliphate at War: The Ideological, Organizational and Military

Innovations of Islamic State, London, 2018
- Hassan A.S.R., Azman N.A., Islamic State's Visual Propaganda: Amplifying Narratives and Affecting Radicalisation, Counter Terrorist Trends and Analyses, Vol. 12, No. 5, 2020
- Ingram H. J., The Strategic Logic of Islamic State's Full-Spectrum Propaganda: Coherence, Comprehensiveness, and Multidimensionality, in: ISIS Propaganda: A Full-Spectrum Extremist Message, Edited by S. J. Baele, K. A. Boyd, T. G. Coan, Oxford University Press, 2019
- Levallois A., Cousseran J.-C., The Financing of the 'Islamic State' in Iraq and Syria (ISIS), European Parliament, 2017
- Weiss M., Hassan H., ISIS: Inside the Army of Terror, New York, 2015
- Winter Ch., Daesh Propaganda, Before and after Its Collapse, Countering Violent Extremism, NATO Strategic Communications Centre of Excellence Report, 2019

Zviad Tkabladze*

FEATURES OF DAESH TERRORIST PROPAGANDA

Abstract

The article is devoted to an analysis of the propaganda machine of the international terrorist organization Daesh (Islamic State, IS, ISIS, ISIL), examining the factors that contributed to the formation of a propaganda system that proved more sophisticated, effective, and distinct than that of other terrorist organizations.

Propaganda played a central role in the activities of the Islamic State, facilitating the recruitment of new members, the justification of violence, and the consolidation of its ideological foundation. Its core elements included the dissemination of jihadist, Salafist, and Takfiri ideology, the promotion of hatred toward other religions and nations, and the construction of a myth of invincibility.

Daesh relied on its own “scientists” and “scholars,” as well as on information and communication technologies, the internet, social media, various open and closed platforms, hacker networks, professionally produced films, and high-quality printed magazines. Under the guise of Islam, it in fact turned against the Islamic faith and engaged in religious and political extremism and terrorism.

Although Daesh presented itself as a defender of oppressed Muslims, in reality it preached violence in the name of religion and declared as infidels all Muslims – Shiites, Sunnis, and others – who did not accept its interpretation, subjecting them to ruthless persecution. Although the group’s human, financial, military, and territorial resources largely disappeared, first in 2017 and then in 2019, Daesh continues to exist today in the form of dispersed cells and retains the capacity to inflict harm, while its supporters, shaped by its propaganda, remain scattered across the world.

Keywords: Daesh, International Terrorism, Propaganda, Middle East.

* Professor at Georgian Technical University, https://orcid.org/0009-0009-4347-6299

თენგიზ ვერულავა*

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის ტრანსფორმირება საქართველოში: თანამედროვე გამოწვევები

I. შესავალი

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, რომელიც უზრუნველყოფს დაავადებათა პრევენციას, ჯანმრთელობის ხელშეწყობას, რაც მიიღწევა საზოგადოების ორგანიზებული ძალისხმევით, გარემოს გაჯანსაღებით, ინფექციებთან ბრძოლით, ჰიგიენის საკითხებში მოსახლეობის განათლებით, დაავადებათა ადრეული გამოვლენით. ამასთან, დაავადებათა ეპიდემიოლოგიის შესწავლით შესაძლებელი ხდება რესურსების რაციონალური და ეფექტური მიმართვა პრიორიტეტული პრობლემების გადასაჭრელად, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი დაბალშემოსავლიანი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა.

1995 წელს, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში დაწყებული სტრუქტურული გარდაქმნის შედეგად, საფუძველი ჩაეყარა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ახალ მიდგომას.[1] იგი მიმართული იყო ქვეყანაში პრევენციული მედიცინის ერთიანი მექანიზმების ასამოქმედებლად და სახელმწიფო ეპიდზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმების ასამუშავებლად. ჯანდაცვის სფეროში 1995 წელს დაწყებული რეორგანიზაცია ეფუძნებოდა არა მხოლოდ სამედიცინო მოდელის განვითარებას, არამედ აქცენტის გაკეთებას ჯანმრთელობაზე ზრუნვის პრევენციულ მოდელზე.[2]

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ზოგიერთმა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ (მათ შორის, სომხეთმა, ბელორუსმა, რუსეთის ფედერაციამ და უკრაინამ) ძირითადად შეინარჩუნა საბჭოთა პერიოდისგან მემკვიდრეობით მიღებული სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა და ფილოსოფია. ზოგიერთმა ქვეყანამ (მათ შორის, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა, ტაჯიკეთმა და უზბეკეთმა) შექმნა დამატებითი სტრუქტურები.

---

* კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, https://orcid.org/0000-0001-8110-5485

1 ჯორბენაძე, 2021.

2 ვერულავა, ჯორბენაძე, 2024.

აღსანიშნავია, რომ საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა (გარდა ბალტიის ქვეყნებისა), რომელმაც უარი თქვა სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის საბჭოურ სისტემაზე, მოახდინა მისი სრული რეორგანიზაცია და ჩამოაყალიბა ევროპულ პრინციპებზე აგებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ახალი ინფრასტრუქტურა.[3] ფუნქციებისა და სტრუქტურის მაგალითად აღებული იყო დასავლეთ ევროპული და აშშ-ში არსებული მოდელები. საქართველოში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანია აშშ-ის დაავადებათა კონტროლის ცენტრის, მსოფლიო ბანკის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის და ისრაელის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის წვლილი. აღსანიშნავია, რომ შემდგომ წლებში ბევრ სხვა ქვეყანაში (მათ შორის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც) ჩამოყალიბდა მსგავსი ფუნქციებისა და სახელის მქონე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურები.[4]

სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის რეორგანიზაცია გულისხმობდა საბჭოთა სისტემისათვის დამახასიათებელი საზედამხედველო (სანიტარული კონტროლი) და აღმასრულებელი (ეპიდზედამხედველობა) ფუნქციების ურთიერთგამიჯვნას. 1995 წელს ქვეყანაში დაწყებული ჯანდაცვის სფეროს რეორგანიზაციის შედეგად ყოფილი საბჭოთა სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახური დაიყო 2 ცალკე ორგანიზაციად.[5] მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის N389 განკარგულების თანახმად, ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სანიტარული ზედამხედველობისა და ჰიგიენური ნორმირების დეპარტამენტები. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტს შემდეგი ფუნქციების შესრულება დაეკისრა: იმუნიზაცია, სამედიცინო სტატისტიკის წარმოების ხელშეწყობა; ინფექციურ და არაინფექციურ დაავადებათა მონიტორინგი, ეპიდემიოლოგიური სიტუაციის ანალიზი და პროგნოზირება, ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა.

სანიტარული ზედამხედველობისა და ჰიგიენური ნორმირების დეპარტამენტი პასუხისმგებელია მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გარემოს ფაქტორების უარყოფითი გავლენის თავიდან აცილებაზე, შრომის, ყოფაცხოვრების, კვების, რადიაციული და ქიმიური უსაფრთხოების სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების შემუშავებაზე და მათი დაცვის კონტროლზე. ჩამოყალიბდა სანიტარული ზედამხედველობისა და ჰიგიენური ნორმირების დეპარტამენტის ადგილობრივი/ რაიონული, ქალაქის/ სამსახურები. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სანიტარული ინსპექციის სამსახურები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გარემოს ფორმირებისა და შენარჩუნების ღონისძიებებში ერთგვარად ავსებდნენ ერთმა-

[3] Rechel, 2014.

[4] Barr, Field, 1996, 307-312.

[5] Gigauri, Djakeli, 2021, 102-108.

ნეთს. ისინი იყვნენ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ღონისძიებათა აღმასრულებელი ინსტიტუტები.

სტატიის ძირითადი მიზანია საქართველოში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის ტრანსფორმაციის პროცესის, მიღწეული შედეგებისა და არსებული გამოწვევების კომპლექსური ანალიზი.

II. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურის ჩამოყალიბება

1997 წელს მიღებულ იქნა ჯანდაცვის სფეროს მარეგულირებელი ფუნდამენტური საკანონმდებლო აქტი – „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის XI თავით განისაზღვრა საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და სავალდებულო ქმედებების ჩარჩო. კანონის თანახმად, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა გულისხმობს „სახელმწიფო ვალდებულებათა სისტემას, რომლის მიზანია ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლის, კონტროლის, ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობის გზით“[6].

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1996 წლის 12 თებერვლის ბრძანებით შეიქმნა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტი. დეპარტამენტის მიზნად განისაზღვრა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამაღლება სამედიცინო-პროფილაქტიკური ღონისძიებათა გატარების გზით. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტს დაეკისრა ფუნქციები: ეპიდზედამხედველობის მონიტორინგი და პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა, სოციალურად საშიშ დაავადებათა პროფილაქტიკა, სახელმწიფო პროგრამების მართვა და დაფინანსება, ბიოსტატისტიკის წარმოება, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრების ღონისძიებათა ორგანიზაცია.

რეორგანიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის დეცენტრალიზაცია. ამ მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 9 დეკემბრის N723 ბრძანებულების თანახმად, ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ორდონიანი სამსახურების სისტემა: ცენტრალურ დონეზე – საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტი და ადგილობრივ/მუნიციპალურ დონეზე – საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენ-

[6] „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ფ1“ ქვეპუნქტი.

ტრები. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრები (65, მათ შორის, 10 რეგიონული კოორდინაციის ფუნქციით) იყვნენ მუნიციპალური და რეგიონული ორგანიზაციები, რომლებიც პასუხს აგებდნენ ადმინისტრაციულ ფარგლებში მცხოვრებ მოსახლეობაში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფაზე, კერძოდ, ეპიდემიოლოგიური სიტუაციის ანალიზსა და მის მართვაზე, დაავადებათა პროფილაქტიკის მიზნით სათანადო ღონისძიებების ორგანიზაციასა და განხორციელებაზე. მათ ძირითად მისიას შეადგენდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შეფასება, ღონისძიებათა კოორდინაცია და მონიტორინგი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამების განხორციელება.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურის პასუხისმგებლობები მოიცავდა შემდეგს: ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური სიმშვიდე; დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა; საინფორმაციო უზრუნველყოფა; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეების პრევენცია და მათზე დროული რეაგირება; გარემოს მავნე ზემოქმედებისა და ქცევითი რისკ-ფაქტორების პრევენცია; ფუნდამენტური და გამოყენებითი ბიო-სამედიცინო მეცნიერების განვითარება.

სახელმწიფო ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების დადგენილი წილობრივი თანაფარდობების საფუძველზე დაფინანსების ფორმად განისაზღვრა მიზნობრივ-პროგრამული დაფინანსება. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამები მოიცავდა შემდეგ პროგრამებს: ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრება; ეპიდზედამხედველობის, საკარანტინო განსაკუთრებით საშიში და მასთან გათანაბრებული ინფექციის კონტროლის და სხვა გადამდებ დაავადებათა პროფილაქტიკის, მართვის და კოორდინაციის პროგრამა; გეგმიური იმუნიზაციის და ეპიდჩვენებით პროფესიული აცრების პროგრამა; ნარკომანიის პროფილაქტიკურ ღონისძიებათა პროგრამა; იოდისა და სხვა მიკროელემენტების დეფიციტით გამოწვეულ დარღვევათა პროფილაქტიკა; ავადობის აქტიური გამოვლინებისა და მოსახლეობის მასობრივი სამედიცინო-პროფილაქტიკური გასინჯვები; უსაფრთხო სისხლის, შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პროფილაქტიკა; ონკოლოგიურ დაავადებათა პირველადი გამოვლინება; სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებათა პროფილაქტიკა; ტრავმატიზმის პრევენცია; მალარიის პროფილაქტიკა; საქართველოს სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება; სოფლად მოსახლეობის დამატებითი სამედიცინო დახმარება; მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის დამატებითი სამედიცინო დახმარება.

პარალელურად, დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით დაიწყო გლობალური ჯანმრთელობის ხელშემწყობი საერთაშორისო პროგრამები. ამოქმედდა ჯანმრთელობის ხელშეწყობის, მოსახლეობის სამედიცინო-პროფილაქტიკური

გასინჯვებისა და ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრების ღონისძიებათა მართვის სისტემა.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში განისაზღვრა სამი ქვედანაყოფი: 1. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; 2. ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და დაავადებათა პროფილაქტიკის ცენტრი; 3. სამედიცინო სტატისტიკისა და ინფორმაციის ცენტრი.

1996 წელს დაარსდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, რომელიც კოორდინაციას უწევს ეპიდემიოლოგიურ ზედამხედველობას, გადამდები დაავადებებთან ბრძოლას და პრევენციულ ღონისძიებებს, მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას უწევს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამხარეო და ადგილობრივ ცენტრებს, სამედიცინო დაწესებულებებს, მედიკოსებისათვის ატარებს ტრენინგებს, აწარმოებს საველე სამუშაოებს, აქვს ნაციონალური რეფერენს-ლაბორატორიები, იკვლევს ეპიდაფეთქებების შემთხვევებს და მათ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. გააჩნია რეგიონალური ფილიალების ქსელი. აწარმოებს კვარტალურ ეპიდემიოლოგიურ ბიულეტენებს. იგი კოორდინაციას უწევს იმუნიზაციის ეროვნულ პროგრამას და ასევე თანამშრომლობს სხვა დონორებთან და დაავადებათა კონტროლის ცენტრებთან, მაგალითად აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრთან.

სამედიცინო სტატისტიკის და ინფორმაციის ცენტრი პასუხისმგებელია ჯანმრთელობის სტატისტიკის შეგროვებაზე, ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და დაავადებათა პრევენციის ცენტრი – ჯანმრთელობის განათლებასა და ჯანმრთელობის ხელშეწყობაზე. 1996 წელს გამოიცა პირველი ყოველწლიური სტატისტიკური ცნობარი – „ჯანმრთელობის დაცვა – საქართველო", რომელშიც წარმოდგენილია ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ჯანდაცვის რესურსების ამსახველი ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები. ცნობარებში მოტანილი მაჩვენებლების გამოსათვლელად გამოიყენება ჯანმოს მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგია, რაც ხელს უწყობს საქართველოს მაჩვენებლების სხვა ქვეყნების მაჩვენებლებთან შედარებას.

დეცენტრალიზაციის თვალსაზრისით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ისევ საქართველო აღმოჩნდა ერთადერთი გამონაკლისი, სადაც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის 4 ელემენტიდან (დაფინანსება, პოლიტიკის განვითარება, სტანდარტების დადგენა, მენეჯმენტი და ადმინისტრირება) დაფინანსება გადანაწილებული იყო ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეებზე, ხოლო მენეჯმენტი და ადმინისტრირება – ცენტრალურ, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე (იხ. ცხრილი 1; ცენტრალური = ც, რეგიონული = რ და მუნიციპალური = მ).

ცხრილი 1: საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის ელემენტების განაწილება სამთავრობო დონეების მიხედვით.[7]

	სისტემის ელემენტები			
	დაფინანსება	**პოლიტიკის განვითარება**	**სტანდარტების დადგენა**	**მენეჯმენტი და ადმინისტრირება**
საქართველო	ც, მ	ც	ც	ც, რ, მ,
სომხეთი	ც	ც	ც	ც
აზერბაიჯანი	ც	ც	ც	ც
ბელორუსი	ც	ც	ც	ც
ყაზახეთი	ც	ც	ც	ც
ყირგიზეთი	ც	ც	ც	ც
მოლდოვა	ც	ც	ც	ც
რუსეთი	ც	ც	ც	ც
ტაჯიკეთი	ც	ც	ც	ც
თურქმენეთი	ც	ც	ც	ც
უკრაინა	ც	ც	ც	ც
უზბეკეთი	ც	ც	ც	ც

ამგვარად, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემა ფუნქციონირების ლოგიკური ჩარჩოს მიხედვით ემსგავსებოდა განვითარებული ქვეყნების საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემების მოდელებს. აღნიშნული ეხება პასუხისმგებლობისა და დაფინანსების დონეებს, ძირითადი სერვისების მიწოდებას (იმუნიზაცია, ეპიდზედამხედველობა, ჯანმრთელი ცხოვრების წესი და ა.შ.).

III. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამების განვითარება

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის არსებული სისტემის ფუნქციონირების პრინციპი ძირითადი მოცულობისა და პასუხისმგებლობების დონეებად დაყოფა იყო. 1996-2003 წლებში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრიორიტეტებს განეკუთვნოდა იმუნიზაციის, ეპიდზედამხედველობის, ონკოლოგიურ დაავადებათა, უსაფრთხო სისხლის, ნარკომანიისა და ტრავმატიზმის პრევენციის, ჯანმრთელი ცხოვრების წესის, ავადობის აქტიური გამოვლენის და სხვა ღონისძიებების განხორციელება.

7 Gotsadze et al., 2010, 440.

ადგილობრივ დონეზე მუნიციპალური პროგრამების სახით ფინანსდებოდა ინფექციურ დაავადებათა პრევენციის, ქრონიკულ დაავადებათა მართვისა და ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროგრამები, ის ღონისძიებები, რომლებიც კონკრეტულ არეალზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის საჭიროება იყო და ითვალისწინებდა სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და ბუნებრივ თავისებურებებს. თუმცა რიგ შემთხვევებში ადგილობრივი დაფინანსება სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. ადგილობრივ დონეზე არსებობდა საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე რეალური პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების გაუთვითცნობიერებულობის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ არასაკმარისი ცოდნის და შესაბამისად, ადეკვატური ბიუჯეტების ფორმირების პრობლემა.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ქსელის ჩამოყალიბებას საქართველოში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ეპიდზედამხედველობის მოწესრიგებისა და დაავადებათა კონტროლის სისტემის გაუმჯობესების მხრივ, რომელიც რაიონულ დონეზე ფაქტობრივად მოშლილი იყო, ისე ეპიდემიოლოგიური ვითარების პროგნოზირებისა და ადეკვატური პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავების და გატარების თვალსაზრისით.[8]

ჯანმოს მოთხოვნით, უზრუნველყოფილ იქნა ინფექციური დაავადებების გავრცელების ტენდენციებსა და სტრუქტურის შესახებ მონაცემთა დროული მიღება, შეფასება და ანალიზი, რაც სათანადო კონტროლის ღონისძიებების დროული განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. ამ პრობლემების მოგვარებისათვის ქვეყანაში ამუშავდა „ეპიდზედამხედველობისა და ეპიდემიოლოგიური ვითარების მართვის პროგრამა“, „ჯანმრთელი ცხოვრების წესის ხელშეწყობისა და დაავადებათა პრევენციის პროგრამა“ და სხვა პროფილაქტიკური პროგრამები, რაც, თავის მხრივ, ეხმიანებოდა ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეის რეზოლუციას, რომელშიც მითითებულია, რომ ლაბორატორიულ კვლევებზე დაფუძნებული ეპიდზედამხდველობის სისტემათა განვითარება და ინფექციური დაავადებათა კონტროლის აქტივიზაცია ეროვნულ დონეზე ამ დაავადებათა საერთაშორისო მასშტაბებით გავრცელებისაგან დაცვის საუკეთესო საშუალებაა.[9]

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რეორგანიზაციამ პირველი შედეგები მალევე გამოიღო. სახელმწიფო პროგრამით რუტინული იმუნიზაციის დაწყებამ, უსაფრთხო ინექციების და სამედიცინო მანიპულაციების პრაქტიკის დანერგვამ, უსაფრთხო სისხლის პროგრამის შემოღებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ინფექციურ დაავადებათა გავრცელება.

---

8 Gzirishvili, Mataradze, 1999.

9 Gamkrelidze et al., 2002.

იაპონიის მთავრობის, გაეროს ბავშვთა ფონდის, USAID-ის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის და სხვა ორგანიზაციების დახმარებით 1995-1996 წლებში ქვეყანაში ჩატარდა 3-60 წლის მოსახლეობის მასობრივი იმუნიზაციის კამპანია ტდ ვაქცინით, მოცვა – 83%. მათი მხარდაჭერით 1995 წელს კახეთში ჩატარდა სხვადასხვა ასაკის მოსახლეობის სეროლოგიური კვლევა ბუსტერ დოზის შემდგომ დიფთერიის საწინააღმდეგო იმუნიტეტის არსებობაზე. აღმოჩნდა, რომ 30-49 წლის ასაკის მოსახლეობას დამცველობითი იმუნიტეტი მაინც არ ჰქონდა. კვლევის საფუძველზე, 1997 წელს ჩატარდა ამ ასაკობრივი კონტინგენტის ტდ ვაქცინის მე-2 ბუსტერ დოზით ვაქცინაცია. მოცვა – 86%. შედეგად 1998 წლიდან დიფთერიის ეპიდემია კონტროლირებადი გახდა. ეფექტური ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები გატარდა წყლისმიერი ნაწლავური ინფექციების, ჰეპატიტების, მუცლის ტიფის სხვადასხვა ეპიდაფეთქებების დროს (ახალციხე, ფოთი, ბათუმი, ქობულეთი, ხონი, რუსთავი და სხვ.).

ამ პერიოდში იაპონიის, აშშ-ის და სხვა განვითარებული ქვეყნების მთავრობებისა და განსაკუთრებით, გაეროს ბავშვთა ფონდის უდიდესი დახმარების შედეგად შესაძლებელი გახდა ჯერ გეგმიური აცრების დაწყება, ხოლო შემდეგ მოსახლეობის მასობრივი ვაქცინაცია.[10] აცრებით მოცვის მაღალი დონის მიღწევის გამო 2002 წლის ივნისში ჯანმოს ევროპის რეგიონის სასერთიფიკაციო კომისიამ საქართველოს მიანიჭა პოლიომიელიტისგან თავისუფალი ზონის სტატუსი, რომელსაც ჩვენი ქვეყანა დღემდე ინარჩუნებს.

ჯანმოს მიერ რეკომენდებულ DOTS (Directly Observed Therapy, Short-curse) სტრატეგიაზე ორიენტირებული მრავალწლიანი სახელმწიფო პროგრამის შექმნამ და დანერგვამ ეპიდემიოლოგიური სიტუაცია ერთგვარად მოაწესრიგა. სტრატეგიის არსი მდგომარეობს ტუბერკულოზზე სრულყოფილი კონტროლის სისტემის შექმნაში, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებაში სიკვდილობის, ავადობის, დაავადების გავრცელების შემცირებასა და ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტებისადმი რეზისტენტობის განვითარების პრევენციას. ეს ხორციელდება ტუბერკულოზის შემთხვევათა გამოვლენის, დიაგნოზირების, მკურნალობის, პრევენციისა და ეპიდზედამხედველობის სტანდარტული ღონისძიებების მეშვეობით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლუგარის ცენტრის შექმნა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1997 წელს ამერიკის შეერთებული შტატების და საქართველოს პრეზიდენტების მიერ „ბიოლოგიური უსაფრთხოების შესახებ“ ხელშეკრულების დადების შემდეგ. იგი ეხებოდა ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გაუვრცელებლობას მსოფლიოში და ქვეყნის ბიოლოგიური უსაფრთხო-

[10] ვერულავა, ჯორბენაძე, 2023, 45-64.

ების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი იყო. შეთანხმებამ საფუძველი დაუდო ამ ტიპის პროგრამების განვითარებას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად აღმოსავლეთ ევროპაში. საქართველოში ცენტრის შექმნას განსაკუთრებით ლობირებდა ცნობილი რესპუბლიკელი სენატორი რიჩარდ ლუგარი. 1998 წელს განხორციელდა ლუგარის პირველი ვიზიტი პრეზიდენტ შევარდნაძესთან და გადაწყდა ლუგარის ლაბორატორიის დაარსება. იმის გათვალისწინებით, რომ ლუგარის ცენტრი ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, 2002 წელს რიჩარდ ლუგარის და სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძესთან შეხვედრაზე მოხდა შეთანხმება, რომ ლუგარის ცენტრი ყოფილიყო ჯანდაცვის სექტორის დაქვემდებარების ქვეშ და შესულიყო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემაში. დღეისათვის ლუგარის ცენტრი ერთ-ერთი საუკეთესო ბაზაა კავკასიის რეგიონში ბიოსამედიცინო სფეროში და ბიოლოგიურ უსაფრთხოებაში სამეცნიერო კვლევებისთვის. ცენტრი უმაღლესი სტანდარტებით არის მოწყობილი და ბიოლოგიური უსაფრთხოების მესამე დონე აქვს მინიჭებული, რაც ნიშნავს, რომ აქ თითქმის ყველა სახის მიკრობს იკვლევენ.[11] საქართველოს თანამედროვე კლასიფიკაციით მესამე დონის ლაბორატორიას კორონავირუსის დიაგნოსტირებაც შეუძლია, რაც ამ ინფექციის დროულად გამოვლენისა და მართვის შესაძლებლობას იძლევა. მისი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე პანდემიების ხანაში.

ამგვარად, საქართველოში ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული სტრუქტურული გარდაქმნის შედეგად საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე პრინციპებზე აგებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ახალ სისტემას, რომელიც ეხმიანებოდა მსოფლიოს უახლეს გამოცდილებას. თუმცა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურის რეორგანიზაციის გატარებაში უმთავრესი სირთულე იყო სახელმწიფო პროგრამების არასრული დაფინანსება. ჯანმრთელობის დაცვის სისტემა განიცდიდა დაფინანსების ქრონიკულ დეფიციტს, რადგან სახელმწიფო ხშირად ვერ ახდენდა დაპირებული ვალდებულებების დაფინანსებას.[12] გამოწვევა იყო პირველადი ჯანდაცვის შესაძლებლობების სუსტი ინტეგრაცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ფუნქციების შესასრულებლად.[13,]

2007 წელს მთავრობის მიერ განხორციელებული ცვლილებების შედეგად საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტი შეერწყა დაავადებათა კონტრო-

[11] ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ძირითადი მიღწევები და გამოწვევები: 2013-2017, თბილისი, 2018.

[12] Verulava, Dangadze, 2018, 401-406.

[13] Verulava, 2019, 57-62; Asatiani, Verulava, 2017, 21-28; ვერულავა, ჯორბენაძე, 2022, 23-41.

ლის ეროვნულ ცენტრს და ჩამოყალიბდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, რამაც შეასუსტა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის როლი და მნიშვნელობა, რადგან დაავადებათა კონტროლის ცენტრი მხოლოდ ინსტრუმენტია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემაში. შედეგად, შემცირდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიმართ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ყურადღება. უფრო მეტიც, გაუქმდა სანიტარული ზედამხედველობის სამსახური და მისი ცალკეული ფუნქციები სხვადასხვა სამინისტროსა და უწყებაში გადანაწილდა. სამსახურის გაუქმების გამო ზედამხედველობის გარეშე დარჩა სხვადასხვა ობიექტი (მაგ., სამედიცინო ორგანიზაციები, სტომატოლოგიური კაბინეტები, სილამაზის სალონები), სადაც შესუსტდა მომსახურების ხარისხის კონტროლი და უსაფრთხოების სტანდარტები.[14]

თანამედროვე პირობებში, როდესაც საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში უფრო მეტად ყურადღება ექცევა მკურნალობას, ვიდრე პრევენციას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრევენციული მედიცინის აღიარებას ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების უმთავრეს პრიორიტეტად. ამისათვის საჭიროა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, ჰოსპიტალური სექტორისა და პირველადი ჯანდაცვის სამსახურების შემდგომი კოორდინირებული განვითარება, აგრეთვე სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ეფექტიანი პარტნიორობა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სექტორის გაძლიერების მიზნით.[15]

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის როლი განსაკუთრებით იზრდება თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში, როდესაც აქტუალური გახდა ინფექციური დაავადებების გავრცელების საფრთხე. გლობალიზებულ სამყაროში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გამოწვევები სცდება ეროვნულ საზღვრებს და ინტერესებს, ვინაიდან მას აქვს უდიდესი გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები. შესაბამისად, თანამედროვე საზოგადოებრივი ჯანმრთელობა განიხილება გლობალურ კონტექსტში და მოითხოვს საერთაშორისო რეგულაციებს, სხვადასხვა სახელმწიფოს შორის კოორდინირებულ თანამშრომლობაზე დაფუძნებულ ტრანსნაციონალურ ქმედებებს და გადაწყვეტილებებს.

ჯანმრთელობის საერთაშორისო რეგულაციები ის იურიდიული ჩარჩოა, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორი რეაგირება უნდა მოახდინონ ქვეყნებმა საერთაშორისო დაავადებების საფრთხეზე. მისი მიზანია დაავადების საერთაშორისო გავრცელების თავიდან აცილება, დაცვა და კონტროლი. გლობალური რეგულაციების საფუძველზე ქვეყნის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტე-

[14] ვერულავა, ჯორბენაძე, 2022b.
[15] ჯორბენაძე, ვერულავა, 2022.

მამ უნდა შეიმუშაოს ისეთი მუდმივმოქმედი სისტემა, რომელიც დროულად გამოავლენს და აღმოფხვრის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის იმ რისკებს, რომლებმაც შესაძლოა დაავადების მასობრივი გავრცელება გამოიწვიოს[16].

იმის გათვალისწინებით, რომ ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლა უპირატესად საზოგადოებრივი სიკეთეა, ვიდრე კერძო, ინდივიდუალური სერვისი, გავრცელების გლობალური საფრთხე მოითხოვს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ღონისძიებების როლის ზრდას და ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას.

1995–2003 წლებში დაწყებული რეორგანიზაციისა და სხვადასხვა პროგრამების დანერგვის მიუხედავად, სისტემაში რჩება ძირითადი პრობლემები: სახელმწიფო პროგრამების არასრული და არისტაბილური დაფინანსება, პირველადი ჯანდაცვის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერვისების არასაკმარისი ინტეგრაცია, საკადრო რესურსების დეფიციტი, ინფრასტრუქტურის არაბალანსირებული განაწილება რეგიონებში (ლაბორატორიების, კვალიფიციური ეპიდემიოლოგების გავრცელება არათანაბრად).[17] ამ ფაქტორებმა შეანელა სისტემის მდგრადობის განვითარების პროცესი და განაპირობა ადგილობრივი დონეების შესუსტება ეპიდემიოლოგიურ რეაგირებასა და ხარისხის კონტროლში[18].

IV. საერთაშორისო გამოცდილების მოკლე მიმოხილვა

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ინსტიტუციური სტრუქტურების გამართულობაზე, მდგრად დაფინანსებასა და მონიტორინგის თანამედროვე სისტემების არსებობაზე. დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ჩამოყალიბებული მოდელები ხშირად განიხილება როგორც წარმატებული მაგალითები, რომლებიც საქართველოსა და ზოგადად სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის ნიმუშად შეიძლება იქცეს რეცეფციისთვის.

ევროპულ სისტემებში საზოგადოებრივი ჯანმრთელობა ეფუძნება რამდენიმე მნიშვნელოვან პრინციპს. უპირველეს ყოვლისა, დაფინანსების სტაბილურობა და მრავალმხრივი წყაროები ქმნის მყარ საფუძველს სერვისების უწყვეტობისთვის. მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამების დაფინანსებაში.[19]

---

16 ჯორბენაძე, 2023.

17 Richardson, Berdzuli, 2017.

18 Richardson et al., 2025.

19 Karanikolos et al., 2013.

ინსტიტუციური გამჭვირვალობა და მკაფიო ფუნქციები უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებას. გერმანიაში ეპიდზედამხედველობა ცენტრალიზებულია რობერტ კოხის ინსტიტუტში (Robert Koch Institute), ხოლო საფრანგეთში ეს ფუნქცია საფრანგეთის ჯანდაცვის სამინისტროს (Santé Publique France) ეკისრება.[20] მსგავსი მოდელი თავიდან იცილებს პასუხისმგებლობების დუბლირებას და აუმჯობესებს კოორდინაციას.

მონაცემებზე დაფუძნებული მენეჯმენტი თანამედროვე ეპიდემიოლოგიური პოლიტიკის ბირთვია. ევროპის დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ცენტრის (ECDC) ქსელი საშუალებას იძლევა, რომ ქვეყნები სწრაფად ცვლიდნენ ინფორმაციას და რეაგირებდნენ დაავადებების გავრცელებაზე[21]. გარდა ამისა, კანონის მკაცრი აღსრულება – მაგალითად, თამბაქოს კონტროლის, საკვების უსაფრთხოების ან სავალდებულო ვაქცინაციის სფეროში – მნიშვნელოვანწილად ზრდის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკის ეფექტიანობას.[22]

სამხრეთ კავკასიის რეგიონში ვითარება მეტად ჰეტეროგენულია. საქართველო პოზიტიურად გამოირჩევა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტებით, როგორიცაა, რიჩარდ ლუგარის სახელობის ლაბორატორიის შექმნა, რომელმაც COVID-19-ის პანდემიის პერიოდში გადამწყვეტი როლი შეასრულა დაავადებათა მონიტორინგსა და დიაგნოსტიკაში.[23] მიუხედავად ამისა, სისტემის ძირითადი სისუსტეები კვლავაც უკავშირდება დაფინანსების არასტაბილურობასა და რეგიონული ქსელის სუსტ ინტეგრაციას. 2007 წლის ინსტიტუციურმა რეფორმამ, რომლის შედეგადაც სანიტარული ზედამხედველობის ფუნქციები ნაწილობრივ სხვა უწყებებს გადაეცა, გარკვეული დეზორგანიზაცია გამოიწვია და სერვისების უწყვეტობაზე უარყოფითად აისახა.[24]

სომხეთის მოდელი განსხვავდება იმით, რომ ქვეყანამ მოახერხა რეგიონული ლაბორატორიების ქსელის შენარჩუნება და თანმიმდევრული მოდერნიზაცია, რაც დროულ რეაგირებას უზრუნველყოფს ინფექციური დაავადებების გავრცელებისას.[25] აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პრევენციის პროგრამებს – იმუნიზაციას, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვასა და ქრონიკული დაავადებების მონიტორინგს. თუმცა დაფინანსება კვლავ შეზღუდულია და დიდწილად საერთაშორისო დონორებზეა დამოკიდებული.[26]

---

20 Rechel et al., 2018.

21 Annual Epidemiological Report, European Centre for Disease Prevention and Control, 2020.

22 European Health Report 2019: More than Numbers, Copenhagen, 2019.

23 Gamkrelidze, Kereselidze, Gambashidze, 2021, 1-9.

24 Verulava., Jorbenadze, 2022, 179-184.

25 Hakobyan et al., 2006.

26 Armenia – Achievement and Challenges in Improving Health Care Utilization: A Multi-

აზერბაიჯანი, თავის მხრივ, ინარჩუნებს ცენტრალიზებულ ზედამხედველობის მოდელს. ბოლო წლებში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციის მიმართულებით, მათ შორის, ელექტრონული ეპიდემიოლოგიური ბაზების დანერგვა და საკანონმდებლო ჩარჩოს განახლება, რაც ხელს უწყობს მონაცემთა გამჭვირვალობასა და ეფექტიან რეაგირებას.[27] აზერბაიჯანის მოდელს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს ენერგეტიკული რესურსებიდან მიღებული ფინანსური სტაბილურობა, თუმცა მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება რეგიონებში სერვისების თანაბარი ხელმისაწვდომობა.

შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ევროპული გამოცდილება ხაზს უსვამს სისტემური მდგრადობის, სამართლებრივი მექანიზმების ეფექტიანობისა და მონაცემთა ინტეგრაციის მნიშვნელობას. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა სხვადასხვა გზით სცადეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის გაძლიერება: საქართველომ ტექნოლოგიური ცენტრის (ლუგარის ლაბორატორია) გაძლიერებით, სომხეთმა – ლაბორატორიული ქსელის შენარჩუნებით, ხოლო აზერბაიჯანი – ციფრული ტექნოლოგიებისა და ცენტრალიზებული მართვით. ამ ფონზე საქართველოს მთავარი გამოწვევა მდგომარეობს იმაში, რომ ძლიერი ცენტრალური ინსტიტუტის პარალელურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს რეგიონული ინფრასტრუქტურის მდგრადობა და დაფინანსების სტაბილურობა.

V. დასკვნა

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში დაწყებული სტრუქტურული გარდაქმნის შედეგად საფუძველი ჩაეყარა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ახალ მიდგომას, რომელიც მიმართული იყო ქვეყანაში პრევენციული მედიცინის ერთიანი მექანიზმების ასამოქმედებლად და სახელმწიფო ეპიდზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმების ასამუშავებლად. ჩამოყალიბდა ევროპულ პრინციპებზე აგებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ახალი ინფრასტრუქტურა. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურის რეორგანიზაციის გატარებაში უმთავრესი სირთულე იყო სახელმწიფო პროგრამების არასრული დაფინანსება და პირველადი ჯანდაცვის შესაძლებლობების სუსტი ინტეგრაცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ფუნქციების შესასრულებლად. მიუხედავად აღნიშნულისა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ქსელის ჩამოყალიბებას საქართველოში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ეპიდზედამხედველობის მო-

Project Evaluation of the World Bank Support to the Health System Modernization (2004-2016), World Bank, 2019.

[27] Graefen, Fazal, 2025, 39-46.

წესრიგებისა და დაავადებათა კონტროლის სისტემის გაუმჯობესების მხრივ, ასევე ეპიდემიოლოგიური ვითარების პროგნოზირებისა და ადეკვატური პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავების და გატარების თვალსაზრისით. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის როლი განსაკუთრებით იზრდება თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში, როდესაც აქტუალური გახდა ინფექციური დაავადებების გავრცელების გლობალური საფრთხე. იგი მოითხოვს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ღონისძიებების როლის ზრდას და ჯანდაცვის სექტორში სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას.

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტიანობის გაზრდა უნდა ეფუძნებოდეს სამ მთავარ მიმართულებას: (ა) დაფინანსების სტაბილურობის გამყარება; (ბ) პირველადი ჯანდაცვისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ფუნქციების ინტეგრაცია; (გ) ინსტიტუციური და მონაცემზე დაფუძნებული მართვის გაძლიერება. მიზანშეწონილია შედეგზე ორიენტირებული დაფინანსების შემოღება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრიორიტეტულ პროგრამებზე; რეგიონული ლაბორატორიული ქსელის დამატებითი ინვესტირება და პერსონალის გადამზადება; ინფრასტრუქტურული (სისტემური) კოორდინაციის გაძლიერება ჰოსპიტალებსა და პირველად ჯანდაცვას შორის; და ციფრული ეპიდსისტემის (ყოველდღიური მონიტორინგი, ქვედანაყოფების ელექტრონული რეპორტინგი) დანერგვა.

გამოყენებული ლიტერატურა

- ვერულავა თ., ჯორბენაძე ა., ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება საქართველოს ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში, ჟურნ. „ეკონომისტი“, N3, 2023
- ვერულავა თ., ჯორბენაძე ა., პირველადი ჯანდაცვის რეფორმირების 1995-2003 წლების გამოცდილება და რეკომენდაციები, ჟურნ. „ეკონომისტი“, N2, 2022b
- ვერულავა თ., ჯორბენაძე ა., ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის განვითარება საქართველოში, „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, N1, 2024
- ვერულავა თ., ჯორბენაძე ა., ჰოსპიტალური სექტორის რეფორმა საქართველოში, ჟურნ. „ეკონომისტი“, N3, 2022
- ჯორბენაძე ა., ვერულავა თ., საზოგადოებრივი ჯანდაცვის განვითარების პირველი ნაბიჯები დამოუკიდებელ საქართველოში, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, N1, 2022
- ჯორბენაძე ა., როგორ იქმნებოდა ჯანმრთელობის დაცვის ახალი სისტემა, წ. I (1993-1997 წლები), თბილისი, 2021
- ჯორბენაძე ა., როგორ იქმნებოდა ჯანმრთელობის დაცვის ახალი სისტემა, წ. II (1998-2003 წლები), თბილისი, 2023
- Asatiani M., Verulava T., Georgian Welfare State: Preliminary Study Based on Esp-

ing-Andersen's Typology, *Econ Sociol*, Vol. 10, No. 4, 2017
- Barr D.A., Field M.G., The Current State of Health Care in the Former Soviet Union: Implications for Health Care Policy and Reform, American Journal of Public Health, Vol. 86, No. 3, 1996
- Gamkrelidze A., Atun R., Gotsadze G., MacLehose L., Health Care Systems in Transition – Georgia 2002, Copenhagen: European Observatory on Health Care Systems, 2002
- Gamkrelidze,A., Kereselidze M., Gambashidze K., Public Health Response to COVID-19 in Georgia, Public Health Reviews, Vol. 42, No. 2, 2021
- Gigauri I., Djakeli K., National Health Reforms in Georgia during 1994-2021 and their Success, Journal of Business and Public Administration, Vol. 12, No. 2, 2021
- Gotsadze G., Chikovani I., Goguadze K., Balabanova D., McKee M., Reforming Sanitary-epidemiological Service in Central and Eastern Europe and the Former Soviet Union: An Exploratory Study, Public Health, Vol. 10, 2010
- Graefen B., Fazal N., From Global Best Practices to National Implementation: Digital Health Strategies for Azerbaijan, Problems of Information Society, Vol. 16, No. 2, 2025
- Gzirishvili D., Mataradze G., Healthcare Reform in Georgia, UNDP, 1999
- Hakobyan T., Nazaretyan M., Makarova T., Aristakesyan M., Margaryants H., Nolte E., Richardson E., Health Systems in Transition, Health System Review, Vol. 8, No. 6, 2006.
- Karanikolos M., Mladovsky P., Cylus J., Thomson S., Basu S., Stuckler D., Mackenbach J.P., McKee M., Financial Crisis, Austerity, and Health in Europe, The Lancet, Vol. 381, No. 9874, 2013
- Rechel B., Public Health, in: Trends in Health Systems in the Former Soviet Countries, Copenhagen, 2014
- Rechel B., Jakubowski E., McKee M., Nolte E., Organization and Financing of Public Health Services in Europe, Copenhagen, 2018
- Richardson E, Berdzuli N., Georgia Health System Review, Health Systems in Transition, Vol. 19, No. 4, 2017
- Richardson E., Tvaliashvili M., Gviniadze K., Roubal T., Health Systems in Action (HSiA) Insights – Georgia, 2024, Copenhagen: European Observatory on Health Systems and Policies, 2025
- Verulava T., Health Capital, Primary Health Care and Economic Growth, Eastern Journal of Medicine, Vol. 24, No. 1, 2019
- Verulava T., Dangadze B., Health Capital and Economic Growth: Evidence from Georgia, The Open Public Health Journal, Vol. 11, 2018
- Verulava T., Jorbenadze A., Development of Public Health in Georgia: Challenges and Policy Issues, Archives of the Balkan Medical Union, Vol. 57, No. 2, 2022

Tengiz Verulava*

TRANSFORMING THE PUBLIC HEALTH SYSTEM IN GEORGIA: CONTEMPORARY CHALLENGES

Abstract

Public health protection is a core function of the state, aimed at preventing disease and promoting health through organized social efforts, including environmental sanitation, the control of infectious diseases, public hygiene education, and early disease detection. Epidemiological research also enables the rational allocation of resources to priority health problems, which is especially important for a low-income country such as Georgia.

In 1995, the reorientation of the Georgian healthcare system laid the foundation for a new approach to public health, based not only on the medical model but also on preventive healthcare and effective state epidemiological surveillance. Unlike most post-Soviet countries, Georgia – apart from the Baltic states – fully abandoned the Soviet sanitary-epidemiological model and established a new public health infrastructure based on European principles, drawing significantly on the experience of the US Centers for Disease Control, the World Bank, the World Health Organization, and Israeli public health institutions.

This reform separated supervisory and executive functions and led to the creation of two distinct bodies: the Department of Public Health and the Department of Sanitary Supervision and Hygienic Norms. Although the reform faced challenges, particularly insufficient state financing and weak integration of primary healthcare into public health functions, it played an important role in strengthening epidemiological surveillance, improving disease control, and developing preventive measures. In the modern globalized world, the role of public health continues to grow, making stronger public health policies and closer cooperation between the state and the private sector increasingly necessary.

Keywords: Public Health, Lugar Center, Center for Disease Control.

* Professor at Caucasus University, https://orcid.org/0000-0001-8110-5485

კახაბერ ლორია*

ორი რომანის მსგავსი და განსხვავებული განზომილებანი: კნუტ ჰამსუნის „მისტერიებისა“ და გურამ გეგეშიძის „ცოდვილის“ მიმართებისათვის

I. შესავალი

როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, უკვე 1950-იანი წლების შუა პერიოდსა და 1960-იანი წლების დასაწყისშივე, მთელ საბჭოთა იმპერიაში საკმაოდ სერიოზული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებები მოხდა. „დათბობის“ („ოტტეპელის“) სახელით ცნობილმა იმდროინდელმა პროცესებმა, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროთა მსგავსად, თავისი გავლენა იქონია ხელოვნებასა და ლიტერატურაზეც. ყველაფერი ფარდობითია, მაგრამ, ვფიქრობ, ობიექტურობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ სახელოვნებო და ლიტერატურულმა ცხოვრებამ შეზღუდული, თუმცა გარკვეული თავისუფლება მაინც მოიპოვა. ამავდროულად, სრულიად საბჭოეთის მასშტაბით მიმდინარეობს სტალინის ეპოქის მსხვერპლი და, შესაბამისად, აკრძალული, არაერთი მწერლისა და ხელოვანის რეაბილიტირება. მათი შემოქმედება კი ფართო საზოგადოებრიობას უბრუნდება. სწორედ ამ პერიოდში ძალიან საინტერესო პროცესები და მოვლენები ვითარდება საკუთრივ ჩვენს, ქართულ ლიტერატურაში, რაც, ჩემი აზრით, 1930-იან წლებში უმკაცრესი ძალისმიერი მეთოდებით შეწყვეტილი განვითარების ხაზის ერთგვარი აღდგენისა და გაგრძელების მცდელობაა.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი საქართველო უკვე 1921 წელს დაიპყრო ბოლშევიკურმა რუსეთმა და მალევე იძულებით შეიყვანა საბჭოთა კავშირში, ოკუპაციის პირველ წლებში ხელისუფლება შედარებით ნაკლებად იყო დაკავებული საქართველოში ლიტერატურული პლურალიზმის წინააღმდეგ ბრძოლით. საოკუპაციო რეჟიმი ჯერ კიდევ არ იყო მყარად დამკვიდრებული და აშკარად ბევრი სხვა რამ ჰქონდა საკეთებელი, ვიდრე ესთეტიკურ მრავალფეროვნებასთან ბრძოლაა. ამან, სხვა გარემოებებთან ერთად, განაპირობა, რომ ყველა

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, https://orcid.org/0009-0006-1196-3293

ძირითადი მოდერნისტული ტენდენცია, რომელიც ქართულ ლიტერატურაში უკვე 1890-იან წლებშიც კი აშკარად გახდა შესამჩნევი, ხოლო განსაკუთრებით განვითარდა და დომინანტური შეიქნა 1910-იანი წლების მთელ ქართულ ლიტერატურულ პროცესში, 1920-იანი წლების ბოლომდეც მეტ-ნაკლებად მკაფიოდ ინარჩუნებდა სიცოცხლისუნარიანობას. მაგრამ უკვე 1930-იანი წლების დასაწყისში ჩვენში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ხელისუფლება იწყებს მკაცრი კონტროლის დაწესებას ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, აცხადებს რა, რომ ე.წ. „სოციალისტური რეალიზმი“ არის ერთადერთი მისაღები მეთოდი მრავალეროვნულ საბჭოთა ხელოვნებასა და მხატვრულ ლიტერატურაში. როგორც ცნობილია, ხსენებულ მიდგომას ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვა საბჭოთა იმპერიაში შემავალი ერებისათვის. ქართულმა სახელოვნებო და ლიტერატურულმა წრეებმა ამ მხრივ განსაკუთრებულად სერიოზული ზიანი განიცადეს. სრულიად დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ზემოხსენებულმა მნიშვნელოვნად შეაფერხა იმდროინდელი ქართული სამწერლობო პროცესის ნორმალური და ბუნებრივი განვითარება, რომელიც მანამდე, და კონკრეტულად მე-19 საუკუნეშიც, ძირითადად მიჰყვებოდა იმავე ლიტერატურულ კალაპოტს, რასაც მოწინავე ევროპული ეროვნული ლიტერატურები.[1] მოგვიანებით, თვალსაჩინო ქართველმა ლიტერატურათმცოდნემ და საზოგადო მოღვაწემ, აკაკი ბაქრაძემ მოვლენათა ამ ტრაგიკულ განვითარებას მოხდენილად უწოდა „მწერლობის მოთვინიერება“ თავის ამავე სახელწოდების წიგნში.[2] ნებისმიერ შემთხვევაში, ამ უმძიმეს პროცესებს თან ახლდა არა მხოლოდ უზარმაზარი იდეოლოგიური წნეხი, არამედ მკაცრი ფიზიკური რეპრესიებიც.[3]

და აი, ლიტერატურული ცხოვრების ის ერთგვარი ლიბერალიზაცია, რომელიც „ოტტეპელის“ პოლიტიკურ კლიმატს უკავშირდება, თითქმის მომენტალურად გამოიხატა იმ ტენდენციების გაცოცხლებითა და გააქტიურებით, რომლებიც ქართულ ლიტერატურას 1930-იან წლებამდე ახასიათებდა. აქ, სხვა განზომილებებთან ერთად, უნდა აღინიშნოს ფსიქოლოგიზმი, ინდივიდუალიზმი, მითოლოგიზაცია, ბიბლიური პარადიგმები და ა.შ. ახალი „სუნთქვა გაეხსნა“ რომანს, როგორც ჟანრს. ის განსაცვიფრებელი აღმავლობა კი, რომელიც 1970-1980-იან წლებში ქართულმა რომანმა განიცადა, როდესაც ის, სრულიად დამსახურებულად, მთელ იმდროინდელ საბჭოთა ლიტერატურაშიც აშკარად გამორჩეულ მოვლენად აღიქმებოდა, სათავეს სახელდობრ 1960-იან წლებში დამკვიდრებული

1 Loria, 2016, 118.

2 იხ., ბაქრაძე, 1990.

3 იხ., Loria, 2016, 119.

(ან თუნდაც ხელახლა გაცოცხლებული) ტენდენციებიდან იღებს. შესანიშნავი ქართველი მწერლის, გურამ გეგეშიძის (1934-2020), ქრონოლოგიურად პირველი რომანი „ცოდვილი“ სწორედ(აც) რომ ამ კონტექსტშია გასააზრებელი.[4]

II. ვამეხ გურამიშვილი – დასავლური ლიტერატურიდან (გად)მოსული ახალგაზრდა?!

გურამ გეგეშიძე გასული საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ერთ-ერთი უდავოდ ყველაზე თვალსაჩინო რომანისტია. მისი „ცოდვილი“ დაიწერა 1966 წელს და უკვე მომდევნო წლის დასაწყისში გამოქვეყნდა ლიტერატურულ ჟურნალ „მნათობში“. 1968 წელს კი თხზულება წიგნადაც გამოიცა. აღსანიშნავია, რომ რომანს, არსებითად, გამოსვლისთანავე გამოეხმაურა ქართული კრიტიკა. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ იმთავითვე დაისვა კითხვა, თუ სად უნდა გვეძია გეგეშიძის ამ თხზულების ლიტერატურული ძირები. ასე, მაგალითად, რევაზ მიშველაძემ ჯერ კიდევ ჟურნალ „ცისკრის“ 1967 წლის ივლისის ნომერში დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ (და, გულახდილად რომ ვთქვათ, გამორიცხა კიდეც) ამ რომანის ქართულ ლიტერატურულ ტრადიციასთან რაიმე პირდაპირი მიმართება, როცა საკმაოდ ცალსახად განაცხადა: „რაც შეეხება საკითხს, არის თუ არა „ცოდვილი“ ქართული რომანის, მისი თემებისა და ხასიათების ტრადიციული პერსევერაცია? უნდა ითქვას, „ცოდვილს“ ქართულ რომანისტიკაში უშუალო წინაპარი არ ჰყოლია“[5]. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა რომ, მთლიანობაში, მიშველაძე რომანს დადებითად აფასებს, „ცოდვილის“ მთავარ პერსონაჟს – ვამეხ გურამიშვილს მაინც უფრო (უცხოური) ლიტერატურიდან მოსულ გმირად აღიქვამს, ვიდრე ჩვენი რეალობიდან აღმოცენებულ ფიგურად:

> *„ვამეხის მსგავსი ხასიათი დასავლურ ლიტერატურაში ახალი არ არის. ამ ათიოდე წლის წინათ ამერიკაში გამოვიდა ორი რომანი – ჯონ აპდაიკის „გაიქეცი კურდღელო“ და სოლ ბელოუს „ჰერცოგი“. პირველი რომანის მთავარი პერსონაჟია გარი – პროვინციელი დონ-კიხოტი, კეთილშობილი ინტელიგენტი, ყოველგვარი მიზნისა და იდეალის გარეშე. მეორისა კი – მოზეს ჰერცოგი – თერმოატომური დროის მიმართ ურწმუნო თომა და ამავე დროს ღვთის წინაშე შუასაუკუნოებრივი შიშით შეპყრობილი. რაც უფრო მეტად ეცნობა იგი სამყაროს, მით უფრო რწმუნდება თავის უძლურებაში და მით უფრო ღრმად იკეტება თავის შინაგან სამყაროში.*

[4] იქვე.
[5] მიშველაძე, 1967, 102.

მკითხველი გაგვიგებს, რომ ეს მაგალითები რაიმე სხვა განზრახვით არ მოგვიტანია. გვინდა აქვე დავსვათ კითხვა, რომელიც „ცოდვილს“ გაცნობილ მკითხველს აუცილებლად დაებადება: – იძლეოდა თუ არა ქართული სინამდვილე ასეთი ხასიათის შექმნის პირობებს, ხომ არ არის ვამეხი ლიტერატურიდან მოსული „გულდაწყვეტილი“ ახალგაზრდა?!“[6]

რევაზ მიშველაძის ზემოხსენებულ მსჯელობაში ჯერ კიდევ არაფერია ნათქვამი გეგეშიძის ამ პირველ რომანში ე.წ. „სკანდინავიური კვალის“ თაობაზე, რომელიც ოდნავ მოგვიანებით „შეუმჩნეველი არ დარჩენიათ“ თხზულებით დაინტერესებულ სხვა მკვლევარ-ანალიტიკოსებს; თუმცა, ჩემი აზრით, მაინც ძალზე საგულისხმოა, რომ „ცოდვილზე“ საუბრისას მიშველაძის მზერა ცალსახად დასავლური ლიტერატურის, მის მიერ მოხდენილი გავლენისა და იქიდან, იქნებ, პირდაპირი ნასესხობის აღმოჩენისაკენაც კია მიმართული.

„ცოდვილში“ რომ არის „რაღაც სკანდინავიური“, როგორც უკვე ითქვა, ეს სხვებმა შენიშნეს, და საკმაოდ ადრეც, თითქმის მაშინვე, როდესაც რომანი გამოქვეყნდა. ასე, მაგალითად, კიდევ ერთი ცნობილი ქართველი ლიტერატურათმცოდნე გურამ კანკავა იმავე 1967 წელს, ჟურნალ „ცისკრის“ სექტემბრის ნომერში, არცთუ მთლად აღფრთოვანებული აღნიშნავდა: „ცოდვილში“ ჩანს ერთგვარი გავლენა გვიანრომანტიკული ლიტერატურის ტრადიციისა (განსაკუთრებით სკანდინავიური სახეობის) მისი აბსოლუტური მორალური მოთხოვნებით და „ძლიერი პიროვნების“ უიმედოდ მოძველებული შეხედულებებით, რაც არც თანამედროვე მხატვრულ გემოვნებას და არც აღძრულ პრობლემას არ შეეფერება“[7]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანობაში „ცოდვილს“ გურამ კანკავაც დადებით შეფასებას აძლევს.

რაც შეეხება ოტია პაჭკორიას, იმ თაობის ასევე ერთ-ერთი სახელხმიან ქართველ კრიტიკოსს, „ცოდვილის“ შესახებ თავის ჯერ კიდევ 1973 წელს დაწერილ სტატიას იგი რომანის პირველი შთაბეჭდილებით იწყებს:

„ცოდვილი“ ბევრის მიღებას, ბევრის უკუგდებასაც მოითხოვდა, მაგრამ ეს ხომ „პოზიციის უქონლობად“ ჩანდა, „ცოდვილი“ თითქოს განგებ ისწრაფოდა ბანალობისკენ და ამითაც გაცბუნებდა; უცნაური სიზუსტით იმეორებდა უკვე არსებულ და აღიარებულ მოდელს, „რაღაც სკანდინავიურს“ და აქაც ხიფათს გიქადდა; სერიოზული წიგნი საოცარი გულუბრყვილობის ინტონაციას ინარჩუნებდა და გაღიზიანებდა, ტრაგიკულის მიღმა ანაზდად გაიელვებდა დამცინავი ღიმილი და გაუგებარი იყო მისი სათავე“[8].

---

6 იქვე, 102-103.

7 კანკავა, 1972, 76.

8 პაჭკორია, 1979, 68.

მიუხედავად იმისა, რომ ეს „რაღაც სკანდინავიური“ უკვე სტატიის დასაწყისშია ნახსენები, ამ თემის შემდგომი განვითარება მალე კიდევ უფრო საინტერესო ხდება. ცნობილი ლიტერატორი განაგრძობს:

> ***„მეტად საოცარი ამბავი მოხდა შარშან ზაფხულს ერთ პატარა ზღვისპირა ქალაქში. ყველასთვის მოულოდნელად გამოჩნდა უცნაური ტიპი, ვინმე ნაგელი. კაცმა არ იცის, რა ჩაიდინა და ისევე მოულოდნელად გაქრა, როგორც გამოცხადდა“.*** *ამ სიტყვებით იწყება კნუტ ჰამსუნის „მისტერიები“. პატარა ქალაქში ჩამოვიდა უცნაური ტიპი. ევროპის ლიტერატურაში გაჩნდა ახალი ხასიათი, უაღრესად ახალი და იმავე დროს ძველი და ნაცნობი. დონ კიხოტი – მიშკინი – ნაგელი... ასეთია გენეტური ხაზი. „მისტერიების“ VIII თავს აგრევე ჰქვია: „თეთრი ღამეები“. ჰამსუნს არ აკრთობს ლიტერატურული „წინაპრის“ გამჟღავნება. მან იცის –* ***ლიტერატურა ვერ აერიდება არსებული მოდელების გამეორებას.“***[9]

III. გურამ გეგეშიძის „ცოდვილი“ – კნუტ ჰამსუნის „მისტერიების“ გადმოქართულებული ვერსია თუ თვითმყოფადი ქართული რომანი?!

სანამ განვიხილავდეთ, თუ როგორ და რამდენად „მეორდება“ ან თუნდაც გადამუშავდება გეგეშიძის რომანის შემთხვევაში მანამდე უკვე „არსებული მოდელები“, მინდა საგულდაგულო ყურადღება მივაპყრო „მისტერიების“ მთავარი პერსონაჟის – ნაგელის უაღრესად შთამბეჭდავ დახასიათებას, ოტია პაჭკორია რომ გვთავაზობს და რომელიც, ჩემი აზრით, შესანიშნავად აჩვენებს, საზოგადოდ, ქართველი მკითხველის დამოკიდებულებას ამ გენიალური ნორვეგიული რომანის მიმართ და, იმავდროულად, ნათლად გამოკვეთს ბევრ იმ ასპექტს, რის გამოც საქართველოში დიდი ხანია ვართ (და ვრჩებით) ასე გატაცებული ხსენებული რომანის იდუმალებით მოცული მთავარი გმირის ფენომენით:

> *„ვინმე ნაგელი კი... ნაგელისთვის ცოდვა-მადლი არავის გაუყვია. იგი სიკეთის მთესველია, მომკელი – არა; ნაგელი მარტოკაცია, ერთხელ და სამუდამოდ გამოთიშული თავისი კლანიდან, დაშთენილი საკუთარი თავის ამარა. იგი დგას ალტერნატივის წინაშე – მხოლოდ პირადი რისკით მოახდინოს არჩევანი. ნაგელი სინამდვილით არ ცხოვრობს – ცხოვრობს შესაძლებელით. მასში მძაფრია ყოფის ამაოებისა და უზენაეს ტკბობასთან შერწყმის შეგრძნება. [...] ნაგელი ორია – ნაგელი და ანტინაგელი. მას შეუთავსებია*

[9] იქვე, 68-69.

თავისებური, ცბიერი სიბრძნე თვითუარყოფის, საკუთარი გრძნობებისა და საქციელის კრიტიკულად შეფასების ეფექტის თაობაზე. იგი გულახდილია და არცაა, ამბობს და არც ამბობს. ესაა ნაგელის ირონია.“[10]

უნდა ვაღიაროთ, რომ დღესაც კი ქართველი მკითხველის დიდი უმრავლესობისათვის ჰამსუნი, უპირველეს ყოვლისა, მაინც მისი 1890-იანი წლების შემოქმედების გამოა პოპულარული. იმის უკეთ გასაცნობიერებლად, თუ რა იტაცებს ასე ქართველთა უმეტესობას ჰამსუნის ამ ციკლის ნაწარმოებებში („შიმშილი“, „მისტერიები“, „ვიქტორია“, „პანი“ და სხვ.), ჩემი აზრით, სასურველია მივყვეთ კონსტანტინე გამსახურდიას მსჯელობას მის მართლაც რომ დაუვიწყარ ესეში კნუტ ჰამსუნის შესახებ, რომელიც 1923 წელს მიუნხენში დაიწერა და რომლითაც ჰამსუნის ქართველი მოყვარულები ასე სამართლიანად ვამაყობთ. ჰამსუნის ე.წ. „ქართულ-კავკასიური თხზულებების“ („დედოფალი თამარ“ და „ზღაპრულ ქვეყანაში“) შესახებ ნეგატიური გამონათქვამებისგან[11] განსხვავებით ხსენებულ ესეში – „კნუტ ჰამსუნი: ეტიუდი“ დიდი ნორვეგიელი მწერალი ქართველი კლასიკოსის მიერ უაღრესად აღმატებულადაა შეფასებული, გამორჩეულ აღფრთოვანებას კი მასში მაინც „მისტერიები“ და „პანი“ იწვევს. და ეს მაშინ, როცა „დედოფალი თამარ“ და „ზღაპრულ ქვეყანაში“ სრულიადაა იგნორირებული: ესეში ისინი საერთოდ არ სახელდება.[12]

გამსახურდიასთან ჰამსუნი განსაკუთრებული ქება-დიდებით არის მოხსენიებული იმის გამო, რომ ის „იდუმალების საოცარი ჟინითაა შეპყრობილი“. გამსახურდიას (და, ჩემი აზრით, ქართველ მკითხველთა უმეტესობის) შეხედულებების უკეთ წარმოსაჩენად ჰამსუნის 1890-იანი წლების შემოქმედებაზე, მინდა მოვიტანო რამდენიმე გამონათქვამი ზემოხსენებული ესედან:

„მაშ რაღათ მინდა მე ჰამსუნის ბიოგრაფია, მე მუდამ თან ვატარებ ნაგელის ფიქრებს. მე ვიცნობ მის ტკივილებს, მეც მასთან მიტანჯნია, ცრემლი მიღვრია [...] ჰამსუნის ყოველი სტრიქონი ტანჯვის ქურაშია ამოვლებული. [...] რა მშვენიერია, რა რომანტიულია! ისევ კითხულობ ამ სისხლით დაწერილ სტრიქონებს, ამ ბუმბერაზულ, მაგრამ ჩუმ ბრძოლას ადამიანის გულსა და ჟინს შორის, ხედავ ამ პირგასისხლიანებულ ადამიანებს, რომელნიც „კლავენ იმას, ვინც თვითვე უყვართ“[13].

ყველაფრიდან ცხადზე უცხადესია, „ცოდვილზე“ მუშაობისას გურამ გეგეშიძემ, წესით, ძალიან კარგად იცის, ჰამსუნი იმდენად სახელოვანი ავტორია და მისი

[10] იქვე.
[11] გამსახურდია, 1983, 187.
[12] იხ., Loria, 2016, 117.
[13] გამსახურდია, 1967, 134-139.

„მისტერიები“ კი ჩვენს სინამდვილეშიც იმდენად გახმაურებული ნაწარმოები (ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჰამსუნის 1890-იანი წლების ყველა ძირითადი თხზულება თითქმის მომენტალურად ითარგმნა და გამოიცა რუსულად), რომ ამ რომანის უბრალო გადმოქართულება და ისე შემოპარება ჩვენს ლიტერატურულ სივრცეში ჩუმად ვერაფრით ჩაივლის. ამის მცდელობა მხოლოდ და მხოლოდ უკიდეგანო გულუბრყვილობა იქნებოდა, რაც, ბუნებრივია, უნდა გამოირიცხოს. გამოდის, რომ ქართველი მწერლის მიზანი სხვა არის. ის აკეთებს გაცნობიერებულ და მიზანმიმართულ არჩევანს, მიდის ერთგვარ შემოქმედებით რისკზე.

ამ კონტექსტში მინდა ისევ „ცოდვილის“ შესახებ ოტია პაჭკორიას მსჯელობას დავუბრუნდე, რომელსაც, გამიჭირდება, არ დავეთანხმო. ამ ქართულ რომანზე საუბრისას მის მიერ ნაგელის სახის საგანგებოდ წარმოჩინება არ შეიძლება რაიმე თვითმიზნურობით აიხსნას: ნაგელის ეს დახასიათება სრულიად გამართლებულია გეგეშიძის რომანთან და, განსაკუთრებით, მის მთავარ გმირთან, ვამეხ გურამიშვილთან მიმართებით. კრიტიკოსი მოხდენილად შენიშნავს:

> *„ცოდვილის“ გმირისთვის ყოველივე ეს [ანუ რაც ნაგელზე უკვე თქვა – კ.ლ.] არამცთუ ნაცნობია – თვისებაა, შესაძლოა გამოვლილი, ფერნაცვალი თვისება... მხოლოდ შენაკადი ხასიათისა, მაგრამ მძლავრი და თვალნათლივი. და ეს არ არის რემინისცენცია. ეს შეგნებული ნაბიჯია, თამამად გადადგმული ავტორისაგან. გურამ გეგეშიძე არც ერიდება მოქმედების დინების, სტრუქტურის, რიტმის გამეორებას. სქემაც ნაცნობია: დაწყებული დავის სცენითა და მიზეზით (უფრო მიზნით, გმირის სცენაზე გამოყვანის ეფექტით; შლეგის მფარველობით, მეგობრობით, „მწირთან“; ყოფის ორი წესის დაპირისპირებით (ვამეხ გურამიშვილის აქტივობა პროვინციული ქალაქის მდორე და წახნაგებ-მოცვეთილ ფონზე); ვამეხი ფერმენტი, მრავალ კათარზისს რომ იწვევს, და ბოლოს – „ისევე მოულოდნელად გაქრობა, როგორც გამოცხადება“. კი მაგრამ ეს ხომ „მისტერიებია“, რა თქმა უნდა, და ადრე ითქვა კიდეც, გაკვრითა და ნიშნის მოგებით.“*[14]

„ცოდვილის“ კავშირს „მისტერიებთან“ შედარებით ახლახან, 2021 წელს გურამ გეგეშიძის შემოქმედების შესახებ გამოცემულ კრებულში ცნობილი ლიტერატორი როსტომ ჩხეიძეც ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ასახელებს და არც ოტია პაჭკორიას ჩვენს მიერ მოყვანილი წერილი ავიწყდება: „ჩემი სიყმაწვილის ერთი ყველაზე დიდი და შემძვრელი შთაბეჭდილება იქნებოდა გურამ გეგეშიძის „ცოდვილი“, რომელსაც „მნათობის“ ადრეულ ნომრებში გავეცნობოდი და კიდეც გახდებოდა ეს რომანი ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი საკითხავი, რომელ-

[14] პაჭკორია, 1979, 69.

საც დროდადრო მივუბრუნდებოდი ხოლმე. ცალკეული პასაჟები და ეპიზოდებიც კი თავისთავად დამაზეპირდებოდა, ვამეხისა და შამილას შერიგების სცენა ახლაც კი შემიძლია აღვიდგინო სიტყვაშეუშლელად, ერთ-ერთი უძლიერესი ეპიზოდი, რომელსაც – მიუხედავად სიდიდისა – თავით ბოლომდე გადმოიტანდა თავის წერილში ოტია პაჭკორია. **მოგვიანებით აღმოვაჩენდი, რომ „ცოდვილი“ კნუტ ჰამსუნის გავლენით შექმნილიყო – დასაწყისი მაინც პირდაპირ მეორდებოდა; და თუმც მთავარი გმირის, ვამეხ გურამიშვილის, პროტოტიპი გურამ რჩეულიშვილი გახლდათ** [არსებობს ასეთი მოსაზრებაც – კ.ლ.]**, ძალიან დავალებულიყო იუჰან ნაგელის ხასიათითაც.** მიუხედავად იმისა, რომ „ცოდვილის“ მხატვრულ ღირსებებზე უკვე აღარ ვიქნებოდი მთლად ძველებური შეხედულებისა, სიყვარულით კვლავაც ძალიან მეყვარებოდა, დღემდე რომ არ გამნელებია“[15]. რთული სათქმელია, რამდენად იმოქმედა ჰამსუნთან კავშირის აღმოჩენამ ჩხეიძის აღქმაში „ცოდვილის“ მხატვრული ღირებულების გადაფასებაზე, მაგრამ მაინც მრჩება ერთგვარი შთაბეჭდილება, რომ კრიტიკოსი ხსენებულ კავშირს, თუ აშკარად ნეგატიურად არა, ყოველ შემთხვევაში, არც მთლად დიდი აღტაცებით ღებულობს.

თავის დროზე, ანუ გამოცემიდან პირველივე წლებში, გეგეშიძის რომანმა, მთლიანობაში, პროფესიონალებისაგან საკმაოდ კარგი შეფასება მიიღო. თუმცა კაცი ყურს მოკრავდა სხვა საუბრებსაც, რომელთა მიხედვითაც, „ცოდვილს“ საუკეთესო შემთხვევაში მიბაძვად, უარეს შემთხვევაში კი კიდევ უფრო უარესადაც მოიხსენიებდნენ, იმავე ოტია პაჭკორიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „გაკვრითა და ნიშნის მოგებით“. რომანისადმი ასეთ, შეიძლება ითქვას, ზერელე დამოკიდებულებას კატეგორიულად არ ვეთანხმები: ჩემი აზრით, „ცოდვილი“ აშკარად დამოუკიდებელი და ღირებული ლიტერატურული ნაწარმოებია საკუთარი დამოუკიდებელი და თავისებური შინაგანი ლოგიკით. წიგნი, როგორც ჩანს, მართლაც „მისტერიების“ შთაგონებითაა შექმნილი, მაგრამ ამავდროულად მკაფიოდ განსხვავდება როგორც მისგან, ასევე სხვა ნებისმიერი თხზულებისაგან.[16] რაც შეეხება ოტია პაჭკორიას, იგი არ ხუჭავს თვალს (რაც უდავოდ მის სასარგებლოდ მეტყველებს) ზოგიერთის სკეპტიკურ დამოკიდებულებაზე და, შესაბამისად, რომანის ე.წ. „დამოუკიდებლობის საკითხს“ სრულიად ღიად და, ჩემი აზრით, ობიექტურად განიხილავს:

> *„მაშინ რაღაა თავისი? გურამ გეგეშიძე იღებს ცნობილ ფორმულას – „ყოველი, რომელმან ჰქმნა ცოდვა, მონა არის იმა ცოდვისა“, და საფუძვლად უდებს თავის რომანს. იღებს არსებულ მოდელს და მის თარგზე კრავს*

[15] ჩხეიძე, 2021, 221-222. (ტექსტში ხაზგასმა ჩემია – კ.ლ.).

[16] იხ., Loria, 2016, 121.

კომპოზიციას, იყენებს მზა მიზანსცენებს... მაგრამ გურამ გეგეშიძე უპირველეს ყოვლისა, ქმნის თავის გმირს[...], ქმნის მის ხასიათსა და მისიას, მის ბედს; იგი არ ცდილობს, ამაოდ დაშვრეს რაღაც არგაგონილისა და არნახულის ძიებით (საოცარია, იმავ დროს სრულ თავისუფლებას ანიჭებს ფანტაზიას), იგი დიდად ენდობა ადამიანის სულიერ და კულტურულ გამოცდილებას და იქვე, სრული დამოუკიდებლობისკენ ისწრაფის. [...]. და კიდევ... რამდენადაა მართებული ყოველი პარალელის, მსგავსების, ინტონაციის გადმოტანის მიმბაძველობად, პლაგიატად გამოცხადება! რა სჯობს – უბირისაგან ხელახლა გამოგონებული ველოსიპედი თუ თამამად აღიარება – ლიტერატურამ უკვე მოსინჯა თითქმის ყველა კომპოზიციური ვარიანტი, საერთოდ ყოველგვარი მოდელი, ინტონაცია, რიტმი... და მათი გამეორება არც ცოდვაა და არც მკრეხელობა, იქნებ გარდუვალიცაა. თუკი შეივსება, განაირფერდება სიახლით, განიფინება ეროვნულ ფონზე; თუ კი ბუნებრივად შეითვისებს პიროვნების ენერგიასა და ნაფიქრს, მის „ზეგარდმო ნიჭს“[17].

მართლაც, გურამ გეგეშიძის რომანი მოქმედების განვითარების მხრივ მნიშვნელოვან მსგავსებას ამჟღავნებს ჰამსუნის რომანთან. ეს მეტ-ნაკლებად იგრძნობა ქართველი ავტორის მთელ ნაწარმოებში, მაგრამ მაინც განსაკუთრებით თვალსაჩინოა რომანის დასაწყისში: უცნობი ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც მთლიანად შავებშია ჩაცმული და თანაც ძალზე უცნაურად (სიცხის მიუხედავად, ის, მაგალითად, მაღალყელიანი, შავი ფეხსაცმელებით დადის), მეტ-ნაკლებად შემთხვევით აღმოჩნდება მისთვის უცხო, პატარა პროვინციულ ქალაქში, რომლის სახელსაც, „მისტერიების“ პატარა, პროვინციული ქალაქის არ იყოს, მთელი ნაწარმოების განმავლობაში ვერ ვგებულობთ. ნაგელის არ იყოს, მას იქ არაფერი ესაქმება, არავის იცნობს, არავისთან მიდის, ზოგადად, საკმაოდ უცნაურად იქცევა, და დროთა განმავლობაში ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ უბრალოდ „გარბის“ საკუთარი თავისგან. მაგრამ ჩამოსვლისთანავე ვამეხ გურამიშვილი (როგორც მოგვიანებით გავიგებთ, ასე ჰქვია მას) ერთ ისეთ ამბავში ეხვევა, რომელიც ძალიან ჰგავს ემწუთასა (ნორვეგიულად: „Minutten“) და ნაგელის ისტორიას: ქუჩაში გურამიშვილი შემთხვევით დაინახავს, თუ რამდენიმე ახალგაზრდა კაცი როგორ შეურაცხყოფს და დასცინის ადამიანს, რომელსაც აშკარად აკლია განვითარება, სახელად კი მეირას ეძახიან, ვამეხი მას ჯერ არ იცნობს. სხვათა შორის, ემწუთას მსგავსად, მეირაც მძიმე ფიზიკური შრომით ირჩენს თავს, ბაზარზე ტომრებს ეზიდება, რკინიგზის სადგურზე კი – სხვადას-

[17] პაჭკორია, 1979, 70.

ხვა საქონელსა და მძიმე ნივთებს. მეირას, რომელსაც ყველა გონებანაკლულად მიიჩნევს, ხშირად აიძულებენ ცეკვას. და ხალხი მას ძალიან ხშირად უბრალოდ დასაცინად და გასართობად იყენებს. ვამეხი მეირას დასაცავად თავს გამოიდებს და სათანადოდ გაუსწორდება ზემოხსენებულ ახალგაზრდებს. განსაკუთრებით მიიღებს თავის საკადრისს მათი ლიდერი, აქამდე უძლეველი ახალგაზრდა კაცი, ვინმე შამილა, რომლისაც მანამდე ამ პროვინციულ ქალაქში ყველას საშინლად ეშინოდა. არაა გასაკვირი, რომ ეს ინციდენტი ვამეხს მაშინვე დიდი ყურადღების ცენტრში მოაქცევს.[18] მანამდე, ანუ ამ ინციდენტამდე, კი „ქალაქში ყველაფერი ვიღაცის მიერ დადგენილი წესისა და რიგის მიხედვით ხდება, ცხოვრებისეული პეიზაჟები აქ უცვლელია. [...] ამ პროვინციულ ქალაქში ყველა კარგად გრძნობს თავს. ყველას თავისი ფუნქცია გააჩნია და ამიტომაც ახალგაზრდა კაცის მიერ მეირას გამოქომაგებას დისონანსი შეაქვს ქალაქელთა „რიტმულ ცხოვრებაში“[19], – გვიზიარებს თავის მართებულ დაკვირვებას ლიტერატურათმცოდნე ბუკა ჩუბინიძე. მართლაც, პროვინციულ ნორვეგიულ დასახლებაში ნაგელის ჩასვლისა არ იყოს, ვამეხის გამოჩენითაც ქართულ პროვინციულ ქალაქში ბევრი რამ მოდის მოქმედებაში, ადგილიდან იძვრება და არაერთი ადამიანიც იწყებს თავისი ნამდვილი სახის გამოვლენას. ვამეხი, ნაგელის მსგავსად, მრავალი უცნაური მოვლენის კატალიზატორი ხდება. ის თავის ცხოვრებას ამ პატარა ქალაქში იწყებს ანტონთან დამეგობრებით, რომელიც გარკვეულწილად უცნაური სასულიერო პირია, თითქმის ასკეტური ცხოვრების წესით. ანტონი მეოცნებეცაა, რომელიც შორეულ მონასტერში ცხოვრობდა, მაგრამ აქეთკენ წამოვიდა, რათა განსაკუთრებული ციტრუსის ხე ენახა, რომელსაც ფეიხოა ჰქვია. იგი ამტკიცებს, რომ ეს საოცრად ლამაზი ხე ეშერასთან ახლოს ყვავის (მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ყველამ ვიცით, ფეიხოა დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი შავი ზღვის სანაპიროზე მართლაც იზრდება, რომანში – „ფეიხოას ხე“ აშკარად ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მას გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობა აქვს). ანტონი, თუკი მოვინდომებთ, შეიძლება ვამეხის „სხვა ნაწილად“, მის ერთგვარ გაგრძელებად ან თუნდაც მის „მეორე მედ“ აღვიქვათ. „ცოდვილის“ ამ პერსონაჟთა შორის ფილოსოფიურ და ეთიკურ თემებზე მიმდინარე ხანგრძლივი და საინტერესო კამათი თუ დიალოგები შეიძლება, მოვიაზროთ როგორც თავისებური მონოლოგი, რომელსაც ვამეხი, ან ავტორი, საკუთარ თავთან აწარმოებენ. მიუხედავად თემატიკისა და ლიტერატურული ტექნიკის არსებითი განსხვავებებისა, ტექსტის ეს ნაწილები, ისევე როგორც ვამეხის დიალოგები და სიტყვიერი პაექრობა სხვა

[18] იხ., Loria, 2016, 121-122.

[19] ჩუბინიძე, 1992, 170.

პერსონაჟებთან, ხშირად მაინც ძალიან ჰგავს ნაგელის ზოგიერთ სახელგანთქმულ (შინაგან) მონოლოგს.[20] ჩემი მსჯელობის ეს ბოლო ნაწილი მინდა გავამყარო როსტომ ჩხეიძის მიერ გეგეშიძის პროზის ზოგადი დახასიათებითაც: „საერთოდაც გურამ გეგეშიძის მსჯელობა, განსჯა, მხატვრული მოვლენაა, უდავოდ მხატვრული, გმირის ფსიქიკის კვლევა, ცნობიერების კვლევა და ხატვა. ეს არის დასავლური პროზისათვის ნიშანდობლივი შინაგანი მონოლოგისა თუ ცნობიერების ნაკადის ქართული ვერსია“[21].

შამილას მეგობრებს (ამასობაში) არ დავიწყებიათ ის სირცხვილი და შეურაცხყოფა, რომელიც, მათი აზრით, ვამეხმა მათ და მათ კერპს აგემა. შედეგად, ერთ-ერთმა მათგანმა ვამეხს მძიმე დაზიანება მიაყენა და ის აუცილებლად დაიღუპებოდა ძლიერი სისხლდენისგან, რომ არა ალისა, ახალგაზრდა და ლამაზი ექთანი ადგილობრივი საავადმყოფოდან, რომელმაც ამ დროს ქუჩაში ჩამოიარა. „– არ მომეკარო! [...] – თავი გამანებეთ, – თქვა დაჭრილმა, – არ მინდა სიცოცხლე! ის ბოძზე იყო აკრული, როგორც წმინდანი და ცას უყურებდა.“[22] ვამეხმა გონება დაკარგა, ალისამ კი მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო მასთან მისვლა და ყელზე სისხლდენის შეჩერება. მოხერხდა ვამეხის საავადმყოფოში გადაყვანაცა და მისი გადარჩენაც. მალე ალისა და ვამეხი ერთმანეთს უკეთ გაიცნობენ და ახალგაზრდა ქალი კითხავს მას, ასე ძლიერ რატომ უნდოდა სიკვდილი. ვამეხი არ პასუხობს პირდაპირ. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როცა ისინი კიდევ უფრო ძლიერ დაუახლოვდებიან ერთმანეთს, ალისა გაიგებს ნამდვილ მიზეზსაც: იმას, რომ ვამეხი ცოდვილია.[23] ეს უკანასკნელი გარემოება, რომელიც რომანის სათაურადაცაა გამოტანილი, გეგეშიძის თხზულების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია; ცოდვისა და ძმის მკვლელობის მოტივი ქართულ რომანს სრულებით ახალ და განსხვავებულ დატვირთვას ანიჭებს. ამიტომ უნდა დავეთანხმო ანა გოგილაშვილს მის მსჯელობაში, როდესაც აცხადებს:

> *„სიუჟეტური მსგავსების მიღმა აშკარაა იდეური სხვაობა. სავარაუდოდ, გურამ გეგეშიძე იღებს ნორვეგიული ნაწარმოების ქარგას, მაგრამ სრულიად სხვა აზრისა და იდეის გამოსახატავად იყენებს მას. ნაწარმოებთა ურთიერთმიმართებითი ანალიზისას ირკვევა, რომ ქართველმა მწერალმა შექმნა ძალზედ საინტერესო და მრავალ წახნაგოვანი პერსონაჟის სახე, რომელიც მსოფლიოში აღიარებულ რომანისტთა მიერ ნაძერწ გმირებს არ უდებს ტოლს, სწორედ ამიტომ არის გურამ გეგეშიძის „ცოდვილი“ არა*

[20] იხ., Loria, 2016, 122.
[21] ჩხეიძე, 2021b, 213.
[22] გეგეშიძე, 1987, 263.
[23] იხ., Loria, 2016, 122.

მარტო მწერლის შემოქმედებაში, არამედ ზოგადად, მისი ეპოქის რომანისტიკაში ერთ-ერთი საგულისხმო ნაწარმოები და ვამეხ გურამიშვილი – ქართული და, ალბათ, არა მხოლოდ ქართული მწერლობის ერთ-ერთი ძალზე სახასიათო და გამორჩეული პერსონაჟი“[24].

IV. იოჰან ნაგელი და ვამეხ გურამიშვილი

„მთავარი პერსონაჟის, ვამეხ გურამიშვილის გვარში მწერალმა საკუთარი სახელი აღბეჭდა. ამით, როგორც ჩანს, გარკვეულწილად საკუთარ თავთან, საკუთარ სულიერ ძიებებთან გააიგივა, ერთგვარ ალტერ ეგოდ წარმოგვიდგინა ეს პერსონაჟი“[25], – შენიშნავს მკვლევარი ნინო ვახანია. ის რომ, თავის მხრივ, იოჰან ნაგელიც მისივე შემოქმედის „მეორე მე“ უნდა იყოს, საკმაოდ გავრცელებული აზრია და, როგორც ჩანს, გარკვეულწილად მას კონსტანტინე გამსახურდიაც იზიარებს („მაშ რაღათ მინდა მე ჰამსუნის ბიოგრაფია, მე მუდამ თან ვატარებ ნაგელის ფიქრებს“). სხვა მხრივ, ასევე ლიტერატურული დაკვირვების საგანი არაერთხელ გამხდარა ნაგელის კავშირი დოსტოევსკისეულ თავად მიშკინთან, რომლის მიმართებაც ქრისტეს ფიგურასთან, გარკვეული თვალსაზრისით, საკმაოდ თვალშისაცემია. არსებობს აზრი, რომ რაღაც მსგავსი შეიძლება ნაგელზეც ითქვას და რომ ნაგელიც (თუ ნაგელშიც) კი შეიძლება იყოს ერთგვარი „ქრისტეს ნასხლეტი“.

საუბრობს რა „ცოდვილის“ შესახებ ნინო ვახანიას წერილზე, როსტომ ჩხეიძე, ჩემი აზრით, შემთხვევით არ ამახვილებს ყურადღებას ამ თხზულების ჯერ კიდევ ბოლომდე გამოუაშკარევებელ განზომილებებზე:

> *„ნინო ვახანია რომანზე – „ცოდვილი“ – მსჯელობისას საგანგებოდ გამოჰკვეთდა ხასიათებისა და სიუჟეტური ქარგის სიახლოვეს ბიბლიურ სამყაროსთან... და აღმოჩნდებოდა, რომ მწერალს ეს სიახლოვე წინასწარვე ჩაეფიქრებინა და თხრობა სულაც მის გარშემო ამოექსოვა, ვამეხ გურამიშვილს უშუალო ასოციაციები რომ უნდა გამოეწვია იესო ქრისტეს ამქვეყნიური მოღვაწეობისა, ალისას – მარიამ მაგდალელისა, შამილასა და ძუკუს – პირველმოციქულებისა... აშკარაა: ამ კუთხით კიდევ უფრო ჩაღრმავებულ და გაშლილ განსჯა-შეფასებას მოითხოვს „ცოდვილი“*[26].

თავის მხრივ, ნინო ვახანია არსებითად უარყოფს გურამიშვილის ცოდვილად გამოცხადებას, ყოველ შემთხვევაში მის კაენთან დაკავშირებას. „ძმის მოკვლა კი

---

[24] გოგილაშვილი, 2024, 65.
[25] ვახანია, 2021, 26-27.
[26] ჩხეიძე, 2021c, 227-228.

ბიბლიური მოტივია, მაგრამ „ცოდვილში“ ერთგვარად დაშორებულია ამ პირველ-საწყისს. შური ან ბოროტება არ არის მონანიების მიზეზი. დანაშაული, ცოდვა სრულიად უნებურად, გაუცნობიერებლადაა ჩადენილი. და ვამეხიც ვერ იქნება კაენის მეტაფორული სახე. იგი თავად მაცხოვარს უფრო ჰგავს“[27], – მიიჩნევს მკვლევარი.

უშუალოდ ქრისტეს ფიგურასთან კავშირზე (პირდაპირ) თითქოს არც არაფერს ამბობს, მაგრამ ვამეხის მხატვრული სახის წმინდანობასთან მიმართებაზე უაღრესად საგულისხმოდ მეჩვენება მანანა კვაჭანტირაძის დაკვირვება: „ცოდვილი“ ბედისწერის იდეაში გარკვევის ცდაა და უარია ამ გარკვევის საჭიროებაზე. გ. გეგეშიძე ადამიანის ნების საზღვრებს შემოხაზავს. სიკვდილი ამ ნების გარეთაა“[28], – აღნიშნავს მკვლევარი და განაგრძობს: „ვამეხ გურამიშვილს ბედისწერის თანხმობის მოპოვება უნდა. კლდეზე ასვლა მოპოვების სცენაა, არა ლოდინის, არამედ – მოპოვების. „ის ბოძზე იყო აკრული, როგორც წმინდანი და ცას უყურებდა“. ეს სცენა კიდევ ერთხელ გაიელვებს ჩვენს თვალწინ რომანის დასასრულს – კლდეზე საკუთარი სხეულით მილურსმნული კაცის ხატი, ცისგან რომ გამოელის პასუხს და ვამეხ გურამიშვილის წმინდანობის აზრი მტკიცედ აღიბეჭდება მკითხველის გონებაში“[29].

თუ ჰამსუნის პერსონაჟი, სრულიად ცალსახაა, თავს იკლავს, იმავეს თქმა მთლად ასე ადვილი როდია გეგეშიძის გმირზეც. თვითმკვლელობის მხრივაც ეს პერსონაჟები, ერთი მხრივ, ძალზე გვანან და თან საკმაოდ განსხვავდებიან ერთურთისაგან. ვამეხის სიკვდილზე, ჩემი აზრით, საინტერესოდ და დამაჯერებლად მსჯელობს გურამ კანკავა: „[...] რომან „ცოდვილში“ ვამეხი იღუპება. მკითხველი ხვდება, რომ მიუხედავად ვამეხის ქცევის საეჭვო ხასიათისა (მისი ქცევები – თვითმკვლელობას ჰგავს), ვამეხი თავს არ იკლავს, ის ნადგურდება, მას სიცოცხლის ძარღვი აქვს გადაკვეთილი. არც ასტამური [გ. გეგეშიძის მოთხრობის – „ეშმაკის მოსახვევი“ გმირი – კ.ლ.], არც ვამეხი თვითმკვლელები არ არიან; მათ მორალური კანონი ანადგურებთ, რომელიც მათშივეა მოცემული. ავტორი არც იმ აზრისგან უნდა იყოს შორს, რომ ამგვარი სიკვდილი შედარებით ღირსეულთა ხვედრია“[30].

თავის ცნობილ წიგნში „კნუტ ჰამსუნი – მამაჩემი“ თავადაც მშვენიერი მწერალი და ხელოვანი – ტურე ჰამსუნი შესანიშნავად წერს:

> *„რა გავლენა შეიძლება ჰქონოდა მასზე დოსტოევსკის „რასკოლნიკოვს“? მან ეს წიგნი „მისტერიებზე“ მუშაობამდე და მუშაობის დროს წაიკითხა. ჰამსუნი თავად ამბობს, რომ დოსტოევსკი ის მწერალია, ვისგანაც ყვე-*

[27] ვახანია, 2021, 28.
[28] კვაჭანტირაძე, 2001, 30.
[29] იქვე, 31.
[30] კანკავა, 1972, 73.

ლაზე მეტი ისწავლა, გიგანტი, რომელსაც სამწერლობო გენია ჰქონდა იმისათვის, რომ აღეწერა თავისი ადამიანების შინაგანი სილამაზე, მისტიკური მგრძნობელობა და თავდადების უსაზღვრო უნარი. მაგრამ ნაგელი არ დრკება სონიას ნაზი ცრემლების გავლენით, [და] რჩება ყველასგან მიტოვებული. ნაგელს არ შეუძლია ადამიანებისთვის რაიმე [სამახარობლო] გზავნილის მიტანა. იგი უფრო ამჯობინებს, პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ ქმედებაზე ყველა მისი შედეგით და დაიღუპოს მის გამო. ***მკვლელობაზე, რომელიც მან ჩაიდინა?*** *ჩვენ არ ვიცით, ეს სიზმარშია დამალული, კოშმარში ღამეთა განმავლობაში. თვითმკვლელობა ხსნაა, გამოსავალია, ნაგელის თვალსაზრისით“*[31].

დიახ, ჩვენ მართლაც არ ვიცით, ჩაიდინა თუ არა ნაგელმა მკვლელობა. მაგრამ ასევე უნდა ვაღიაროთ, რომ ჰამსუნის ვაჟის მიერ დასმული ეს კითხვა, თავისთავად, სრულიად ლოგიკურია; და არა მხოლოდ ნაგელის თითქმის მუდმივი ღამეული კოშმარების გათვალისწინებით, არამედ მისი უცნაური ყოველდღიური ქცევის, მისი მუდმივი მოუსვენრობის და იმის გათვალისწინებითაც, რომ ის, თითქმის ვამეხის მსგავსად, მუდმივად „გაურბის“ საკუთარ თავს. გეგეშიძის რომანის შემთხვევაშიც, ადამიანები ერთმანეთს და საკუთარ თავს ეკითხებიან, თუ მაინც ვინ არის ეს ვამეხი. და ერთხელაც ლეილა, რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი, ალისას, თითქოს გაკვრით, მაგრამ მაინც საკმაოდ პირდაპირ დაუსვამს კითხვას ამ ჯერ კიდევ თითქმის უცნობ ვამეხზე: ხომ არ არის ის კრიმინალი, რომელმაც რაიმე დანაშაული ჩაიდინა? თხზულების შედარებით დასასრულისაკენ, როგორც აღვნიშნეთ, ვამეხი უკვე სრულიად იხსნება ალისასთან ურთიერთობაში და ყველანი მთელი სიმძიმით ვგებულობთ ტრაგიკულ სიმართლეს: ირკვევა, რომ ერთხელ ვამეხი არქეოლოგიური ექსპედიციის დროს მარტო იყო ქოხში და ამ დროს, ღამის სიბნელეში რაღაც გამოჩნდა. შიშისგან მან ქოხიდან სიბნელეში ერთხელ გაისროლა, მაგრამ სრულიად შემთხვევით, საბედისწეროდ, ბრმა ტყვია მოარტყა თავის ძმას, რომელიც ასევე არქეოლოგი იყო და რომელიც, როგორც აღმოჩნდა, იმ ღამით სრულიად მოულოდნელად ქოხში ბრუნდებოდა. აი, ეს არის მიზეზი, რის გამოც ვამეხი, მოუსვენარი ნაგელის ეს ერთგვარი ქართველი თანამოძმე, ასე გამუდმებით „გაურბის“ საკუთარ თავს.[32]

„იოჰან ნაგელი ეძებს თავგადასავალს, ვამეხ გურამიშვილი – ჭეშმარიტებას. [...] ვამეხი გამოექცა ნაცნობ გარემოსა და ადამიანებს, რათა საკუთარი თავი იპო-

[31] Hamsun, 1996, 144. (ხაზგასმა და ნორვეგიულიდან თარგმანი ჩემია – კ.ლ.)

[32] იხ., Loria, 2016, 123.

ვოს და შეიცნოს ჭეშმარიტება“[33], – აცხადებს გურამ გეგეშიძის პროზის მკვლევარი ანა გოგოლაშვილი და მიუხედავად იმისა, რომ ცოტა მიჭირს, ამ ლამაზად ჩამოყალიბებულ მოსაზრებას ცალსახად და ბოლომდე დავეთანხმო, მასში, იმავდროულად, მაინც იკვეთება სიმართლის მარცვლები. ვამეხი ტრაგიკული ფიგურაა, რომელიც, მიუხედავად ალისას ღრმა და თავგანწირული სიყვარულისა, ვერც ბედნიერებას პოულობს და ვერც სიმშვიდეს. „მისტერიების“ დაგნისგან განსხვავებით, ალისა უარს ამბობს თავის საქმროზე, მომავალ ექიმზე და თანაც ძალიან კარგ ადამიანზე, ჯემალზე. ქალი ვამეხთან ერთად საცხოვრებლად სოფლად, იმავე პატარა ქალაქის მახლობლად გადადის. მაგრამ ქალაქგარეთ ცხოვრება და სოფლის მშვენიერი ბუნება ვამეხის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას მხოლოდ მცირე ხნით და ისიც მხოლოდ მცირედით თუ აუმჯობესებს. ვამეხი, როგორც ჩანს, მის გადასალახავს ვერასოდეს გადალახავს. რომანის თითქმის სულ ბოლოს, ეპილოგის წინა ეპიზოდის მიწურულს, ის ალისას შეახსენებს სიტყვებს წმინდა წერილიდან, რომ „ყოველი, რომელმან ჰქმნა ცოდვა, მონა არს იმა ცოდვისა“. და ვგრძნობთ, რომ „თვითმკვლელობა ხსნაა, გამოსავალია“ ვამეხისთვის(აც), ისევე როგორც იყო ნაგელისათვის. გაცილებით ადრე ვამეხი არც მალავს თავის დამოკიდებულებას, როდესაც ალისას ეუბნება, რომ „კაცი მაშინ უნდა მოკვდეს, როცა აღარ შეუძლია სიცოცხლე, არც ფიზიკურად და არც სულიერად...“[34] მაგრამ აქ მაინც არსებობს არსებითი განსხვავება ნაგელსა და ვამეხს შორის: ვამეხი ბოლომდე იბრძვის. და სურს ეს თავის თავსაც დაუმტკიცოს.[35] აქ გურამ გეგეშიძე თხრობაში რთავს „მინდვრის ბატონისა და მისი ულამაზესი ასულის, ყვავილთა დედოფლის ლეგენდას“. საინტერესოა ამ „ლეგენდის“ თაობაზე ანა გოგილაშვილის შეხედულება, რომელიც მიიჩნევს, რომ „მინდვრის ბატონის ლეგენდა“ ნაწარმოების იდეურ-მხატვრული კულმინაციაა. მისი მეშვეობით ვამეხის მიერ საბოლოო მიზნის წვდომა გაცხადდება და ასევე, რომანის მხატვრული მხარის საოცარ დაგვირგვინებადაც გვევლინება“[36]. რა თქმა უნდა, სინამდვილეში ჩვენ საქმე გვაქვს ე.წ. „ლიტერატურულ ანუ ფსევდო ლეგენდასთან“, რომელიც თავად რომანის ავტორმა შექმნა (აქ როგორ არ გავიხსენოთ იმ ეპოქის ქართული მწერლობისათვის ესოდენ დამახასიათებელი მითისქმნადობის ტენდენცია). მაგრამ იმ სოფლად, იმ ადგილას, სადაც ვამეხი და ალისა საცხოვრებლად გადავიდნენ, ეს ლეგენდა „ყველამ იცის“. ამ მშვენიერი „ლეგენდის“ თანახმად, „მინდვრის ბატონის სამეფო“ მდებარეობს ულამაზესი ლურჯი მთის ძირსა და მწვერვალს შორის, რომელიც ასე ნათლად ჩანს ვამეხისა და

[33] გოგილაშვილი, 2024, 63.
[34] გეგეშიძე, 1987, 311.
[35] იხ., Loria, 2016, 123.
[36] გოგილაშვილი, 2024, 66.

ალისას საცხოვრებელი ადგილიდან. ამ ძალიან ციცაბო მთაზე არავინ არასოდეს ასულა. და არც არავის არასოდეს მოუხერხებია მეფის უმშვენიერესი ასულის დაჭერა. მხოლოდ ერთხელ, ძველად, იყო ერთი ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც ეს თითქმის მოახერხა, თუმცა ბოლო წამს ყვავილთა დედოფალი მაინც გაუსხლტდა; და მას შემდეგ კი ახალგაზრდა მამაკაცი არავის უნახავს. მაგრამ, ახლა ვამეხი გადაწყვეტს, რომ გაზაფხულზე უეჭველად უნდა ავიდეს ლურჯ მთაზე. რომანის მოკლე, თუმცა ლამაზ ეპილოგში, რომელიც მრავალი თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი თხრობის სტილით, ქართულ ზღაპრებს მოგვაგონებს, გურამიშვილი მთაზე ადის და გარკვეულ მანძილსაც დაძლევს. მაგრამ აქ ის სრულად იფიტება. ვამეხი ხვდება, რომ არ უწერია მწვერვალზე ასვლა. ის მთელი სხეულით, კბილებითაც კი, ციცაბო კლდეს ეკვრის. სისხლი მოსდის პირიდან და ფრჩხილებიდან. თვალებზე მდუღარე ცრემლები ადგება. მაგრამ აღარ შეუძლია თავის შემაგრება და უძირო სიცარიელეში ვარდება…[37] „ჩვენ მეტი არაფერი ვიცით ვამეხ გურამიშვილისა“[38] – ამ წინადადებით სრულდება რომანი. გოგილაშვილის თვალსაზრისით, „იოჰან ნაგელისგან განსხვავებით, ვამეხ გურამიშვილმა განიცადა კათარზისი. იგი ტანჯვის გზით ეზიარა ჭეშმარიტებას, მიაღწია სასურველ მიზანს, გამოისყიდა ცოდვა და ამის შემდეგ მისი ფიზიკური არსებობისა თუ არარსებობის მიუხედავად, ვამეხის ნაგვემმა სულმა, როგორც იქნა, შვება ჰპოვა“[39].

ის, რომ ვამეხი მხოლოდ ვინმე უბრალო გამვლელი არ არის და რომ ეს ფიგურა, უდავოდ, არა მხოლოდ ემპირიული, არამედ, ერთგვარად, განზოგადებული და სიმბოლური დატვირთვის მატარებელიცაა, თავისთავად, გასაკვირი არ არის – ეს ყოველივე კარგად ჯდება 1960-იანი წლების ქართულ ლიტერატურულ კონტექსტში. სწორედ ხსენებულ კონტექსტში უნდა მოვიაზროთ გეგეშიძის რომანის სხვა დამახასიათებელი ნიშნებიც და ასპექტებიც.[40] ძნელია არ დაეთანხმო გურამ კანკავას, როცა ის სამართლიანად აღნიშნავს: „[…] „ცოდვილი“ ეს არის კიდევ ერთი ცდა ქართულ მწერლობაში ინტელექტუალური პროზის შექმნისა. […] მართლაც, მისი პერსონაჟების ერთი ნაწილი თავისი მოქმედებით თუ სულისკვეთებით გამოხატავენ ბევრად მეტს, ვიდრე ეს ერთი დანახვით ჩანს და მათი ცხოვრების ფაქტოლოგია ხშირად ფილოსოფიურად მჭევრმეტყველია, ფილოსოფიური ქვეტექსტითაა აღჭურვილი და ინტელექტუალურ კონტექსტშია განხილული“[41].

---

37 იხ., Loria, 2016, 123-124.

38 გეგეშიძე, 1987, 467.

39 გოგილაშვილი, 2024, 64.

40 იხ., Loria, 2016, 124.

41 კანკავა, 1972, 74.

ჩემთვის არც ის არის გასაკვირი, რომ არსებითად იმავე აზრს მოგვიანებით სხვებიც ავითარებენ: „როგორც სამართლიანადაა შენიშნული ლიტერატურულ კრიტიკაში, „ცოდვილი“ თანამედროვე ქართულ პროზაში ინტელექტუალური რომანის შექმნის კიდევ ერთ ცდას წარმოადგენს“[42], – აცხადებს, მაგალითად, ლიტერატორი ნოდარ მამაცაშვილი ამ თხზულების შესახებ თავის 1980 წლის სტატიაში. კრიტიკოსისათვის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „ავტორისათვის ეგზომ დამახასიათებელი ფსიქო ანალიტიკური მეთოდი, ფილოსოფიური და ყოფითი პლანი“[43], რაც მისი შეხედულებით, გურამ გეგეშიძის ამ „ნაწარმოებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქართულ რომანისტიკაში“[44].

ვეთანხმები რა აზრს „ცოდვილის“ მნიშვნელობაზე ქართულ ლიტერატურულ პროცესში, ჩემი მხრივ, მინდა დავძინო, რომ გადის წლები, დაიწერა და კვლავაც იწერება შესანიშნავი ქართული რომანები, იქმნება გამორჩეული ლიტერატურული პერსონაჟები, მაგრამ ვამეხ გურამიშვილის მხატვრული სახე, ისევე როგორც ნორვეგიულ და მსოფლიო ლიტერატურაში – სახე იოჰან ნაგელისა, არ კარგავს თავის ქარიზმატულობასა და ორიგანალურობას. არსებობს სრული საფუძველი, პასუხისმგებლობით აღინიშნოს, რომ ორივე ამ პერსონაჟმა, რომელთაც, არაერთი განსხვავების მიუხედავად, ასევე ბევრი რამ აერთიანებთ, დიდი წარმატებით გაუძლო დროის მდინარებას.

V. დასკვნა

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ კნუტ ჰამსუნი დღესაც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული უცხოელი მწერალია საქართველოში. ამავდროულად, საქართველო უეჭველად არის იმ ქვეყანათა რიგში, სადაც ჰამსუნის შემოქმედებას გამორჩეულად აფასებენ და შესაბამის პატივსაც მიაგებენ. საქმეში კარგად ჩაუხედავი ადამიანი იფიქრებს, რომ ხსენებული ვითარება იმ ორი ნაწარმოებით (პიესა – „დედოფალი თამარ“ და ერთგვარი სამოგზაურო ჩანაწერები – „ზღაპრულ ქვეყანაში“) აიხსნება, დიდმა ნორვეგიელმა საქართველოში (და, ზოგადად, კავკასიაში) 1899 წლის მოგზაურობის შედეგად რომ შექმნა და მალევე, 1903 წელს, გამოაქვეყნა. არადა, მე ვიტყოდი, სინამდვილეში მდგომარეობა სრულიად საპირისპიროა: ჰამსუნი საქართველოში პოპულარულია არა მისი „ქართულ-კავკასიური“ თხზულებების გამო, არამედ ამ თხზულებებისდა მიუხედავად. ეს ორი ნაწარმოები კი ჩვენში, ტრადიციულად, არასოდეს ყოფილა მოწონებული ან თბი-

[42] მამაცაშვილი, 1997, 55.

[43] იქვე.

[44] იქვე.

ლად მიღებული.[45] ეგ კი არადა, საქართველოში მათ ხშირად საკმაოდ მკაცრადაც აკრიტიკებდნენ და თან საკმაოდ ცნობილი მწერლები თუ ლიტერატორები.[46] ამ ფონზე აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველი და, კაცმა რომ თქვას, მსოფლიო მკითხველისთვისაც ჰამსუნის მთელი ლიტერატურული სიდიადე, უპირველეს ყოვლისა მაინც, ნეორომანტიკულ-მოდერნისტული ციკლის თხზულებებში, ანუ მისი 1890-იანი წლების შემოქმედებაში ვლინდება, ხოლო თავად ამ პერიოდის ნაწარმოებებში რომან „მისტერიებს“ სრულიად გამორჩეული ადგილი უკავია. ეს თხზულება ასევე დამსახურებულად მიიჩნევა მსოფლიო მოდერნისტული პროზის ერთერთ უმაღლეს მწვერვალად.

რაც შეეხება გურამ გეგეშიძის რომანს – „ცოდვილი“, ის იმ დროს იწერებოდა, როცა ქართულ ლიტერატურაში, საზოგადოდ, განახლდა ცხოველი ინტერესი მოდერნისტული ტენდენციების მიმართ. ჩვენში ეს ტენდენციები სრულიად აშკარა და ფესვგადგმული იყო საბჭოთა ოკუპაციამდე, თუმცა მეტ-ნაკლებად ნარჩუნდება და არსებობს საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველ წლებშიც კი. ამ ტენდენციებიდან ზოგიერთი, ფაქტობრივად, კიდევ უფრო მკაფიოდ და ძლიერად ვლინდება 1960-იან წლებში, ვიდრე თუნდაც გასული საუკუნის პირველ ათწლეულებში. ამგვარად, ჩემი აზრით, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე შეგვიძლია საუბარი ქართულ ლიტერატურაში ახალ (ან, ყოველ შემთხვევაში, განახლებულ) მოდერნისტულ ტალღაზე. სხვა ყველაფერთან ერთად და შესაძლოა, უწინარეს ყოვლისაც კი, ეს აღიქმება ბუნებრივ რეაქციად „სოციალისტური რეალიზმის“ ხელოვნურად თავზე მოხვევასა და, საზოგადოდ, „მწერლობის მოთვინიერებაზე“. მოყოლებული ე.წ. „დათბობის“პერიოდიდან ქართველ პროზაიკოსებთან განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება მითოლოგიური და ბიბლიური მოტივებისადმი ინტერესი. თუ „ცოდვილს“ ამ კონტექსტშიც განვიხილავთ, რის გარეშეც ხსენებული რომანის წაკითხვა არასრულფასოვანი იქნებოდა, გურამ გეგეშიძე თავისი თაობის ერთ-ერთ მოწინავე ფიგურად გვევლინება. მაგრამ მისი რომანი არ იძლევა ასეთი მოტივების ზედმიწევნით დამუშავებას ან, თუნდაც, მათი სრული იდენტიფიკაციის საშუალებას. ის უფრო თავისი განუსაზღვრელობითა და პოეტური მრავალმნიშვნელოვნებით გამოირჩევა, რაც მკითხველისათვის საკმაოდ მოცულობით წარმოსახვით და სააზროვნო სივრცეს ტოვებს.[47]

რომან „ცოდვილის“ შესახებ ამ წერილში ყოველივე ზემოხსენებულიდან, განსაკუთრებით კი თხზულების შინაარსის გათვალისწინებით, აშკარა უნდა

---

45 იხ., Loria, 2016, 116-117.

46 Loria, 2011.

47 იხ., Loria, 2016, 124.

იყოს, რომ ის, ჰამსუნის „მისტერიებთან“ მსგავსების მიუხედავად, მაინც სხვა და სრულიად დამოუკიდებელი წიგნია. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედების განვითარება ზოგჯერ საკმაოდ მსგავსია, განსხვავებები ამ კუთხითაც კი თვალსაჩინოა. განსაკუთრებით განსხვავებულია რომანის დასასრული. მაგრამ, ამავდროულად, დასასრული არ არის ის ერთადერთი ფაქტორი, რომელზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება ქართული ნაწარმოების თვითმყოფადობის მტკიცებისას. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გურამ გეგეშიძის თხზულება „მისტერიების“ გამოსვლიდან თითქმის 75 წლის შემდეგ დაიწერა და, შესაბამისად, ამ რომანებს ერთმანეთისაგან მსოფლიო ლიტერატურის განვითარების მთელი (და უზარმაზარი) ეპოქა აშორებს. გარდა ამისა, ბუნებრივია, ქართულ ლიტერატურას, ისევე როგორც ეროვნული ლიტერატურების უმეტესობას, საკუთარი ტრადიციები და განვითარების საკუთარი ლოგიკაც აქვს, რაც, რა თქმა უნდა, „ცოდვილშიც“ აისახება. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ასევე სასურველია გვახსოვდეს, პოლიტიკური კონტექსტია: მიუხედავად იმისა, რომ სტალინური ტირანია დასრულდა, 1960-იანი წლების ქართული საზოგადოება შორს იყო თავისუფლებისგან. ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, ქვეყანა კვლავ საბჭოთა კავშირის ნაწილად რჩებოდა, და მოქალაქეთა რეალური უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის, რა თქმა უნდა, სიტყვის თავისუფლებაც, უკიდურესად იყო შეზღუდული. ცხადია, ეს იმ პერიოდის ლიტერატურაშიც ვლინდება. ესა თუ ის ნაწარმოები, ისევე როგორც ადრე, უბრალოდ არ დაიბეჭდებოდა, თუკი ოფიციალური ცენზურა მასში რაიმე საეჭვოს აღმოაჩენდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით, ჰამსუნის ნაწარმოებთან მსგავსება იმ დროისთვის ჯერ კიდევ გარკვეულ პოლიტიკურ მინიშნებადაც შეიძლებოდა ყოფილიყო აღქმული. თუმცა, ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შედარებითი ლიბერალიზაციაც კი საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ ქართველ ავტორებს სულ უფრო ხშირად და ხშირად დაეწყოთ შემოქმედებითი რისკების გაწევა, განსხვავებულად წერა და აზროვნება. ოდნავი ლიბერალიზაცია საკმარისი აღმოჩნდა იმისთვისაც, რომ საქართველოში მნიშვნელოვანი მოდერნისტული ლიტერატურული ტენდენციები სრულფასოვნად გაცოცხლებულიყო. როდესაც ვაცნობიერებთ, თუ რაოდენ ავტორიტეტული ლიტერატურული ფიგურაა ჰამსუნი ჩვენს სამშობლოში, და ამავდროულად, ისიც ვიცით, რომ მისი 1890-იანი წლების შემოქმედება ყოველთვის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა და სარგებლობს საქართველოში, არც ისე გასაკვირია, რომ ამ პერიოდის (რომელიც უკვე მოვიხსენიე როგორც ქართული მოდერნიზმის ახალი ტალღა) და მთელი მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი, უდავოდ, საუკეთესო ქართული რომანი,

ამგვარ საგულისხმო შემოქმედებით მიმართებაშია დიდი ნორვეგიელი მწერლის გენიალურ ნაწარმოებთან.[48]

გამოყენებული ლიტერატურა

- ბაქრაძე ა., მწერლობის მოთვინიერება, თბილისი, 1990
- გამსახურდია კ., კნუტ ჰამსუნი; ეტიუდი, წიგნში: გამსახურდია კ., რჩეული თხზულებები 8 ტომად, ტ. 8, თბილისი, 1967
- გამსახურდია კ., უკრაინის თემიდი, წიგნში: გამსახურდია კ., თხზულებები 10 ტომად, ტ. 7. თბილისი, 1983
- გეგეშიძე გ., ერთტომეული, თბილისი, 1987
- გოგილაშვილი ა., გურამ გეგეშიძის მხატვრული პროზა, თბილისი, 2024
- ვახანია ნ., გურამ გეგეშიძის „ცოდვილი“, წიგნში: მხატვრული ქრონიკები ქართლის ჭირზე, რ. ჩხეიძის რედაქტორობით, თბილისი, 2021
- კანკავა გ., პრობლემურობა უწინარეს ყოვლისა, წიგნში: კანკავა გ., ლიტერატურული შენიშვნები, თბილისი, 1972
- კვაჭანტირაძე მ., მე ჩემს საკუთარ შენობას ვაგებ..., წიგნში: კვაჭანტირაძე მ., წერილები ლიტერატურაზე, თბილისი, 2001
- მამაცაშვილი ნ., ბედისწერისა და შემთხვევითობის დილემა, წიგნში: მამაცაშვილი ნ., წვეთში მოქცეული ზღვის მოქცევა, თბილისი, 1997
- მიშველაძე რ., „ცოდვილი“, ჟურნ. „ცისკარი“, N7, 1967
- პაჭკორია ო., „ცოდვილი“, წიგნში: პაჭკორია ო., ფიქრი მზისა და სიტყვის გამო, თბილისი, 1979
- ჩუბინიძე ბ., მინდვრის ბატონის ლეგენდა, ჟურნ. „მნათობი“, N9-10, 1992
- ჩხეიძე რ., ზნეობრივი მაგალითი, წიგნში: მხატვრული ქრონიკები ქართლის ჭირზე, რ. ჩხეიძის რედაქტორობით, თბილისი, 2021b
- ჩხეიძე რ., მონანიება – მომხიბლავ შტრიხად, წიგნში: მხატვრული ქრონიკები ქართლის ჭირზე, რ. ჩხეიძის რედაქტორობით, თბილისი, 2021c, 227
- ჩხეიძე რ., ქართლის ჭირის მემატიანედ (გურამ გეგეშიძის ექვსტომეული), წიგნში: მხატვრული ქრონიკები ქართლის ჭირზე, რ. ჩხეიძის რედაქტორობით, თბილისი, 2021
- Hamsun T., Knut Hamsun – min far, Oslo, 1996
- Loria K., “Det Dukket op en Fremmed i Byen…“: Knut Hamsuns “ Mysterier“ og Guram Gegeshidzes “En synder”, Nordlit, No. 38, 2016
- Loria K., “… et Vældigere og Skønnere Æventyr Oplever Jeg Aldrig”: Hamsuns Georgiske Verk Sett Med Georgieres Øyne, Procedings of the 5. Hamsun Conference, Tromsø, 2011

[48] იქვე, 125.

Kakhaber Loria*

SIMILAR AND DIFFERENT DIMENSIONS OF TWO NOVELS: REGARDING THE RELATIONSHIP BETWEEN KNUT HAMSUN'S "MYSTERIES" AND GURAM GEGESHIDZE'S "THE SINNER"

Abstract

Following Stalin's death, the mid-1950s and early 1960s witnessed major socio-political changes across the Soviet empire. Like other spheres of social life, art and literature were also affected by these transformations. In Georgian literature, particularly noteworthy processes emerged, which may be understood as an attempt to restore and continue the modernist line of development that had been forcibly interrupted in the 1930s. The first novel of the outstanding Georgian writer Guram Gegeshidze (1934–2020), "The Sinner" (1966), should be read in this context.

In Georgian literary criticism, the question soon arose as to the literary origins of Gegeshidze's work. Did its main character, Vamek Guramishvili, emerge from Georgian reality, or was he a hero transplanted from foreign literature? Among Vamek's several possible literary counterparts, particular attention has been devoted to Johan Nagel, the protagonist of Knut Hamsun's celebrated modernist novel "Mysteries", which has long enjoyed, and continues to enjoy, great popularity in Georgia.

Guram Gegeshidze's novel reveals notable similarities to Hamsun's novel in terms of plot development, especially in its opening sections. Like Nagel, Vamek becomes the catalyst for a series of strange events in the small, unfamiliar town to which he unexpectedly arrives. It appears that "The Sinner" was indeed written under the inspiration of "Mysteries"; at the same time, however, it clearly differs not only from Hamsun's novel but from any other work as well. The inner world of "The Sinner" and "Mysteries," their underlying message and central ideas, and especially the resolution of the plot, differ substantially from one another.

Keywords: Modernism, Socialist Realism, Hamsun, Georgian Literature, Norway.

* Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, https://orcid.org/0009-0006-1196-3293

გია ჩხაიძე*

საერთო სასამართლოების მიერ ნორმის გამოყენების პრაქტიკის გათვალისწინება საკონსტიტუციო დავის განხილვისას

I. შესავალი

ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის სიტყვასიტყვით მნიშვნელობასთან ერთად, ითვალისწინებს ნორმის გამოყენების პრაქტიკას,[1] რაშიც იგულისხმება საერთო სასამართლოს ავტორიტეტული განმარტება.[2] ამგვარი მიდგომა ორიენტირებულია საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკის დაახლოებაზე, რათა გამოირიცხოს სადავო ნორმასთან დაკავშირებით პარალელური განმარტებები[3] და ხელისუფლების ორგანოების მიერ კონსტიტუციური უფლებამოსილების გადაჭარბება.[4] სასამართლოები კონსტიტუციის დაცვის ფუნქციას ასრულებენ კანონების „კონსტიტუციური უფლებებისადმი კეთილგანწყობილი" ინტერპრეტაციით.[5] კონსტიტუციის უზენაესობის განმტკიცებისთვის საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის დიალოგი შემთხვევითი არ არის – საერთო სასამართლო ნორმის განმარტებისას ვერ უგულებელყოფს კონსტიტუციის მოთხოვნებს და თავის მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოც ვერ უარყოფს საერთო სასამართლოს ხედვას სადავო ნორმის პრაქტიკაში გამოყენების ფარგლებზე.[6] ცხადია, ნორმის გამოყენების პრაქტიკის სისწორეს საკონსტიტუციო სასამართლო ვერ შეაფასებს, თუმცა ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისი განმარტების არსე-

---

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დოქტორანტი, https://orcid.org/0009-0006-9731-2802

1 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

2 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის N1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე, „სს „ლიბერთი ბანკი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

3 შავგულიძე, 2024, 121.

4 Gihuri, 2024, 4.

5 Visser, 2014, 77.

6 The Protection of Fundamental Rights by The Constitutional Court, CDL-STD (1995)015, Science and Technique of Democracy No.15, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Brioni, Croatia, 23-25 September 1995, 14.

ბობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.[7] ეს იმ ფონზე, როდესაც სადავო ნორმის არაკონსტიტუციური შინაარსის სწორად იდენტიფიცირება პირდაპირ უკავშირდება კონსტიტუციური სარჩელის თუ წარდგინების წარმოებაში მიღებას და მასზე საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან არსებითად მსჯელობას.[8]

საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმას იღებს იმ ნორმატიული შინაარსით, რაც გამოიყენა საერთო სასამართლომ.[9] კანონის გამოყენების წინა ხაზზე საერთო სასამართლოები დგანან და კონკრეტული კანონის კონსტიტუციურობის დადგენა ყველაზე უკეთ კონკრეტულ შემთხვევებში მისი გამოყენების პერსპექტივიდან არის შესაძლებელი.[10] საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს ნორმის როგორც ფორმალურ, ისე მატერიალურ მხარეს.[11] საკონსტიტუციო კონტროლი ასევე მოიაზრებს ნორმის ახსნა-განმარტებას.[12] ამასთან, მოსარჩელეების მხრიდან ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მათ მიერ იდენტიფიცირებული ნორმის სავარაუდო არაკონსტიტუციური შინაარსი ცხადად უნდა გამომდინარეობდეს სადავო ნორმის ტექსტიდან ან/და ამას უნდა ადასტურებდეს სამართალშემფარდებლის ავტორიტეტული განმარტება.[13]

ნორმის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის მტკიცების ტვირთს საკონსტიტუციო სასამართლო მხარეებს აკისრებს და აღნიშნავს, რომ მათ უნდა წარუდგინონ სასამართლოს მტკიცებულებები.[14] შედეგად, კონსტიტუციური სარჩელის დასასაბუთებლად მოსარჩელეებს უწევთ შეისწავლონ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც არ არის სრულყოფილი და თანმიმდევრული. სასამართლოს არ გააჩნია ერთგვაროვანი დამოკიდებულება, თუ რა იგულისხმება

---

7 ერემაძე, 2013, 144.

8 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის N2/2/1360 განჩინება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8.

9 იხ., Revised Report on Individual Access to Constitutional Justice, Adopted by the Venice Commission at its 125th Online Plenary Session, CDL-AD (2021)001, European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 11-12 December 2020, 33; The Federal Constitutional Court of Federal Republic of Germany, 1 BvR 1804/03, 7 December 2004.

10 Sadurski, 2014, 35.

11 ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალიშვილი, 2021, 150.

12 ზოიძე, 2007, 64.

13 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის N3/4/858 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ლაშა ჩალაძე, გივი კაპანაძე და მარიკა თოდუა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-4.

14 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის N2/8/765 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე დავით ძოწენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

სამართალშემფარდებლის ავტორიტეტულ განმარტებაში,[15] როგორია საერთო სასამართლოს განმარტების გათვალისწინების ფარგლები,[16] რას მოიაზრებს ერთი და იმავე ინსტანციის სასამართლოს წინააღმდეგობრივი განმარტება ან განმარტების აშკარად არაგონივრულობა.[17] გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს საკითხი მეცნიერულად სათანადოდ შესწავლილი არ არის და საკვლევ თემაზე არ მოიპოვება მდიდარი ანალიტიკური ლიტერატურა.[18]

ნაშრომის მიზანია, ნორმატიული აქტის შინაარსის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთო სასამართლოს განმარტების გაზიარებასთან დაკავშირებული სირთულეების გადასაჭრელად რეკომენდაციების შემუშავება, იმგვარი სტანდარტისა და მახასიათებლების დადგენა, რაც მოსარჩელეებს ხელს შეუწყობს სადავო ნორმის შინაარსის სწორად დადგენისთვის კონსტიტუციური სარჩელის თუ წარდგინების დასაბუთებაში, საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებს დაეხმარება ნორმის განმარტების პრაქტიკის დაახლოებაში, საკონსტიტუციო სასამართლოს კი გაუადვილებს გადაწყვეტილების დასაბუთებას. მიზნის მისაღწევად ყურადღება გამახვილებულია ნორმის რეალური კონსტიტუციური შინაარსის იდენტიფიცირებისთვის საკონსტიტუციო სასამართლოს თანმიმდევრული მიდგომის საჭიროებაზე, გამოკვეთილია საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული დანიშნულება ეფექტიანი საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების საქმეში, გაანალიზებულია საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი სტანდარტის ცალკეული კომპონენტი და სამართალწარმოებაში გამოვლენილი ხარვეზები, გამოკვლეულია საქართველოსთვის მოდელური საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

II. სადავო ნორმის გამოყენების პრაქტიკის გათვალისწინების იდეის ევოლუცია

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში 2002 წელს განხორციელებული ცვლილების შედეგად, ნორმატიული აქტის შინაარსის განსაზღვრისას, საკონსტიტუციო სასამართლომ სიტყვასიტყვით მნიშვნელობასთან ერთად, მხედველობაში უნდა მიიღოს ნორმის

[15] იხ., ჯავახიშვილი (რედ.), 2024, 138.

[16] იხ., ზოიძე, 2021-2022, 15.

[17] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის N1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე, „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16.

[18] იხ., გეგენავა, ჯავახიშვილი, 2018; აბესაძე, 2023.

გამოყენების პრაქტიკა.[19] საკანონმდებლო საფუძვლის არსებობის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის გამოყენების პრაქტიკის გაუთვალისწინებლად,[20] შინაგანი რწმენის საფუძველზე განმარტავდა სადავო ნორმატიულ აქტს და ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისი ინტერპრეტაციის პირობებში არ აკმაყოფილებდა სარჩელს.[21] სასამართლო ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმებისას „უფრო ფორმალისტურ მიდგომას ირჩევდა".[22] სადავო ნორმის ინტერპრეტაციისას თუკი დაასკვნიდა, რომ ნორმა კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ შესაძლებელია განმარტებულიყო, ასეთ ნორმას მიიჩნევდა არაკონსტიტუციურად, ხოლო ნორმის კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების პირობებში, საეჭვოობის გამოსარიცხად გაითვალისწინებდა ნორმის კონსტიტუციურობის პრეზუმფციას.[23]

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, ნორმის გამოყენებასთან დაკავშირებით, საერთო სასამართლოს პრაქტიკის შესწავლა რელევანტური იქნებოდა მაშინ, როდესაც მნიშვნელოვანი იყო იმის გარკვევა, რამდენად შეესაბამებოდა ის სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპიდან გამომდინარე მოთხოვნებს.[24] კეთილსინდისიერი განმარტების პირობებში, თუ ნორმა თვითნებური ხასიათის და ადამიანის უფლებებისთვის საზიანო შინაარსის არ იყო, მაშინ იგი დააკმაყოფილებდა სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნებს.[25] თავის მხრივ, კეთილსინდისიერი და გონივრული განმარტებით, საკონსტიტუციო სასამართლო ცდილობდა გაერკვია კანონმდებლის ნება.[26] იმ შემთხვევაში, როდესაც ნორმის შინაარსთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს ცალსახა პოზიცია ჰქონდა, მაშინ

---

19 2002 წლის 12 თებერვლის N1264 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე", მე-17 მუხლი.

20 იხ., შავგულიძე, 2024, 118.

21 აბესაძე, 2023, 102.

22 ზედელაშვილი, ქეცბაია, 2024, 45.

23 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-18.

24 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 22 მარტის N2/1/481 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ნინო ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-9.

25 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ", II-6.

26 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-45.

სასამართლოს შეფასებით, არ იყო საჭირო ნორმის გამოყენების ცალკეულ შემთხვევაზე მსჯელობა, რადგან ეს მის უფლებამოსილებაში არ შედიოდა.[27]

მოგვიანებით, 2015 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმის შინაარსის განსაზღვრისას, ის მხედველობაში მიიღებდა ნორმის გამოყენების პრაქტიკას და განიხილავდა საკანონმდებლო ნორმას სწორედ იმ ნორმატიული შინაარსით, რომლითაც იგი საერთო სასამართლომ გამოიყენა.[28] ამ საქმეში, სადავო იყო საგადასახადო კოდექსის რეტროაქტიურად გაუქმებული ის ნორმა, რომელიც მოსარჩელეს ართმევდა უფლებას, საგადასახადო ორგანოსთვის მიემართა და მოეთხოვა 2006 წელს და შემდგომ წლებში წარმოშობილი ზარალის გადატანა 10 წლიან ვადაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ, საერთო სასამართლოს განმარტების გაზიარებით, მიიჩნია, რომ სადავო ნორმა უკუძალით არ აკისრებდა მოსარჩელეს რაიმე დამატებით საგადასახადო ტვირთს და ამიტომ არ უარესდებოდა მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა.[29] აღნიშნულ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლო სრულად დაეყრდნო საერთო სასამართლოს განმარტებას სადავო ნორმის შინაარსის შეფასებისას და დღემდე ამ სტანდარტს იყენებს საქმეთა განხილვისას.

საკონსტიტუციო დავის გადაწყვეტისას საერთო სასამართლოს პრაქტიკა სადავო ნორმის შინაარსთან და გამოყენებასთან დაკავშირებით მეტ-ნაკლებად ურყევი მოცემულობაა, აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია იყოს დასაბუთებული და თანმიმდევრული. ის უნდა დარწმუნდეს, რომ საერთო სასამართლოს განმარტებით ხელი შეეწყობა კონსტიტუციის მოთხოვნების შესრულებას.[30] თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა სასამართლო ძალაუფლების განხორციელებისას უფრო სიღრმისეულად უნდა განიხილონ დავის ფაქტობრივი გარემოებების და ამდენად, გასაჩივრებული ნორმის კავშირი კონსტიტუციურ ნორმებთან.[31] სხვაგვარად, საკონსტიტუციო სასამართლო ობიექტურად უნდა აფასებდეს სადავო ნორმის ნორმატიულ შინაარსს და უზრუნველყოფდეს სადავო ნორმის იმ პრაქტიკული შედეგების სწორად იდენტიფიცირებას, რომლებიც არღვევს ადამიანის უფლებებს, რათა მისი მიდგომა აკმაყოფილებდეს განჭვრეტადობის მოთხოვნას.[32]

---

[27] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის N2/5/554 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე თამარ ჯავახაძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-7.

[28] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის N1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე, „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16.

[29] იქვე, II-33.

[30] იხ., Iniesta, 2005, 12.

[31] Sweet, 2007, 92.

[32] საინტერესოა ესპანეთის გამოცდილება, სადაც საკონსტიტუციო სასამართლო საკანო-

III. სადავო ნორმის გამოყენების პრაქტიკის მხედველობაში მიღების ფარგლები

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსის შემოწმებისას, საგულისხმოა არა აქტის მოქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ურთიერთობის ფორმალური მხარე თანმდევი შედეგებით, არამედ მნიშვნელობა ენიჭება სადავო ნორმის პრაქტიკულ შედეგებს.[33] საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს საჯარო ხელისუფლების მხრიდან სადავო ნორმის გამოყენების კონსტიტუციურობას.[34] პარლამენტი და სასამართლო სხვადასხვა საკითხზე კონცენტრირდებიან: საკანონმდებლო ორგანო მიზნად ისახავს ძირითადი უფლებების დაბალანსებას, სასამართლომ კი ნორმის ინტერპრეტაციით უნდა შეაფასოს, დაწესებულმა შეზღუდვებმა მომეტებულად ხომ არ შელახა ადამიანის უფლებები.[35]

ნორმის გამოყენებასთან დაკავშირებით საერთო სასამართლოს განმარტებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ნორმის შინაარსის განსაზღვრისთვის, რადგან ნორმის ნორმატიულ შინაარსთან, პრაქტიკულ გამოყენებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებენ საერთო სასამართლოები.[36] შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ნორმას იხილავს სწორედ იმ ნორმატიული შინაარსით, რომლითაც იგი საერთო სასამართლომ გამოიყენა.[37] აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით ორგვარი მიდგომა არსებობს: 1. კანონის კონსტიტუციურობის პრეზუმფცია, რა დროსაც საკონსტიტუციო სასამართლო, გარდა აშკარა არაკონსტიტუციურობისა, თავს იკავებს სადავო ნორმის გაუქმებისგან; 2. „ცოცხალი კანონის" მიდგომა, რომელიც იტალიამ განავითარა და რომელიც გუ-

ნმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს განუსაზღვრავს თხუთმეტ-დღიან ვადას გასაჩივრებული ნორმებთან დაკავშირებით სამართლებრივი მოსაზრებების წარმოსადგენად, იხ., Organic Law on The Constitutional Court of the Kingdom of Spain, 1979, Art. 37; გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია სასამართლოებისგან გამოითხოვოს ინფორმაცია სადავო ნორმის პრაქტიკის შესახებ, იხ., The Act on the Federal Constitutional Court of Federal Republic of Germany, 1951, Art. 82(4).

33 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 5 მაისის N2/4/461 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3.

34 ჯავახიშვილი, 2017, 336.

35 Kriszta, Attila, 2023, 6.

36 იხ., Lalisan, 2020, 6.

37 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის N1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე, „სს „ლიბერთი ბანკი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-16.

ლისხმობს ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებას საერთო სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტების შესაბამისად.[38]

საერთო სასამართლოს პრაქტიკა სადავო ნორმის შინაარსის განსაზღვრისთვის „ურყევი მოცემულობაა“.[39] ამასთან, სადავო ნორმის შინაარსის იდენტიფიცირებისას საკონსტიტუციო სასამართლო არ არის შეზღუდული საერთო სასამართლოს პრაქტიკით და შეუძლია არ გაიზიაროს ის.[40] თუმცა მან სადავო ნორმის შინაარსთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტება მიიჩნია მბოჭავად.[41] ამგვარი მიდგომა ლოგიკურია, ვინაიდან ნორმის გამოყენების პრაქტიკულ შედეგებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა იღებს, რითაც სრულდება ნორმის შინაარსის განსაზღვრა.[42]

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო აკეთებს დათქმას, რა შემთხვევებში არ იხელმძღვანელებს საერთო სასამართლოების პრაქტიკით: 1. არსებობს საერთო სასამართლოების წინააღმდეგობრივი განმარტება; 2. საერთო სასამართლოების განმარტება არაგონივრულია.[43] ამგვარი პოზიციის არსებობის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია ჩამოყალიბებული პრაქტიკა, თუ რას მოიაზრებს საერთო სასამართლოების წინააღმდეგობრივი განმარტება ან ასეთი განმარტების არაგონივრულობა. საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზით საკონსტიტუციო სასამართლო ცდილობს ჩასწვდეს ნორმის გამოყენების ასპექტებს, ის არ აფასებს ასეთი პრაქტიკის მართებულობას.[44] უდავოა, რომ საერთო სასამართლოს განმარტების კონკრეტული დავის გადაწყვეტისთვის რელევანტურად არმიჩნევა უნდა იყოს დასაბუთებული. ეს იმ ფონზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიზანი საერთო სასამართლოების გადაწყვეტილების რევიზია არ არის.[45] ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს დამოკიდებულება ამ საკითხების მიმართ

---

38 იხ., Visser, 2014, 286-291.

39 ჯავახიშვილი (რედ.), 2024, 138.

40 ზოიძე, 2021-2022, 15.

41 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-79.

42 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი.

43 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის N1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე, „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16.

44 გეგენავა, ჯავახიშვილი, 2018, 135.

45 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 29 ივნისის N1/24/1770 განჩინება საქმეზე, „ნუგზარი კირიაკიდის, ანასტასია ზაუტაშვილი და მევლუდი სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16.

უნდა იყოს ცხადი და გააზრებული, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა წარმოადგინოს დამაჯერებელი შეფასება, კონკრეტულად რა იგულისხმება ამგვარ გამონაკლისად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მუდამ იარსებებს კონსტიტუციური სარჩელის თუ წარდგინების წარმოებაში არ მიღების საფუძველი.

საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის კონსტიტუციურობას აფასებს იმ შინაარსით, რომელიც ნორმას აქვს საქმის გადაწყვეტის დროს.[46] სადავო აქტის რეალური შინაარსის კონსტიტუციურობის შეფასებისას, სასამართლო ითვალისწინებს და მოცემულობად იღებს საერთო სასამართლოს განმარტებას. ამდენად, მნიშვნელოვანია, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნა ეფუძნებოდეს სადავო ნორმის შინაარსის სწორ აღქმას, რასაც უნდა ადასტურებდეს საერთო სასამართლოების პრაქტიკა.[47] მით უმეტეს, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო ცხადად არ გამოკვეთს, მაგრამ იზიარებს „ცოცხალი კანონის" მიდგომას. სასამართლო პრაქტიკის მდგრადობასა და თანმიმდევრულობაზე არის დამოკიდებული საკონსტიტუციო სასამართლოს ფაქტობრივი გავლენა საკანონმდებლო და სასამართლო პროცესებზე.[48] მისი გადაწყვეტილების სავალდებულოობის გათვალისწინებით, სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსის დასადგენად, საკონსტიტუციო სასამართლოს მართებს განმარტების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება.[49]

IV. სადავო ნორმის გამოყენების პრაქტიკის თავისებურებები

1. საერთო სასამართლოს ავტორიტეტული განმარტება

საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის ავტორიტეტულ განმარტებად მოიაზრებს საერთო სასამართლოების იმ განმარტებას, რომელიც სუბსუმციის გზით ნორმისთვის ფაქტობრივი გარემოებების შეფარდებისა და ინტერპრეტაციის გზით მიიღება.[50] საკონსტიტუციო სასამართლოსთვის გასაზიარებელია ნორმის სასამართლო პრაქტიკით განსაზღვრული შინაარსი.[51] იმის დასადგენად, თუ

---

46 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის N2/2/656 გადაწყვეტილება საქმეზე, „სს „სილქ როუდ ბანკი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-7.

47 ჯავახიშვილი (რედ.), 2024, 137.

48 Sweet, 2007, 92.

49 Finck, 1997, 129-130.

50 იხ., ბარამაშვილი, მაჭარაშვილი, 2021, 31.

51 ზოიძე, 2021-2022, 14.

რამდენად დასაბუთებულია მოსარჩელის მოთხოვნა, საკონსტიტუციო სასამართლო იყენებს საერთო სასამართლოების განმარტებებს ნორმატიულ აქტთან დაკავშირებით, რისთვისაც გამოითხოვს სადავო ნორმის პრაქტიკაში გამოყენების ამსახველ განჩინებებს და გადაწყვეტილებებს.[52] თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მოსარჩელეა ვალდებული, სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები და ნორმის ავტორიტეტულ განმარტებასთან დაკავშირებული პრაქტიკა, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლო შეაფასებს და გააანალიზებს,[53] მოპასუხე მხარის მიერ წარდგენილ შესაბამის სასამართლო პრაქტიკასა და ნორმის ავტორიტეტულ განმარტებასთან ერთად.[54]

საკონსტიტუციო სასამართლო როგორც მოსარჩელეს, ისე მოპასუხე მხარეს აძლევს შესაძლებლობას წარადგინონ სადავო ნორმის იმგვარი ავტორიტეტული განმარტება, რომელიც ამყარებს მათ პოზიციას. რა იგულისხმება სამართალშემფარდებლის ავტორიტეტულ განმარტებაში, საკონსტიტუციო სასამართლოს ცხადად არ განუმარტავს, თუმცა მასში ეჭვგარეშედ მოიაზრება საერთო სასამართლოს ინტერპრეტაცია.[55] ცალსახაა, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა განმარტოს ხსენებული ნორმა და განავითაროს დამაჯერებელი მსჯელობა სამართალშემფარდებლის ავტორიტეტული განმარტების ცნების ირგვლივ, რადგან შესაძლებელია მოსარჩელემ ან მოპასუხემ სადავო ნორმის არაკონსტიტუციური შინაარსი ამოიკითხოს, მაგალითად, ადმინისტრაციული ორგანოს პრაქტიკაში. შესაბამისად, არსებული სტანდარტის და მიდგომის უკეთესობისკენ შეცვლა გადამწყვეტია კონსტიტუციური სარჩელის და წარდგინების წარმოებაში მიღებისთვის.

მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის მნიშვნელოვანია, საერთო სასამართლოების პრაქტიკა დაემთხვეს ნორმის მოსარჩელის მიერ არაკონსტიტუციურად მიჩნეული შინაარსით გამოყენებას. ასე მაგალითად,

---

52 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 14 დეკემბრის N1/28/1669 განჩინება საქმეზე, „თამარი მენაბდიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3-4; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის N3/5/1233 განჩინება საქმეზე „სს „კაპიტალ ბანკი“, უცხო ქვეყნის საწარმო შპს „ESOL B.V.“ და ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე ჯილბერტ რიჩარდ არმენტა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

53 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-58; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/1/877 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს ალტა“, „შპს ოქეი“, „შპს ზუმერი ჯორჯია“, „შპს ჯორჯიან მობაილ იმპორტი“ და „შპს სმაილი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-71.

54 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 14 დეკემბრის N3/3/1635 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16.

55 იხ., ჯავახიშვილი (რედ.), 2024, 138.

ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელე სადავოდ ხდიდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმის იმ ნორმატიულ შინაარსს, რომელიც მისი შეფასებით, შესაძლებლობას იძლეოდა სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში ყადაღა დასდებოდა კეთილსინდისიერი შემძენის (რომელიც დანაშაულებრივ კავშირში არ იმყოფება ბრალდებულთან) ქონებას. საკონსტიტუციო სასამართლომ საერთო სასამართლოს პრაქტიკის შესწავლისას დაასკვნა, რომ სადავო ნორმის მოსარჩელის მიერ მიჩნეული შინაარსი არ იყო საერთო სასამართლოს პრაქტიკასთან თანხვედრაში, რის გამოც, სასამართლომ სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად.[56] ეს მიდგომა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში მყარადაა დადგენილი, შესაბამისად, მოსარჩელემ, საერთო სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, სწორად უნდა განსაზღვროს სადავო ნორმის ის შინაარსი, რომელიც მისი შეფასებით ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.[57] საკონსტიტუციო სასამართლომაც უნდა დაასაბუთოს, რატომ მიაჩნია მას სადავო ნორმასთან დაკავშირებით საერთო სასამართლოს პრაქტიკა კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ, რისთვისაც უნდა გამოიკვლიოს ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობა.[58] მართალია, საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოს განმარტებას მოცემულობად იღებს, თუმცა მისი პოზიცია უნდა იყოს დასაბუთებული. მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის შინაარსის განსაზღვრისას ითვალისწინებს საერთო სასამართლოს სამართლებრივ მსჯელობას, საკმარისი არაა. საკონსტიტუციო სასამართლო თავად ადგენს ნორმის კონსტიტუციურ ინტერპრეტაციას და ეს პროცესიც კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს.[59]

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტება

საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა მიიჩნევა სადავო ნორმის განმარტებად და რეალურ შინაარსად.[60] საქართველოს უზენაესი სასამართლო საერთო სასამართლოების სისტე-

---

[56] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 14 დეკემბრის N1/28/1669 განჩინება საქმეზე, „თამარი მენაბდიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

[57] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 11 მაისის N2/5/1654 განჩინება საქმეზე, „ალექსანდრე კობაიძე და მირანდა შალამბერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის N1/4/1472 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ნიკოლოზ ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

[58] შეად., The Law on the Constitutional Court of the Republic of Lithuania, 1993, Art. 27-29.

[59] იხ., Hajiyev, 2002, 4.

[60] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის N1/10/703

მაში კანონის განმარტების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციაა, შესაბამისად, მისი განმარტება უნდა ჩაითვალოს ნორმის გაგების წყაროდ.[61] ამდენად, იმ საქმეებში, სადაც არსებობდა სადავო ნორმის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, საკონსტიტუციო სასამართლომ სწორედ მისი განმარტება მიიჩნია ნორმის რეალურ შინაარსად.[62] იგივე შეიძლება ითქვას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებაზე, რომლის სამართლებრივი შეფასება სავალდებულოა საერთო სასამართლოებისთვის.[63] შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს არ შეუძლია არაგონივრულად მიიჩნიოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტება.[64] უფრო მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ის ვალდებულია გაიზიაროს და გაითვალისწინოს დიდი პალატის მიერ სადავო ნორმის განმარტება.[65]

ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა განსხვავებული მოსაზრებებიც. ერთ-ერთ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნორმის შეფასებისას ის დაეყრდნობოდა უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებას,[66] რაც დამაჯერებელი არ აღმოჩნდა განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეებისთვის; მათი აზრით, უზენაესი სასამართლოს განმარტება ყველა შემთხვევაში არ შეიძლება მიიჩნეოდეს შეფასების ერთადერთ მასშტაბად, საკონსტიტუციო სასამართლო დიდი პალატის განმარტებას არ იღებს ყოველგვარი გადამოწმების გარეშე, რადგანაც „უზენაესი სასამართლო ხშირად ცვლის პრაქტიკას, საკუთარ მიდგომას, განსხვავებული შინაარსით აფასებს ნორმებს ან უბრუნდება ძველ პრაქტიკას“[67]. გასაზიარებელია

გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-14.

61 იქვე, II-16.

62 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

63 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი.

64 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-77-78.

65 იქვე, II-79.

66 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-78.

67 იხ., საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძის, მაია კოპალეიშვილის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საქმეზე, „შპს სამაუწყებლო

მოსამართლეთა განსხვავებული აზრში ასახული პოზიცია, საკონსტიტუციო სასამართლომ უაპელაციოდ და შეფასების გარეშე არ უნდა გაითვალისწინოს დიდი პალატის განმარტება, მისი მიდგომა ყველა შემთხვევაში უნდა იყოს მოტივირებული.[68] საერთო სასამართლოს განმარტება უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას, თუმცა რადგანაც კონსტიტუციის ინტერპრეტაციის ექსკლუზიური უფლებამოსილება აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს, მან უნდა შეამოწმოს საერთო სასამართლოს განმარტების კონსტიტუციასთან შესაბამისობა.[69] მისი ამგვარი მიდგომა უნდა იყოს დასაბუთებული და გასაგები. ის უნდა ჩასწვდეს დიდი პალატის განმარტების კონსტიტუციურობას და თუ აღმოაჩენს, რომ ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ ღირებულებებს და შეიცავს ადამიანის უფლებების დარღვევის საფრთხეს, იგი არ გაითვალისწინოს.[70]

იმ შემთხვევაში, თუკი არ არსებობს სადავო ნორმასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია იხელმძღვანელოს სააპელაციო ან რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განმარტებით. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელე ასაჩივრებდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის იმ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ დადგენილების გასაჩივრების 10 დღიან ვადას არა დადგენილების ჩაბარების, არამედ სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების მომენტიდან. ამასთან, ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევდა საჩივრის განუხილველად დატოვებას; მოსარჩელის პოზიციით მხოლოდ დადგენილების სამოტივაციო ნაწილის გაცნობის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი მისი გასაჩივრება, რადგან სხვა შემთხვევაში უცნობია დადგენილების მიღების სამართლებრივი მოტივები.[71] ამ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმების ნორმატიული შინაარსის გასაგებად დაეყრდნო საქართველოს სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკას და დაადგინა, რომ ამგვარი წესით იზღუდებოდა სამარ-

---

კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

68 იხ., Constitutional Court Judgment of Republic of Italy, No. 122, 8 February 2017.

69 იხ., Keturakienė, Murauskas, 2023, 175.

70 პოლონეთს საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია მიმართოს უზენაეს სასამართლოს და სთხოვოს გასაჩივრებული კანონის დებულების გამოყენების ან ინტერპრეტაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, იხ., The Act on the Organisation of the Constitutional Tribunal and the Mode of Proceedings Before the Constitutional Tribunal Republic of Poland, 2016, Art. 70.

71 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის N1/3/1263 გადაწყვეტილება საქმეზე, „ირაკლი ხვედელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I-7-8.

თლიანი სასამართლოს უფლებრივი კომპონენტი – ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით უფლების სრულყოფილად და ეფექტიანად დაცვის შესაძლებლობა.[72] კიდევ ერთ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ პირდაპირ მიუთითა, რომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას და გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელებდა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით.[73]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებას დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო სასამართლოების სისტემაში ნორმის ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. თუმცა ეს არ გამორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან ამგვარი განმარტების გადამოწმებას და შეფასების ერთადერთ მასშტაბად მიღების დაუშვებლობას, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს ამგვარი განმარტების კონსტიტუციასთან შესაბამისობა.[74] რამდენადაც საკონსტიტუციო კონტროლი არის კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვის ცნობიერების გაზრდის პროდუქტი,[75] კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისი განმარტება სასამართლოებს ავალდებულებს, მათი განმარტება თავსებადი იყოს ადამიანის უფლებების ცალკეული ასპექტის სათანადოდ დაცვასა და კონსტიტუციის შინაარსთან.[76] ამრიგად, საკითხისადმი საკონსტიტუციო სასამართლოს დამოკიდებულება უნდა იყოს თანმიმდევრული და დასაბუთებული, რადგან საქმეების გადაწყვეტის ეტაპზე სადავო ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენა და სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებები გავლენას ახდენს მმართველობის სისტემის ფუნქციონირებასა და საზოგადოების განვითარებაზე.[77] შესაბამისად, ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ გადადგმულმა თითოეულმა ქმედითმა ნაბიჯმა შესაძლოა შეცვალოს არსებული სამართლებრივი რეალობა უკეთესობისაკენ და განამტკიცოს საკონსტიტუციო წესრიგი.

---

72 იქვე, II-21.

73 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 13 ნოემბრის N1/7/681 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21.

74 იხ., Lalisan, 2020, 10.

75 Ginsburg, Versteeg, 2014, 616

76 უნგრეთის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნა პირდაპირ კონსტიტუციით არის განსაზღვრული და სასამართლო პრაქტიკით დამკვიდრებული, იხ., Constitutional Court Decision of Republic of Hungary, N3434 (X. 25.), 25 October 2023; Constitutional Court Decision of Republic of Hungary, N3328 (VII. 21.), 21 July 2022.

77 Michaut, 1996, 424.

V. სადავო ნორმის გამოყენების პრაქტიკის მხედველობაში არმიღების გამონაკლისი შემთხვევები

1. ერთი და იმავე ინსტანციის სასამართლოს წინააღმდეგობრივი განმარტება

საკონსტიტუციო სასამართლო არ გაიზიარებს სადავო ნორმასთან დაკავშირებით საერთო სასამართლოს განმარტებას, როდესაც ერთი და იმავე ინსტანციის სასამართლოები ნორმას განმარტავენ ურთიერთწინააღმდეგობრივად, რადგან მიიჩნევა, რომ სადავო ნორმის შინაარსი საბოლოოდ არ არის განსაზღვრული.[78] ამდენად, თუკი საერთო სასამართლოებმა ნორმას მიანიჭეს სხვადასხვა მნიშვნელობა, საკონსტიტუციო სასამართლო არ იღებს მხედველობაში რომელიმე ერთი სასამართლოს განმარტებასა და პრაქტიკას.[79] მისი შეფასებით, ნორმასთან დაკავშირებით, არაერთგვაროვანი განმარტება შეიძლება მიუთითებდეს ნორმის ბუნდოვანებასა და არაკონსტიტუციურობაზე.[80]

სადავო ნორმასთან დაკავშირებული არაერთგვაროვანი განმარტების შესახებ, მოსარჩელე მხარემ საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა წარუდგინოს მტკიცებულებები – საერთო სასამართლოს პრაქტიკა ან სამართალშემფარდებლის ავტორიტეტული განმარტება.[81] თუმცა, როგორც აღინიშნა, ზუსტად რა იგულისხმება სამართალშემფარდებლის ავტორიტეტულ განმარტებაში, საკონსტიტუციო სასამართლოს დამაჯერებელი პოზიცია არ გააჩნია.[82] ასეთ პირობებში, მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს ერთიანი მიდგომა, რა მოიაზრება ამ ცნების ქვეშ, რადგან ამ საკითხის სიცხადესთან პირდაპირ არის დაკავშირებული კონკრეტული საქმის წარმოებაში მიღება და მასზე არსებითად მსჯელობის პერსპექტივა. საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის „საჯარო კითხვით" უნდა გამორიცხოს პრაქტიკაში კონსტიტუციასთან შეუსაბამო განმარტება.[83]

---

78 ბარამაშვილი, მაჭარაშვილი, 2021, 32.

79 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-78.

80 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის N2/1/631 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – თეიმურაზ ჯანაშია და გიული ალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-43.

81 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის N2/8/765 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე დავით ძოწენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-10.

82 ჯავახიშვილი (რედ.), 2024, 138.

83 ქაშაკაშვილი, 2017, 79.

საკონსტიტუციო სასამართლო თავად უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ საერთო სასამართლოებმა ნორმას განსხვავებული შინაარსი შესძინონ, რა დროსაც თავადვე ანიჭებს სადავო ნორმას ნორმატიულ შინაარსს. ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმის განმარტებისთვის ფართო არეალი აქვს, შეუძლია კონკრეტული სიტუაციის მიხედვით არ გაითვალისწინოს საერთო სასამართლოს განმარტება და თავად განმარტოს სადავო ნორმის შინაარსი. შესაბამისად, თუკი დავის გადაწყვეტისას იგი სადავო ნორმას მიიჩნევს არაკონსტიტუციურად, მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება საერთო სასამართლოს განმარტებას.[84]

ერთ-ერთ საქმეში გასაჩივრებული იყო სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებდა პატიმრობის 9 თვიანი ვადის გამოყენებას სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე, მიუხედავად იმისა, პირს ბრალი ედებოდა თუ არა პატიმრობის გამოყენებამდე ჩადენილ დანაშაულში.[85] რადგანაც ნორმა იძლეოდა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და არაერთგვაროვანი იყო საერთო სასამართლოების პრაქტიკა, საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საერთო სასამართლოს ინტერპრეტაცია, თავად განმარტა ნორმა და შედეგად, არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმის კონსტიტუციის საწინააღმდეგო ნორმატიული შინაარსი.[86] ამ შემთხვევაში, სადავო ნორმასთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავი განმარტება საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენა მოსარჩელის უფლებების დასაცავად. თუმცა იმის გამო, რომ არ არსებობს ერთიანი მიდგომა სამართალშემფარდებლის ავტორიტეტული განმარტების ცნებასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია გაიზიაროს რომელიმე ერთი ინსტანციის სასამართლოს განმარტება და მას დააფუძნოს თავისი გადაწყვეტილება ან საერთოდ არ მიიღოს არცერთი სასამართლო ინსტანციის განმარტება.

სადავო ნორმის შინაარსთან დამკვიდრებული პრაქტიკის დროთა განმავლობაში ცვლილებისა და მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული ნორმის ნორმატიული შინაარსის საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისგან განსხვავებულ განმარტებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ის ვერ გაიზიარებდა მოსარჩელის პოზიციას.[87] მისი შეფასებით, ნორმა შესაძლოა

---

84 იხ., Alen, Melchior, 2002, 25.

85 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის N3/2/654 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

86 იქვე, II-42.

87 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის N2/2/656 გადაწყვეტილება საქმეზე, „სს „სილქ როუდ ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

შეიცვალოს საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, თუმცა ეს უკანასკნელი მიუღებელი კანონის არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძვლად ვერ გამოდგებოდა, ამიტომ ის ნორმის კონსტიტუციურობას შეაფასებდა იმ შინაარსით, რომელიც მას ჰქონდა საქმის გადაწყვეტის დროს.[88] ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, ნორმის განსხვავებული ინტერპრეტაციის არსებობა და ამდენად, საერთო სასამართლოს მიერ ნორმის პრაქტიკაში გამოყენების განსხვავებული ვარიაციები არ შეიძლება იქცეს ასეთი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძვლად.[89]

2. საერთო სასამართლოს აშკარად არაგონივრული განმარტება

საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის კონსტიტუციურობას აფასებს საერთო სასამართლოების მიერ მინიჭებული შინაარსით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი განმარტება არაგონივრულია.[90] ნორმის პრაქტიკაში გამოყენებით რეალიზდება მისი კონსტიტუციასთან შესაბამისი შინაარსი ან პირიქით, ის ვერ ასახავს ამგვარ დამოკიდებულებას.[91] ეს პოზიცია განპირობებულია სასამართლოს მიდგომით – ყოველგვარი გადამოწმების გარეშე არ მიიღოს საერთო სასამართლოს მიერ დადგენილი სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსი.[92] საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოს პრაქტიკის შეფასებისას უნდა მივიდეს დასკვნამდე – რამდენად არსებობს ნორმის პრაქტიკაში კონსტიტუციასთან აცდენის შესაძლებლობა.[93] როდესაც საკანონმდებლო ნორმა ზოგადი ხასიათისაა და არ ითვალისწინებს უფლების დაცვის საკმარისად ეფექტურ მექანიზმებს, მისი იმპლემენტაცია იწვევს მხარეებისთვის არაგონივ-

---

88 იქვე.

89 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-17.

90 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის N1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე, „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16.

91 ზოიძე, 2021-2022, 16.

92 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების – ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძის, მაია კოპალეიშვილის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საქმეზე, „შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და შპს „ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

93 იქვე.

რული და განუჭვრეტელი სასამართლო პრაქტიკის განვითარებას. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული როლი აქვს, სწორად შეაფასოს ნორმის შინაარსი.[94]

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით არ არის დადგენილი, კონკრეტულად რა მოიაზრება საერთო სასამართლოს აშკარად არაგონივრულ განმარტებად და რა სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს მისი შეფასება. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში არაგონივრულად მიიჩნია სადავო ნორმასთან დაკავშირებით საერთო სასამართლოების განმარტება.[95] მისი შეფასებით, სასამართლო სისტემის გადატვირთულობიდან გამომდინარე, არსებობდა შესაძლებლობა, ისე გასულიყო გასაჩივრების ათდღიანი ვადა, რომ პირს არ ჰქონოდა ჩაბარებული მის მიმართ მიღებული დასაბუთებული დადგენილების ასლი.[96] საკონსტიტუციო სასამართლომ შეისწავლა საერთო სასამართლოების პრაქტიკა და გამოარკვია, რომ მოსარჩელეს დასაბუთებული დადგენილების დროულად ჩაუბარებლობის შემთხვევაში, 10 დღის ვადაში უფლება აქვს წარადგინოს სააპელაციო საჩივარი სათანადო დასაბუთების გარეშე, ხოლო დასაბუთებული დადგენილების მიღების შემდეგ – სააპელაციო სასამართლოს მიაწოდოს დამატებითი არგუმენტაცია. საკონსტიტუციო სასამართლომ საერთო სასამართლოების ამგვარი განმარტებები მიიჩნია გაუმართლებლად, რადგან მისი შეფასებით, იზღუდებოდა სამართლიანი სასამართლოს უფლებით გარანტირებული, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში უფლების სრულყოფილად და ეფექტიანად დაცვის შესაძლებლობა.[97]

საერთო სასამართლოს არაგონივრულობაზე საუბრისას საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელე არის პასუხისმგებელი საკონსტიტუ-

---

[94] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების – ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძის, მაია კოპალეიშვილის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

[95] ამ შემთხვევაში, მოსარჩელისათვის პრობლემური იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების ვადის ათვლის დასაწყისი არა დადგენილების დასაბუთებული დადგენილების ჩაბარების, არამედ მისი მიღების, გამოცხადების მომენტიდან, იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის N1/3/1263 გადაწყვეტილება საქმეზე, „ირაკლი ხვედელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[96] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის N1/3/1263 გადაწყვეტილება საქმეზე, „ირაკლი ხვედელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8-14.

[97] იქვე, II-34.

ციო სასამართლოს წარუდგინოს საერთო სასამართლოების არაერთგვაროვანი განმარტების დამადასტურებელი პრაქტიკა და დაარწმუნოს სასამართლო, სადავო ნორმის კონკრეტული განმარტება რატომ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ წესრიგს და არღვევს ადამიანის უფლებებს.[98] სწორედ მოსარჩელემ უნდა მიუთითოს არგუმენტები, რატომ არის საერთო სასამართლოების პრაქტიკა არაგონივრული და ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.[99] ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო იხელმძღვანელებს ნორმის სისტემური ანალიზისა და საერთო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით.[100] მან თავი არ უნდა შეიკავოს დავის გადაწყვეტისთვის გამოსაყენებელი ნორმის შინაარსის განმარტებისგან.

იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე საკონსტიტუციო სასამართლოს ვერ დაუსაბუთებს სადავო ნორმის პრობლემურობას, საკონსტიტუციო სასამართლო დამოუკიდებლად განმარტავს ნორმას და საკუთარი დისკრეციით მიანიჭებს მას გარკვეულ შინაარსს.[101] ამ შემთხვევაში მთლიანად საკონსტიტუციო სასამართლოზეა დამოკიდებული, რა ხერხებით და მეთოდებით განმარტავს სადავო ნორმას და მასში ამოიკითხავს თუ არა, კონსტიტუციის საწინააღმდეგო განმარტებას.[102] როგორც უკვე აღინიშნა, მას ისედაც ფართო მიხედულობა აქვს საერთო სასამართლოს განმარტების მხედველობაში მიღებასთან დაკავშირებით,[103] მასვე შეუძლია გააუქმოს არაკონსტიტუციური კანონები.[104] ამდენად, მნიშვნელოვანია ამ პროცესის მეტი სიცხადე, რათა საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმაში დაინახოს ადამიანის უფლებების დარღვევის საფრთხეები, რისთვისაც სრულად უნდა განიხილოს, შეაფასოს და აწონ-დაწონოს საქმის კო-

---

98 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის N2/8/765 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე დავით ძოწენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

99 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის N2/1/631 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – თეიმურაზ ჯანაშია და გიული ალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-53.

100 ნორმის სისტემური განმარტების მეთოდს იყენებს ლიეტუვის საკონსტიტუციო სასამართლო, იხ., Constitutional Court Ruling of The Republic of Lithuania, NKT21-N3/2024, 7 March 2024; Constitutional Court Ruling of The Republic of Lithuania, NKT8-N1/2023, 23 January 2023.

101 იხ., Shapiro M., Judicial Power and Democracy, in: Judicial Power: How Constitutional Courts Affect Political Transformation, Edited by C. Landfried, Cambridge University Press, 2019, 23.

102 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N3/6/1392 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9

103 იხ., Bell, Paris, 2016, 284.

104 იხ., Sadurski, 2014, 36.

ნსტიტუციური ასპექტები,[105] კრიტიკულად შეაფასოს მისივე პრეცედენტული გადაწყვეტილებები.[106] შედეგად, უნდა უზრუნველყოს საკონსტიტუციო სასამართლოს გზით უფლების დაცვის ეფექტიანობა.[107]

VI. საერთო სასამართლოს განმარტების არარსებობისას სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმება

სადავო ნორმასთან დაკავშირებით საერთო სასამართლოს პრაქტიკის არარსებობისას საკონსტიტუციო სასამართლო ნორმას განმარტავს საერთო სასამართლოს პრაქტიკისგან დამოუკიდებლად.[108] ფაქტობრივად, ამ მიდგომის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის საერთო სასამართლოს განმარტება იმთავითვე არ არის ურყევი მოცემულობა და მას შეუძლია არ გაიზიაროს ის, თუნდაც საკითხის გადაწყვეტისას არსებობდეს საერთო სასამართლოს განმარტება.[109] იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს საერთო სასამართლოს განმარტება, სადავო ნორმის განმარტებისთვის საკონსტიტუციო სასამართლო შესაძლოა დაეყრდნოს სამართალშემფარდებლის ავტორიტეტულ განმარტებას, რაშიც მოიაზრება ხელისუფლების სხვა ორგანოები, რომლებსაც ევალებათ სადავო ნორმის პრაქტიკაში გამოყენება და აღსრულება.[110] მთავარია, ასეთი ორგანოები ნორმას იყენებდნენ პრაქტიკაში.[111] სადავო ნორმიდან მომდინარე რისკების შეფასებისთვის, უნდა არსებობდეს ნორმის პრაქტიკაში გამომყენებელი ორგანოს მხრიდან ნორმის შინაარსთან დაკავშირებით დადგენილი კონკრეტული განმარტება.[112]

---

[105] შეად., The Federal Constitutional Court of Federal Republic of Germany, 2 BvR 1436/02, 24 September 2003; Constitutional Court Judgment of Republic of Italy, No. 14, 1 December 2022.

[106] იხ., Constitutional Court Judgment of Republic of Italy, No. 194, 26 September 2018.

[107] იხ., საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – ოთარ სიჭინავას და ლალი ფაფიაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 23 დეკემბრის N2/15/691 განჩინებასთან დაკავშირებით საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ტარიელ ფოცხვერია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“.

[108] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 23 სექტემბრის N1/4/1330 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ცერცვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-23.

[109] იტალიის გამოცდილების შესახებ, იხ., Bell, Paris, 2016, 260.

[110] ბარამაშვილი, მაჭარაშვილი, 2021, 32.

[111] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის N2/10/1540 განჩინება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

[112] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 23 სექტემბრის N1/4/1330

სადავო ნორმის შინაარსთან დაკავშირებით, კონკრეტული სახელმწიფო ორგანოს პოზიცია ვერ იქნება მიჩნეული ავტორიტეტულ განმარტებად, თუ იგი სადავო ნორმას არ იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში[113] (მაგალითად, თუ ის მხოლოდ ჰიპოთეტურად, კონკრეტული შემთხვევისგან დამოუკიდებლად განმარტავს ნორმას მოქალაქეთა მიმართვის შემთხვევაში). ავტორიტეტულ განმარტებად ასევე არ მიიჩნევა სადავო ნორმის სამართალშემფარდებლის ცალკეული პოზიციები (წერილობითი ფორმით), რომლებიც განსხვავდებიან საერთო სასამართლოს პრაქტიკისგან.[114] ასეთ შემთხვევაში, გამოსავლის სახით, საკონსტიტუციო სასამართლო ნორმას კეთილსინდისიერი განმარტების მეთოდის გამოყენებით განმარტავს და თუკი რომელიმე ასეთი განმარტება არ იქნება კონსტიტუციის პრინციპებთან შესაბამისი, მას არაკონსტიტუციურად მიიჩნევს.[115]

საკონსტიტუციო სასამართლოს ნათლად განსაზღვრული არ აქვს, რა იგულისხმება სამართალშემფარდებლის ავტორიტეტულ განმარტებაში. მნიშვნელოვანია, საკონსტიტუციო სასამართლომ გამოკვეთოს უფრო მეტი გარემოება სამართალშემფარდებლის ავტორიტეტული განმარტების იდენტიფიცირებისთვის, მათ შორის, ცხადი უნდა იყოს სამართალშემფარდებლები ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე იყენებენ სადავო ნორმას საკითხის გადაწყვეტისთვის ან/და აღასრულებენ მათ მიერვე მიღებულ გადაწყვეტილებას, თუ ეს ეხება სხვა ორგანოს, რომელიც საქმიანობის მიზნებისთვის იყენებს ნორმას. შეფასებისთვის ამოსავალი უნდა იყოს სამართალშემფარდებლის ავტორიტეტულ განმარტებას გავლენა ჰქონდეს მოსარჩელე მხარისთვის მიუღებელი სამართლებრივი შედეგის დადგომისთვის.[116]

შესაძლებელია, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმის განმარტების შემდეგ, საერთო სასამართლომ იმავე ნორმის განსხვავებული შინა-

---

გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ცერცვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27.

[113] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის N3/4/858 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ლაშა ჩალაძე, გივი კაპანაძე და მარიკა თოდუა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-6.

[114] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის N2/2/1360 განჩინება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12.

[115] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის N2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13.

[116] ამგვარი მიდგომა აქვს მაგალითად უნგრეთს, იხ., Constitutional Court Decision of Republic of Hungary, N3434 (X. 25.), 25 October 2023, Para. 52.

არსი დაადგინოს, ასეთ დროს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია ნორმა შეაფასოს იმ შინაარსით, რაც მას საერთო სასამართლოს განმარტებებმა შესძინა.[117] საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სასამართლომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო, ვინაიდან მისი რამდენიმე შესაძლო განმარტებიდან ერთ-ერთი კონსტიტუციის საწინააღმდეგო იყო.[118] ამრიგად, საერთო სასამართლოს პრაქტიკის არარსებობა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის არ არის დამაბრკოლებელი, არაკონსტიტუციურად ცნოს ასეთი ნორმა.[119]

კონსოლიდირებული ინტერპრეტაციის არარსებობისას საკონსტიტუციო სასამართლომ დაინტერესებულ პირებს უნდა შესთავაზოს კანონმდებლობის საკუთარი ინტერპრეტაცია.[120] საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დააწესოს კანონის ყველაზე შესაფერისი ინტერპრეტაცია ძირითადი უფლებების ეფექტიანად დასაცავად.[121] განმარტების მეთოდების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, შეუძლებელია ერთ კონკრეტულ მეთოდს მიენიჭოს უპირატესობა,[122] მთავარია, სადავო ნორმის განმარტებასთან დაკავშირებით საბოლოო სიტყვა თქვას საკონსტიტუციო კონტროლის ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე საკონსტიტუციო სასამართლომ,[123] რისთვისაც უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლო განმარტების მეთოდი და უზრუნველყოს სადავო ნორმის „კონსტიტუციის შესაბამისი ინტერპრეტაცია“.[124] შედეგად, უნდა გამორიცხოს სადავო ნორმიდან მომდინარე ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო განმარტების არსებობა, რადგან ნორმის განმარტების მიზანი ადამიანის უფლებების სათანადოდ დაცვაა.

---

117 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/1/877 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს ალტა“, „შპს ოქეი“, „შპს ზუმერი ჯორჯია“, „შპს ჯორჯიან მობაილ იმპორტი“ და „შპს სმაილი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-71.

118 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ღომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-30; The Federal Constitutional Court of Federal Republic of Germany, 1 BvR 1585/13, 31 May 2016, Para. 82.

119 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის N2/3/680 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს იუ-სი-ჯი გრინ ფაუერი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9.

120 იხ., Passaglia, 2016, 425.

121 Bell, Paris, 2016, 298.

122 იხ., ბარაქი, 2017.

123 Bugaric, 2001, 253.

124 იხ., Determann, Heintzen, 2019, 104-106.

VII. დასკვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტისას სადავო ნორმის საერთო სასამართლოს განმარტების გათვალისწინების საკითხთან დაკავშირებით, სასამართლო პრაქტიკის შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი პრობლემა. არსებული გამოწვევების დაძლევა და ადამიანის უფლებების ეფექტიანად დაცვაზე დაფუძნებული სისტემის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს დასაბუთებული პოზიციითა და არსებული სტანდარტის გაუმჯობესებით. პრაქტიკის დახვეწისკენ მიმართული წინადადებები საკონსტიტუციო სასამართლოს გაუადვილებს გადაწყვეტილების მიღებას, მოსარჩელეებს კი დაეხმარება ნორმის სავარაუდო არაკონსტიტუციური შინაარსის სწორად იდენტიფიცირებაში, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს სარჩელის განსახილველად მიღებისთვის.

გამოკვეთილი მიგნებებიდან აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია ერთგვაროვანი დამოკიდებულება სადავო ნორმის შინაარსის განსაზღვრისთვის საერთო სასამართლოს განმარტების მნიშვნელობასთან დაკავშირებით. გაურკვეველია, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის საერთო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება მხოლოდ ანგარიშგასაწევი ფაქტორია თუ ვალდებულება. ეს იმ ფონზე, როდესაც სადავო ნორმის შინაარსის იდენტიფიცირებასთან პირდაპირ არის დაკავშირებული საქმის წარმოებაში მიღება და მასზე არსებითად მსჯელობა. საკონსტიტუციო სასამართლომ უფრო მეტი სიცხადე უნდა შეიტანოს ამ კონცეფციაში, რისთვისაც უნდა შემუშავდეს პრაქტიკული მახასიათებლები, მათ შორის, ყურადღება უნდა გამახვილდეს: საერთო სასამართლოს მიერ ნორმის განმარტების მეთოდების რელევანტურობაზე სადავო ნორმის რეალური შინაარსის გამოვლენისთვის; საერთო სასამართლოს მიერ ნორმის ფორმალურად თუ მექანიკურად განმარტებასა და დასაბუთებაზე; საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და საერთო კონტექსტზე; აგრეთვე, საერთო სასამართლოს მიერ არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებაზე მსჯელობაზე, რომელიც უფლებაშემზღუდველი ხასიათისაა. სწორედ ამ საკითხების ანალიზის შემდეგ უნდა მიიღებოდეს გადაწყვეტილება საერთო სასამართლოს განმარტების კონსტიტუციურობის შესახებ.

საკონსტიტუციო სასამართლოს მეტ-ნაკლებად მყარი პოზიცია საერთო სასამართლოს განმარტების მბოჭავ ძალაზე ჩამოყალიბებული აქვს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სავალდებულო განმარტების შემთხვევაში. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ის ვალდებულია მოცემულობად მიიღოს და

გაიზიაროს დიდი პალატის განმარტება. თუმცა მას მართებს მსგავსი პოზიციის დასაბუთება, რადგან ნორმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას სწორედ ის იღებს და მის შეფასებებს თუ ინტერპრეტაციას შეუძლია გავლენა მოახდინოს ხელისუფლების საქმიანობაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტება უპირობო მოცემულობად ყველა შემთხვევაში კი არ უნდა მიიღოს, არამედ მაშინ, როდესაც ასეთი განმარტება არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. მან უნდა გადაამოწმოს ამგვარი განმარტების თავსებადობა კონსტიტუციურ ღირებულებებთან და უაპელაციოდ არ მიიჩნიოს სადავო ნორმის განმარტების ერთადერთ მასშტაბად. საკონსტიტუციო სასამართლო ამ საკითხზე უნდა მსჯელობდეს თანმიმდევრულად და უნდა იკვლევდეს ნორმის განმარტების კონსტიტუციურობის ყველა ასპექტს.

საკონსტიტუციო სასამართლო არ არის შეზღუდული საერთო სასამართლოს ნორმატიული შეფასებით. მას შეუძლია დავის გადაწყვეტისას მოცემულობად მიიღოს საერთო სასამართლოს მიერ ნორმისთვის მინიჭებული შინაარსი ან უარი განაცხადოს მასზე. ფაქტია, ასეთი დამოკიდებულება არ არის თვითკმარი, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაასაბუთოს ნორმის პრაქტიკაში იმპლემენტაციის კონსტიტუციასთან თანხვედრა. იმის გათვალისწინებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს ე.წ. „ცოცხალი კანონის“, იგივე პრაქტიკაზე ორიენტირებულ მოდელს, მან საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს სადავო ნორმის გამოყენების ცალკეული შემთხვევა და დაადგინოს ნორმის გამოყენების პრაქტიკის კონსტიტუციასთან თანაბრობა. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გამოკვეთოს სადავო ნორმის კავშირი საკონსტიტუციო წესრიგთან, როდესაც ის აპირებს საერთო სასამართლოს განმარტებისთვის სავალდებულო ძალის მინიჭებას, სხვა შემთხვევაში, ყოველთვის იარსებებს კითხვის ნიშნები მისი განმარტების მიზანშეწონილობაზე. ამასთან, მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს დასაბუთებულ მიდგომას და სადავო ნორმის განმარტებისას კანონმდებლის რეალური მიზნის გამორკვევას შეუძლია სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცება.

საკონსტიტუციო სასამართლო თავისი პრაქტიკით შეეცადა განესაზღვრა და გამოეყო ის შემთხვევები, როდესაც არ გაიზიარებდა საერთო სასამართლოს განმარტებას სადავო ნორმის რეალური შინაარსის გაგებისთვის. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ ამ გამონაკლისი პრეცედენტის დასახელება საკმარისი იქნებოდა, ისე, რომ არ დაეკონკრეტებინა რას მოიაზრებდა მათში. შედეგად, დღემდე არ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასება, თუ როდის არსებობს ერთი და იმავე სასამართლოს წინააღმდეგობრივი ან არაგონივრული განმარტება. საჭიროა საკონსტიტუციო სასამართლომ გააანა-

ლიზოს, რა ინდიკატორების გამოყენებით მიდის დასკვნამდე, რომ საერთო სასამართლოს განმარტება წინააღმდეგობრივი ან არაგონივრულია: კერძოდ, უნდა შეფასდეს საერთო სასამართლოების მიერ დადგენილი სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსი რამდენად არის ურთიერთგამომრიცხავი და ბუნდოვანი; ამგვარი განმარტება გაუმართლებლად შეიცავს თუ არა ადამიანის უფლებების დარღვევის მომეტებულ რისკებს; საერთო სასამართლოს განმარტება არის თუ არა იმდენად ზედაპირული, რომ ნათლად იკვეთება მისი წინააღმდეგობა კონსტიტუციურ პრინციპებთან. ამრიგად, ამ მიდგომით, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გამორიცხოს საერთო სასამართლოთა პარალელური განმარტებების არსებობა, რაც აზიანებს მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს. მოსარჩელეებს უნდა ჰქონდეთ პასუხი კითხვაზე, კონკრეტულად რა იგულისხმება საერთო სასამართლოს განმარტების წინააღმდეგობრივ ხასიათსა და არაგონივრულობაში, რისთვისაც საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დამოკიდებულება განჩინებით, საოქმო ჩანაწერით თუ გადაწყვეტილებით უნდა გახადოს გასაგები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ უკანასკნელს ექნება სიტუაციის შესაბამისად განუსაზღვრელი მოქმედების შესაძლებლობა, რაც დააზიანებს მისსავე ავტორიტეტს და საფრთხეს შეუქმნის სამართლებრივ უსაფრთხოებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს საერთო სასამართლოების წინააღმდეგობრივი და აშკარად არაგონივრულობის მტკიცების სტანდარტი მოსარჩელესა და მოპასუხეზე გადააქვს. ის მხარეებს აკისრებს პასუხისმგებლობას, წარადგინონ სამართალშემფარდებლის ავტორიტეტული განმარტებები, საიდანაც იკვეთება განმარტების ურთიერთწინააღმდეგობრივი ან არაგონივრული ხასიათი. თავის მხრივ, ამ უკანასკნელში რა იგულისხმება, უცნობია, რადგან მისი იდენტიფიცირებისთვის საკონსტიტუციო სასამართლოს არ განუსაზღვრავს შესაბამისი ნიშნები. საერთო სასამართლოს გარდა სამართალშემფარდებლად ის მოიაზრებს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განმარტავს სადავო ნორმას და ანიჭებს მას კონკრეტულ მნიშვნელობას, რომელიც დაინტერესებული მხარისთვის წარმოშობს სამართლებრივ შედეგს, თუ ის გულისხმობს სხვა ორგანოს, რომელიც საქმიანობის მიზნებისთვის ყოველდღიურად განმარტავს ნორმას, დამოუკიდებლად იმისა, რა შედეგებს იწვევს მის მიერ ნორმის განმარტება. შეფასების საზომი უნდა იყოს სამართალშემფარდებლის განმარტების უარყოფითი გავლენა მხარის სამართლებრივ შედეგზე, რასაც მოსარჩელე არაკონსტიტუციურად მიიჩნევს. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს სადავო ნორმის კონსტიტუციის დანაწესთან შესაბამისობა. ამრიგად, გაურკვეველია მისი ლოგიკა – თუკი მხარე ვერ გამოიჩენს სათანადო ყურადღე-

ბას და საკონსტიტუციო სასამართლოს ვერ მიაწვდის ამომწურავ ინფორმაციას ნორმის პრაქტიკაში გამოყენების ცალკეული შემთხვევის შესახებ, უარი განაცხადოს სადავო ნორმის შინაარსის კონსტიტუციურობის დადგენაზე. ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციას და საფრთხეში აგდებს კონსტიტუციური მოწესრიგების აბსოლუტურ ბუნებას.

კონსტიტუციის დაცვის ფუნქციის შესრულებით საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაიცვას სამართლის უზენაესობა და დემოკრატია, სადაც საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის კონსტრუქციულ დიალოგს განსაკუთრებული როლი აკისრია. საკონსტიტუციო დავის გადაწყვეტისას საერთო სასამართლოს განმარტების გათვალისწინების ფარგლებთან დაკავშირებით მიდგომა უნდა იყოს განჭვრეტადი, რათა საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით ადამიანის უფლებების დაცვა საკმარისად ეფექტიანი იყო. საკონსტიტუციო სასამართლოს უფრო მეტი პასუხისმგებლობა და დასაბუთება მართებს, შესაძლებელი გახადოს მისი მოქმედების პროგნოზირება არსებული სტანდარტის გამოყენებისას. შემოთავაზებული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სამართლებრივ უსაფრთხოების განმტკიცებას, მოსარჩელის უფლებების დაცვასა და ეფექტიანი საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას.

გამოყენებული ლიტერატურა

- აბესაძე დ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობა – თეორიული დაკვირვებანი და პრაქტიკული გამოწვევები, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“, N1, 2023
- ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, თბილისი, 2021
- ბარაქი ა., ჰერმენევტიკა და კონსტიტუციის ინტერპრეტაცია, პ. ჯავახიშვილის თარგმანი, ჟურ. „სამართლის მეთოდები“, N1, 2017
- გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები, წიგნში: ლადო ჭანტურია 55, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018
- ერემაძე ქ., ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, 2013
- ზედელაშვილი დ., ქეცბაია თ., საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის რეფორმა: სრული ინსტიტუციონალიზაცია და სისტემური მიუკერძოებლობა, თბილისი, 2024.
- ზოიძე ბ., **კონსტიტუციის ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმების პრობლემები, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“**, N8, 2015
- ზოიძე ბ., „ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის კონცეფცია“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში „ნოდარ დვალის

საქმეში“ საკუთრების კეთილსინდისიერ შეძენასთან დაკავშირებით, ჟურნ. „კერძო სამართლის მიმოხილვა“, Nos. 3-4, 2021-2022
- ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007
- ზოიძე ბ., ძირითადი უფლების არსის შენარჩუნების პრინციპი, „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N5, 2012
- კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2008
- ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალიშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021
- საკონსტიტუციო სამართალწარმოება, პ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2024
- ქაშაკაშვილი ნ., კონსტიტუციის განმარტება და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ხედვები, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N11, 2017
- შავგულიძე თ., კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების მნიშვნელობა საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო ნორმათკონტროლისას, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N15, 2024
- ჯავახიშვილი პ., თვითინიციატივასა და შეჯიბრებითობას შორის: ერთი გადაწყვეტილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან, წიგნში: ავთანდილ დემეტრაშვილი 75, დ. გეგენავას და მ. ჯიქიას რედაქტორობით, თბილისი, 2017
- ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2017
- Ahmed A., A Theory of Constitutional Norms, Michigan Law Review, Vol. 120, No. 7, 2022
- Alen A., Melchior M., The Relations Between the Constitutional Courts and the Other National Courts, Including the Interference in This Area of the Action of the European Courts, General Report, XIIth Congress of the Conference of European Constitutional Courts, Brussels, 2002
- Bell J., Paris M.L., Rights-Based Constitutional Review, Constitutional Courts in a Changing Landscape, Edward Elgar Publishing, 2016
- Bugaric B., Court as Policy-Makers: Lessons from Transition, Harvard International Law Journal, Vol. 42, No. 1, 2001
- Determann L., Heintzen M., Constitutional Review of Statutes in Germany and the United States Compared, Florida State University Journal of Transnational Law & Policy, Vol. 28, No. 1, 2019
- Faber R., The Austrian Constitutional Court – An Overview, ICL Journal Vienna Journal on International Constitutional Law, Vol. 1, No. 1, 2008
- Finck D.E., Judicial Review: The United States Supreme Court Versus the German Constitutional Court, Boston College International and Comparative Law Review, Vol. 20, No. 1, 1997
- Gihuri B., Examining Constitutional Review Mechanisms Exploring the Implications of Sweden’s Lack of a Constitutional Court Compared to Germany and South Africa, Umea University, 2024

- Ginsburg T., Versteeg M., Why Do Countries Adopt Constitutional Review?, The Journal of Law, Economics, and Organization, Vol. 30, No. 3, 2014
- Shapiro M., Judicial Power and Democracy, in: Judicial Power: How Constitutional Courts Affect Political Transformation, Edited by C. Landfried, Cambridge University Press, 2019
- Keturakienė A., Murauskas D., The Dialogue of the Constitutional Court with the Ordinary Courts: The Developments in Thirty Years, Vilnius University Open Series, 2024
- Kovalčík M., Constitutional Referrals by Ordinary Courts: A Platform for Judicial Dialogue and Another Toolkit for Judicial Resistance?, European Constitutional Law Review, Vol. 20, No. 1, 2024
- Kosař D., Baroš J., Dufek P., The Twin Challenges to Separation of Powers in Central Europe: Technocratic Governance and Populism, European Constitutional Law Review, Vol. 15, No. 3, 2019
- Kriszta K., Attila T.G., Constitutional Review as a Democratic Instrument, Review of Central and East European Law Journal, Vol. 48, Nos. 3-4, 2023
- Lalisan S., Classifying Systems of Constitutional Review: A Context-Specific Analysis, Indiana Journal of Constitutional Design, Vol. 5., No. 1, 2020
- Michaut F., Legal Theory and the Establishment of the Basic Norms of a Society (or What Is Judicial Review of Constitutionality about?), An international Journal of Jurisprudence and Philosophy of Law, Vol. 9, No. 4, 1996
- Palguna D., Constitutional Complaint and The Protection of Citizens The Constitutional Rights, Constitutional Review, Vol. 3, No. 1, 2017
- Passaglia P., Making a Centralized System of Judicial Review Coexist with Decentralized Guardians of the Constitution: The Italian Way, The Italian Law Journal, Vol. 2, No. 2, 2016
- Sadurski W., Rights Before Courts: A Study of Constitutional Courts in Postcommunist States of Central and Eastern Europe, 2nd Ed., Springer, 2014
- Sweet A.S., The Politics of Constitutional Review in France and Europe, International Journal of Constitutional Law, Vol. 5, No. 1, 2007
- Visser M.D., The Rise of Constitutional Adjudication, Constitutional Review in Europe: A Comparative Analysis, Hart Publishing, 2014.

Gia Chkhaidze*

CONSIDERATION OF THE ORDINARY COURTS' PRACTICE OF APPLICATION OF NORMS DURING THE EXAMINATION OF CONSTITUTIONAL DISPUTES

Abstract

When interpreting a normative act, the Constitutional Court must consider not only the textual meaning of a disputed norm but also the authoritative interpretation given to it by the ordinary courts. At the same time, the Constitutional Court does not always share the interpretation adopted by the ordinary courts. Adherence to this standard is crucial for determining the admissibility of a constitutional complaint or submission, since the allegedly unconstitutional content of a norm must clearly derive from the text of the disputed provision and/or be confirmed by the authoritative interpretation of the bodies responsible for its application.

The case law of the Constitutional Court is not consistent and does not reflect a uniform approach to what should be regarded as an authoritative interpretation by bodies applying the law. To what extent should the interpretation of the ordinary courts be taken into account? What amounts to a contradictory or manifestly unreasonable interpretation by courts of the same instance? What is the Constitutional Court's margin of appreciation where no interpretation of the disputed norm exists in the case law of the ordinary courts? This paper examines the standards and characteristics that may help claimants accurately determine the content of the disputed norm and, consequently, substantiate a constitutional complaint or submission. It may also assist the ordinary courts and the Constitutional Court in harmonizing interpretive practice.

Keywords: Constitutional Review, Constitutional Proceedings, Constituional Norms, Ordinary Courts, Georgia.

* Ph.D. Candidate at Sulkhan-Saba Orbeliani University, https://orcid.org/0009-0006-9731-2802

ნინო ქათამაძე*

ცილისწამებასთან დაკავშირებულ დავაში მტკიცების ტვირთის გადანაწილების თავისებურებანი საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე

I. შესავალი

თანამედროვე ეპოქაში სოციალური მედიის აღზევებამ კიდევ უფრო გაართულა სიტყვის თავისუფლებასა და პიროვნულ უფლებებს შორის საზღვრების დაცვის საკითხი. პიროვნული უფლებები, რომლებიც პიროვნების ღირსების დაცვის იდეიდან იღებენ სათავეს, უპირველეს ყოვლისა, ცალკეული ინდივიდების არამატერიალური სიკეთის დაცვისკენაა მიმართული.[1] ცრუ განცხადებები შეიძლება სწრაფად გავრცელდეს ონლაინრეჟიმში და რამდენიმე წუთში მიაღწიოს დიდ აუდიტორიას. გაზრდილი ხილვადობა რეპუტაციულ ზიანს უფრო სერიოზულს ხდის და მის გამოსწორებას ართულებს, ამავდროულად, უდავო ფაქტია, რომ თანამედროვე დემოკრატიებმა გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭეს განმანათლებლობის წლების ერთ-ერთ მთავარ მიღწევას, გამოხატვის თავისუფლებას, განსაკუთრებით, მედიისა და პრესის თავისუფლებას. ამდენად, თითქმის ყველა მართლწესრიგის მსგავსად, საქართველოშიც სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცულ პიროვნულ უფლებებს ყველაზე მეტი კონფლიქტი მოსდის ისეთ უმთავრეს ღირებულებასთან, როგორიცაა, გამოხატვის თავისუფლება, ხოლო დარღვევის ყველაზე გავრცელებული მაგალითები მედიის საქმიანობისას შეინიშნება[2].

თავისუფალ დემოკრატიულ სახელმწიფოში ეჭვს არ იწვევს გამოხატვის თავისუფლების, როგორც იდეებისა და ინტერესების თავისუფალი გაცვლის, მნიშვნელობა.[3] აღნიშნული საკითხის კვლევისას საჭიროა პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვას: გამოხატვის თავისუფლების და პიროვნული უფლებების დაპირისპი-

---

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, https://orcid.org/0000-0003-4595-2972

1 Münchener Kommentar, 2018, Rn. 35.

2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2017, 111-112.

3 Ricker, München, 1983, 11.

რებისას სად გადის ზღვარი გამოხატვის თავისუფლებით დადგენილი დასაშვები კრიტიკის ფარგლებთან?

საქართველოში ღირებულებათა კონფლიქტის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მიღების შემდეგ. ღირებულებათა კონფლიქტის გადაწყვეტისას ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ცილისწამების საქმეებზე დავის განხილვისას მტკიცების სტანდარტი, რომელსაც „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლი არეგულირებს. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ კანონში 2025 წლის 26 ივნისს შევიდა მთელი რიგი ცვლილებები და არსებითად შეიცვალა რიგ საკითხებთან დაკავშირებით მანამდე არსებული მიდგომა. კერძოდ, სხვა საკითხებთან ერთად ცვლილება შეეხო ცილისწამების საკანონმდებლო დეფინიციას და სასამართლო დავისას მტკიცების ტვირთის გადანაწილების თემას. აღნიშნული, ბუნებრივია, წარმოშობს საკითხთან დაკავშირებით დამატებითი კვლევის საჭიროებას, რათა გაირკვეს, რამდენად უზრუნველყოფს საკანონმდებლო ცვლილებები საიმედოობის მაღალ სტანდარტს ძირითად უფლებათა დაცულობის კონტექსტში და შეესაბამება თუ არა აღნიშნული ცვლილებები საერთაშორისო მოწესრიგებას, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, რაც წინამდებარე სტატიის ფარგლებში დეტალურად იქნება განხილული.

II. პიროვნულ უფლებებსა და გამოხატვის თავისუფლებას შორის ღირებულებათა კონფლიქტი

თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც დემოკრატიული ღირებულებების კვალდაკვალ აღიარებულია აზრის თავისუფლება, ხშირად წარმოიქმნება კონფლიქტი პრესის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების დაცვის უფლებას შორის. გამოხატვის თავისუფლება ინდივიდის თვითრეალიზაციისთვის საჭირო ძირითადი პირობაა. იგი რეგულირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, რომელიც შინაარსობრივად დაყოფილია სამ მნიშვნელოვან ნაწილად[4] და ერთიანდება საერთო ცნებაში – კომუნიკაციის თავისუფლებაში.[5] არცერთი ჩამოთვლილი კომპონენტი არ განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას, რადგან მათი შეზღუდვა შესაძლებელია ევროკონვენციის მე-10

[4] ესენია: შეხედულებების ქონა; ინფორმაციის და იდეების მიღებისა და მათი გავრცელების უფლება. Lingens v. Austria [ECtHR], App. No. 9815/82, 8 July 1986; Handyside v. United Kingdom [ECtHR], App. No. 5493/72, 7 December 1976.

[5] Grabenwarter, 2014, 477.

მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ეს ნიშნავს, *inter alia,* რომ თვით პრესაც არ უნდა გასცდეს იმ ფარგლებს, რასაც მგრძნობიარე კავშირი აქვს ისეთ მნიშვნელოვან სიკეთესთან, როგორიცაა, ღირსება[6].

პიროვნული უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების ჭიდილის კონტექსტში მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის დანაწესი. აღნიშნული განამტკიცებს ლიბერალური დემოკრატიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკომუნიკაციო უფლებებს, რომლებიც სამართლიანად მიიჩნევა ძირითად უფლებათა კონსტიტუციური წესრიგის ქვაკუთხედად.[7] საკონსტიტუციო სასამართლო გამოხატვის თავისუფლებას განიხილავს, ერთი მხრივ, დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტად და მისი სრულფასოვანი განვითარების წინაპირობად, რისი დაცვაც ამ საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ხოლო მეორე მხრივ, თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ძირითად პირობად და ადამიანის უფლებების აუცილებელ საფუძვლად, რომლის უზრუნველყოფაც ინდივიდუალური ინტერესებისა და მისწრაფებების პატივისცემას ემსახურება.[8] აღნიშნული მიდგომა შეესაბამება ევროსასამართლოს მიდგომასაც.

გამოხატვის თავისუფლებასა და პატივს, ღირსებასა და რეპუტაციას შორის ბალანსის თემას დიდი ადგილი უჭირავს ევროსასამართლოსა და დემოკრატიული სახელმწიფოების სასამართლო პრაქტიკაშიც. კონფლიქტი კომუნიკაციის თავისუფლებასა და ზოგად პიროვნულ უფლებას შორის მედიასამართლის ცენტრალურ თემადაც კი მიიჩნევა.[9]

აშშ-ის უმაღლესი სასამართლო ამ თავისუფლების დაცვის ერთ-ერთი პიონერია. „ნიუ იორკ თაიმსის" საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების[10] შემდეგ, უმაღლესმა სასამართლომ შეუზღუდავი დაცვა მიანიჭა გამოხატვის თავისუფლებას, მათ შორის, გამოხატვას, რომელიც შეიძლება იყოს მძაფრი, მწვავე და შეიცავდეს

---

6 Bladet Tromso in Stensaas v. Norway [ECtHR], App. No. 21980/93, 20 May 1999.

7 ლოლაძე, ფირცხალაშვილი, 2023, 385.

8 იქვე; შდრ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის N2/2/359 გადაწყვეტილება საქმეზე, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 1; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-25; საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის N1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-26.

9 ლოლაძე, ფირცხალაშვილი, 2023, 440.

10 New York Times Co. v. Sullivan, 376 U.S. 254 (1964).

მთავრობისა და საჯარო მოხელეების მიმართ მკვეთრ თავდასხმებს.[11] ამ უზენაესი თავისუფლების სახელით მან შეზღუდა პასუხისმგებლობის დონე ცილისმწამებლური განცხადებებისთვის, განსაკუთრებით პრესისთვის, იმ წინაპირობით, რომ პრესა დემოკრატიის საყრდენია, რომელსაც არ უნდა შეეშალოს ხელი ინფორმაციის გავრცელებასა და ადამიანების კრიტიკაში, მათ შორის, საჯარო თანამდებობებზე მყოფი პირების ან საზოგადოებრივი ინტერესის სფეროსადმი მიკუთვნებულ საკითხებზე.

გერმანიაში დაპირისპირებულ ინტერესთა აწონ-დაწონვისას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის (GG) მე-5 მუხლთან მიმართებით პიროვნული უფლებების დაცვის ინტერესს უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება არასწორი ინფორმაციის გავრცელების საქმეებზე, რადგან სიმართლეს მოკლებული ინფორმაცია არაა კონსტიტუციურად დაცული სამართლებრივი სიკეთე. აღნიშნული ნორმით დაცული თავისუფალი კომუნიკაცია და აზრის გამოხატვის თავისუფლება მხოლოდ სწორი და სანდო ფაქტობრივი ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება განვითარდეს სათანადოდ. ამავე პოზიციას იზიარებს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოც (BVerfG), რომლის მიხედვითაც, ცრუ ფაქტობრივი მტკიცებების გავრცელებისთვის, როგორც წესი, არ არსებობს გამამართლებელი საფუძველი.[12] შესაბამისად, პრესის თავისუფლება და აზრის გამოხატვის თავისუფლება, აშკარად არასწორი ფაქტობრივი მტკიცებების შემთხვევაში, პრინციპულად უკანა პლანზე გადადის პიროვნულ უფლებებთან მიმართებით.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ 2004 წელს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მიღების ქართული სამართალი დაშორდა გერმანულ სასამართლო პრაქტიკის პოზიციას და დაუახლოვდა ევროსასამართლოს მიდგომას, რამეთუ აღნიშნული კანონმდებლობით აზრი აღიარებულ იქნა აბსოლუტურ პრივილეგიად.[13] ღირებულებათა კონფლიქტის გონივრული და სამართლიანი გადაჭრის გზების ძიება შესამჩნევია ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაშიც. მან ნათლად გამოხატა თავისი პოზიცია მთელ რიგ საქმეებში და პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უფლება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნია, როდესაც განიხილავდა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის კონსტიტუციურობას[14].

---

[11] Speech by Mr Christos L. Rozakis, Vice-President of the European Court of Human rights, Defamation and Freedom of Expression, Strasbourg, 2003, 8.

[12] BVerfG NJW 1992, 1439; BverfG NJW 2006, 207, 209.

[13] ბიჭია, 2014, 12.

[14] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის N2/1/241 გადა-

საქართველოს კონსტიტუცია დასახელებულ ორ უფლებას თანაბარ სიბრტყეში განიხილავს და არ ცნობს რომელიმეს პრიმატს მეორეზე. იმავე მიდგომას ავითარებს ევროსასამართლოც და ადგენს გარკვეულ კრიტერიუმებს, რომლებიც ამ ორ უფლებას შორის სამართლიანი წონასწორობის უზრუნველყოფის მიზნით ფასდება:[15] (ა) ის წვლილი, რომელიც სადავო განცხადებამ საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში მიმდინარე დებატებში შეიტანა; (ბ) იმ პირის საზოგადოებრივი ცნობადობის ხარისხი, როლი და ფუნქცია, ვისაც სადავო განცხადება ეხებოდა და იმ ქმედებების ბუნება, რომელთა შესახებ ინფორმაციაც სადავო განცხადებაში აისახა; (გ) განცხადებაში ასახულ პირთა ქმედებები განცხადების გამოქვეყნებამდე; (დ) განცხადების გამოქვეყნების ფორმა და მანერა; (ე) რა გზით იქნა მოპოვებული განცხადებაში დაცული ინფორმაცია და რამდენად სარწმუნო იყო ის.[16] აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია მედიასაშუალებებთან მიმართებით, რადგან ჟურნალისტები უნდა მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად, სათანადო ფაქტობრივ საფუძველზე და ჟურნალისტური ეთიკის წესების შესაბამისად საზოგადოებას აწვდიდნენ სარწმუნო და ზუსტ ინფორმაციას.

III. გავრცელებული არასწორი განცხადების ცილისწამებად მიჩნევის სამართლებრივი საფუძვლები

1. ცილისწამების სამართლებრივი დეფინიცია საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე საქართველოში

ღირებულებათა კონფლიქტის გადაწყვეტისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გამოხატვა შეფასებითი მსჯელობაა (Value judgment) თუ ფაქტების მტკიცება (Statement of fact). თუ ფაქტების სინამდვილე (თეორიულად) შეიძლება დამტკიცდეს, შეფასებითი მსჯელობა, ანუ აზრი მტკიცებას არ ექვემდებარება.[17] ევროსასამართლოს პრაქტიკის კვალდაკვალ,[18] საქართველოშიც აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით,[19] ხოლო ფაქტების გავრცელება არ სარგებლობს

წყვეტილება საქმეზე, „მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

15 Chauvy an Others v. France [ECtHR], App. No. 64915/01, 29 September 2004; White v. Sweden [ECtHR], App. No. 42435/02, 19 September 2006; Barend, 2015.

16 Axel Springer AG v. Germany [ECtHR], App. No. 39954/08, 7 February 2012; Roşca v. The Republic of Moldova [ECtHR], App. No. 60943/15, 11 December 2025.

17 ლოლაძე, ფირცხალაშვილი, 2023, 441.

18 იხ., Lingens v. Austria [ECtHR], App. No. 9815/82, 8 July 1986; Albrech Kieser and Peter Tralau-Kleinert v. Germany [ECtHR], App. No. 18748/10, 1 April 2010.

19 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი.

ზღვარდაუდებელი თავისუფლებით, თუ საცნობია და დადასტურებადია, რომ ისინი სიმართლეს არ შეესაბამება.

თავის მყარად დადგენილ პრაქტიკაში ევროსასამართლომ ზღვარი გაავლო ფაქტის შემცველ განცხადებასა და შეფასებით მსჯელობას შორის და აღნიშნა, რომ ფაქტის არსებობა შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს, მაშინ, როცა შეფასებითი მსჯელობის სიმართლე შეუძლებელია მტკიცების საგანი იყოს.[20] ამიტომ შეფასების სიმართლის დამტკიცება არ შეიძლება ვინმეს დაევალოს.

2025 წლის 27 ივნისს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე" ქვეპუნქტში შევიდა ცვლილება და ცილისწამების საკანონმდებლო დეფინიციიდან ამოვიდა ტერმინი *„ზიანის მიმყენებელი"*: მოსარჩელე გათავისუფლდა იმ გარემოების მტკიცების ტვირთისგან, რომ სადავო განცხადება მისთვის ზიანის მომტანია. ამგვარად, გარკვეულწილად შერბილდა გავრცელებული განცხადების შემთხვევაში მოსარჩელის მტკიცების სტანდარტი. ცილისწამების ამჟამინდელი საკანონმდებლო დეფინიცია მოიცავს მხოლოდ არსებითად მცდარი ფაქტის შემცველ და პირის სახელის გამტეხ განცხადებას. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, „ის ფაქტი, რომ პიროვნების მიმართ გავრცელებულია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადება, თავისთავად არის პირისათვის იმავდროულად ზიანის მიმყენებელი, როგორც მისთვის სახელის გამტეხი"[21], რაც შესაბამის ნორმებში საჭიროებს ასახვას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აქამდე არსებული პრაქტიკით, გავრცელებული ინფორმაციის თაობაზე სარჩელებში მთავარი სირთულე აზრის და ფაქტების გამიჯვნას ეხება,[22] რა შემთხვევაშიც სასამართლო ამოწმებს გამონათქვამის შინაარსს, ფორმას და კონტექსტს.[23] აღნიშნული გრადაციის შემდგომ,

---

[20] Lingens v. Austria [ECtHR], App. No. 9815/82, 8 July 1986, para. 46; Oberschlick v. Austria (no.1) [ECtHR], App. No. 11662/85, 23 May 1991, para. 63; De Haes and Gijsels v. Belgium [ECtHR], App. No. 19983/92, 24 February 1997, para. 42; შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2025 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება Nას-581-2025.

[21] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს 2025 წლის 26 ივნისის კანონის განმარტებითი ბარათი, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/393417> [21.07.25].

[22] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება Nას-438-410-2017; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება Nას-1498-2022; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N2/29282-19;

[23] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1477-1489-2011; საქართველოს უზენაესი სა-

თუ დადგინდება, რომ გავრცელებული განცხადება „ფაქტია“ და არა „აზრი“, რომელიც არ ასახავს რეალობას, არღვევს მოსარჩელის დაცულ უფლებას და გავლენას ახდენს მის პატივსა და ღირსებაზე, დიფამაციური სარჩელის დაკმაყოფილების საკმარის სამართლებრივ საფუძვლად მიიჩნევა.[24] შესაბამისად, ცილისწამების დაკვალიფიცირებისთვის აუცილებელი იყო სადავო უსწორო ფაქტის თვალშისაცემი უარყოფითი გავლენა პიროვნული უფლებების რეალიზების კუთხით.

2. ცილისწამების სამართლებრივი განმარტება შედარებითსამართლებრივ ჭრილში

განვითარებულ მართლწესრიგებში ცილისწამების უნივერსალური დეფინიცია არ არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული სახელმწიფო თავისი მიხედულობის ფარგლებში განმარტავს მას. ევროსასამართლოს პრაქტიკით, ცილისწამება არ განისაზღვრება მხოლოდ განცხადების მცდარობით, არამედ მოითხოვს ამ უკანასკნელის მრავალმხრივ შეფასებას, რაც ეფუძნება ფაქტისა და შეფასების განსხვავებას, კეთილსინდისიერებას, საჯარო ინტერესს და გამოყენებული სანქციის პროპორციულობას.[25] შეფასებისას მნიშვნელოვანია ასევე, ვის მიერ არის გამოთქმული კრიტიკა, როგორია ინფორმაციისა და იდეების შინაარსი, ჩართულია თუ არა ღირებულებათა კონფლიქტში მედია, როგორია ის აუდიტორია, ვისთვისაც გახდა ინფორმაცია ხელმისაწვდომი, როგორია კანონიერი ინტერესებისათვის (მაგ., რეპუტაციისათვის) მიყენებული ან პოტენციური ზიანი და სხვ.[26] შესაბამისად, იმისათვის, რომ ევროკონვენციის მე-8 მუხლი ამოქმედდეს, პირის რეპუტაციაზე თავდასხმა უნდა აღწევდეს სიმძიმის განსაზღვრულ ზღვარს და იმ ფორმით უნდა მოხდეს, რომ ზიანი მიაყენოს პირის პირად ცხოვრებას.[27] გამოქვეყნებაც ფართო ცნებაა და გულისხმობს ფაქტობრივი მტკიცების

სამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება Nას-569-540- 2014; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება Nას-1366-2019; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება Nას-989-2019.

24 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება Nას-438-410-2017.

25 Lingens v. Austria [ECtHR], App. No. 9815/82, 8 July 1986; Axel Springer AG v. Germany [ECtHR], App. No. 39954/08, 7 February 2012; Pfeifer v. Austria [ECtHR], App. No. 12556/03, 15 February 2008.

26 Müller and Others v. Switzerland [ECtHR], App. No. 10737/84, 24 May 1988.

27 Delfi AS v. Estonia [ECtHR], App. No. 64569/09, 9 July 2014, para. 137; Medžlis Islamske Zajednice Brčko and Others v. Bosnia and Herzegovina [ECtHR], App. No. 17224/11, 27 June 2017; Jishkariani vs. Georgia [ECtHR], App. No. 18925/09, 20 December 2018.

გავრცელებას საჯაროდ, ან მესამე პირზე ან ჯგუფში[28], მათ შორის, ელექტრონული ფოსტის[29] მეშვეობითაც კი.

არასწორი ფაქტების გავრცელება არც გერმანულ სამართალშია დაცული გამოხატვის თავისუფლებით. აღნიშნულ პრინციპს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ავრცელებს იმგვარად, რომ თუ არასწორი ფაქტების გამავრცელებლისთვის ინფორმაციის უსწორობა ცნობილია და ფაქტების გავრცელების მომენტში დაჟინებით ამტკიცებდა ამის თაობაზე, გამორიცხავს გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფეროდან.[30] გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის მიხედვითაც, ნებისმიერი არასწორი ინფორმაციის გავრცელება ასევე არ ქმნის ობიექტურ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.[31] გერმანულ იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებული პოზიციით, „არსობრივად ნეიტრალური" ფაქტები, რომლებიც არ აზიანებს ზოგად პიროვნულ უფლებას, არ წარმოშობენ მოთხოვნის უფლებას.[32] შესაბამისად, ზოგადი პიროვნული უფლების დარღვევა არასწორი ინფორმაციის გავრცელებით მხოლოდ მაშინ ქმნის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, როდესაც გავრცელებული ინფორმაცია აზიანებს პიროვნების სოციალურ შეფასებას, მის ბიოგრაფიას, რეპუტაციას, აყალბებს ან ქმნის პიროვნების შესახებ არასწორ წარმოდგენებს საზოგადოებაში.[33]

ანგლოამერიკულ სამართალში ცილისწამება არის კომუნიკაცია, რომელიც მიმართულია პირისთვის რეპუტაციული ზიანის მიყენებისკენ, რათა მოხდეს მისი დამცრობა საზოგადოების თვალში ან/და მესამე პირები აიძულოს, თავი შეიკავონ განცხადების ადრესატთან ურთიერთობისგან ან საქმიანი კონტაქტისგან.[34] ცილისმწამებლური ინფორმაციის შეფასებისას სასამართლო ადგენს, რა გავლენას ახდენს აღნიშნული განცხადება საზოგადოებაზე ან რა შთაბეჭდილებას ქმნის ის ჩვეულებრივი პირების ცნობიერებაში, რომელთა შორისაც შეტყობინება გავრცელდა.

---

28 LG Hamburg, Urteil vom 12.01.2018 – 324 O 63/17; Bundesarbeitsgericht, Urteil vom 24. August 2023 – 2 AZR 17/23 – WhatsApp Group; Court of Cassation of the French Republic, Judgment of October 30, 2018 (Case No. 17-82.553).

29 McCusker v. Hibu PLC, 159 F. Supp. 3d 341 (E.D. N.Y. 2016). აღნიშნულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ ყველა თანამშრომელთა ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინებას, სადაც ეცნობათ ერთ-ერთი თანამშრომლის საქციელის შესახებ, შესაძლოა ჰქონდეს ცილისმწამებლური დატვირთვა.

30 Götting, Schertz, Seitz, 2008, 372; BVerfG Afp 2004, 47.

31 BGH NJW 2006, 47.

32 Götting, Schertz, Seitz, 2008 373; იხ. ციტირება: Soehring Rn. 18.5; BGH NJW 2006, 609.

33 იქვე.

34 Moore v. Cobb–Nettleton, 889 A.2d 1262, 1267 (Pa.Super.Ct.2005) (quoting Elia v. Erie Ins. Exch., 430 Pa.Super. 384, 634 A.2d 657, 660 (1993).

ინგლისში მოქმედებს ცილისწამების შესახებ აქტი[35], რომელიც განსაზღვრავს, რომ ცილისწამება კანონით აკრძალული, მცდარი და დამამცირებელი ინფორმაციის გახმაურებაა, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით.[36] თავდაპირველად აღნიშნული სარჩელი ორ ძირითადად ჯგუფად იყოფოდა: *Libel* და *Slander*, რაც თანამედროვე ინგლისურ სამართალში უკვე აღარ გამოიყენება და ორივე ტიპის სარჩელი გაერთიანებულია დიფამაციის თაობაზე ერთიან მექანიზმში.[37] პასუხისმგებლობისათვის დადგომისათვის აუცილებელია არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: კერძოდ, ინფორმაცია უნდა ეხებოდეს მოსარჩელეს, უნდა იყოს საზიანო[38] და იწვევდეს პიროვნების დამცირებას მასთან ახლო კავშირში მყოფი სოციუმის წრეში[39] ან მის დისკრედიტაციას[40].

შეიძლება ითქვას, რომ როგორც ანგლოამერიკული, ისე კონტინენტურევროპული სასამართლო პრაქტიკა ხელს უწყობს ბალანსის შენარჩუნებას გამოხატვის თავისუფლებასა და პიროვნების რეპუტაციის დაცვას შორის. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 2025 წლის ცვლილებებით ქართული სასამართლო პრაქტიკა არ უნდა დაშორდეს საერთაშორისო მიდგომებს. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ ნებისმიერი არასწორი ინფორმაცია არ შეაფასოს ცილისწამების კონტექსტში და გაითვალისწინოს მისი შესაძლო უარყოფითი გავლენა პიროვნების რეპუტაციაზე, მიუხედავად იმისა, რომ ცილისწამების შემადგენლობიდან ამოვიდა „ზიანის მიყენების“ კომპონენტი.

IV. ცილისწამების საქმეებში მტკიცების ტვირთის განაწილების პრობლემა

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის ადრინდელი რედაქცია ცილისწამების თაობაზე დავაში მტკიცების ტვირთს შეზღუდვის ინიციატორს აკისრებდა,[41] ანუ მოსარჩელეს, რომელიც მიი-

---

35 ცილისწამების შესახებ აქტზე (Defamation Act) მუშაობა დაიწყო დიდ ბრიტანეთში 1938 წელს, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის გამო გადაიდო მისი განხილვა და განახლდა მხოლოდ 1948 წელს. აქტის მიღება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1952 წელს. იხ., სტურუა, 2012, 159. ინტიმურ სფეროში ბოროტი განზრახვით ჩარევის დროს აქტუალური ხდება ზიანის მომტანი სიცრუის სარჩელები “malicious falsehood”. იხ., Kaye v Robertson [1991] FSR 62.

36 სტურუა, 2012, 149.

37 Götting, Schertz, Seitz, 2008, 1085.

38 სტურუა, 2012, 149.

39 Sim v Stretch [1936] 52 T.L.R. 699; Götting, Schertz, Seitz, 2008, 1085.

40 Youssoupoff v Metro Goldwyn Mayer [1934] 50 T.L.R. 581, 584; Götting, Schertz, Seitz, 2008, 1085.

41 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30

ჩნევდა, რომ გამოქვეყნებულმა განცხადებამ გამოიწვია მისი პიროვნული უფლებების შელახვა. ეს იმას ნიშნავდა, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას მოსაჩელე იყო ვალდებული და არა მოპასუხე დაემტკიცებინა, რომ: 1. მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება; 2. სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს, ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცელია; 3. სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პიროვნულ უფლებებს.[42] სუბიექტური მტკიცების ნაწილში ქართული კანონმდებლობა მტკიცების ტვირთს აკისრებდა მოპასუხეს, ხოლო ობიექტურ მოცემულობას, ფაქტის სისწორის შესახებ ტვირთს – მოსარჩელეს.[43] აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოს სასამართლოს საკანონმდებლო ცვლილებებამდელ პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როცა გავრცელებული აშკარად ცრუ ინფორმაციის მტკიცების ტვირთს სასამართლო აბრუნებდა ევროსასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წყვეტდა მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხს სამოსამართლო მიხედულების ფარგლებში.[44] აღნიშნული კი იწვევდა, ერთი მხრივ, არაერთგვაროვან პრაქტიკას და მეორე მხრივ, საკანონმდებლო ნორმის პრაქტიკაში მოდიფიცირებული ფორმით გამოყენებას.

2025 წლის 27 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებით კანონმდებელმა კარდინალურად შეცვალა მტკიცების ტვირთთან დაკავშირებული მიდგომა და ეს უკანასკნელი შეზღუდვის ინიციატორიდან მთლიანად მოპასუხეზე გადაიტანა.[45] რაც შეეხება მოსარჩელის ვალდებულებას, სამართალწარმოების ფარგლებში, კერძო პირის ცილისწამების (მე-13 მუხლით დადგენილ) საქმეზე მოსარჩელე ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს განცხადება, რომელსაც ის ცილისწამებად მიიჩნევს, იმის მითითებით, თუ რა არსებითად მცდარ ფაქტს შეიცავს

მარტის გადაწყვეტილება Nას-438-410-2017.

42 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება Nას-1278-1298-2011.

43 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აგვისტოს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nას-1739-1720-2011; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება Nას-1477-1489-2011; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება Nას-1149-1169-2011; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება Nას-1278-1298-2011.

44 თბილისის საქალაქო სასამართლოს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N2/29282-19.

45 „მოპასუხეს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სარჩელის საფუძველზე დაეკისრება ცილისწამებისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობა, თუ ის ვერ დაამტკიცებს, რომ სადავო განცხადება არ შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს მოსარჩელის შესახებ.“

განცხადება მის შესახებ და შესაბამისი დასაბუთება იმის თაობაზე, თუ რატომ არის ის მოსარჩელისთვის სახელის გამტეხი. ამავდროულად, საჯარო პირის შემთხვევაში, რომელსაც თავისი სტატუსიდან გამომდინარე, თმენის მეტი ვალდებულება აკისრია, მოსარჩელეს მტკიცების ნაწილი არ ეცვლება, თუმცა კერძო პირის ცილისწამებისგან განსხვავებით, მოპასუხის პასუხისმგებლობა გამოირიცხება, თუ მოპასუხე დაამტკიცებს განცხადების გავრცელებისადმი საკუთარ კეთილსინდისიერებას.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ „პირმა, რომლის მიმართაც განხორციელდა ცილისწამება, თავად უნდა დაამტკიცოს სასამართლოში, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს მის შესახებ. სამართლებრივი დავის შემთხვევაში, მიზანშეწონილი იქნება, რომ მოპასუხემ, როგორც ცილისწამების ავტორმა, სასამართლოში თვითონ დაამტკიცოს მოსარჩელის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის ფაქტობრივი ჭეშმარიტება“[46]. კერძოდ, მოსარჩელის ნაცვლად, მოპასუხეს დაეკისრა სასამართლოში იმის მტკიცების ტვირთი, რომ მისი განცხადება არ შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ.

ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ცილისწამების (defamation) საქმეებში მტკიცების ტვირთი გადანაწილებულია დიფერენცირებულად, იმის მიხედვით, თუ რა ტიპის გამოხატვას ეხება საქმე და ვისი უფლებები უპირისპირდება ერთმანეთს. ცილისწამების საქმეებში ფაქტებთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთი (და არა კომენტარებთან ან შეფასებით მსჯელობებთან) ეკისრება მოპასუხეს იქამდე, ვიდრე მოპასუხე ვერ შეძლებს საპირისპიროს დამტკიცებას. შესაბამისად, არსებობს პრეზუმფცია, რომ გამოქვეყნებული ფაქტები არის მცდარი მისი სიმართლის დამტკიცებამდე.[47] ეროვნულ კანონმდებლობებში ასეთი პრეზუმფციის საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ სწორედ მოპასუხეა ის პირი, რომელმაც გაავრცელა ცილისმწამებლურად მიჩნეული მასალა და შესაბამისად, მასვე ეკისრება ვალდებულება, გამოქვეყნებამდე შეემოწმებინა ფაქტების სისწორე. ამდენად, სწორედ მოპასუხეს ევალება დაამტკიცოს, რომ გავრცელებული ინფორმაცია სულ მცირე არსებითად შეესაბამებოდა სინამდვილეს და არა იმ პირს, რომლის რეპუტაციაც შესაძლოა დაზიანებულიყო მის შესახებ არასწორი ფაქტობრივი ინფორმაციის გავრცელების შედეგად.[48]

---

[46] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს 2025 წლის 26 ივნისის კანონის განმარტებითი ბარათი, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/393417> [21.07.25].

[47] McGonagle, 2016, 48.

[48] იქვე.

მაკვიკარის საქმეში სასამართლომ განიხილა ცილისწამების თაობაზე გავრცელებული ფაქტის მოპასუხეზე მტკიცების ტვირთის დაკისრების საკითხი.[49] ინგლისური სამართლის მიხედვითაც, მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, რომელმაც უნდა დაამტკიცოს განცხადების სიმართლის ალბათობათა ბალანსის სტანდარტით (balance of probabilities).[50] ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს, რომ საგაზეთო სტატიაში გამოთქმული ბრალდებები იყო არსებითად ჭეშმარიტი, სიტყვის თავისუფლების გამართლებული შეზღუდვაა, რომელიც ემსახურება მოსარჩელეთა რეპუტაციისა და უფლებების დაცვას.

მოგვიანებით, სთილისა და მორისის საქმეში, როდესაც სასამართლომ შეაფასა ორ აქტივისტზე მტკიცების ტვირთის დაკისრების საკითხი, რომლებმაც გაავრცელეს ფლაერები "McDonald's"-ის კორპორაციის მიმართ კრიტიკული შინაარსით, სასამართლომ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა. სასამართლომ აღნიშნა, რომ „ინგლისისა და უელსის იმ დროინდელი სამართლის მიხედვით, განმცხადებლებს ჰქონდათ არჩევანი – ან გაეწვიათ ფლაერი და მოეხადათ ბოდიში "McDonald's"-ისთვის, ან იძულებულნი ყოფილიყვნენ, იურიდიული დახმარების გარეშე, ეტვირთათ მათში შემცველი ბრალდებების სიმართლის დამტკიცება". ევროსასამართლომ მკვეთრად გააკრიტიკა ამგვარი ვალდებულების „მასშტაბი და სირთულე" და დაასკვნა, რომ მხარეთა ურთიერთსაპირისპირო ინტერესებს შორის სწორი ბალანსი არ იყო დაცული. მიუხედავად იმისა, რომ ფლაერში წარმოდგენილი ცილისმწამებლური განცხადებები სერიოზული ბრალდებები იყო, სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნები იყვნენ დიდი და გავლენიანი კომპანიები, ხოლო ინგლისის კანონმდებლობის თანახმად, მათ არ სჭირდებოდათ ფინანსური ზარალის მტკიცება. ამასთან, მან ყურადღება გაამახვილა ინფორმაციისა და იდეების თავისუფალი გაცვლის მნიშვნელობაზე ძლიერი კომერციული ორგანიზაციების საქმიანობის კონტექსტში და პროცედურული სამართლიანობისა და მხარეთა შორის ძალთა დისბალანსის ფონზე დაადგინა ევროკონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. აღნიშნული ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ სასამართლომ

[49] McVicar v. the United Kingdom [ECtHR], App. No. 46311/99, 07 August 2002; Alithia Publishing Company Ltd and Constantinides v. Cyprus [ECtHR], App. No. 17550/03, para. 68, 22 May 2008; იგივე მიდგომა განმეორებით იქნა დადასტურებული საქმეებში: Wall Street Journal Europe Sprl v. the United Kingdom [ECtHR], App. No. 28577/05, 10 February 2009; Europapress Holding d.o.o. v. Croatia [ECtHR], App. No. 25333/06, 22 October 2009, para. 63.

[50] McVicar v. the United Kingdom [ECtHR], App. No. 46311/99, 07 August 2002. გამოქვეყნებული სტატია ეხებოდა აკრძალული გამაძლიერებელი სასპორტო საშუალებების ცნობილი სპორტსმენის მიერ თაღლითურად და რეგულარულად მოხმარების ფაქტს (შეჯიბრებებში წარმატების მიღწევის მიზნით).

ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი არა განყენებულად, არამედ ცალკეული გარემოებების გათვალისწინებითა და მხარეთა ინფორმაციული, ეკონომიკური თუ პროცედურული სამართლიანობის ბალანსის ფონზე მიიღო.[51]

ცილისწამების თაობაზე სისხლისსამართლებრივი წარმოებასთან დაკავშირებითაც სასამართლომ დაადგინა, რომ მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, მოპასუხემ გონივრულ სტანდარტზე უნდა დაამტკიცოს მის მიერ გავრცელებული ბრალდებების სიმართლე, თავისთავად არ არღვევს კონვენციას.[52] რაც შეეხება გავრცელებული ინფორმაციის სიყალბის პრეზუმფციას, რაც არსებობს ევროკონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოების უმრავლესობაში,[53] სასამართლოს მოსაზრებით, ეს დათქმაც არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-10 მუხლს.[54]

ანგლოამერიკული სამართლის მიხედვით, მაგალითად, აშშ-ის უმეტესი შტატის კანონმდებლობით, ცილისწამებასთან დაკავშირებული სარჩელის წარდგენისას, მომჩივანმა უნდა დაამტკიცოს შემდეგი ელემენტები: 1. ცნობა შეიცავდა დამამცირებელ ან რეპუტაციის დამაზიანებელ ფაქტს; 2. ინფორმაცია გავრცელდა მოპასუხის მიერ მესამე პირებისთვის; 3. ცილისმწამებლური ცნობა ეხებოდა კონკრეტულად მომჩივანს; 4. მიმღებმა (წაკითხვის ან მოსმენის დროს) გაიგო ინფორმაციის დამამცირებელი შინაარსი; 5. მიმღებმა გააცნობიერა, რომ ცილისმწამებლური განცხადებები ეხებოდა მომჩივანს.[55] სასამართლოს ფუნქციაა, დაადგინოს, შეუძლია თუ არა გამოქვეყნებულ მასალას ჰქონდეს ცილისმწამებლური დატვირთვა.

სხვა პირთან დაკავშირებული და მისი პიროვნული უფლებების დამაზიანებელი განცხადებების ზღვარდაუდებელი გავრცელების პრევენციის მიზნით, არსებობს ინფორმაციის სანდოობის გადამოწმებისა და სხვათა უფლებების დაზიანების პრევენციული ზომების მიღების ვალდებულება. ის ფაქტი, რომ საკანონმდებლო ცვლილებებით სრულად ამოღებულია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლიც, რომელიც აწესებდა კვალიფიციურ პრივილეგიას, თუ განმცხადებელი დაამტკიცებდა, რომ მიიღო გონივრული ზომები ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად, მაგრამ ვერ შეძლო შეცდომის თავი-

---

51 Steel and Moris v. The United Kingdom [ECtHR], App. No. 68416/01, 15 May 2005.

52 Rumyana Ivanova v. Bulgaria [ECtHR], App. No.36207/03, paras. 39, 68, 14 February 2008; Makarenko v. Russia [ECtHR], App. No. 5962/03, 22 December 2009, para. 156; Rukaj v. Greece [ECtHR], App. No. 2179/08, 21 January 2010.

53 Barril v. France [ECHR], App. No. 32218/96, 30 June 1997.

54 Radio France and Others v. France [ECtHR], App. No. 53984/00, para. 24, 30 March 2004.

55 Devon Robotics v. Deviedma, No. 09–cv–3552, 2009 WL 4362822 (citing Tucker v. Fischbein, 237 F.3d 275, 281 (3d Cir.2001)); Bell v. Mayview State Hosp., 853 A.2d 1058, 1061 (Pa.Super.Ct.2004); Tucker v. Philadelphia Daily News, 577 Pa. 598, 848 A.2d 113, 123 (2004); McCusker v. Hibu PLC (2016) (2:15-cv-02659) District Court, E.D. New York.

დან აცილება, შესაძლოა უარყოფითად აისახოს კომუნიკაციის თავისუფლებაზე და დაირღვეს ბალანსი პიროვნულ უფლებებთან წინააღმდეგობის შედეგად, რადგან ინფორმაციის გავრცელებისას სამართლებრივი შედეგებისადმი გადაჭარბებულმა შიშმა შესაძლოა გამოიწვიოს აზრის გავრცელების თავისუფლების შეზღუდვა. ეს კი უარყოფითად აისახება ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხზე.

V. დასკვნა

ცილისწამების საქმეებში მტკიცების ტვირთის გადანაწილება გამოხატვის თავისუფლებისა და პიროვნულ უფლებებს შორის ბალანსის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ევროსასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკა მიუთითებს, რომ ფაქტობრივი განცხადებების შემთხვევაში მტკიცების ტვირთის დაკისრება მოპასუხეზე, პრინციპულად არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-10 მუხლს, რადგან სწორედ ის არის ინფორმაციის გამავრცელებელი და მას ეკისრება ვალდებულება, გამოქვეყნებამდე გადაამოწმოს ფაქტების სისწორე. ამასთან, აღნიშნული მიდგომა არ არის აბსოლუტური და ყოველთვის საჭიროებს პროპორციულობის, პროცესუალური სამართალიანობის და მხარეთა შორის ძალთა ბალანსის სკრუპულოზურ შეფასებას სასამართლოს მიერ.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 2025 წლის ცვლილებები, ცილისწამების საკანონმდებლო დეფინიციასა და მტკიცების ტვირთის შებრუნების კუთხით, თავსებადია კონტინენტურევროპული სამართლისა და ევროსასამართლოს პრეცენდენტული სამართლის მიდგომებთან. ამავე დროს, კანონმა შეინარჩუნა დიფერენცირებული მიდგომა საჯარო და კერძო პირებს შორის, რაც სრულად შეესაბამება როგორც სტრასბურგის, ისე ანგლოამერიკულ იურისპრუდენცია. კერძო პირის შემთხვევაში მტკიცების ტვირთის შერბილება გამართლებულია მისი განსაკუთრებული დაუცველობის გათვალისწინებით, მაშინ, როცა საჯარო პირის მიმართ მოპასუხის პასუხისმგებლობა შეიძლება გამოირიცხოს, თუ ის დაამტკიცებს კეთილსინდისიერებას, რაც ასახავს გამოხატვის თავისუფლების მაღალ სტანდარტს დემოკრატიულ საზოგადოებაში. თუმცა ევროსასამართლოს პრაქტიკა ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ მტკიცების ტვირთის შებრუნება არ უნდა იქცეს მოპასუხისათვის პრაქტიკულად გადაულახავ ბარიერად. ეროვნული სასამართლოები ვალდებულნი არიან, თითოეულ კონკრეტულ საქმეში შეაფასონ მოპასუხის რეალური შესაძლებლობები, ინფორმაციის წყაროებზე წვდომა, პროცესუალური თანასწორობა და სადავო განცხადების კონტექსტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს

რისკი, რომ ფორმალურად ევროკონვენციასთან თავსებადი ნორმა პრაქტიკაში იქცეს სიტყვის თავისუფლების არაპროპორციულ შეზღუდვად. ამდენად, ნათელი და განჭვრეტადი დაცვის მექანიზმების შემუშავებისთვის მიზანშეწონილია, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა უკიდურესი სიფრთხილით შეაფასონ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რათა ამ უკანასკნელისთვის პრაქტიკულად შეუძლებელი არ გახდეს ამ პრეზუმფციის გადალახვა და სიმართლის დამტკიცება, რათა დამაჯერებლად აღქმადი იყოს საზოგადოების თითოეული წევრისთვის მისი სულიერი სამყაროს დაცულობაც და ამავდროულად, არ შეიზღუდოს სიტყვის თავისუფლება.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბიჭია მ., პატივის სამოქალაქოსამართლებრივი ცნების მოცულობა (ქართულ-ევროპული მიდგომები), ჟურნ. „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“, N1(2), 2014
- ლოლაძე ბ., ფირცხალაშვილი ა., ძირითადი უფლებები, კომენტარი, თბილისი, 2023
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. I, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2017
- სტურუა ნ., ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2012
- Grabenwarter Ch., Europäischer Grundrechtsschutz, Enzyklopädie Europarecht, Band 2, 1. Aufl., Baden-Baden, 2014
- Götting H., Schertz C., Seitz W., Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, 2008
- Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Allgeimeine Persönlichkeitsrecht, F. J. Säcker, R. Rixecker, H. Oetker, B. Limperg (Hrsg.), München, 2018.
- Ricker R., Freiheit und Aufgabe der Presse, Individualrechtliche und institutionelle Aspekte, München, 1983
- Barend E., Balancing Freedom of Expression and Privacy: The Jurisprudence of the Strasbourg Court, Journal of Media Law, Vol. 1, No. 2015
- McGonagle T., Freedom of Expression and Defamation, A Study of Case Law of European Court of Human Rights, Councul of Europe, 2016, Strasbourg

Nino Katamadze*

SPECIFIC FEATURES OF THE ALLOCATION OF THE BURDEN OF PROOF IN DEFAMATION CASES IN LIGHT OF LEGISLATIVE AMENDMENTS

Abstract

This article offers a legal analysis of the allocation of the burden of proof in defamation cases in light of the 2025 amendments to the Law of Georgia on Freedom of Speech and Expression. It examines the value-based conflict between freedom of expression and the protection of personality rights and assesses the extent to which the revised definition of defamation and the reversed burden-of-proof model comply with international standards, including the case law of the European Court of Human Rights. The article is based on comparative legal analysis and evaluates approaches developed in European, German, and Anglo-American legal systems. Particular attention is paid to the distinction between statements of fact and value judgments, the differing legal status of public and private individuals, and the importance of procedural fairness and proportionality in allocating the burden of proof. The article concludes that, although the legislative amendments are generally compatible with international approaches, their practical application requires careful and context-sensitive judicial assessment in order to avoid disproportionate restrictions on freedom of expression.

Keywords: Burden, Proof, Evidence, Expression, personality, Balance, Defamation.

* Associate Professor at Sulkhan-Saba Orbeliani University, https://orcid.org/0000-0003-4595-2972

ვინგ სი ემილი ჩაუ, ქეით დე ბრუინი, უმეშ შარმა

ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის მხარდაჭერის მასწავლებელთა აღქმული საჭიროებების ფართო მიმოხილვა

ინგლისურიდან თარგმნა თეონა ნუცუბიძემ*

შესავალი

მას შემდეგ, რაც გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) სალამანკის განცხადებით დასაბუთდა, რომ „ყველა ბავშვს აქვს განათლების ფუნდამენტური უფლება“ (UNESCO 1994, viii) და რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე უნდა ჰქონდეთ წვდომა (UNESCO 1994), ინკლუზიური განათლების საერთაშორისო მოძრაობას თანმიმდევრულად და პოზიტიურად მიეცა მამოძრავებელი ბიძგი. ეს ძირითადად მიღწეულ იქნა საერთაშორისო ხელშეკრულებებით, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია (CRPD; United Nations 2006), რომელიც მხარს უჭერს ინკლუზიურ განათლებას, რათა აირიდოს დისკრიმინაცია და ხელმომწერ მონაწილე სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებებს, რათა უზრუნველყონ განათლებაში ადამიანური უფლებების რეალიზება და ჩვეულებრივ სკოლებში ყველა ბავშვის განათლება. მას შემდეგ, რაც CRPD (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია) შევიდა ძალაში, ინკლუზიური განათლების ასპექტები ჩაიწერა ეროვნულ პოლიტიკასა და საკანონმდებლო რეფორმებში, როგორც მდიდარ ქვეყნებში, როგორებიცაა, შეერთებულ შტატებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განათლების აქტი, გაერთიანებულ სამეფოში 2001 წლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობის აქტი და ავსტრალიაში 1992 წლის შე-

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასისტენტი, https://orcid.org/0009-0008-1372-7790

ზღუდული შესაძლებლობის დისკრიმინაციის აქტი (DDA), ასევე განვითარებად ქვენებში, როგორიცაა, – განა (Kuyini et al. 2016).

მასწავლებელთა როლი ინკლუზიურ განათლებაში

ინკლუზიური განათლება განსხვავდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის სწავლების ტრადიციული სპეციალური საგანმანათლებლო მიდგომებისგან და მას მნიშვნელოვანი შედეგები აქვს მასწავლებელთა როლის შეცვლისთვის. სპეციალური განათლების ტრადიციულ მიდგომაში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები ხშირად განიხილებოდნენ დეფიციტის ლინზებით, როგორც თანდაყოლილი „სპეციალური საჭიროებების" მქონენი, რომელიც დაკავშირებულია მათ დიაგნოზებსა და დარღვევებთან, რაც საჭიროებდა გამოსასწორებელ აღმზრდელობით პასუხს, რასაც საუკეთესოდ უზრუნველყოფდნენ სპეცილურად მომზადებული მასწავლებლები, განცალკავებულ სპეციალურ საგანმანათლებლო პირობებში (de Bruin 2020). ამის საწინააღმდეგოდ, ინკლუზიური განათლება აღიარებს ადამიანის უფლებების მიდგომას, რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები, ნაცვლად მათი დარღვევებისა, დანახულნი არიან გარეგანი ბარიერებით შეზღუდულებად, როგორიცაა, არახელმისაწვდომი სასკოლო სწავლების პრაქტიკები, სასწავლო კურსის მასალები და გარემო პირობები, ან დაბალი მოლოდინები (Degener 2016). შესაბამისად, ინკლუზიური განათლება განსაზღვრულია, როგორც მომთხოვნი სკოლებისა და მასწავლებლებისგან ტრანსფორმაციული მიდგომისა, რომელიც მოიცავს:

> *სისტემატური რეფორმის პროცესს, რომელიც განათლებაში ახდენს ცვლილებებსა და მოდიფიკაციებს შინაარსში, სწავლების მეთოდებში, მიდგომებში, სტრუქტურებსა და სტრატეგიებში, რათა დაძლიოს ბარიერები იმ ხედვით, რაც ემსახურება შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის ყველა მოსწავლის უზრუნველყოფას მიუკერძოებელი და საერთო სწავლის გამოცდილებითა და გარემოთი, რომელიც საუკეთესოდ პასუხობს მათ საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა ჩვეულებრივ კლასებში განთავსება თანმხლები, მაგალითად, ორგანიზაციაში, სასწავლო გეგმასა და სწავლებისა და სწავლის სტრატეგიებში სტრუქტურული ცვლილებების გარეშე, არ წარმოქმნის ინკლუზიას (United Nations 2016, para 12c).*

ინკლუზიური განათლება რეკომენდებულია, როგორც სასკოლო სწავლების საუკეთესო პრაქტიკა ყველა მოსწავლისათვის (UNESCO 2005) და კვლევით გა-

მოვლენილია, რომ შედეგად მოაქვს როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ასევე შეზღუდვების არმქონე მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება (de Bruin 2020). თუმცა ინკლუზიური განათლების წარმატება დამოკიდებულია მასწავლებლების მიერ ინკლუზიური განათლების პრაქტიკის ყველა მოსწავლის სასარგებლოდ განხორციელებაზე. ცხადია, ინკლუზიური განათლების განხორციელებაში მასწავლებლები არსებით როლს ასრულებენ ყველა მოსწავლისათვის მაღალი ხარისხის სწავლებისა და მიზანმიმართული დახმარებისა და აკომოდაციების უზრუნველყოფით იქ, სადაც ხელსაყრელია და მათთვის, ვისაც მხარდაჭერის დამატებითი საჭიროებები აქვთ. თუმცა ის, თუ მასწავლებლები რამდენად განიცდიან, რომ მათ აქვთ აღნიშნულის მიღწევისთვის შესაფერისი მხარდაჭერა, საკითხად დაისვა.

მასწავლებელთა მხარდაჭერის საჭიროებების გაგების მნიშვნელოვნება ინკლუზიური განათლების განხორციელებისათვის

მასწავლებლები ხშირად ძირითადი პასუხისმგებელი მხარეები არიან კლასებში ყველა მოსწავლის ჩართვისთვის საჭირო სტრატეგიების განხორციელებაზე, ამდენად მნიშვნელოვანია, რომ ისინი კარგად იყვნენ აღჭურვილნი და გრძნობდნენ მხარდაჭერას ინკლუზიური განათლების განხორციელებისათვის. კვლევამ აჩვენა, რომ ჰეტეროგენულ საკლასო ოთახში სწავლება შეიძლება ზოგიერთი მასწავლებლისთვის გამოწვევად აღიქმებოდეს (Lebeer et al. 2010) და ზოგიერთმა მასწავლებელმა რწმენაც კი გამოხატა იმისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა საჭიროებების დაკმაყოფილება შესაძლებელი არაა ჩვეულებრივ საკლასო ოთახებში. მაგალითად, ზოგიერთმა გამოთქვა აზრი, რომ ეს ხელს შეუშლიდა მათ უნარს, ასწავლონ შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე მოსწავლეებს, რომელთაც ასევე სჭირდებათ მათი ყურადღება (Thorpe and Azam 2010). სხვები გამოთქვამენ აზრს, რომ ისინი არ არიან მზად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად (Horne and Timmons 2009), ან აღიქვამენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების სწავლებისთვის უნარებისა და ცოდნის ნაკლებობას (Casale-Giannola 2012). ეს მიგნებები ხაზს უსვამს იმას, რომ ინკლუზიური განათლების განხორციელება დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რას აღიქვამენ მასწავლებლები მხარდაჭერად, რომელიც მათ სჭირდებათ ინკლუზიური განათლების განხორციელებისა და ყველა მოსწავლისათვის კარგად სწავლებისთვის.

ლიტერატურის მიმოხილვის მიზანი

თუმცა ინკლუზიის კარგად განხორციელებისთვის მხარდაჭერის მასწავლებლების მიერ აღქმული საჭიროებები და აღქმული მოთხოვნილებები რჩება ბუნდოვანი, კვლევა იმის შესახებ, თუ რა სახის მხარდაჭერა სჭირდება მათ, ძირითადად, შეზღუდულია. მასწავლებლების იმ განცდის გარეშე, რომ ისინი ინკლუზიისთვის კარგად მომზადებულნი და მხარდაჭერილნი არიან, რეფორმა ნაკლებად მოსალოდნელია, წარმატებული იყოს. შესაბამისად, მიმოხილვის მიზანი იყო, მანამდელი კვლევების სისტემატური მიმოხილვით, ჩვეულებრივ სკოლებში ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის მასწავლებელთა აღქმული მხარდაჭერის საჭიროებების გამოვლენა და სინთეზი. ამ კვლევის საკვლევი კითხვა იყო: მასწავლებელთა განცდით, რა სახის მხარდაჭერა სჭირდებათ მათ ინკლუზიური განათლების განხორციელებისათვის?

ამ კვლევაში გამოსაყენებლად შეირჩა მასშტაბური მიმოხილვის მეთოდი, რადგან ის კვლევითი ბუნებისაა და კარგად ერგება მასწავლებელთა მხარდაჭერის საჭიროებების შესახებ ხელმისაწვდომი მონაცემების მასშტაბის გაანალიზების ამოცანას (Munn et al. 2018). შემდეგ ნაწილში გამოვყოფთ გამოკვლევის პროცესს, რომელიც ნახელმძღვანელები იყო სისტემატური მიმოხილვებისა და მეტაანალიზისთვის უპირატესი ანგარიშის დებულებებით (PRISMA). ამის შემდეგ წარმოგიდგენთ თვისებრივ სინთეზს გამოკვლევის შედეგებისას, რომლებიც დაჯგუფებულია კლასტერებად თემის მიხედვით. ვასრულებთ მხარდაჭერის მასწავლებლების მიერ აღქმული საჭიროებებისა და ინკლუზიური განათლების განხორციელების შედეგების შესახებ დისკუსიით.

მეთოდები

ძიების პროცესი

ლიტერატურა მოძიებულ იქნა 2020 წელს მონაცემთა შემდეგი ბაზების გამოყენებით: ProQuest, Google Scholar, SAGE ონლაინჟურნალი, iSearch და EBSCOhost კვლევის მონაცემთა ბაზა (შეიცავს Education Research Complete, Academic Search Ultimate, Academic Search Premier, ERIC, Academic Search Alumni Edition, Professional Development Collection, PsycINFO, Teacher Reference Centre, British Education Index, Education Full Text). ძიების ტერმინები იყო „ინკლუზიური განათლება“, „ინკლუზია“, „მასწავლებლები“, „მოქმედი მასწავლებლები“, „სკოლები“, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საჯარო

სკოლებში მიყვანა“ (mainstream), „მხარდაჭერის საჭიროებები“, „მხარდაჭერა მასწავლებლებისთვის“ და „რეალიზება“. ძიება შემოიფარგლებოდა რეცენზირებული და ინგლისურენოვანი აკადემიური ჟურნალების სტატიებით, რომლებიც გამოქვეყნდა 2007 და 2020 წლებს შორის.

ინკლუზიის კრიტერიუმები

ყველა მოპოვებული კვლევა შერჩეულ იქნა მიმოხილვისთვის, ინკლუზიისა და ექსკლუზიის შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

1. მონაწილეები იყვნენ მოქმედი მასწავლებლები. პრაქტიკანტი მასწავლებლები, ადმინისტრაციის წევრები, სკოლის დირექტორები, მოსწავლეები და მშობლები ამ მიმოხილვაში არ იყვნენ დაშვებულნი. იმ კვლევებისთვის, რომლებიც მასწავლებლების გარდა სხვა მონაწილეებსაც შეიცავდა, ჩართული იყო მხოლოდ მასწავლებლებისგან მიღებული კვლევის შედეგები.
2. დაწესებულებები მოიცავდა სკოლამდელ დაწესებულებებს/ საბავშვო ბაღებს, დაწყებით, საშუალო და დამამთავრებელ კლასებს, რომლებიც სპეციალური საგანმანათლებო საჭიროებებისა ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს აძლევდა ინკლუზიურ კლასებში ჩარიცხვის საშუალებას. სკოლის შემდგომ და უმაღლესი განათლების სექტორზე მიმართული კვლევები არ იყო დაშვებული.
3. კვლევები იყენებდნენ კვლევის რაოდენობრივ ან თვისებრივ მეთოდებს.
4. კვლევები, მათი ხარისხის უზრუნველსაყოფად, გამოქვეყნდა რეცენზირებულ აკადემიურ ჟურნალებში. ნაცრისფერი ლიტერატურა რომელიც მოიცავდა სამთავრობო მოხსენებებს, ორგანიზაციების მოხსენებებს, საკონფერენციო ნაშრომებსა და დისერტაციებს, ამ მიმოხილვაში არ იქნა დაშვებული.
5. კვლევები შესრულდა ინგლისურ ენაზე.

გადარჩევის პროცესი

პირველადი ძიება პირველი ავტორის მიერ ჩატარდა საძიებო ტერმინების სხვადასხვა კომბინაციების გამოყენებით და ამ საწყისმა განსაზღვრამ გამოავლინა 2015 კვლევა. სურათი 1, PRISMA-ის დიაგრამის გამოყენებით, აჩვენებს გადარჩევის პროცესს (Moher et al. 2009). ძიების დამატებითი სტრატეგიები, როგორებიცაა, საცნობარო სიის შემოწმება და ციტირების ძიება, უმნიშვნელოვანე-

სია მაღალი ხარისხის კვლევების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც შესაძლოა, გამოტოვებული იქნა ელექტრონული ძიების დროს. ამდენად, ყველა მოძიებული კვლევის საცნობარო სია შესწავლილ იქნა შემდეგი კვლევების ადგილმდებარეობის დასადგენად. სულ 59 კვლევა დაემატა თავდაპირველად გამოვლენილ 2015 კვლევას. მათ შორის, ორი კვლევა გაორდა და ამოღებულ იქნა ძიების მთლიანი შედეგიდან. სულ წარმოიქმნა 2072 კვლევა.

კვლევებმა, რომლებიც საწყისი ძიების მეთოდის გამოყენებით იქნა ნაპოვნი, გაიარა ორ ეტაპიანი პროცესი. პირველი, ყველა გამოვლენილი კვლევის აბსტრაქტები და სათაურები იქნა გაფილტრული პირველი ავტორის მიერ და შერჩეულ იქნა 152 კვლევა. შემდეგ შერჩეული კვლევები დაექვემდებარა სკრინინიგის მეორე შეჩერებას ინკლუზიურობის წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმისთვის სრული ტექსტის შესაფასებლად. საბოლოო ჯამში, პირველი ავტორის მიერ განსახილველად შერჩეულ იქნა 25 კვლევა. შემდეგ, მეორე და მესამე ავტორთაგან თითოეული მიმაგრებულ იქნა ინკლუზიისთვის შერჩეული ექვსი კვლევისა და პირველი ავტორის მიერ ექსკლუზიისთვის შერჩეული ექვსი კვლევის შემთხვევით შერჩევას. 12 კვლევის ამ ორი ჯგუფიდან თითოეული ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იქნა განხილული სხვა ორი ავტორის მიერ ინკლუზიური კრიტერიუმების გამოყენებით, რაც გულისხმობს იმას, რომ საბოლოო შერჩევის 50% კოდირებულ იქნა ინკლუზიისთვის. ჩართვის/გამორიცხვის საწყის გადაწყვეტილებასთან პროცენტული შესაბამისობა იყო 83% და შემდეგში, ყველა განსხვავება გადაიჭრა დისკუსიის გზით, რის შედეგადაც მიღწეულ იქნა 100%-იანი შესაბამისობა და საბოლოო კვლევამ 25 შერჩევა მოიცვა.

ძირითადი თემების დასადგენად თემატური ანალიზი იქნა გამოყენებული. შერჩეული ყველა კვლევა დაჯგუფებული იყო კვლევის ფოკუსის შესაბამის კლასტერებში. თემატური ანალიზის პროცედურას წარუძღვნენ ბრაუნი და კლარკი (2006). უპირველეს ყოვლისა, პირველმა ავტორმა წაიკითხა და ხელახლა გადაიკითხა ყველა შერჩეული კვლევის სრული ტექსტი იქამდე, ვიდრე საფუძვლიანად გაეცნობოდა შინაარსს. საწყისი შენიშვნები გაკეთდა კითხვის პროცესში. მეორე, ავტორმა მონაცემთა კოდირება მოახდინა კვლევის კითხვების შესაბამის ფრაზებსა თუ წინადადებებზე ყურადღების გამახვილებით. მესამე, ავტორმა კოდები დააჯგუფა მსგავს კატეგორიებში და ჩამოაყალიბა საწყისი თემები. ამის შემდეგ, უფრო საფუძვლიანი გამოკვლევის დროს, ეს თემები ინტეგრირდა, დაიხვეწა ან უარყოფილ იქნა იმაში დასარწმუნებლად, რომ ისინი ეწყობოდნენ ერთმანეთს, იყვნენ მნიშვნელოვანნი და ჰქონდათ მკაფიო განსხვავებები. შემდეგ ავტორმა განსაზღვრა და სახელი დაარქვა ყველა თემას. საბოლოოდ, ყველა კოდი და

მასთან დაკავშირებული ამონარიდები, რომლებიც ახასიათებდა ამ თემებს, შეჯამდა საბოლოო თემების ქვეშ.

სურათი 1: PRISMA-ის დიაგრამა



შედეგები

ლიტერატურის მიმოხილვამ გამოავლინა 25 შესაბამისი კვლევა, რომლებიც აკმაყოფილებენ ინკლუზიის კრიტერიუმს. ყველა ამ კვლევის მახასიათებლები შეჯამებულია ცხრილ 1-ში. გამოვლინდა შვიდი განმეორებადი თემა ინკლუზიური განათლების განხორციელებისათვის მხარდაჭერის მასწავლებელთა აღქმულ საჭიროებებთან დაკავშირებით. მასწავლებელთა აღქმულ საჭიროებებზე აღნიშნული 25 კვლევის თემატიკური ანალიზის შედეგები განხილულია შემდეგ ქვეთავებში.

ცხრილი 1. მოძიებული კვლევების მიმოხილვა

წელი	ავტორი/ები	ადგილმდებარეობა	მონაწილეთა რაოდენობა	კვლევის დიზაინი	მხარდაჭერის საჭიროებების საკითხები	ძირითადი შედეგები
2007	Anderson, Klassen, & Georgiou	ავსტრალია	დაწყებითი სკოლის 162 მასწავლებელი	მიმოხილვა	მასწავლებელთა ტრენინი, მასწავლებლის თანაშემწის მხარდაჭერა, თანამშრომლობა, კლასის ზომა, დრო	ინკლუზიური განათლების მასწავლებელთა აღქმული უპირატესობები და ბარიერები. ზოგიერთმა მასწავლებელმა მიუთითა, რომ სკოლის ფსიქოლოგებს შეეძლოთ ინკლუზიური პრაქტიკის მხარდაჭერა. მასწავლებლებმა აღწერეს, რომ მათ სჭირდებოდათ დამატებითი მომზადება და დამატებითი დრო ინკლუზიურ კლასებში დასახმარებლად.
2007	Gaad & Khan	დუბაი	დაწყებითის 25 მასწავლებელი	კითხვარი ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუ	მასწავლებელთა ტრენინგი, მასწავლებლის თანაშემწის მხარდაჭერა, კლასის ზომა, სასწავლო მასალები და რესურსები, დრო	მძიმე დატვირთვა მასწავლებლებისთვის გამომწვევად აქცევს საკლასო ოთახებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა საჭიროებების დაკმაყოფილებას. მომზადება, ადმინისტრატორის მხარდაჭერა, სპეციალური სერვისები ან რესურსები ინკლუზიურ განათლებაში მასწავლებლებისთვის იყო უმნიშვნელოვანესი.
2007	Irving, Nti, & Johnson	აშშ	საშუალო და დამამათვრებელი კლასების 120 მასწავლებელი	მიმოხილვა	მასწავლებელთა ტრენინგი, მასწავლებლის თანაშემწის მხარდაჭერა, სასწავლო მასალები და რესურსები	მასწავლებლებმა გამოხატეს ტრენინგისა და სასწავლო მეთოდოლოგიების საჭიროება, ინკლუზიური კლასების განხორციელებისთვის მასალებისა და რესურსების დაგეგმვისა და მოდიფიცირებისთვის.
2007	Leatherman	აშშ	ადრეული ასაკის ბავშვთა 8 მასწავლებელი	ინტერვიუ	მასწავლებელთა ტრენინგი, თანამშრომლობა	მასწავლებლები შეთანხმდნენ, რომ ინკლუზიური საკლასო ოთახი ყველა მოსწავლისათვის ოპტიმალური ადგილი იყო. მასწავლებლებს სჭირდებოდათ მოქმედი ტრენინგი, ადმინისტრაციული მხარდაჭერა და ინკლუზიური კონტექსტების არჩევის უფლება.
2009	Herold & Dandolo	დიდი ბრიტანეთი	1 მხედველობის არმქონე მოსწავლე, 1 სწავლის მხარდამჭერი ასისტენტი, 1 ფიზიკური აღზრდის პედგოგი	შემთხვევის შესწავლა ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუ საველე დაკვირვება	მასწავლებელთა ტრენინგი, მასწავლებლის თანაშემწის მხარდაჭერა, სასწავლო გეგმა, კლასის ზომა, სასწავლო მასალები და რესურსები	კვლევამ აღწერა კვალიფიკაციის ამაღლების, სწავლის პროცესის მხარდამჭერი ასისტენტების როლი და რესურსების საჭიროება და ფიზიკური განათლებისთვის სქემის შეზღუდვები
2009	Horne & Timmons	პრინცი ედვარდის კუნძული	დაწყებითის 20 მასწავლებელი	ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუღია კითხვებთან ერთად	მასწავლებლის თანაშემწის მხარდაჭერა, კლასის ზომა, დრო	კვლევამ აღწერა მასწავლებელთა შფოთი და მხარდაჭერის მათ მიერ აღქმული საჭიროებები, მათ შორის ტრენინგი და დრო ინკლუზიურ საკლასო ოთახში.
2009	Johnstone & Chapman	ლესოთო	ფაზა 1: განათლების 4 მოხელე ფაზა 2: 20 მასწავლებელი ფაზა 3: 130 მასწავლებელი	ფაზა 1 და ფაზა 2 – ინტერვიუ ფაზა 3 – მიმოხილვა	მასწავლებლის თანაშემწის მხარდაჭერა, სასწავლო მასალები და რესურსები, დრო	კვლევამ აჩვენა კორელაცია მასწავლებლის ცოდნას, უნარსა და ინკლუზიური განათლების წარმატებას შორის. მასწავლებლებს სჭირდებათ სასწავლო მასალები და სწავლების სტრატეგიების შესახებ ცოდნა, რათა ინკლუზიურ კლასებში ასწავლონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს.

2010	Blecker & Boakes	აშშ	საბავშვო ბაღის 546 მასწავლებელი	მიმოხილვა	მასწავლებლის ტრენინგი, დრო	უფრო მეტი გამოცდილების მქონე მასწავლებლებმა ინკლუზიურ განათლებაში მნიშვნელოვნად მიიჩნიეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა, დაგეგმვის დრო და პროფესიული თანამშრომლობა.
2010	Coutsocostas & Alborz	საბერძნეთი	საშუალო სკოლის 138 მასწავლებელი	მიმოხილვა	მასწავლებლის ტრენინგი, თანამშრომლობა	მონაწილეთა დაახლოებით ნახევარი მხარს არ უჭერდა ინკლუზიურ განათლებას. მასწავლებელთა დამოკიდებულებების ცვლილებისთვის მნიშვნელოვანი იყო ტრენინგი, აღქმული კომპეტენცია და მხარდაჭერა.
2010	Goodman & Burton	დიდი ბრიტანეთი	მეინსტრიმული-საშუალო სკოლის 9 მასწავლებელი	ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუები	მასწავლებელთა ტრენინგი, მასწავლებლის თანაშემწის მხარდაჭერა, თანამშრომლობა, სასწავლო მასალები და რესურსები	მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის ბარიერი იყო არასაკმარისი რესურსები და კვალიფიციური მხარდაჭერის ნაკლებობა
2010	Thorpe & Azam	დიდი ბრიტანეთი	დაწყებითის 2 მასწავლებელი და 2 უფროსი მასწავლებელი	ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუები და დოკუმენტური ანალიზი	მასწავლებლის თანაშემწის მხარდაჭერა, თანამშრომლობა	მასწავლებელთა მახასიათებლები, მათი ხედვები და ინკლუზიის მათ მიერ გაგება გავლენას ახდენდა ინკლუზიური პოლიტიკის წარმატებაზე.
2021	Casale-Giannola	აშშ	55 მონაწილე	დაკვირვება, კონსულტირება, გამოკითხვები (ღია დაბოლოებით)	თანამშრომლობა	კვლევამ აღწერა პროფესიულ გარემოცვებში ინკლუზიური განათლების ძლიერი მხარეები და საჭიროებები, მათ შორის, სწავლების სტრატეგიების მიმართ მასწავლებელთა გაზრდილი ცოდნა, სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია და სპეციალური განათლების კანონები.
2013	McDonald & Tufue-Dolgoy	სამოა	დაწყებითის 15 მასწავლებელი	ფოკუს ჯგუფი, ინტერვიუები	სასწავლო გეგმა, კლასის ზომა, სასწავლო მასალები და რესურსები	აღინიშნა ინკლუზიური განათლების განხორციელების გამონვევები. მხარდაჭერის საჭიროება მოიცავს რესურსებს. სასწავლო გეგმის დონეზე მხარდაჭერასა და ტრენინგის შესაძლებლობებს.
2015	Able, Sreckovic, Schultz, Garwood, & Sherman	სამხრეთ-აღმოსავლეთ აშშ	ზოგადი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) და სპეციალური განათლების 34 მასწავლებელი	ფოკუს ჯგუფები, ინტერვიუ	მასწავლებლის ტრენინგი, თანამშრომლობა	კვლევამ აღწერა აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეთა განთავსებაში მასწავლებელთა ცოდნა და უნარები. ისინი მოიცავდა: (1) ასა-ს შესახებ ცოდნას, (2) დიფერენციაციას, (3) სოციალური მხარდაჭერის სტრატეგიებსა და (4) თანამშრომლობას.
2016	Kuyini, Yeboah, Das, Alhassan, & Mangope	განა	ჩვეულებრივი სკოლის 163 მასწავლებელი (დაწყებითის – 114 და არასრული საშუალო სკოლის – 49)	კითხვარი ღია კითხვებით	მასწავლებელთა ტრენინგი, მასწავლებლის თანაშემწის მხარდაჭერა, თანამშრომლობა, სასწავლო მასალები და რესურსები, დრო	შედეგებმა გამოავლინეს, რომ სასწავლო მასალების ადაპტირება და ქცევის მართვა იყო ძალიან მნიშვნელოვანი კომპეტენციები. მასწავლებლებმა აღწერეს, რომ მათ სჭირდებოდათ ტრენინგი, სასწავლო მასალები, რესურს მასწავლებლები და დრო ინკლუზიურ კლასებში.

2017	Alborno	არა-ბეთის გაერთი-ანებული საამირო-ები	29 მონა-წილე	შემთხვევის შესწავლა, ნახევრად სტრუქტუ-რული ინტე-რვიუები, დაკვირვე-ბები	მასწავლებელთა ტრენინგი, სასწავლო გეგმა	კარგი პრაქტიკა იყო ინკლუზიური გა-ნათლებისადმი გაზრდილი ცნობიერება და გაუმჯობესებული ხელმისაწვდო-მობა. კვლევაში გამოვლინდა ტრენინგის მხარდაჭერისა და პოლიტიკის შესახებ გამოწვევები და ინტერესები.
2017	Young, McNa-mara & Coughlan	ირლა-ნდია	დაწყებითის შემდგომი კლასე-ბის 15 მასწავლე-ბელი (ანუ შედარებით დაბალი საშუალო დონე)	ნახევრად სტრუქტუ-რული ინტე-რვიუები	მასწავლებლის ტრენინგი, სა-სწავლო გეგმა, დრო	მასწავლებლებს დადებითი დამოკიდე-ბულებები ჰქონდათ ინკლუზიის მიმართ. ინკლუზიური განათლების განსახორცი-ელებლად აუცილებელი იყო შესაბამისი რესურსები და პერსონალის ტრენინგი. მოცემულმა კვლევამ გამოავლინა ინკ-ლუზიისთვის ბარიერები, როგორებიცაა, სასწავლო გეგმა და შეფასება, დროის ნაკლებობა, მასწავლებლების შეუსაბამო ტრენინგი, კლასის ზომა და არასაკმა-რისი რესურსები.
2018	Wagner, Bartsch, & Rulofs	ჩრდი-ლოეთ რაინ-ვე-სტფალია	ფიზიკური აღზრდის 31 მასწა-ვლებლის ინტერვიუ და 66 მასწავლე-ბელი, რათა ეპასუხათ ერთი ღია კი-თხვისთვის	31 მასწა-ვლებლის ინტერვი-უები, ერთ ღია კი-თხვაზე 66 მასწავლებ-ლისგან დაწერილი კომენტა-რები	მასწავლებელთა ტრენინგი, მასწავლებლის თანაშემწის მხარდაჭერა, კლასის ზომა, სასწავლო მასალები და რესურსები, დრო	შედეგებმა აჩვენა, რომ მასწავლებლები გამოხატავენ ცოდნის რესურსების საჭი-როებას სპეციალური საგანმანათლებო საჭიროებების მქონე მოსწავლეების, დიაგნოსტიკისა და თვითშეფასების, დი-ფერენცირებული სწავლისა და შეფასების შესახებ, პროფესიონალური სწავლებით სამუშაო ადგილზევე.
2019	Page, Boyle, McKay, & Mavro-poulou	კუკის კუნძუ-ლები	10 მასწა-ვლებელი (5 დაწყები-თის, 2 შუა ასაკის, 3 დაწყები-თისა და შუა წლების ნაზავი)	ნახევრად სტრუქტუ-რული ინტე-რვიუები	მასწავლებელთა ტრენინგი, მასწავლებლის ასისტენტის მხა-რდაჭერა	მასწავლებლებმა გამოხატეს ინგლუ-ზიურ განათლებაში რეგულარული და სავალდებულო განათლების საჭიროება. მათ აღნიშნეს, რომ სჭირდებოდათ ტრე-ნინგი და მასწავლებლის თანაშემწეები კლასებში მათი და საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მხარდასაჭერად.
2019	Wood-cock & Woolfson	კანადა	120 კანადელი მასწავლე-ბელი (78 დაწყები-თის, 41 შუა წლების, 1 არაიდენტი-ფიცირე-ბული)	გამოკითხვა მოკლე პასუხიანი კითხვე-ბით 120 კანადელი მასწავლებ-ლისთვის	მასწავლებლის თანაშემწის მხარდაჭერა, სა-სწავლო გეგმა, კლასის ზომა, დრო	შედეგებმა აჩვენეს, რომ ინკლუზიური განათლების წარმატება დაკავშირებუ-ლია მასწავლებლების დამოკიდებულე-ბებთან, საკლასო ოთახში ინკლუზიურ სტრატეგიებთან, სკოლის კლიმატსა და კულტურასთან, ხელმძღვანელობისგან მხარდაჭერასა და სამინისტროსთან. მნიშვნელოვანი ბარიერები მოიცავს ადამიანურ რესურსებს, სხვა მასწავლე-ბელთა დამოკიდებულებებს, კონკურე-ნტულ მოთხოვნებს, მაგ.; კლასის ზომა, დროის შეზღუდვები, ხელმძღვანელობის მხარდაჭერა და პროფესიული განვითა-რება.
2020	Chu, Craig, Yewor-iew, & Xu	ალბერტა	7-8 კლასის 1773 მასწა-ვლებელი 8 კლასის მეცნიე-რების 153 მასწავლე-ბელი 4 კლასის 302 მასწა-ვლებელი 4 კლასის 143 მასწა-ვლებელი	გამოკითხვა	მასწავლებელთა ტრენინგი, მასწავლებლის თანაშემწის მხარდაჭერა	შედეგებმა აღწერა, რომ მასწავლებლები ეყრდნობოდნენ მასწავლებელზე დაფუძ-ნებულ აკომოდაციებს და არ ჰქონდათ წვდომა გარე რესურსებთან. მასწა-ვლებლები აცხადებდნენ, რომ ისინი ინკლუზიურ განათლებაში არ იღებდნენ მასწავლებელთა ტრენინგის შესაბამის კურსებსა და პროფესიულ განვითარე-ბას, მაგრამ ისინი პრიორიტეტს არ ანი-ჭებდნენ ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ ამ ტრენინგებს.

2020	Liu, Yao, Wang, & Du	შანხაი	დაწყებითის 19 მასწავლებელი	ფოკუს ჯგუფები, ინდივიდუალური ინტერვიუები და დოკუმენტის ანალიზი	თანამშრომლობა სასწავლო გეგმა, სასწავლო მასალები და რესურსები	კვლევამ გამოავლინა მასწავლებელთა როლი ინკლუზიურ კლასებში და გამოიკვლია განვითარების შეზღუდვების მქონე მოსწავლეებისთვის მხარდაჭერის უზრუნველყოფაში მასწავლებელთა გამოცდილებები. შედეგები აჩვენებს, რომ მხარდაჭერის, მაგ.; სასწავლო გეგმის სტანდარტების, სასწავლო მასალებისა და მასწავლებელთა ტრენინგის ნაკლებობამ განაპირობა მასწავლებელთა დაბალი თვითეფექტიანობა. მოცემულმა კვლევამ ასევე აღნერა მხარდაჭერის მასწავლებელთა აღქმული საჭიროებები, მაგ., სამუშაო ადგილზევე კვალიფიკაციის ამაღლება, ადმინისტრაციული და პროფესიული მხარდაჭერა ინკლუზიური განათლების განხორციელებაში.
2020	Nilsen	ნორვეგია	8 მასწავლებელი (4 დაწყებითისა და 4 შუა წლების მასწავლებელი)	ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუები	თანამშრომლობა	შედეგებმა აჩვენა სპეციალური და ზოგადი განათლების მასწავლებლებს შორის თანამშრომლობისა და შეთანხმების ნაკლებობა, რაც განაპირობებდა ზოგადი განათლების ადაპტაციის ნაკლებობას. მასწავლებლები წუხილს გამოხატავენ საკმარისი დროის არქონისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის შესაფერისი ყურადღების დაუთმობლობის გამო.
2021	Eklund, Sundqvist, Lindell, & Toppinen	ფინეთი	დაწყებითის 8 მასწავლებელი	ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუები	მასწავლებლის თანაშემწის მხარდაჭერა, თანამშრომლობა, დრო	შედეგებმა აჩვენა, რომ მასწავლებლებმა გამოსცადეს მათი როლი სწავლის შეზღუდვების მქონე მოსწავლეებისთვის სწავლებაში. ისინი გამოხატავენ საკლასო ოთახებში მოსწავლეთა მხარდასაჭერად დროის ნაკლებობასა და გამოწვევების წინაშე დგანან გაფართოებულ დოკუმენტაციაში. მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანი იყო კოლეგებისა და სპეციალური განათლების მასწავლებლებისგან მხარდაჭერა.

განხილული კვლევების მახასიათებლები

კვლევების უმრავლესობა (n=17) ჩატარდა თვისებრივი კვლევის დიზაინით, როგორიცაა, შემთხვევის შესწავლა, ინტერვიუები, დაკვირვებები და დოკუმენტის ანალიზი. ჩართული იყო შვიდი რაოდენობრივი კვლევა, შერჩევის ზომით 120-სა და 2371-ს მონაწილეს შორის. ერთი კვლევა, რაოდენობრივ ნაწილში, შეიცავდა 130 მონაწილესთან შერეული მეთოდოლოგიით შეგროვებულ მონაცემებს. მოცემულ მიმოხილვაში 25-დან მეხუთე კვლევა ჩატარებულია შეერთებულ შტატებში (n=5), მომდევნო ყველაზე დიდ ჯგუფთან ერთად, რომელიც ჩატარდა დიდ ბრიტანეთსა (n=3) და კანადაში (n=3). სხვა კვლევები ჩატარდა, შესაბამისად, ავსტრალიაში, ჩინეთში, კუკის კუნძულებზე, დუბაიში, ფინეთში, ირლანდიაში, გერმანიაში, განაში, საბერძნეთში, ლესოტოში, ნორვეგიაში, სამოაში, სვაზილენდსა და არაბთა გაერთიანებულ საამიეროებში (აგს). კვლევების უმრავლესობა (n=18) შეიცავდა მხოლოდ მასწავლებელ მონაწილეებს, პირველდაწყებითის/დაწყებითის (n=5), საბაზო/ საშუალოს (n=3), დაწყებითის შემდგომი/ქვედა საბაზო ასაკის (n=1), შუა/ სა-

შუალო (n=1), დაწყებითი/ საბაზო კომბინირებული (n=6) და ადრეული ბავშვობა/ საბავშვო ბაღის ასაკამდე (n= 2). სხვა კვლევები (n=7) მოიცავდა მასწავლებლებს სხვა მონაწილეებთან ერთად, როგორებიცაა მოსწავლეები, მხარდამჭერი თანაშემწეები, განათლების მოხელეები, უფროსი მასწავლებლები, სწავლის კონსულტანტები, სპეციალური განათლების მასწავლებლები და მშობლები.

მასწავლებელთა ტრენინგის უზრუნველყოფა

განხილული კვლევების თითქმის ორი მესამედი (65%) ყურადღებას ამახვილებს მასწავლებელთა ტრენინგზე მასწავლებლების მიერ აღქმულ საჭიროებებზე (მაგ.; Coutsocostas and Alborz 2010; Goodman and Burton 2010; Irving, Nti, and Johnson 2007; Kuyini et al. 2016; Leatherman 2007; Wagner, Bartsch, and Rulofs 2018). ინტერვიუს მეთოდი (63%) ყველაზე გავრცელებული მიდგომა იყო, რომელსაც მოჰყვებოდა გამოკითხვის მეთოდი (38%). კვლევის სხვა დიზაინი მოიცავდა შემთხვევის შესწავლას (n=3), დაკვირვებასა (n=2) და დოკუმენტის ანალიზს (n=1). შერჩევის ზომა ფართოდ ვარირებდა 1-დან 34 მასწავლებლამდე (თვისებრივი კვლევები) და 120-დან 2371 მასწავლებლამდე (რაოდენობრივი კვლევები). კვლევები ჩატარდა ევროპაში (30%), ჩრდილოეთ ამერიკაში (18%), სამხრეთ ამერიკაში (13%), აზიაში (13%), ოკეანიასა (13%) და აფრიკაში (13%). მასწავლებლები განიცდიან, რომ მათ არასაკმრისი ტრენინგი ჩაუტარდათ ინკლუზიურ კლასებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა მხარდასაჭერად (Page et al. 2019; Zwane and Malale 2018). იმ თანხვედრის გათვალისწინებით, რომლითაც ეს მრავალ კვლევაში გამოვლინდა, წაქეზებულ იქნა მასწავლებელთა ტრენინგის უზრუნველყოფის გაუმჯობესება (Young, McNamara, and Coughlan 2017).

რაც ამ ხუთი კვლევისგან გამოირკვა არის ის, რომ მასწავლებლები განიცდიან ტრენინგის საჭიროებას კონკრეტული თემების კუთხით (მაგ., Anderson, Klassen, and Georgiou 2007; Gaad and Khan 2007; Irving, Nti, and Johnson 2007). Goodman and Burton (2010) აღნიშნეს, რომ მასწავლებლებს ურჩევნოდათ ტრენინგის გავლა, რომელიც შეეხებოდა განსაკუთრებით ქცევითი, ემოციური და სოციალური სირთულეების (ქესს) მქონე მოსწავლეებს. შედეგად, Able et al. (2015) აღმოაჩინეს აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე (ასა) მოსწავლეების თავისებურებებისა და ამ მოსწავლეთა ინკლუზიურ კლასებში აკომოდაციის სტრატეგიების შესახებ ცოდნის მასწავლებელთა აღქმული ძლიერი საჭიროება. მოცემულ კვლევაში მონაწილე მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ მათ სურდათ, მეტი სცოდნოდათ ასა-ს მქონე მათი მოსწავლეების სოციალური უნარების შე-

სახებ და ესწავლათ შესაბამისი უნარები, თუ როდის და როგორ ჩაერთოთ ასეთი მოსწავლეები სიტუაციებში.

მასწავლებელთა აღქმული ცოდნა და უნარი დადებით გავლენას აჩვენებს ინკლუზიური კლასის რეალიზაციაზე (Johnstone and Chapman 2009). Chu et al. (2020) მიერ ჩატარებულმა შედარებით ბოლოდროინდელმა კვლევამ აღწერა, რომ იმ მოსწავლეთა აკადემიური შესრულება, რომელთა მასწავლებლებს გავლილი ჰქონდათ ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების სწავლებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად უკეთესი იყო, ვიდრე მათი თანატოლებისა, რომელთა მასწავლებლები არ დასწრებიან მოცემულ ტრენინგს. აღსანიშნია, რომ მასწავლებელთა ტრენინგი მოქმედი მასწავლებლებისათვის ზრდის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა საჭიროებების დაკმაყოფილების უნარის თვითაღქმას (Herold and Dandolo 2009) და ზრდის მათ ცოდნას საკლასო ოთახებში პრაქტიკული სტრატეგიებისა და უნარების გამოყენების შესახებ (Able et al. 2015). ზოგადად, მასწავლებლები მიიჩნევდნენ, რომ ისინი სარგებელს მიიღებდნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის სწავლების შესახებ ტრენინგისგან (Goodman and Burton 2010; Leatherman 2007), რომლის ფარგლებშიც ისინი შეძლებდნენ დამატებითი ცოდნისა და გაგების შეძენას შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მასწავლებლის თანაშემწეების უზრუნველყოფა

კვლევების ნახევარზე მეტმა (56%) აღწერა მასწავლებლების აღქმა იმისა, რომ მასწავლებლის თანაშემწეების არსებობა კრიტიკული მნიშვნელობის იყო საკლასო ოთახებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერისთვის (მაგ., Chu et al. 2020; Eklund et al. 2021; Herold and Dandolo 2009; Thorpe and Azam 2010; Woodcock and Woolfson 2019). ინტერვიუ იყო კვლევის ყველაზე ხშირად გამოყენებული დიზაინი (32%), რომელსაც მოჰყვებოდა გამოკითხვა (20%) და ინტერვიუსა და გამოკითხვის შერეული მეთოდი (4%). შერჩევის ზომა ვარირებდა 1 და 31-დან (თვისებრივი კვლევები) 120 და 2371-მდე (რაოდენობრივი კვლევები). ამ ჯგუფის კვლევა ჩატარდა ევროპაში (36%), ჩრდილოეთ ამერიკაში (29%), ოკეანიაში (14%), აფრიკასა (14%) და აზიაში (7%). მასწავლებლებს სჯეროდათ, რომ მასწავლებლის თანაშემწეებისგან მხარდაჭერას სარგებელი მოაქვს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა სწავლისთვის და მასწავლებლებს ეხმარება სასწავლო გეგმის განხორციელებაში, რომელიც ემსახურება კლასის ყველა მოსწავლეს. Herold and Dandolo (2009) აღწერეს ის, თუ მასწავლებლის თანაშემწეებს როგორ შეეძლოთ შეზღუდული შესაძლებლობების

მქონე მოსწავლეთა დახმარება ფიზიკური აღზრდის (ფა) გაკვეთილებზე. მასწავლებლებისგან შეთანხმებულად მოითხოვება მასწავლებლის თანაშემწეების უზრუნველყოფა (Irving, Nti, and Johnson 2007; Kuyini et al. 2016; Page et al. 2019).

მასწავლებლებსა და პროფესიონალებთან თანამშრომლობა

კვლევები აჩვენებს, რომ მასწავლებლეს კლასებში ინკლუზიური პრაქტიკების განხორციელების მხარდასაჭერად უფრო მეტი თანამშრომლობა სურთ. 11 კვლევიდან ყველა აღწერდა პროფესიონალებსა და/ან მათ კოლეგებთან თანამშრომლობის მასწავლებელთა ძლიერ სურვილს. შვიდმა კვლევამ ჩაატარა ინტერვიუები (ინდივიდუალური ან ფოკუს ჯგუფის ინტერვიუ) და სამმა კვლევამ გამოიყენა გამოკითხვის მეთოდი. ერთმა კვლევამ გამოიყენა დაკვირვება და გამოკითხვა ღია კითხვებით. ამ ჯგუფის კვლევები ძირითადად ჩატარდა ევროპაში (46%), მას მოჰყვა სამხრეთ ამერიკა (18%), ჩრდილოეთ ამერიკა (9%), ოკეანეთი (9%), აზია (9%) და აფრიკა (9%) და თვისებრივი კვლევების შერჩევის ზომა იყო 2-დან 55 მასწავლებლამდე და რაოდენობრივი კვლევები იყო 138-დან 163 მასწავლებლამდე.

პროფესიონალებთან თანამშრომლობა. ამ ჯგუფში არსებული კვლევების თითქმის ნახევარმა (36%) განსაზღვრა სკოლებში პროფესიონალებთან თანამშრომლობასთან დაკავშირებული მასწავლებელთა აღქმული საჭიროება. რამდენიმე კვლევაში (მაგ., Anderson, Klassen, and Georgiou 2007; Casale-Giannola 2012; Leatherman 2007), მასწავლებლებმა გამოხატეს დამატებით თერაპევტებსა და სკოლის ფსიქოლოგებთან თანამშრომლობის აუცილებელი საჭიროება მოსწავლეთა სპეციალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, Goodman and Burton (2010) კვლევაში მასწავლებლებმა წამოწიეს წუხილი მათი ქცევითი, ემოციური და სოციალური სირთულეების (ქესს) მქონე მოსწავლეთა შეფასებისთვის განათლების ფსიქოლოგის მხარდაჭერის ნაკლებობის შესახებ. ამ შეფასების გარეშე ეს მოსწავლეები ვერ იღებდნენ საჭირო მხარდაჭერას.

მასწავლებელთა შორისი თანამშრომლობა. განხილული კვლევების დიდი უმრავლესობა (74%) იდენტიფიცირდა, როგორც მოცემული თემისთვის შესაბამისი და მან გამოავლინა ის მნიშვნელობა, რომელსაც მასწავლებლები ანიჭებდნენ კოლეგა მასწავლებლებსა და სპეციალური განათლების მასწავლებლებთან თანამშრომლობას. მასწავლებლებმა აღიარეს, რომ თანამშრომლობა ან თანამშრომლობითი სწავლება აუმჯობესებს ინკლუზიური პრაქტიკის განხორციელებას (Coutsocostas and Alborz 2010; Kuyini et al. 2016; Nilsen 2020) და კოლეგებთან კონსულტაციები აძლევდა მათ საშუალებას, კლასში შეზღუდული შესაძლებლო-

ბების მქონე მოსწავლეთა მხარდასაჭერად იდეების სწავლისა და შეძენისთვის (Eklund et al. 2021). Thorpe and Azam (2010) აღმოაჩინეს, რომ მასწავლებლები გრძნობდნენ, ისინი სარგებელს იღებდნენ თანატოლებთან აქტიური თანამშრომლობისგან, განსაკუთრებით მაშინ, როცა უზიარებენ მოსწავლეთა ქცევასა და იმ სტრატეგიებთან დაკავშირებული კონკრეტული შემთხვევების შესახებ წინარე ინფორმაციას, რომლებიც მხარს უჭერდნენ კლასებში მოსწავლეებს. Able et al. (2015) შეისწავლეს ინკლუზიურ კლასებში ასა-ს მქონე მოსწავლეების მასწავლებელთა მიერ აღქმული საჭიროებები. მასწავლებლებმა თანამშრომლობის გზით გაინაწილეს მიზნები და სპეციალური განათლების მასწავლებლებისგან მიიღეს რჩევა და მხარდაჭერა კლასში ჯგუფის მუშაობის გასაუმჯობესებლად. Eklund et al. (2021) მიერ ჩატარებულმა ბოლოდროინდელმა კვლევამ აღწერა, რომ თანამშრომლობა ზოგადი და სპეციალური განათლების მასწავლებლებს აძლევს საშუალებას, სხვადასხვა პერსპექტივიდან მართონ მოსწავლეთა სწავლის ბარიერები. კოლეგებთან ჯგუფური მუშაობა მნიშვნელოვანი ფაქტორია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა საკლასო ოთახში განთავსებისთვის.

სასწავლო გეგმა

ამ თემაზე ორიენტირებული იყო განხილული კვლევების თითქმის ერთი მესამედი (28%), რომლის უმეტესობა ჩატარდა ევროპაში (29%), რომელსაც მოსდევდა აზია (29%), აფრიკა (14%), ჩრდილოეთ ამერიკა (14%) და ოკეანია (14%). აღნიშნულ კვლევათა ერთობლიობა მიმართული იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის სასწავლო გეგმის ადაპტაციებისა და შესწორების მასწავლებელთა აღქმულ საჭიროებაზე. ამ კვლევათაგან ექვსი იყო თვისებრივი კვლევა, რომელიც იყენებდა კვლევის მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა, შემთხვევის შესწავლა, ინტერვიუ, დაკვირვება და დოკუმენტის ანალიზი; შერჩევის ზომა ვარირებდა 1-დან 29-მდე. ამ ჯგუფში მხოლოდ რაოდენობრივმა კვლევამ გამოიყენა გამოკითხვა, დაწერილი პასუხებით; ამ შერჩევის ზომა იყო 120 მასწავლებელი. მოცემულ კვლევებში გამოვლინდა ორი ქვეთემა, რომელიც ორიენტირებული იყო სასწავლო გეგმის უზრუნველყოფასა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე.

სასწავლო გეგმისადმი მოქნილი მიდგომა. ერთი ქვეთემა უკავშირდებოდა იმას, თუ როგორ იყენებდნენ მასწავლებლები მოქნილ მიდგომას სასწავლო გეგმაში შესწორებების შესატანად. მოცემულ კვლევებში აღწერილი პასუხების ფარგლებში, მასწავლებლებს სჯეროდათ, რომ შეზღუდული შესაძლებლობე-

ბის მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერის საჭიროებები შეიძლება დაკმაყოფილდეს სასწავლო გეგმის ადაპტაციითა და დარეგულირებით (Herold and Dandolo 2009), განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს მოსწავლეები სირთულეებს განიცდიან წინსვლაში (Liu et al. 2020; McDonald and Tufue-Dolgoy 2013). ინკლუზიური განათლებისთვის სასწავლო გეგმა, როგორც წესი, შემოთავაზებულია ჩვეულებრივ სასწავლო გეგმასთან, როგორც საფუძველთან, ერთად და შემდგომში ის ადაპტირებული და მორგებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა შესრულების დონეზე დაყრდნობით. მოსწავლეთა მხარდაჭერის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სასწავლო გეგმის ადაპტირებისა და მორგების საჭიროება ჩაითვალა არსებითად (McDonald and TufueDolgoy 2013).

სასწავლო გეგმისადმი მოუქნელი მიდგომა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე სხვა კვლევამ აღმოაჩინა, რომ სკოლები და მასწავლებლები იყენებდნენ ბევრად უფრო მოუქნელ მიდგომას, სადაც არ არის პირობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა სასწავლო გეგმის ფარგლებში მხარდასაჭერად. ამ კვლევებში, ჩვეულებრივი საგანმანათლებო კლასების ყველა მოსწავლისათვის, ხშირად უზრუნველყოფილი და განსაზღვრული იყო ზოგადი სასწავლო გეგმა, ყოველგვარი მორგების გარეშე და ყველა მოსწავლეს აფასებდნენ ერთი და იმავე ხერხით, ნებისმიერი შეზღუდვის მიუხედავად. მაგალითად, Liu et al. (2020) აღნიშნეს, რომ თუმცა მასწავლებლებს ზოგადად ესმით სასწავლო გეგმის მორგების საჭიროება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა მცირე რაოდენობა იღებს ადაპტირებულ ან მორგებულ სასწავლო გეგმას. Liu et al. (2020) დამატებით აღნიშნეს, რომ ორივე – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და შეზღუდვების არმქონე მოსწავლეები ერთი და იმავე ტესტებით იყვნენ უზრუნველყოფილნი და შეფასების შედეგები აღირიცხებოდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა ნებისმიერი სპეციალური გათვალისწინების გარეშე. ბუნდოვანი იყო, ეს იყო სასწავლო გეგმის ადაპტირებისთვის მასწავლებელთა უფლებამოსილების ნაკლებობის გამო, თუ მათ შეზღუდული ჰქონდათ სასწავლო გეგმის მორგების ნებართვა (Alborno 2017).

კლასის ზომა

განხილული კვლევების დაახლოებით ერთი მესამედი (32%) ორიენტირდა ამ თემაზე, რომელთა უმრავლესობა ჩატარდა ან ევროპაში (25%), ან ჩრდილოთ ამერიკაში (25%), რომელსაც მოჰყვა ოკეანია (25%), აზია (13%), აფრიკა (12%), რომელთაც ყურადღება გაამახვილეს კლასის ზომის შესახებ მასწავლებელთა აღქმაზე მაშინ, როცა კლასი მოიცავდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

მოსწავლეებს. ნაპოვნი კვლევები იყენებდა ან ინტერვიუებს (n=6), სადაც შერჩევის ზომა იცვლებოდა 1-დან 31-მდე ან გამოკითხვებს (n=2), შერჩევის ზომის ცვალებადობით 120-დან 162-მდე. რამდენიმე კვლევამ (მაგ., Anderson, Klassen, and Georgiou 2007; Herold and Dandolo 2009) აღწერა, რომ მასწავლებლები, უპირველეს ყოვლისა, აღიქვამდნენ კლასის ზომის შემცირების საჭიროებას იმისთვის, რომ ეფექტურად ესწავლებინათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის. მასწავლებლებს სჯეროდათ, რომ კლასის პატარა ზომა ზრდის მათ თავდაჯერებულობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის სწავლებისას და აძლევს ინდივიდუალური ინსტრუქციების უზრუნველყოფის საშუალებას, რათა დააკმაყოფილონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა საჭიროებები (Gaad and Khan 2007).

კლასის ზომამ, რა თქმა უნდა, მასწავლებლებში წარმოშვა შფოთვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ჩართვასთან დაკავშირებით. McDonald and Tufue-Dolgoy (2013) განმარტეს, რომ მასწავლებლები უკვე სტრესის ქვეშ არიან კლასის დიდი ზომისა და შეფასების საჭიროების მოთხოვნების გამო. ამდენად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების საკლასო ოთახში ინკლუზია შეანელებდა სასწავლო პროგრამას. ბოლო დროს Young, McNamara, and Coughlan (2017) ინტერვიუ ჩაატარეს 15 მასწავლებელთან ირლანდიაში და მსგავსადვე აღწერეს, რომ ინტერვიუჩამორთმეული მასწავლებლების ძირითადი ნაწილი გამოხატავდა, რომ კლასის დიდი ზომა პრაქტიკული რჩებოდა იმ კლასისთვის, რომელიც მოიცავს შეზღუდვების არ მქონე მოსწავლეებს. თუმცა, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეს სცენარი პრობლემური გახდა კლასში, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებმა გააცნობიერეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების საჭიროებები, კლასის დიდი ზომის გამო რთულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე ზრუნვა და თითოეული მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება (Zwane and Malale 2018).

სასწავლო მასალები და რესურსები

ამ თემას უკავშირდებოდა განხილული კვლევების ერთ მესამედზე მეტი (36%), რომელთა უმრავლესობა ჩატარდა ევროპაში (34%), მას მოჰყვა აზიაში (22%), აფრიკაში (22%), ჩრდილოეთ ამერიკასა (11%) და ოკეანეთში (11%). ერთად აღებულმა ამ კვლევებმა აღნიშნეს, რომ მასწავლებლებს სურდათ მეტი შესაფერისი სასწავლო მასალა და რესურსი, მოსწავლეთა მხარდაჭერის მრავალფეროვანი საჭიროებების უზრუნველსაყოფად (e.g. Gaad and Khan 2007; Kuyini et al. 2016;

McDonald and Tufue-Dolgoy 2013). 6 კვლევა იყო თვისებრივი, რომელიც იყენებდა კვლევის სხვადასხვა მეთოდს, მათ შორის, ინტერვიუს, შემთხვევის შესწავლას, საველე დაკვირვებას, დოკუმენტის ანალიზსა და კითხვარს დაწერილი პასუხებით. შერჩევის ზომა იცვლებოდა 1-დან 31 მასწავლებლამდე. ორმა სხვა კვლევამ გამოიყენა გამოკითხვები და შერჩევის ზომა იყო 120 და 163, შესაბამისად.

Herold and Dandolo-მ (2009) აჩვენეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა სწავლაზე სწავლების შესაფერისი მასალების გავლენა. მათ გამოიკვლიეს მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეების ინკლუზია ფიზიკური აღზრდის გაკვეთილზე. ამ კვლევის ფარგლებში, ფიზიკური აღზრდის მასწავლებელს გადაეცა რესურს ბარათების ნაკრები ადგილობრივი ხელისუფლების საკონსულტაციო პერსონალისგან, რომელმაც აჩვენა ის, თუ ეს რესურსული ბარათები როგორ უნდა გამოიყენონ მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეების მხარდასაჭერად. მკვლევრები დააკვირდნენ, რომ აღნიშნულმა მასწავლებელმა ეს მასალები აღწერა, როგორც პრაქტიკული და სასარგებლო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა განათლებისთვის და მათი მტკიცებით, ეს დამხმარე რესურსბარათები მასწავლებელს უზრუნველყოფდა სწავლებისთვის იდეებითა და სწავლების პროცესის სიღრმისეული გააზრებით. შედეგებმა აღნიშნა რეალური და პრაქტიკული მასალების მნიშვნელობა მასწავლებლებისთვის იმ მოსწავლეთა მომსახურებისთვის, რომლებიც აკომოდაციებს საჭიროებენ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებში მონაწილეობისა და სწავლისთვის.

ამის საწინააღმდეგოდ, ლიტერატურაში თანმიმდევრულად აღწერილი და წამოყენებულია შესაფერისი მასალების ნაკლებობა, როგორც მასწავლებლებში გავრცელებული საზრუნავი. საინტერესოა, მიუხედავად იმისა, რომ განხილულ კვლევებში წამოყენებული საკითხები მიუთითებდა დამატებითი მასალების მასწავლებელთა საჭიროებაზე, ამ მასწავლებლებმა ვერ განსაზღვრეს კონკრეტული სახის მასალები, რომლებიც სწავლებისთვის მათ სჭირდებოდათ (Johnstone and Chapman 2009). მსგავსადვე, Herold and Dandolo (2009) and Johnstone and Chapman (2009) ვარაუდობდნენ, რომ ეს შესაძლოა, განპირობებული ყოფილიყო მასწავლებელთა ცოდნის ნაკლებობით იმის შესახებ, თუ როგორ მოეპოვებინათ წვდომა მათთვის განკუთვნილ რესურსებზე.

დრო

განხილული კვლევების თითქმის ნახევარი (40%) ორიენტირდა ინკლუზიის განსახორციელებლად მასწავლებლებისთვის საჭირო დროის უზრუნველყოფაზე. უმრავლესობა მათგანი ჩატარდა ევროპაში (30%), მას მოჰყვა ჩრდილოთ ამერიკა

(30%), აფრიკა (20%), ოკეანეთი (10%) და აზია (10%). საერთო ჯამში, მათ ხაზი გაუსვეს იმას, რომ მასწავლებლებს სურდათ დამატებითი დრო მათთვის გამოყოფილი სამუშაო დატვირთვის ფარგლებში, რათა კარგად დაგეგმონ და განახორციელონ ინკლუზიური განათლება. ამ კატეგორიაში, ორივე —თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევები თანაბრად იყო განაწილებული. აღნიშნული კვლევებიდან ხუთმა გამოიყენა ინტერვიუს მეთოდი და შერჩევის ზომა იყო 8-დან 31-მდე. ოთხმა კვლევამ გამოიყენა გამოკითხვის მეთოდი და შერჩევის ზომა იცვლებოდა 120-დან 546-მდე. ამ კატეგორიის ერთადერთმა შერეული მეთოდით კვლევამ გამოიყენა გამოკითხვა (n=120) და ინტერვიუ (n=4 და 20).

რამდენიმე კვლევამ (მაგ., Blecker and Boakes 2010; Horne and Timmons 2009; Johnstone and Chapman 2009) აღწერა, რომ მასწავლებლები წუხან ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის დროის ნაკლებობის გამო. Horne and Timmons (2009) კვლევაში, მასწავლებელთა უმრავლესობა განსაკუთრებით წუხდა დროის შესახებ, რომელიც საჭირო იყო მშობლებთან, რესურს მასწავლებლებსა და სპეციალისტებთან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ჩამოყალიბების თაობაზე შეხვედრებისათვის. Eklund et al. (2021) კვლევაში, მასწავლებლები მათი დროის უდიდეს ნაწილს ხარჯავდნენ დოკუმენტაციის მომზადებაში, შემდგომში გაკვეთილების დაგეგმვისათვის. მასწავლებლებს სურდათ მეტი დრო თანამშრომლობისა და მასწავლებლის ასისტენტებთან შეხვედრებისათვის, რათა დაეგეგმათ პროგრამა ინკლუზიურ კლასებში ყველა მოსწავლისათვის (Horne and Timmons 2009), დახმარებოდნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს და მონაწილეობა მიეღოთ მასწავლებელთა ტრენინგში (Young, McNamara, and Coughlan 2017), მომზადებულიყვნენ ინკლუზიური კლასისათვის და დაეგეგმათ ის (Anderson, Klassen, and Georgiou 2007; Gaad and Khan 2007; Horne and Timmons 2009) და განეხილათ პროგრამები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვისაა მორგებული (Anderson, Klassen, and Georgiou 2007). ზოგადად, მასწავლებლები აღიქვამდნენ, რომ დამატებითი დრო მათ აძლევთ საშუალებას უფრო შესაფერისად გადაჭრან და დააკმაყოფილონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა საჭიროებები (Kuyini et al 2016). ეს კვლევები გულისხმობს მასწავლებლებისთვის დროის მნიშვნელობას.

განხილვა

მოცემული კვლევის მიზანი იყო მხარდაჭერის იმ საჭიროებების გამოვლენა და სინთეზირება, რომლებიც, მასწავლებელთა განცდით, მათ სჭირდებოდათ ჩვე-

ულებრივ კლასებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა სწავლებისთვის. მიზანი მიღწეულ იქნა ინკლუზიური განათლების განხორციელებისათვის მხარდაჭერის მასწავლებელთა აღქმული საჭიროებების შესახებ კვლევების პოვნისა და სინთეზირების გზით. მისი გაცნობა ძალზედ მნიშვნელოვანია იმის გაგებისთვის, მასწავლებლები მიიჩნევენ თუ არა, რომ ისინი მხარდაჭერილნი არიან ინკლუზიური განათლების განხორციელებისათვის და რა სახის მხარდაჭერას ეძებენ ისინი გასაგებად იმისა, თუ როგორ გააძლიერონ სკოლებისა და სისტემების ინკლუზიურობა. ეს ნაწილი განიხილავს მხარდაჭერის მასწავლებელთა აღქმულ გამოვლენილ საჭიროებებს, ჩვეულებრივ კლასებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების სწავლებისას.

ბოლოდროინდელი კვლევა ავლენს მასწავლებელთა აღქმას იმის შესახებ, რომ სამუშაო ადგილზე მასწავლებელთა ტრენინგს შეუძლია გაზარდოს მათი ცოდნა, თავდაჯერებულობა და დადებითი დამოკიდებულებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ჩართვის მიმართ (Chao et al. 2017). ეს შედეგი ემყარება მრავალფეროვან გარემოში ჩატარებულ გარკვეული რაოდენობით კვლევებს, რომლებიც იყენებდნენ კვლევის სხვადასხვა მეთოდსა და დიდი ზომის შერჩევებს. თუმცა ასევე განსახილველია ტრენინგის შინაარსი და ხარისხი; უნდა განისაზღვროს ისიც, მოცემულ ტრენინგს შეუძლია თუ არა დაკმაყოფილოს მხარდაჭერის მასწავლებელთა აღქმული საჭიროებები. Alborno სამუშაოდან (2017) მიღებული შედეგები გვთავაზობს, რომ მასწავლებლები კეთილგანწყობილნი არიან სწავლების პრაქტიკებისა და კონკრეტული სტრატეგიების მიმართ, რომლებიც მათ ეხმარებათ, ასწავლონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს საკლასო ოთახებში. თუკი შინაარსი ზედმეტად თეორიული ხასიათისაა ან მოცემული კონტექსტისგან ძალზედ განყენებული, ტრენინგს შეუძლია ასახოს მასწავლებლებისთვის შემცირებული პრაქტიკულობა და შესაბამისობა (Alborno 2017).

მოცემული ლიტერატურის ფარგლებში შემდეგი მიგნებაა ის, რომ მასწავლებელთა რწმენით, მასწავლებლის თანაშემწეების არსებობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს დაეხმარებოდათ, მიჰყოლოდნენ ინსტრუქციებს და მხარი დაეჭირათ საკლასო აქტივობებში მათი მონაწილეობისათვის. აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა ადგილას მასწავლებლებს ძალიან სურდათ თანაშემწეები. თუმცა ამგვარი მხარდაჭერის მათი სურვილი უნდა იქნეს განხილული თანაშემწეების გავლენის შესახებ კვლევის ლიტერატურის გათვალისწინებით. ინკლუზიურ სკოლებში მასწავლებლის თანაშემწეების უმრავლესობა ინიშნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების, ნაკლები მიღწევებისა და სპეციალური დასწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეთა, მათ შორის,

ყურადღების დეფიციტის სინდრომისა და პრობლემური ქცევის მქონე მოსწავლეთა მხარდასაჭერად (Rubie-Davies et al. 2010).

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები ხშირად იღებენ ინსტრუქციებს მასწავლებლის თანაშემწეებისგან და უფრო მეტ დროს ატარებენ მათთან, ვიდრე მათი კლასის მასწავლებლებთან (Giangreco 2013). მასწავლებლის თანაშემწეებისგან ამ სახის მხარდაჭერა, რასაკვირველია, მნიშვნელოვან კითხვებს წარმოშობს ინკლუზიური განათლების განხორციელებაში, განსაკუთრებით ის, რომ მასწავლებლის თანაშემწეების უმეტესობა არ არის დატრენინგებული, ან აკლია საფუძვლიანი მომზადება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა საჭიროებების მხარდასაჭერად (Butt 2016). მასწავლებლის თანაშემწეებზე ასეთმა დამოკიდებულებამ დამაზიანებელი გავლენა შეიძლება გამოიწვიოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა ინკლუზიისთვის (Giangreco 2010; Webster et al. 2010).

თანამშრომლობის თვალსაზრისით, მასწავლებლები ძლიერ აფასებენ სხვა მასწავლებლებთან, სპეციალური განათლების მასწავლებლებსა და პროფესიონალებთან ერთად მუშაობას, რათა მხარი დაუჭირონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს. მოძიებულ კვლევებში, მასწავლებლებმა ექვსი კონტიგენტიდან, უმეტესად ევროპაში, ხაზი გაუსვეს ინკლუზიურ კლასებში თანამშრომლობის მნიშვნელობას. კოლეგებსა და პროფესიონალებთან ასეთი თანამშრომლობა მასწავლებლებს აძლევთ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების საშუალებას, რათა ყველა მოსწავლისათვის შექმნან სასწავლო გარემო (Rytivaara, Pulkkinen, and de Bruin 2019) და ინკლუზიურ კლასებში წამოიწყონ გაკვეთილების ეფექტურად დაგეგმვა და წარმოება (Carpenter and Dya 2007). მანამდელმა კვლევამ ასევე შემოგვთავაზა, რომ სპეციალისტებთან თანამშრომლობა ან თანამშრომლობითი სწავლება უმჯობესი მიდგომაა ინკლუზიურ საკლასო ოთახებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა მოთხოვნების მხარდასაჭერად, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად (Friend and Cook 2013). ხაზგასმული უნდა იყოს თანატოლებსა და პროფესიონალებთან თანამშრომლობის მასწავლებელთა აღქმული საჭიროება.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა საჭიროებების მხარდაჭერის საპასუხოდ, ინკლუზიური განათლების განხორციელებაში, მნიშვნელოვნად აღიქმება ზოგადი სასწავლო გეგმის მორგების მასწავლებელთა უნარები. შედეგები მოპოვებულია შერჩეული კვლევებიდან, რომლებიც იყენებს კვლევის მრავალფეროვან დიზაინს ხუთი კონტიგენტიდან. თუმცა, მიმოხილვის შედეგები ხაზს უსვამს, რომ სასწავლო გეგმის შესაფერისად მისადაგება და მორგება მასწა-

ვლებლების მიერ ფართე მაშტაბით არ ხორციელდება. მიმოხილვაში მოტანილი იყო მაგალითი იმის შესახებ, რომ ყველა მოსწავლისთვის იყენებდნენ ერთი სახის შეფასებას (Liu et al. 2020) მაშინ, როცა სხვა კვლევამ აჩვენა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები ხშირად უზრუნველყოფილნი იყვნენ უფრო მარტივი და ადვილი სამუშაო ფურცლებით ამ საერთო შეფასებებისთვის მოსამზადებლად, რასთან დაკავშირებითაც მკვლევრები აღნიშნავდნენ, რომ საჭირო იყო სასწავლო გეგმის მორგების უფრო ეფექტური უნარები (Tomlinson and Imbeau 2010). როგორც ჩანს, ეს პრაქტიკა ეწინააღმდეგება CRPD-ის, რომელიც ხელისუფლებისგან მოითხოვს, შექმნან კანონმდებლობა და პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს მასწავლებლებს, უზრუნველყონ გონივრული პირობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის, განათლების შეძლებისდაგვარად ყველა საფეხურზე, შეინარჩუნონ მაღალი მოლოდინები მოქნილობის დაგეგმვისას, მათ შორის, სტანდარტიზებულ შეფასებებში (მაგ., United Nations 2016, 25). ერთ-ერთი შემოთავაზებული აკომოდაცია გულისხმობს „შეფასების ალტერნატიულ მეთოდებს, ან სასწავლო გეგმის ელემენტის ალტერნატიული ელემენტით ჩანაცვლებას“ (United Nations 2016, 10), ხოლო მეორე მათგანი იყენებს უნივერსალური დიზაინის პრინციპებს სასწავლო გეგმის ადაპტაციისა და შეფასების ფარგლებში (United Nations 2016, 25). CRPD ასევე ხაზს უსვამს იმას, რომ გონივრული აკომოდაცია უნდა განისაზღვროს ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით. ამდენად, სასწავლო გეგმის ადაპტაციისა და მორგების აღქმული საჭიროება გათვალისწინებული უნდა იქნეს ინკლუზიური განათლების განხორციელებაში, თუკი უნდა შესრულდეს CRPD- ით განსაზღვრული ხელმომწერთა ვალდებულებები.შედეგებმა ასევე აჩვენა მასწავლებელთა აღქმა იმისა, რომ დამატებითი სასწავლო მასალებისა და რესურსების, საკმარისი დროისა და კლასის შემცირებული ზომის უზრუნველყოფას შეუძლია მათი დახმარება ინკლუზიური განათლების განხორციელებაში. ეს მიგნებები მიღებულ იქნა კვლევებისგან, რომლებიც კვლევის სხვადასხვა დიზაინის გამოყენებით ჩატარდა სხვადასხვა სახელმწიფოში. ამ რესურსებისა და ინკლუზიურ განათლებაში მხარდაჭერის საჭიროებების ნაკლებობა ბოლო ათი წლის მანძილზე ბევრ კვლევაში აღიწერა, როგორც მასწავლებელთა წუხილი და ბარიერი (მაგ., Horne and Timmons 2009; Materechera 2020). რესურსების ნაკლებობის პრობლემის გადასაჭრელად ერთ-ერთი შემოთავაზება არის ის, რომ მასწავლებლებმა შესაძლოა, გამოიყენონ სწავლების მიდგომების სხვადასხვა ტიპი, მაგ., მოსწავლეთა შერეული შესაძლებლობებით დაჯგუფება, მცირე ჯგუფები, წყვილებში მუშაობა, დაჯგუფების რეჟიმი (Casserly, Tiernan, and Maguire 2019), რათა მხარი დაუჭირონ კლასში მოსწავლეთა სწავლაში განსხვავებებს. თუმცა სკოლის ადმინისტრატორებსა და პოლი-

ტიკის შემქმნელებს შესაძლოა, დასჭირდეთ რესურსების განაწილების ხელახლა განხილვა, რათა მასწავლებლებს მხარი დაუჭირონ ინკლუზიური განათლების განხორციელებაში.

შეზღუდვები

ამ კვლევის ფარგლებში, ერთ-ერთი შეზღუდვა არის ის, რომ ამ მიმოხილვაში კვლევების უმრავლესობამ მონაცემების შეგროვების ინტრუმენტებად გამოიყენა ინტერვიუები და თვითპასუხის ტიპის შკალები და შესაძლოა, ექვემდებარებოდეს გარეგან მიკერძოებას. მასწავლებლებმა შეიძლება, ინკლუზიური განათლების მიმართ საკუთარ დამოკიდებულებებსა და თვითეფექტიანობასთან დაკავშირებული პასუხები გასცეს და შესაძლოა, განაცხადეს გარემოებებზე, რომლებიც ახლა აღარ არის აქტუალური ნებისმიერი პოლიტიკური რეფორმის ფარგლებში. მომავალი კვლევები უნდა შეიცავდეს კვლევის მრავალი სახის მეთოდს, რაც გულისხმობს დაკვირვებებსა და ინტერვენციებს, ინტერვიუებსა და კითხვარებთან ერთად, რათა შეჯამდეს მასწავლებლების მხარდაჭერის საჭიროებები და სიზუსტე დაემატოს მხარდაჭერის მოცემულ თვით-აღწერილ საჭიროებებს. გარდა ამისა, მოძიებული კვლევების უმრავლესობა ჩატარდა ევროპაში, სამხრეთ ამერიკასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. შედეგად, სხვა კონტინენტებზე, როგორებიცაა აზია და აფრიკა, მისი გამოყენებადობა შეიძლება, შეზღუდული იყოს. პოლიტიკის შემქმნელებისთვის ეს მიგნებები შესაძლოა, ნაკლებად შესადარისი აღმოჩნდეს, რადგან მხარდაჭერის მასწავლებელთა აღქმული საჭიროებების სახეები და დონეები განსხვავდებოდეს მათი ქვეყნებისგან.

დასკვნა

ინკლუზიური განათლების შესახებ საერთაშორისო და ეროვნული პოლიტიკის ამოქმედების გათვალისწინებით, ინკლუზიური განათლების განხორციელებაში, სკოლებსა და კლასებში მისი მიღწევისთვის, მასწავლებელთა როლი საკვანძოა. აქ განხილულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მასწავლებლები ხშირად წუხდნენ მხარდაჭერის იმ დონეზე, სახესა და ხელმისაწვდომობაზე, რაც, მათი განცდით, სჭირდებოდათ ინკლუზიური განათლების განსახორციელებლად და აჩვენებს მასწავლებელთა წინადადებებს, თუ როგორ შეიძლება მათი მოგვარება. საინტერესოა, რომ მხარდაჭერის მასწავლებელთა აღქმული ყველა გამოვლენილი საჭიროება კვლევით არ არის მხარდაჭერილი, როგორც სასარგებლო ინკლუზიური განათლების განსახორციელებლად. საბოლოო ჯამში, მასწავლებლებს სჭირდე-

ბათ, თავი იგრძნონ მხარდაჭერილად, ინკლუზიურ კლასებში მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკების გამოყენებით სწავლებისთვის. ამის მიღწევას დასჭირდება სანდო პროფესიული ერუდიცია, რათა მხარი დაუჭიროს მათ ცოდნასა და თავდაჯერებულობას ინკლუზიურ კლასებში სწავლებისთვის და ხელი შეუწყოს ყველა მოსწავლის ინკლუზიური განათლების უფლების რეალიზებას.

ნაშრომის ინგლისურენოვანი ვერსიისა და გამოყენებული წყაროებისთვის იხილეთ: https://doi.org/10.1080/13603116.2023.2244956

Wing Sze Emily Chow, Kate de Bruin & Umesh Sharma

A SCOPING REVIEW OF PERCEIVED SUPPORT NEEDS OF TEACHERS FOR IMPLEMENTING INCLUSIVE EDUCATION

Translated from English by Teona Nutsubidze*

Abstract

This paper presents a Georgian translation of the article by Wing Sze Emily Chow, Kate de Bruin, and Umesh Sharma, entitled "A Scoping Review of Perceived Support Needs of Teachers for Implementing Inclusive Education." The article emphasizes the essential role of teachers in the implementation of inclusive education and highlights the problem of inadequate perceived support in this area. More specifically, the study seeks to identify the forms of support that teachers regard as necessary for the effective integration and implementation of inclusive education within the school environment.

To achieve this aim, the article reviews the findings of 25 studies published between 2007 and 2020. The analysis shows that teachers most frequently identified the need for training in inclusive education and in working with students with special educational needs and disabilities, as well as the need for appropriate curriculum adaptation tailored to individual student capacities. In addition, the findings underscore the importance of an adequate number of qualified teaching assistants, collaboration with other teachers and special education professionals, smaller class sizes, and sufficient time for effective practice.

Keywords: Need of Teachers, Inclusive Education, Support.

* Assistant at Sulkhan-Saba Orbeliani University, https://orcid.org/0009-0008-1372-7790